


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

29 ივნისი 2012 №13(169)

ქრისტიანული სიქველენი ისლამურ ფილმში
მაია ჯალიაშვილი რობერტ ვალზერზე
ზურაბ ლავრელაშვილის ლექსები
პოეზიისა და გრაფიკის ზღვაზე
ძიება სამყაროს დასასრულამდე
ინტერვიუ ანა ნიკოლაშვილთან
იეიტსისა და ჯოისის შეხვედრა
მარი ელენ რუხაძის ნოველები
მანანა ამირეჯიბის მოთხრობა
რუსული პოეზია ქართულად
ფლობერის თუთიყუში



შინაარსი

უსხოეთის ცხოვრებიდან	2	მაკო ჯანჯიბუხაშვილი რწმენა, იმედი და სიყვარული ანუ სამი ქრისტიანული სიძველე ისლამურ ფილმში „ალცჰაიმიერი“
შრბინები პრობრებისათვის	4	როსტომ ჩხეიძე პოეზიისა და გრაფიკის ზღვარზე (ვახტანგ ჯავახაძის ნახატი აცაბაცები)
მსარს-ჩნბარვი	8	ანა ნიკოლაშვილი „რასაცა ბასცამ, შენია“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	9	მანანა ამირეჯიბი კაცები აღმართში
პოეზია	15	ზურაბ ლავრელაშვილი სისხლის ძიება და სხვა ლექსები
	18	გვანცა ჯობავა ჩვენ ვართ ქოხები და სხვა ლექსები
მოგონებათა სივრცე	20	რიჩარდ ელმანი ორი დიდი მწერლის პირველი შეხვედრა (უილიამ ბატლერ იეიტსი და ჯეიმზ ჯოისი)
ლიტერატურული ცხოვრება	21	ლექცია გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილზე
პოეზიის მერიდიანები	22	ემზარ კვიციანიშვილი რუსული პოეზია ქართულად
კრიტიკა	29	მაია ჯალიაშვილი სურნალოვანი ღამის სიმწვანეში (რობერტ ვალზერის რომანი „და-ძმა ტანერები“)
ლიტერატურული ცხოვრება	32	და ღამის ყინული გალცვა... (შეხვედრა თემურ ჩალაბაშვილსა და ზოპარ დავითაშვილთან)
დიალოგი	34	ნინო საბაშვილი „ამდენ ბერძენ მორწმუნეს გვიჩვენა“ (ენრიკო გაბიძაშვილი)
რეპორაჟი	38	ეკა ბუჯიაშვილი ძიება სამყაროს დასასრულამდე (ჯანო ჯიქიძის წიგნების წარდგინება)
ანეკდოტი	42	ნონა კუპრეიშვილი პროტრაქტი თაობის ფონზე (ცისანა გენძეხაძე)
	45	მურმან ჯგუბურია ოთარ ჩხეიძე... ჩხეიძეები...
ახალგაზრდებო, ახ კი თქვენ	48	ლანა გიორგიძე, თინათინ ჯაფარიძე, ეკა მაღალდაძე, ნათია ქორქაშვილი ჩემი გმირი გინოდა
საორბი	50	დავით ჭელიძე გმირობა 50 წლისა გამცდარა! (თბილისის „დინამო“ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი კალათბურთში)
ახალი წიგნები	54	ცირა ყურაშვილი ყიფილიანდის გასაღები (ზვიად კვარაცხელიას ნოველების კრებული „ყიფილიანდი“)
ახალი თარგმანები	55	მარი ელენ (ჩიტო) რუხაძე ორი ნოველა
ლიტერატურული ცხოვრება	57	მარიამ ოლქიშვილი, სალომე თურქაძე „ხაღურის“ წარდგინება ქართული სიტყვის ზეივანად გადაიქცა
ახალი თარგმანები	58	ჯულიან ბარნსი ქრონოლოგია
მოზიკა	63	ლოგიკა — უპირველეს ყოვლისა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 322) 96_20_62
E-mail: info@mtserloba.ge



შეამუშავდა: სარაიში "მეგა ტეგ" PRINTED BY "MEGA TEG" PRINT HOUSE
საქართველო, თბილისი, სარაიშილის 17 Tbilisi, Georgia, 17 Sarajshvili Street
დაკავშირება 00 995 322 53 03 62 TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯობაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: გვანცა ჯობავა

თამარ ყალიჩავას ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 13 ივლისს

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

რწმენა, იმედი და სიყვარული

ანუ
სამი ქრისტიანული სიძველე
ისლამურ ფილმში
„ალცჰაიმერი“

ფილმის რეჟისორი – რეზა მო'თამედი
მსახიობები – ფარამარზ ყარიბიანი (ქმრის როლში)
მაჰთაბ ქარამათი (ცოლის როლში)

2012 წლის ირანულ კინოფესტივალზე ფილმს მიღებული აქვს პრემია საუკეთესო ეკრანული სახეების ნომინაციაში, ხოლო ფარამარზ ყარიბიანს გადაეცა ბროლის სიმორყი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

კინოხელოვნებამ, მიუხედავად ახალგაზრდობისა, იმდენი საოცრება „ჩაიდინა“ უკვე, ძნელად თუ გააკვირვებს მაყურებელს, მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნება მაინც ყოველთვის გასაოცარია და ყველაზე მშვიდთა და აუღელვებელთა გულების შეძვრასაც ახერხებს.

ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, გიორგი ლობჯანიძემ ირანიდან ჩამოიტანა ფილმი, სახელწოდებით — „ალცჰაიმერი“.

ირანულ კინოს, როგორც არასპეციალისტთა ანუ რიგით მაყურებელთა უმრავლესობა, ნაკლებად ვიცნობ, ხოლო ადამიანის ზერეულ ნარმოდგენა ამა თუ იმ კულტურის შესახებ დაახლოებით ისეთია, რასაც მისი თანამედროვე პოლიტიკა „წარმოადგენინებს“, ანუ თუ განვითარებული ქვეყნის ფილმთან შეხვედრას ელოდება, ფილმსაც ასეთს – ე.წ. მაღალი დონისას ელის, და – პირიქით, ძნელად წარმოიდგენს, რომ დიქტატურის ანდა „მესამე სამყაროს“ ქვეყნის ხელოვნება თავს მოაწონებს და დაინტერესებს. ბუნებრივია, სტერეოტიპების ტყვეობაში ვართ მოქცეულნი.

ირანიდან ახალჩამოსულმა გიორგი ლობჯანიძემ თავის „ნადავლს“ წინასწარვე გაუკეთა წარდგინება, როგორც ძალიან საინტერესო და კარგ ფილმს და, ბუნებრივია, ამგვარსაც ველოდი, მაგრამ ეს ზოგადი შეფასება ნახვის შემდეგ გამოგნებელ შთაბეჭდილებად მექცა – ფილმი აღმოჩნდა კინოშედეგური და, გარდა ამისა, პირადად მე თანამედროვე ირანის კულტურის „კარი გამიღო“.

ფილმს საკმაოდ დამაინტრიგებელი სათაური აქვს — „ალცჰაიმერი“, თუმცა, ვფიქრობ, ფილმის რეჟისორმა ამ თანამედროვე და საკმაოდ აქტიუალური ტერმინით ერთგვარად გადასძახა დასავლეთს, რადგანაც ფილმის გმირს, რომელსაც ავტოკატასტროფის (თუ რაღაც ამგვარის) შედეგად აწენზია და ერთგვარი გონებრივი სიჩლუნგე სჭირს, მთლად ალცჰაიმერით დაავადებულს ვერც უწოდებ. ამან უფრო მაფიქრებინა, რომ ასეთი სათაურით რეჟისორმა დასავლეთს ერთგვარი „მესიჯი გაუგზავნა“.

ახლა კი უშუალოდ ფილმის შესახებ.

ავტოკატასტროფის შემდეგ პოლიცია ახლობლებს აჩვენებს გვამს, რომლის სიახლოვეს იპოვეს პირადობის მოწმობა. დაღუპული სამმა უახლოესმა ადამიანმა „ჩილა“ (გვამი დანახშირებული იყო და მისი ამოცნობა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა) – ძმამ, ცოლმა და ცოლის ძმამ. მამაკაცებმა მაშინვე დაადასტურეს ახლობლის იდენტობა, ხოლო ცოლმა მკაცრად და მტკიცედ განაცხადა – „ეს ჩემი ქმარი არ არის, მე ჩემი ქმრის სუნს ვცნობ!“ ხოლო შემდეგ ეს ამოუცნობ-ამოცნობილი გვამი მიწას მიიბარეს. აქვე მსურს შევნიშნო, რომ ფილმი დოკუმენტური კინოს ესთეტიკით არის გადაღებული და როდესაც საქმე გვაქვს ნაკლებად ცნობილ სამყაროსთან, ესეც განსაკუთრებულ ხიბლს მატებს ფილმს, რადგანაც ჩვენთვის, ანუ დასავლურ კინოესთეტიკაზე გაზრდილი მაყურებლისთვის, ამგვარ მიდგომას ერთგვარი ეთნოგრაფიული ღირებულება ემატება – მაყურებელი ცხადად ხედავს ირანული ყოფის თავისებურებებს, მხოლოდ იმ სივრცისთვის დამახასიათებელ შტრიხებს. კერძოდ, ნაჩვენებია დაკრძალვის ცერემონია, საკულტო მსახურება, ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ყოფითი დეტალები და ა.შ. აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ფილმში ე.წ. სოციალურ-ეკონომიკური საკითხიც არის ნამოჭრილი – კერძო სანარმოში დასაქმებულ მუშათა მდგომარეობა და მათი სიდუხჭირე, რაც ფილმის ზოგადი ქსოვილისთვის, ანუ მასში გადმოცემული ამბისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუმცა, რეჟისორის ოსტატობის და სცენარის წყალობით, ესეც ბუნებრივად ჯდება ფილმის ზოგად სტრუქტურაში.

მაგრამ მთავარი სულ სხვა რამ არის, ანუ ფილმი არც ყოფაცხოვრების ფილოსოფიაზეა, არც მუშათა მდგომარეობაზე, არც გენდერულ თანასწორობაზე და, რაც მთავარია, არც ალცჰაიმერის დაავადებაზე. ეს ფილმი ისეთ თემაზეა, რომელსაც ყველი არ გასდის არცერთ დროსა და არცერთ კულტურაში, — სამ სათნოებაზე, რომლითაც ადამიანში დასტურდება ღვთაებრივის არსებობა, ეს სამებაა — რწმენა, იმედი და სიყვარული და კარგა ხანია იცის ჩვენმა მოდგამამ, რომ თითოეული მეორის და მესამის გარეშე წარმოუდგენელია. ფილმის მთავარი პერსონაჟი ქალია და ესეც განსაკუთრებულ ფასს სძენს იმ კულტურის ფილმს, სადაც ქალთა უფლებები უკიდურესად მძიმე და დისკრიმინირებულია. ეს ფილმი კი არის ქალზე, რომელზეც გაბატონებას ცდილობს ძმა. ეჭვი მაქვს, ფილმის ავტორებმა დასავლელ ფროიდსაც საკმაოდ ხარკი გადაუხადეს, მაგრამ პირდაპირი გზით არა, კარგად შეუვსულად და ბუნებრივად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფილმის დასაწყისში გამოჩნდება ახალგაზრდა, 20 წლის ულამაზესი ქალი, რომელსაც ავტოკატასტროფაში დაღუპული ქმრის დანახშირებულ გვამს აჩვენებენ, მაგრამ იგი მტკიცედ, შეურყეველად ამბობს – ეს ჩემი ქმარი არ არის, ჩემი ქმრის სუნს კარგად ვცნობო. დაღუპულის ძმა, ანუ ქალის მამა და ქალის ძმა უმალვე იჯერებენ, რომ ეს გვამი მათ ახლობელს ეკუთვნის, ხოლო ქალი თავის აზრს არ იცვლის. მამაკაცს მარხავენ, პროცესიას ქალიც ესწრება, რომლის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, თუმცა, როგორც ჩანს, ვერ დაარწმუნეს, რომ გარდაცვლილი მისი ქმარი იყო, ამიტომ შეურაცხადად მიიჩნიეს და ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტეს. მომდევნო სცენები უკვე 20 წლის შემდგომ ვითარდება და ვგებულობთ, რომ მამაზე დანიშნული ქალი სიჯიუტის გამო ფსიქიატრიულ კლინიკაში (რაც შეეხება მამაზე დანიშნვას, ეს ოუდეველებსა და ისლამისტებში მიღებული ტრადიციაა – დაქვრივებული ქალი მამის კუთვნილება ხდება, თუ ქმარს ძმა არა ჰყავს, უახლოესი ნათესავისა და ა.შ. ამ ტრადიციას ორმაგი დატვირთვა აქვს — ერთი, რომ გვარი აქვე გრძელდება, ამავე ოჯახში, და მეორე, უფრო ყოფითი, ეკონომიკასთან დაკავშირებული — რა-

თა ქალის მიერ ოჯახში შემოტანილი მზითვი იქვე დარჩეს და სხვა ოჯახში არ გადავიდეს. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ ბიზნესში ვხვდებით).

თუმცა ფილმი გვატყობინებს, რომ მაზლს ქალისთვის ნამდვილი ქმრობა არც გაუწევია, ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რათა უპატრონოდ დარჩენილ ქალს ვინმე უპატივცემულოდ არ მოჰქცეოდა. ასე რომ, 20 წლის შემდეგაც ქალი მარტოა და, როგორც მალევე ვგებულობთ, კვლავაც ერთგულად ელოდება ქმარს.

ქალის როლის შემსრულებელი მაჰთაბ ქარამათი იმდენად მშვენიერი ქალია და ისეთი ნიჭიერი პროფესიონალი, მაყურებელს პირველი კადრებიდანვე იპყრობს და შეუძლებელია არ დაუჯერო. ოპერატორის მიერ გამოყენებული ე.წ. მსხვილი ხედი თუ ახლო კადრი, რომელიც მის დიდ, მწვანე თვალებზე ფიქსირდება, ძალზე შთამბეჭდავია და მისი თვალები თავისი მშვენიერებით უტოლდება ელიზაბეტ ტეილორის თვალების სიმწვანეს, ანა მანიანის თვალების სიღრმეს, სოფი ლორენის თვალების ჭეშმარიტ ქალურობას... (როგორც გიორგისგან შევიტყვე, მსახიობის სახელი სპარსულად მთვარიან ღამეს ნიშნავს).

და აი, 20 წლის შემდეგ ქალაქში გამოჩნდება გაჭაღარავებული, მაგრამ ბევრს ვიციან წრფელსახიანი, მესხიერებად-კარგული კაცი, რომელსაც ვერც ძმა ცნობს, ვერც ცოლის ძმა, სამაგიეროდ, იცნობს ქალი, — ცოლი, რომელსაც ერთი წუთითაც არ შერყევია რწმენა თავისი ქმრის სიცოცხლის შესახებ. და ქალი იბრძვის, რომ ასეთი ქმარი, რომელიც მასაც კი ვერ ცნობს, სახლში დააბრუნოს, მოუაროს, დააპუროს, მიიღოს არა როგორც კაცი, არამედ, ზოგადად, ადამიანი, რომელიც უყვარს.

მხოლოდ ქალიშვილი თანაუგრძობს დედას, ამ კაცისგან გაჩენილი გოგონა. მაზლსა და ძმას არც სურთ „უკან გახედვა“, მათ უკვე „დაასამარეს“ თავიანთი მოყვასი და ვალი მოიხადეს მის წინაშე – მინას მიაბარეს, ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ეს მესხიერებად-კარგული კაცი. ერთადერთი ადამიანი, ვინც მოახერხებს ქალის გვერდში დადგომას, მათი კულტმსახურია, რომელიც ფაქტობრივად ფილმის იდეასაც წარმოაჩენს. იგი ეუბნება ქალის მაზლს: „ნეტავ იმ რწმენის ნამცეცია, რაც ამ ქალს თავისი ქმრის მიმართ აქვს, ღმერთს ვინ ჩივის და, ჩვენ საკუთარი თავის მიმართ გექონოდა.“ ამ სიტყვებმა ანუ ამ დამოკიდებულებამ განსაზღვრა კიდევ ამ არაორდინარული ცოლ-ქმრის ბედი – თითოებაზად გამოცხადებული, დაპატიმრებული ქმარი გაათავისუფლეს, ქალი კი კვლავ ფსიქიატრიულში გამოკეტეს. მკითხველი თუ მაყურებელი იკითხავს – რატომო. ამ კითხვაზე, ალბათ, მარტივი პასუხი უნდა გავცეთ – ასეთი დიდი სიყვარულის ბოლო ან სიკვდილია ან დაშორება, რადგან მინიერი ყოფა, რომელსაც უმეტესწილად ციციკორები და, ზოგადად,

უკიდურესი პურიტანები ანებსებენ და მართავენ, როგორც წესი, ძალიან უფრთხის ამგვარ შეყვარებულთა ერთად ყოფნას — ვაითუ სამოთხე მინაზე ჩამოვიდეს და ადამიანებს ოცნება დაავინყდეთ ზეციურ სასუფეველზეო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფილმში ამკარად ჩანს ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და რწმენა. არ ვიცი, რამდენად ანგაჟირებულია რეჟისორი, მაგრამ ყოველივე ძალზე მაღალი პროფესიონალიზმით არის გადმოცემული, რაც არ გვიტოვებს ეჭვის საფუძველს და ამ დამოკიდებულების წყალობით ის ჭეშმარიტად თანამედროვე ფილმად გვესახება. ამავე დროს, ეს თანამედროვე ფილმი ყველა დროის რომანტიკული ხელოვნების ნიმუშს ამოუდგება გვერდით, რადგან ასეთი ამაღლებული და იდეალისტური სიყვარული მსოფლიო რომანტიკის კუთვნილებას.

ფილმის ერთ უმთავრეს ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ თემის დრამატულობა და, ზოგადად, სივრცე, სადაც ფილმის მოქმედება მიმდინარეობს, იმდენად მძიმეა, ძალზე ხალასი და სათანადო სიხშირით გაბნეული იუმორი რომ არა, შესაძლოა მძიმე საყურებელი ყოფილიყო.

ისიც საგულისხმოა, რომ იუმორი უშუალოდ უკავშირდება ქმარს, მესხიერებად-კარგულ ადამიანს, რომელმაც უთუოდ მძიმე ცხოვრება განვლო, მაგრამ ამ სენის „წყალობით“ მისთვის ასატანი გახდა ცხოვრება, მაყურებლისთვის კი – ფილმის ცქერა. ერთიც აღსანიშნავია, ამ დაავადებას ნამდვილად აქვს თავისი მომხიბლაობა, იგი თითქოს აბავშვებს ადამიანს და ასაკის სიმძიმეს აცილებს.

და ბოლოს, ქართველ მაყურებელს, რომლისთვისაც ნაცნობია

იაკობ ხუცესის „შუშანიკის ნამება“, შეუძლებელია ვარსკენის ასოციაციები არ აღუძრას ქალის ძმის საქციელმა. ხუცესის მიერ ვარსკენისთვის მისადაგებული „ეპითეტები“ თითქმის მთლიანად „დაამშვენებდა“ კაცს, რომელიც არც ქალის თრევას ერიდება, არც მის გაქვლევას, შეურაცხყოფას, და-ცინევას... და მე პირადად, მხოლოდ იმიტომ დავუთმე ყურადღება ამ დეტალსაც, რომ თანამედროვე, ბნელი ირანელის უდიერმა ქცევამ ჩვენი გადაჯიშებული ეგოდალი გამახსენა, მით უფრო, რომ ვარსკენმა სწორედ ამ კაცის ისტორიულ წინაპრებს შეჰფიცა ერთგულება. ეს ძალზე ზედაპირული ასოციაცია და შესაძლოა არც იმხელა მნიშვნელობა ჰქონდეს კულტურისთვის, რომ მას ცალკე სტრიქონები დავუთმეთ, მაგრამ იმდენად საყოველთაო სახე აქვს, რომ ლიტერატურულმა სინდისმა არ მომიცა ნება, ეს უხიავი კაცი დამციტრებული და ამაღლებული დედოფლის ქმრისთვის არ შეემედარებინა, მითუმეტეს, რომ ეს საოცარი ქალი თავისი რწმენის სიმტკიცით, სიყვარულისადმი ერთგულებითა და სულიერი მშვენიერებით ძალზე წააგავს 15 საუკუნის წინანდელ ჩვენს დედოფალს. როცა ფასეულობანი მაღალ შკალაზე იზომება, დამეთანხმებით, იქ საზღვრები და სამანები იშლება...



როსტომ ჩხეიძე

პოეზიისა და ბრაზიკის ზღვარზე

□

პასტანგ ჯავახაძის ნახატი აცხადებს

ეს აცხადებს მაინც რას ნიშნავს? ან პოეზიასთან რა საერთო აქვს და ან მხატვრობასთან? თუმც მანამდე...

გალაკტიონი არამცთუ შემწყნარებლობას იჩენდა ლირიკული ეკვილიბრისტიკისადმი, დროდადრო აუცილებლობადაც ესახებოდა ამ ყაიდის ექსპერიმენტები, როგორც სიხალისის შემომტანი ღრმა, დრამატული, გულისშემძვრელი ხილვების ფონზე.

— პოეტებს უნდა ეპატიოს ცოტაოდენი ტენიკური გიმნასტიკა, რომელიც აცოცხლებს პოეზიას, ო, სრულიადაც არ აშორებს სხვა სერიოზულ მეთოდებს.

ამგვარი „ტენიკური გიმნასტიკით“ გადავსებულიყო მისი ხელნაწერები, ის შემოქმედებითი ლაბორატორია, საიდანაც ძალზე ხელმომჭირნედ გამოჰქონდა ცალკეული ნიმუშები სამზოვზე, უმეტესობას კი იქვე ტოვებდა, როგორც შავ მასალას.

ვახტანგ ჯავახაძე საგანგებოდ დაინტერესდებოდა სწორედ იმ „შავი მასალით“, არქივში რომ თვლემდა, შეისწავლიდა, გარკვეულ ყალიბში მოაქცევდა, თხრობით ქარგას შემოუქსოვდა გარშემო და აქცევდა დასაბამად იმ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებისა „უცნობი“, გალაკტიონის აპოლოგიად რომ განიზრახავდა და საბოლოოდ, თანდათანობითი შევსების კვალობაზე ერთ საუკეთესო ბიოგრაფიულ რომანს რომ შესძენდა ქართულ ლიტერატურას.

იმ ბოლო ვერსიაში სადღაც ჩაიკარგებოდა გალაკტიონის „ტენიკური გიმნასტიკა“ და ველარც იგრძნობთ, რომ თავდაპირველად სწორედ ეს მხარე სჭარბობდა, ზედაპირზე წამოწეულიყო გალაკტიონის ის ლაბორატორიული ცდები, რაც ასერიგად მახლობელი გახლდათ ვახტანგ ჯავახაძის ლირიკული სტილისტიკისათვის.

ყველაზე უკეთ აქ ჰპოვებდა გამართლებასაც და დადასტურებასაც მისი პოეტური თამაში, გალაკტიონის უბის ნიგნაკებსა და დაღავებულ ფურცლებში, რაც — ნამდვილი ხელოვანის შეხებისას შესაფერისი სიუჟეტური ქარგის გამოძებისას — მიმზიდველად საკითხავიც კი შეიქნებოდა.

ნაკუნები რარიგ მარჯვედ იკვროდა. ფრაგმენტები შინაგან სიახლოვეს ამჟღავნებდნენ და გარკვეულ რკალებად ლაგდებოდნენ.

ლაგდებოდნენ და:

თითქოსდა ნაკლებ ღირებული სტრიქონები, „შავი“, „გადაყრილი“ მონახაზები მოულოდნელად სტილური კარნავალის შემსწრეს გაგვხდინდნენ და დიდადაც მოგვნიბლავდნენ უცნაური თამაშით, ლაღობით, ტიკტიკით.

თამაშის ამ ფოიერვერკში გრაფიკული ლექსის ნაირსახეობანიც ძალდაუტანებლად იჩენდა თავს.

ლექსის გრაფიკა ისედაც ძალიან აღელვებდა და აფიქრებდა გალაკტიონს.

ვახტანგ ჯავახაძეს ხომ აღელვებდა და აღელვებდა.

სხვებთანაც განსაკუთრებულად მიაქცევდა ყურადღებას. ყველას ველარ განვდენოდა დაკვირვებისათვის და, გალაკტიონის ლექსის გრაფიკას ასე გულდასმით რომ გამოიძიებდა და გადაგვიშლიდა თვალწინ, სხვებს დანანებით შეავლებდა თვალს და მკვლევარებს მაინც დააკვალიანებდა, ამ და სწორედ ამ კუთხით ჩაუკვირდით და ნახავთ, მსჯელობისა და განზოგადოებისათვის რამხელა მასალა აღმოჩნდება თქვენს ხელთ.

ვთქვათ და:

— მეტად თავისებურია მურმან ლებანიძის ლექსების გრაფიკა. ამიტომ მისი პოეზია ნაკითხვისას კიდევ უფრო საინტერესოა. საერთოდ კი ამ თემაზე ვრცელი საუბარია საჭირო.

ხოლო ანა კალანდაძე ხშირად რომ იყენებდა სამ წერტილს ანუ პაუზას სტრიქონის შიგნით მოულოდნელობის ეფექტის გასაძლიერებლად, ბოლო გამოცემებში ათმარცვლიან სტრიქონებს ხუთმარცვლიანებად გადააწყობდა და... მოულოდნელობის ეფექტი შესუსტდებოდა. და ვახტანგ ჯავახაძე გადაწყვეტდა ერჩია პოეტისათვის: შემდგომ გამოცემებში აღედგინა პირვანდელი სტრუქტურა.

გალაკტიონური ფორმაც რომ არსებობდა ლექსისა, რომელსაც ანაც იყენებდა: 10-5-10-5?

აქაც ანა პირველ და მესამე სტრიქონებს გატეხდა და ლექსის ფორმის წარმოდგენა ნაკითხვისას გაძნელდებოდა.

ეს ფორმაც აღსადგენი გახლდათ.

ეს ყოველივე კი საგანგებოდ შესასწავლი.

სხვათა შორის, გრაფიკული მხარე ასერიგად რომ აინტერესებდა, თვით სამეცნიერო ნიგნებშიც მიაქცევდა ყურადღებას, როდესაც საამისო შემთხვევა მიეცემოდა. და ამიტომაც — თუმც ნიგნის მრავალ ტექნიკურ რედაქტორს იცნობდა, ახალგაზრდებსაც და ვეტერანებსაც, ყველაზე უკეთესად მათ შორის აღიარებდა... პავლე ინგოროყვას.

ესეც ყველაზე მეტყველი საბუთი:

— გადაათვალიერეთ მისი ნიგნები. განსაკუთრებით — „გიორგი მერჩულე“. ბატონი პავლე თვითონ იყო თავისი ტექნიკურად რთული ნიგნების დიზაინის ავტორი და ბრწყინვალე ტექრედაქტორი.

ეს დაკვირვებანი ამოკრებილია ვახტანგ ჯავახაძის კრიტიკულ-ესთეტიკური მინიატურების ციკლიდან „ლექ-

სიდან ლექსამდე“, მემუარულ ჩანაწერებთან ერთად თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარსაც რომ შეგვიღებდა — ზოგს პირდაპირ, ზოგსაც მინიშნებით, გალაკტიონის ლაბორატორიულ მასალასთან შეხებისა არ იყოს.

მინიატურების ამ ციკლში ცალკე რკალად გამოიყოფოდა „ისევ გალაკტიონი“. და ეს იმიტომ, რომ „უცნობი“ იმ ზღვარს მიაღწევდა, როდესაც უკვე მოსალოდნელი გახლდათ ამ მხატვრულ-დოკუმენტური რომანის კომპოზიციის მორღვევა. და ბიოგრაფოსი ამ საფრთხეს იგრძნობდა თუ არა, მაშინვე გაერიდებოდა იმ სიუჟეტს და თავის მრავალრიცხოვან ახალ-ახალ დაკვირვებებსა და მოსაზრებებს გალაკტიონზე დამოუკიდებელ რკალად შეკრავდა, შემაერთებელ ხიდად კრიტიკულ-ესთეტიკურ მინიატურებსა და „უცნობს“ შორის, რომელსაც თავდაპირველად თურმე შესაძლოა „ციტატების რომანიც“ დარქმეოდა, ახლა კი ეს შესიტყვება ყველაზე ზუსტად განსაზღვრავს მის უანრობრივ თავისებურებას.

ვახტანგ ჯავახაძეს ხომ ალელვებდა ლექსის გრაფიკაო...

მისი გონების სიმახვილესა და დაუშრეტელ იუმორს აქაც შთამბეჭდავად უნდა ეჩინა თავი, გრაფიკული ლირიკის მოდულაციებში, მომხიბლავ პოეტურ ციკლად რომ შემორჩებოდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიას, შემოქმედის ორი ვნების — პოეზიისა და მხატვრობის — გადაკვეთაზე შექმნილი, და განსაკუთრებით „ავტოპორტრეტით“ გადამრღვევილებული, ყველაზე სახიერად რომ ადასტურებდა პროლოგში გაცხადებულ „არს პოეტიკას“: მე ლექსებს არ ვწერ, — მე ლექსებს ვხატავო.

ეს გაუნელებელი სიყვარული და ლტოლვა ნახატებისაკენ აღმოაჩინებდა გალაკტიონის ფარულ მისწრაფებასაც ხელოვნების ამ სფეროსაკენ, უბის ნიგნაკებში დროდადრო ნახატებიც რომ გაიღვებდა. ეს „დროდადრო“ სულ უფრო და უფრო გახშირდებოდა გალაკტიონის არქივის სიღრმეში შეღწევის კვალობაზე და ერთხელაც ვახტანგ ჯავახაძეს ბედნიერი იდეა გაუნათებდა გონებას — ეს ნახატები რომ ამოკრებილიყო და ერთად თავმოყრილიყო, საკმაოდ ვრცელი პანორამა გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და მომხიბლავი.

და „შავი მასალიდან“ უეცრად თავს ამოჰყოფდა გალაკტიონი-მხატვარი, ერთი ალბომი სულაც საკუთრივ რომ ეკუთვნოდა.

გრაფიკული ლირიკის მოდულაციებში...

აქ პირამიდაც შემოგვხვდებოდათ, სამკუთხედიც, რაკეტაც, შადრევანიც, ქარ-წვიმაც, მდინარეც, ხიდიც, საფეხურებიც, აღმართ-დაღმართიც და უკანასკნელი დაღმართიც, გემის გასვლაც, შეკითხვებით დანაღმული და ციფრებზე აგებული სტრიქონებიც, კატასტროფასაც შეასწრებთ მზერას და ორი ადამიანის ისეთ შეერთება-შერწყმასაც, ჯერ მარტოდენ „მედაშენ“ რომ იგულისხმებდა, მაგრამ უკმარისობის განცდა ამ და მხოლოდ ამგვარი ნეოლოგიზმისაკენ უბიძგებდა: „მეუნდავიყოშენთანყველაზე უფროახლოს!“ — გერმანული სიტყვებისა არ იყოს, პერსპექტივაში თუ გახედავდი, თორემ მის ეფექტს ჯეროვნად ვერ დააფასებდი.

მაგრამ „ავტოპორტრეტი“ მაინც სხვა გახლდათ, გამოჩენილ მხატვართა გვარები რომ ჩამორიგდებოდა ისეთი კონფიგურაციით, მართლაც გალექსილი ავტოპორტრეტის მონმენი გავხდებოდით — რალა ლადო გრიგოლიას მიერ შესრულებული ვახტანგ ჯავახაძის გრაფიკული მონახაზები და რალა ეს სიცარიელიდან ამოზიდული სახეება, მარტოდენ გარშემონერილობით დახატული და მართლაც გასაოცარი.

თენგიზ გოგოლაძის მეგობრული შარუტის ციკლში არამდენიმე ნაწყვეტით ნარმოისახებოდა მწერალთა პორტრეტები, ორი-სამი ხაზით, დახედავდი და... მაშინვე ამოიცნობდი, აქ კი ეს ორი-სამი ხაზიც აღარ იყო საჭირო... და ეს ყოველივე დიდ მხატვართა გვარების მარჯვე განლაგების წყალობით.

თენგიზ გოგოლაძის მხიარულ ალბომში ვახტანგ ჯავახაძის შარუტისა ჩართული. ხასიათიც დაჭერილია, განწყობილებაც, და იმ ნიმუშებს შორის შეიძლება ვიგულისხმეთ, წინათქმამი ვახტანგ ჭელიძე ასე რომ განსაზღვრავს: ნოველასავითააო. და მაინც, გალექსილი ავტოპორტრეტი არამცთუ არ ჩამოუვარდება იმ იუმორისტულ ნახატს, ეგებ სჭარბობდეს კიდეც, და ესეც იმავე კანონზომიერების დადასტურებაა, თვით საუკეთესო დეკლამატორ მსახიობზე უკეთესად თვით ავტორი რომ კითხულობს ხოლმე საკუთარ ლექსს, თუნდაც გული ეთანაღრებოდეს: მე რომელი დეკლამატორი ვარო!..

ავტოპორტრეტი

ძალა ჰქონია ავტოპორტრეტს — ანდამატისა, ბევრი ხატავდა, — ბევრის გვარი გამიგონია: გოგენი, გოგენი, კურბე, კურბე, მონე, მონე, მანე, მანე, მარკე, მარკე, მატისი, მატისი, გვარდი, გვარდი, რუბენსი, რუბენსი, ვერონეზე, ვერონეზე, დეგა, გოია; დეგა, გოია; კანო, დომიე, კანო, დომიე, რუსო, რუნგე, რუსო, რუნგე, დორე, პუსენი, დორე, პუსენი, ჯოტო და ვატო, ჯოტო და ვატო, რემბრანდტი და რემბრანდტი და ტულუზ-ლოტრეკი, ტულუზ-ლოტრეკი, შემომცქერიან — სარკეებთან მოფუსფუსენი, აოცებთ ჩემი — გალექსილი ავტოპორტრეტი.

ვახტანგ ჯავახაძე „ავტოპორტრეტი“



თენგიზ გოგოლაძე ვახტანგ ჯავახაძის მეგობრული შარუტი

პოეტებს უნდა ეპატიოს ცოტაოდენი ტექნიკური გიმნასტიკა...

ქართული პოეზიის ისტორიაში დაექებდა ამ მხრივ თავის წინამორბედებს ვახტანგ ჯავახიძე და პირამიდის გრაფიკული მონახაზის თითქოსდა ჩანასახს გალაკტიონ ტაბიძის შავ მასალებში რომ მიაგნებდა, ციფრებით თავისი გატაცების პირველსათავეს „ვეფხისტყაოსანში“ დაადასტურებდა, და ეს მას შემდეგ, რაც ტარიელ ჭანტურია თავის ნერილში საგანგებოდ აღნიშნავდა მეგობარი პოეტის სწრაფვას ციფრების პოეტური ალქიმიისაკენ. ვახტანგ ჯავახიძე ამ თვალთვალს გადაიკითხავდა რუსთველის ქმნილებას და... გაუკვირდებოდა და გაიხარებდა, ამათი და ამისთანების მიგნებით: თავთა ჭირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთო... უმართლეა, ვერ-მჭვრეტელმან თუ პატიჟნი იასოცენესო...

გალექილი ავტობორტრეტი აქამდე სად დადასტურებულყო, თორემ!..

ერთი მხრივ იუმორი და მახვილგონიერება და მეორე მხრივ ეს სწრაფვა ფიგურული ლექსისაკენ ვახტანგ ჯავახიძეს მიიყვანდა ნახატი პალინდრომების ციკლამდეც, ეს დამკვიდრებული ბერძნული სახელწოდება რომ აღარც დააკმაყოფილებდა და ქართულ „აცაბაცას“ ამჯობინებდა. 33 ნიმუშსაც შექმნიდა და — ცალკე გამოცემის გარდა — ერთტომეულში ისე ჩართავდა, როგორც წიგნს წიგნში: თან დამოუკიდებლადაც იგულისხმებოდა და თან მის სრულუფლებიან ნაწილადაც. და ეს მაშინ, როდესაც გრაფიკული ლირიკა მხოლოდ ცალკე ციკლად გამოიყოფოდა.

აცაბაცა — გნებავს მარცხნიდან მარჯვნივ წაგეკითხა და გნებავს მარჯვნიდან მარცხნივ.

წინათქმამში გაიხსენებდა ამ ჟანრის ცალკეულ ნიმუშებს ბერძნული თუ ლათინური წარწერებიდან, ქართულ ანონიმურ, აკაკი წერეთლისეულ, გალაკტიონ ტაბიძისეულ თუ მთლად უახლეს ცდებს (ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია) და მის აპოლოგეტადაც დადგებოდა: მოულოდნელ ასოციაციებს იწვევს და ფანტაზიის საზღვრებს აფართოებს. მისი აზრობრივი სიზუსტე შეზღუდულია,

მაგრამ გართობის ნიშნებს ამყლავნებს და უცნაურ ლინგვისტურ კონსტრუქციებს გვთავაზობს. სიტყვის მეორე მნიშვნელობას აღმოგვაჩენინებს, ტექსტზე მეტად ქვეტექსტით გვაინტერესებს, ნეოლოგიზმების ფართო ასორტიმენტს წარმოგვიდგენსო.


კიდევ?

— ხშირად პალინდრომი რიტმის ყალიბისაკენ მიისწრაფის, ვითომ დაუსრულებელი თუ ჩაფიქრებული ლექსის მელოდიურ ალიტერაციას შემოგვაპარებს ხოლმე და რიტმის ჩანასახოვან ვარიანტს უახლოვდება, უარეს შემთხვევაში — ვერლობრად მაინც გასაღდება... აზრის ალოგიკურობას ფორმის თავისებურება ამართლებს და დროისა და სივრცის უარყოფის უფლებასაც გვანიჭებს.

ნახატი პალინდრომების იდეას კი ვიზუალური პოეზიის აღორძინება და კომპიუტერული „აზროვნების“ წარმატება უკარნახებდა. შემავალიანებლებად და გამმთამამებლებად დაასახელებდა გიომ აპოლინერისა და ანდრეი ვოზნესენსკის ცალკეულ ფიგურულ ექსპერიმენტებს, საღვადორ დალის დეფორმირებული ციფრების სიმბოლიკასა და მორის ეშერის ნახატებს, რომელთა დინამიკაც ყველა საპირისპირო მიმართულებით ერთნაირად აღიქმება. აგრეთვე დაუვინყარი ლადო გრიგოლიას ნატიფ და დახვეწილ ორნამენტებს.

ეს — ინოლას სალონიო; ეს — ევათა სათავეო; ეს — აბელები თივასავით იბელებო; ეს — დანტე აინია ეტნალო; ეს — ადიდა ირაკლიმა ჰამილკარიო; ეს — ადიდა მარატი გიტარამო, ეს — დელგმა სამგლედ აირიაო; ეს — იგუა მანამ აუგი, ალიბი, სიბილაო; ეს — ავოგმანა ანამ გოგაო; ეს — აქა-იქა ქალაქ-ქალაქ აქიაქაო; ეს — აბედთან ნათდება: ოსანა ანასო! ეს — სეზანის სინაზეს აქებს ბექაო; ეს ირანი ვინ არის? აბესა-აბესალომი მოლას ებაასებო!..

ასე უნახატოდაც ეფექტური გახლდათ თვითეული ცდა იმ ოცდაცამეტიდან, მაგრამ ვახტანგ ჯავახიძე მოინდომებდა გრაფიკისა და ლირიკის ზღვარზე გავლას და ნაწერ-ნახატი კომპოზიციებით სიმეტრიულ და ასიმეტრიულ განზომილებათა შორის მონაცვლეობას, რასაც ჩასძახებდი, იმას რომ ამოგძახებდა: მთიულთა გადაძახილის ექოსავით ანუ ავსტრალიელ აბორიგენტთა ბუმერანგით რომ გვიბრუნდებოდა.



აბედთან ნათდება: ოსანა ანასო!



საპარ ეშვი-სანი ციკლიდან „ქართული ანბანი“

— ნახატი პალინდრომი წაუკითხავადაც „იკითხება“, წაუკითხავად უკეთ „იკითხება“ და მოხალისე გრაფიკოსის შემთხვევაშიც კი არ კარგავს და ცხადად წარმოაჩენს მხედრული გრაფების ხიბლსა და მშვენიერებას, ალბათ — საიდუმლოსაც.

და ამ სიტყვას — საიდუმლო — ახსენებდა თუ არა, ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა უცნობი ავტორის ჰიმნის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ის სტრიქონი:

— რამეთუ ყოველივე საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს.

ეს ჰიმნიც და ეს სტრიქონიც არაერთხელ დაუმონებიათ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ თავისებურებებსა და გამომსახველობაზე მსჯელობისას, ეს მართლაც დიდებული ასო-ნიშნები ყოველმხრივ რომ წარმოჩინდებოდა მკითხველის მხერამში და თავის ესთეტიკურ მშვენიერებას ბოლომდე განგაცდევინებდა ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, ილია აბულაძისა თუ შემდგომ უკვე ელენე მაჭავარიანის, თამაზ ჩხენკელისა და რამაზ პატარიძის ნაშრომთა წყალობით, და ამ ფონზე როგორღაც ჩაგვეკარგებოდა მხედრული ანბანის შთამბეჭდაობა და სილამაზე, შეჩვეული, ყოველ წუთას თვალში მოხვედრილი შესაფერისად ველარ დაგვეფასებინა და „33 აცაბაცა“ თითქოს მის „რეაბილიტაციასაც“ ცდილობდა, მხედრული გრაფების სიღრმეში ჩაძირული საიდუმლოს ამოხიდევისა და მთავარიც ეს გახლდათ პოეტისათვის, თორემ აზარტული თამაშივით რომ მიმზიდველია მხედველობის აღქმაზე განგარბიებული და სტრიქონთა ვარიანების ამოუწურავ შესაძლებლობათა მომცველი ეს იშვიათი ყანრი, ეს ხომ თავისთავად, და ბარემ ისე დამორჩილებოდი მის ჩამთრევე ძალას, მხედრული ანბანის მშვენიერების გამოუქებანი მძაფრად განგეცდევინებინა მკითხველისათვის.

საგულისხმოა, რომ ჩვენი მხედრული ასო-ნიშნებით ძალიან მოიხიბლებოდა ირანელი გრაფიკოსი და დიზაინერი საჰარ ეშყი-სანის, ვინც თბილისში ყოფნისას ქართულ ასოებში მოხდენილ ხაზებსა და ხვეულებს აღმოაჩენდა და, მისივე აღიარებით, ისე გაიტაცებდა ამ უცხო, უწერტილო ნიშნების ზღაპრული დინება, თითქოს ამ წაწერთა აზვირთებულ ტალღებზე თოლისავით დანავარდნობდა.

მხოლოდ მხატვარი კი არა, პოეტიც ყოფილა!..

ეს გამაოგნებელი განცდა და შთაბეჭდილება შთაგონებდა გრაფიკულ-დიზაინერული სერიის შექმნას, სახელწოდებით „ქართულ ასოთა საიდუმლო“, რომლის პირველივე ნიმუშები ისეთი წარმატებული აღმოჩნდებოდა, ახალგაზრდა ირანელ ქალს ახალ-ახალი ფიქრითა და ოცნებით აღანთებდა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ირანელი მხატვარი ასერიგად დაინტერესდებოდა ჩვენი მხედრული დამწერლობის სინატიფითა და იდუმალებით და ამ ასო-ნიშნების სილამაზეს თავის მხრივაც გაათვალსაჩინებდა.

და ისიც რაოდენ სასიხარულოა, რომ „33 აცაბაცა“ წინ უსწრებს საჰარ ეშყი-სანის მომხიბლავ ნამუშევრებს, და რომ მაინცდამაინც უცხოელმა არ გვაპოვნინა ის, რაც ჩვენივე უნდა აღმოგვეჩინა.

ისე ქართველი პოეტის ეს გრაფიკული ექსპერიმენტი ჩვენი ირანელი მეგობრისათვის თუ ცნობილი შეიქნება, უთუოდ ძალიან დაინტერესდება, და არამარტო გრაფიკული მონახაზებით. ის აღიტაცებს, ვახტანგ ჯავახიძის

ნახატი პალინდრომები მარცხნიდან და მარჯვნიდან ერთნაირად რომ იკითხება.

ემშობლიურება და ძალიანაც ემშობლიურება მარჯვნიდან მარცხნივ წასაკითხი ქართული ასოები.

ნეტა ოდესმე თუ ყოფილა ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში საამისო ცდა, რომ ქართველებსაც მარჯვნიდან მარცხნივ დაგვეწყო წერა?

რალა ოდესმე — არაბობის, თურქობის, ყიზილბაშობის ჟამს, საუკუნე საუკუნეს რომ მიჰყვებოდა და ჩვენ კი გამუდმებით ამ მწარე რეალობაში ვიტრიალებდით.

ხომ მიაგნო ივანე ჯავახიშვილმა „ჭილ-ეტრატის იადგარში“ იმ უცნაურ პასაჟს, მარტო თანხმობებით რომ შედგენილიყო ტექსტი, ყოველგვარი ხმოვნების გარეშე, და მართებულადაც ივარაუდა: არაბული დამწერლობის ზეგავლენით უნდა იყოს ხმოვნები ამოყრილიო.

აი, ასეთი ტექსტი კი — მარჯვნიდან მარცხნივ დაწერილი — არ მიგვიკვლევია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არც არასოდეს არსებულა. ყოველ შემთხვევაში „33 აცაბაცა“ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ღიმილიან გადაძახილად იმ მნიგნობრებთან, რომელთაც ეგებ დაეპირებინათ არაბთაგან, თურქთაგან თუ ყიზილბაშთაგან წერის მიმართულების გადმოღება. ეგაა, მათთვის ეს სრულიად არ იქნებოდა თამაში, აზარტით კი ეგებ დიდი აზარტითაც შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — ვინ უფრო მალე და ვინ უფრო უკეთ...

ჩვენი წარსულის ტრაგიზმს ასეთი ექსპერიმენტის მოსალოდნელობაც გვიდასტურებს... მოსალოდნელობა თავისთავად უკვე კაეშნის მომგვრელია... თუმც ამ თამაშთამაშსა და კომიკური მხიარულების გარემოში ახლა მთლად ცრემლად ნულა დავიღვრებით...

თუმც... პოეზიაში ეს ყოველივე ცოტა სხვაგვარადაა და ეს „სხვაგვარობა“ ვახტანგ ჯავახიშვილსაც გამოუთქვამს მისთვის ჩვეული პარადოქსულობით: კარგად არ მახსოვს, არ ვიცი, როგორ ბრწყინავდა სამყარო, — მარტი იდგა თუ მაისი, დილა იყო თუ საღამო... ზღვარი ჩანდა თუ საზღვარი — ზღვისფერი სანაპიროთი, ცხადი იყო თუ სიზმარი, ვიციხოდი თუ ვტიროდიო...

ვითომ ასე აუცილებელია გრაფიკული ლექსები? ვითომ ასე აუცილებელია აცაბაცების სერია? პოეტებს გვეპატიება ცოტაოდენი ტექნიკური გიმნასტიკაო, — დაგვამუნათებდა და შეგვაგონებდა კიდევ გალაკტიონი, — ეს აცოცხლებს პოეზიას და სრულიად არ ამორებს სხვა სერიოზულ მეთოდებსო!..



ანა ნიკოლაშვილი

„რასაცა გასცემ, შენია“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- სასონარკვეთილება.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- კონცხზე, რომელიც ზღვის ნაპირს გადაჰყურებს.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- სიმშვიდე.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ასტრიდ ლინდგრენის ნანარმოებების გმირები.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ანტიკური საბერძნეთის მკვიდრნი, XVIII-XIX საუკუნეების რუსი და ევროპელი არისტოკრატები.

- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- მიქელანჯელო, იმპრესიონისტები, ახვლედიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ბეთჰოვენი, მოცარტი, ჩაიკოვსკი, ვებერი, ყანჩელი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- თავშეკავებულობას, განსჯის უნარს, სიდინჯეს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- მომხიბვლელობას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

- უბრალოება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- თეატრალური მოღვაწეობა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არასოდეს მყოლია კუმირი, ვაფასებ ინდივიდუალიზმს. რეალურ ცხოვრებაში მე ვერასოდეს ვიქნები სხვა, ვერც სხვა ვერ იქნება კიდეც სხვა და ა.შ.

- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- სიჯიუტე.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- სიმტკიცეს.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- თვითკრიტიკა, გაუბედაობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- თავდავინებებით გიყვარდეს და საპასუხოდ იღებდე უანგარო სიყვარულს.

- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- როცა შვილები გყავს, პასუხი ამ კითხვაზე ცალსახაა.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- გარკვეული კომპლექსებისგან თავისუფალი.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ამჟამად თეთრი, ყვითელი, ცისფერი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ყვავილი რომელიც მდებარეობს ხარობს.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ზოგადად, ფრინველების მეშინია...
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- შექსპირი, დოსტოევსკი, მარკესი, ლორთქიფანიძე,

ჯავახიშვილი, თომას მანი, დოჩანაშვილი, პავიჩი, კუნდერა, ო'ჰენრი, მოპასანი, დიკენსი, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

- გალაკტიონი, ახმატოვა, რუსთაველი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ვიტყვდი უფრო საინტერესო, ვიდრე საყვარელი (გმირი თავისთავად გულისხმობს საინტერესოს), ასეთები არიან — ანტიკური დრამის, შექსპირის, ტოლსტოის, ფრანგი რომანისტების, მარკესისა და ბევრ სხვა ავტორთა გმირები.

- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ომის, ტყვეობის საშინელებებს გამოვლილი ადამიანები.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან ნამებული.
- საყვარელი სახელები?
- ბაჩანა, ანა.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- თვალთმაქცობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ნაცისტები და ბევრი გამცემელი საქართველოს ისტორიაში ვინც მამულსა და ხალხს პირადი ინტერესებისთვის ყიდდა.

- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- მოქმედება, რომელიც ერის თვითმყოფადობის დაცვის მიზნით ხორციელდება.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

- რომელიც სამედიცინო აპარატურის, მედიკამენტების სრულყოფისა და ხელმისაწვდომობისათვის გატარდა.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- გამორჩეულ ვოკალურ მონაცემებს.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- თუ დავიმსახურებ — დაფასებული.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მშფოთვარე.

— ქმედბანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველა უარყოფითი ქმედება, რომელსაც აღიარებენ და მოინანიებენ.

- თქვენი დევიზი?
- ვეცადე ქართული შესატყვისი მომეძებნა: ყველაფერს უკეთესობისაკენ მივყავართ! (Все к лучшему). არა, ეს უფრო შეძახილია და დევიზი — რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია!
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის თქვა?
- მიპატიებია!



მანანა ამირეჯიბი

კაცები ალმართში

ეკლესიის ნანგრევებიდან ორი კაცი გამოვიდა და დიდ ალმართს აუყვია.

— გშია?

— ოჰ! ცხელ ხინკალს ასს დავათობლავებდი.

— მეც. იცი რა გამახსენდა? სოხუმში რომ შევხვდით ერთმანეთს, ლორიკა მელაძის გასვენებაზე.

— მაგას რა დამავინყებს, 1989 წლის 15 ივლისი იყო, აფხაზებთან პირველი შეტაკების დღეს ქელეხზე რომ დაგვესხნენ თავს. ნამდვილ აფხაზებს ქართული რაინდობა ახასიათებთ, მშვიდობიანად გამოგვიშვეს სხვებმა. მოდი, ჩამოვსხედეთ ცოტა ხანს.

— რაინდი ყველა ტომსა და რჯულში იშოვება. ქაქუცამ თურქებს მწარედ გადაუარა სარიყამიშთან, მაგრამ ეს წითლებისგან ბანდიტად შერაცხული ჩოლოყაშვილი ისე შეიფარა თურქმა ოფიცერმა, იარაღის აყრაც არ აკადრა... საფრანგეთის გზაზეც დააკვალაინა. რაზე მუშაობდი მაშინ, ქელეხის დანა-ჩანგლით შეიარაღებულებმა რომ გამოგვაპარეს?

— სამშენებლო და არამადნეული მასალების კომბინატის გენერალურ დირექტორად. მაშინ 25 წლის ვიყავი, ბიჭო! წარმოგიდგენია? ერთი ქარხანა სოხუმში მქონდა, 840 მუშა მყავდა, აქედან 450 აფხაზი იყო... რაც შენ მაშინ ლორიკას სიკვდილზე იტირე, შვილს არ იტირებენ ეგრე.

— ფუჰ შენი, ეგ რამ გათქმევინა.

— შენ რამ გაგახსენა ეგ ამბავი.

— ვიფიქრე, იქნებ აქაც ვინმე ჰყავდეს დასატირებელი და გაგვაპარონ მეთქი.

— დაჯექი, თუ კაცი ხარ, რას ფარჩხავ ხელებს, აფრენას აპირებ? თუ გაიზუზუნა ტყვიამ და შუბლში დაგერჭო, მერე ველარ ნახავ სეირს.

— ეს ვარჯიში ერთი ქალისგან ვისწავლე, იმან იაპონელი ექიმისგან, გულის თოთხმეტ დაავადებას კურნავს და, როგორც მითხრა, კიდევ სხვა ბევრს.

— რამდენს შევლისო? ამდენი აქვს, კაცო? ქალმა, აბა რა, სხვა ვინ გასწავლიდა. იმიტომაცა ხარ ბიჭა-ბატკანივით, ზედმეტი გრამი არა გაქვს. პოტენციასაც ხომ არ შევლის?

— არ ვიცი, არ დავკვირვებივარ.

— ... აბა, ქალმა?

— ჰო, რა გიკვირს...

— მაგათ ტვინში ჩამახედა, როგორც ამბობენ, თავზე გეხვევიან თურმე. ვერ გავიგე, მამ მე არა გჯობივარ? სიმართლე თქვი.

— არ უნდა ლაპარაკი, ჯერ მარტო რამსიმადლე ხარ, რა ქოჩორი და კბილები გაქვს.

— ეხლა რომ გითხრან ჭამა თუ სექსიო, რომელს აირჩევდი.

— რა დროს სექსია, ორი დღის მშვირები ვართ. კიდევ კარგი, წყარო მაინც რომ იყო ეკლესიის ნანგრევებთან.

— ისე, ოსი ნაშა თუ გყოლია.

— კი... იყო ერთი კარგი გოგო, დედა ქართველი ჰყავდა, მამა — ოსი. რა გაცილებს?

— მეც მყავდა, მაგრამ პირიქით, მამით ქართველი, დედით — ოსი. ისეთი შერეული იყო, ერთხელ მეუბნება, ექო მომენატრა, სადმე წამიყვანეო. ნავატასავე. იმან მთებში იყვირ-იკივლაა... როგორც იქნა მორჩა და ახლა მე მივადექი, ლიაკო, მე კიდევ შენ მომენატრე-მეთქი. ისეთი მრეკა, კინალამ ნავიქეცი. გამებუტა. ძლივს შევირიგე, ზოგ ქალს ბუნების ნიაღში ევალება, რა ვიცოდი-მეთქი. ბოლოს მაინც დავმორდით. რატომღაც სულ შინაგანი შფოთი მქონდა.

— მაგაზე გამახსენდა, ერთხელ ჩემი ოსი საპროექტოში მოვიდა მეგობართან. პირველად მაშინ ვნახე. ლაპარაკი ჩამოვარდა ქალებში, ღამით, ტყეში რომ ყარას გადაანყდეთ, რომელიც შენგან ან სექსს მოითხოვს, ან სიკვდილი არ აცდებდა, რას იზამთო. რა თქმა უნდა, უფრო დრამატულად ასახეს, ვიდრე მე ვამბობ. რატომ ტყეში, რატომ ღამით და ა.შ. და ა.შ... ყველაფერზე მზამზარეული შეკითხვა და პასუხი იყო. უყოყმანოდ ყველამ სიკვდილი არჩია. ჩემი კაბინეტის კარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო, სტუმრის პროფის ვხედავდი, ალმური ასდიოდა. შენო, ჰკითხეს, რას იტყვიო. ალმური ჭარხლისფრად ექცა, ძლივს ამოღერდა, სიკვდილს არ ავირჩევდიო. მაშინ მოვიხიბლე პირველად.

— აი, ქალი!

— მაგრამ შენი ოსი კი მაინც გახსოვს... რატომ მოგწონდა, ტყეში რომ თანახმა იყო თუ გულწრფელობით.

— ორივეს გამო დამეყვასა. მე სულ დაძაბული ვიყავი ლიას გვერდით. სუ იზმენაში ვიყავი. იცი, სიყვარულის კი ვერაფერი გავიგე. მოდის მიხარია, მიდის, დიდად არ ვდარდობ... შენ რას იტყვი სიყვარულზე, არსებობს?

— აბა, შოთა რუსთაველი ტყუილად მოცდებოდა?

— „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“ და „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“. ამაზე უკეთესად რა ვთქვა.

— მომცემი აღმაფრენათა... მე ეგ არ გამომიციდია. მისი პატარა გოგო კი მართლა შვილივით მიყვარდა, არაჩვეულებრივი ბავშვი იყო, უკვე შვიდის იქნება. ერთხელ ამბობს, ბაღში ერთი ბიჭი დადის, ყველას ეჩხუბება ჩემს გარდა, ხვალ მივალ და დავეჭყანებო. ლიას მამამისზე სიტყვა არ დასცდენია, ეტყობა ისევ უყვარდა. ისეთი ურჯუი იყო შვილიც თავის გვარზე ჰყავდა, აბა, ვინ აიტანდა... თვითონაც გვარზე რაღაცას ჩალიჩობდა, არ ამბობდა, რას. ალბათ ქმრის გვარზე იყო და თავისას იბრუნებდა. ზუსტად არ ვიცი. ეხლა შენ მომიყევი შენს ოსზე.

— ჩემსას ერთი ძმა ქართველი ჰყავდა, მეორე ოსი.

— ეგ როგორ, სხვადასავე მამისგან?

— არა, ერთი ქართველობდა, მეორე ოსობდა. ქართული ენა რომ უარყვეს მამამისი თურმე ცხარე ცრემლით



მოსთქვამდა, ხალხო, რა ენაზე ვითამადო, ან როგორ ვიმ-
ლეროო.

— შეილებს რალა ეტაკათ, სხვადასხვა მხარეს რატომ
აღმოჩნდნენ?

— რა ვიცი, ეშმაკს რას გაუგებ. ერთი ძმა, ადამონ ნიხა-
სელი, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის შეერთებას სთხოვ-
და სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მეორე ტიროდა, ერ-
თხელ ხომ დაგვაკარგვინეს რუსებმა სამშობლო, ყველა
ოსმა იცის, შემოხიზნულუბი რომ ვართ და კიდევ რალაც
უბედურებას გვიპირებენო. ერთხელაც ერთი ძმა ოსებმა
დაიჭირეს, მეორე ქართველებმა. დამ თურმე მოახერხა და
ორივე გაათავისუფლებინა.

— ვა, კაი ჩალიჩა ყოფილა. მიდი, რა, მომიყვიე, როგო-
რი ქალები მოგნონს, თუ არ მოგნონს, შენი ხასიათით, ალ-
ბათ არც გაეკარები. დრო მაინც გავა. რა ერქვა? რა იყო,
მხოლოდ სახელს გეკითხები, მისი ბიოგრაფია კი არ მაინ-
ტერესებს. აღარ მინდა ამ იდიოტურ ომზე ფიქრი. მაინტე-
რესებს ქალი რა არის შენთვის.

— შენთვის?

— საჭირო სტიმულატორი. ძვირფასი თავისუფალი
დრო. შენთვის?

— ...ჭრელი ჩიტი.

— ფლორა-ფაუნის იქით ინტერესი არ გაგაჩნია?

— რატომაც არა, ჩემი ხელობის მიხედვით გეტყვი, რო-
კოკოა. არა ამპირი, არა ბაროკო, მაინცდამაინც როკოკო.

— ... მოიცა რა, პირველი ვარიანტი მირჩევნია. რა ფე-
რის იყო ის შენი ფრინველი. სახელი თქვი, სხვას არაფერს
გკითხავ, რა იყო, ანკეტა კი არ მინდა. დეტალებზე ლაპარა-
კი არც მე მიყვარს.

— ჩემი ოსი ღალდა იყო, შენი ვარდი.

— ეხლა კი შეცდი, ძმაო, ვარდი კი არა, იელი. ეგ ფრინ-
ველი კი ნამდვილად არ ვიცი რომელია.

— ვარდი იყო, იელის ცოტაოდენი სურნელით. შენ რა,
გავინყდება ვარდს ეკლები რომ აქვს? ღალდა ჭკვიანი და
ლამაზი ჩიტია. შეუძლია იფრინოს, მაგრამ დარბის, თანაც
ისე, რომ სპანიელიც ვერ ენევა, კვალის არევის დიდოსტა-
ტია. არასოდეს შედის ჭაობში, თუ ჯიბრში ჩაუდექი აუცი-
ლებლად დაგამარცხებს.

— და ყველა მაგ თვისებას ფლობდა?

— ყველას.

— მაგალითად?

— მაგალითად შეეძლო ძალიან მდიდარ და გავლენიან
კაცზე გათხოვილიყო, ძვირფასი მანქანით ექროლა და არ
გაჰყავა, შეეძლო განათლების სამინისტროში დიდ თანამდე-
ბობზე ემუშავა და არ წავიდა.

— ვა! რა დარტყმული ყოფილა! მე ეგეთი არ მყოლია.
განათხოვარი იყო?

— ყველა თავისებურად გიჟი ვართ. როგორც ხშირად
ხდება ხოლმე თვრამეტის გათხოვდა და მალევე გაეყარა.

— როდის იყო. თქვი, რა ერქვა, მისამართს და ტელე-
ფონის ნომერს ხომ არ გთხოვ. შენ არაფერი მკითხე და მე
ხომ არ ჩაგაცვივდები.

— რვა წლის წინ დამთავრდა ყველაფერი.

— რქები?

— არა, რას ამბობ...

— ქრისტიანი იყო თუ მაჰმადიანი.

— არც ერთი. უფრო წარმართი.

— ე! რას ამბობ... აბა კარგად მითხარი. რას ილიმები, რა
გკითხე ასეთი.

— ილიას აღმერთებდა, პატრიარქს. აბო ეჯავრებოდა.

— ვითომ რათაო.

— ვინც თავის მშობლიურ რჯულს უღალატებს, დედ-
მამას, ქვეყანას, ახლობლებს, ის ჩემთვის წმინდანი არ არი-
სო, ასე ამბობდა.

— ვა! რა პროფესიის იყო.

— თეატრის კრიტიკოსი.

— ანუ ენანაგდებულნი.

— თითქოს არ იყო ენანაგდებულნი, რა ვიცი...

— რატომ დაშორდით.

— რა ვიცი... ისიც ცოტა უცნაური იყო. იცი, როგორ
არჩევდა მეგობრებს? აილო ცისარტყელას ფერების ძაფე-
ბი, შვიდივე ერთმანეთში გადაგრიხა და ეკითხებოდა, რა
ფერს ხედავო და პასუხის მიხედვით წყვეტდა საქმეს.

— მოიცა, ამიტომ დაშორდი?

— არა, რას ამბობ, უბრალოდ უცნაურობაზე გითხარი.
ვერ გავიგე, რომელი პასუხები მოსწონდა სხვადასხვანაი-
რი თუ ერთნაირი, არ ამბობდა. ყველაფერზე საკუთარი აზ-
რი ჰქონდა და ძირითადად არ ცდებოდა.

— ყველა ჩიტის ხუმტურები იცი?

— თითქმის. მაგალითად, ცნობილია, რომ კანარის ჩიტი
მეშახტეებს მოსალოდნელ საფრთხეზე მიანიშნებს...

— ჩუმად, რალაც ხმა მომესმა...

— მოიცა, აიმ ხეებზე რალაც მოძრაობს.

— აბა? ჰო, ბიჭო, მგონი დაგვერხა. ხომ არ დავასწროთ!

— აბა, რას ამბობ... ჯერ მოგვიახლოვდნენ. დათვია, ბი-
ჭო, დათვი! დააკვირდი.

— ჰო, მაგრამ რას აკეთებს, დაწვება, ადგება, დაწვება.

— ბელუბი, ბიჭო, ბელუბია ხეზე!

— ვაა! ხტუნაობენ. ავლენ, ჩამოხტებიან. რა პანანები
არიან...

— დედა ქვეშ ეფინება, რომ არ ეტკინოთ, დააკვირდი...

— ვაჰ, ჩემი... აბა, ამას ვინ დაიჯერებს...

და ამ დროს გაისმა სროლის ხმა, ავტომატის მოკ-
ლე ჯერები...

—

— შენ ვინ ყოფილხარ, იმაზე დარტყმული ყოფილხარ,
ვიდრე მეგონა. კინალამ იმ ბელებს გადავყვივით. ბიჭო, აფ-
რენ? ეს რა ღონე გქონია, შენსიმალლეს თუ ასეთი ღონე
ექნებოდა, ნაღდად ვერ ვიფიქრებდი, ძლივს დაგაკავე. და-
იხედე ხელებზე, როგორ დაიკბინე, სისხლი დაგდის ორივე-
ზე. არა, ნაღდად აფრენ, ძმაო, ნორმალური არა ხარ. თან
რა ყიამყრალი ყოფილხარ, ეგეთი გინება მეც კი არ გამიგო-
ნია. ალბათ მიესალმები, ესპანეთს კორიდას უკრძალავე-
ნო, ჰუმანური არ არისო, ამბობენ ხარები ეცოდებათო.

— არ მივესალმები, ისინი ვაუკაცურად იხოცებიან
ბრძოლაში. იქ აზარტია და ხიფათი, იქ ორთაბრძოლაა და
არა ორთან ბრძოლა. სასაკლაოზე რომ მიჰყავთ, ხოცავენ
და მუცელს იყორავენ, ეს ხოა ჰუმანური. მეზიზღება ხარბი
ადამიანი, როგორ მიათრევდნენ ის ახვრები, როგორ უნდა
ჭამონ იმ...იმ...

— კარგი, მოკეტე, აღარ დაიწყო.

— ...ვო! ვკუსნიატინა, ბლია!..“ ხომ გაიგონე?.. ლორიმ-
ვილი!... მაგათი ბავშვების ხორციც გემრიელი იქნება მჭა-
მელისთვის.

— რას ამბობ, ბიჭო, გაგიჟდი?

— ვერ ვიტან ეგეთ ღორმხეცობას, ვცოფდები! სხვა დროს შეესწრებოდი, ნახავდნენ, თვალეშუა დავაჭედებდი.

— შენ ამბობ ამას? რამდენი ნადირი გყავს მოკლული. სულ მთებში დანანანლებ. რა, საგულაოდ დადიხარ? შენ არ ხოცავ?

— ბავშვებს არა. ვერ ვიტან უაზროდ რომ ხოცავენ ნადირს, მაგათაც ხომ უნდა ილაღონ. ბელი ბავშვია! ჯერ ხომ თავისი წილი ცხოვრება არ გაუვლია?!

— შენ რა, ტირილს ხომ არ აპირებ, რა თვალები დაინითლე, ბიჭო... მაინც შენს პატივისცემას რომელი იმსახურებს?

— ირონიას მოეშვი... პატივისცემა რა შუაშია, უპირობო კანონია. დედაშვილს შეიძლება ესროლო?! და გინდა ადამიანი იყოს და თუნდაც ნადირი ... ისე, პატარები რა ყოჩაღები არიან, იცი? სადაც ხარჯიხვმა გაიარა, მეც გავიარე, სადაც შუნ-თიკანმა ვერა. ძალიან მაგრები არიან...

— ვაი! მგონი ისევ რაღაც გავიგონე...

— ხო არ გელანდება... სამარიდან მკვდრები ადგენენ და გამოგვეკიდნენ?

— ერთ წუთსაც არ დამვიწყებია, სასაფლაოსთან რომ ვიყავით. იცი, რა მაინტერესებს? მე, ჰო, მიზანი მაქვს და იმიტომ დავეთრევი ყველგან, ბიოგრაფიას ვიქმნი, მომავალს ვიწყობ ვითომ, უკვე ორმოცდახუთის ვარ, მაყუთიც მაქვს, დროა კარიერაზე ვიფიქრო, დავგავიანე კიდეც, მაჟორიტარობა ავიკვიატე. ხალხს მინდა მივეხმარო.

— ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩვენხელა უკვე მკვდარი იყო. მესობოტამიაშიც კი იომა.

— რას ითარსები, მოკეტე, რა.

— აფხაზეთშიც ამიტომ იყავი? ოცდაოთხი წლისაც ამაზე ფიქრობდი?

— არა, ტო, მაშინ ძმაკაცები მხედრობაში ჩაენერენ, მე სახლში ხო არ დავრჩებოდი, აქაოდა თქვენს პოლიტიკურ ორიენტაციას არ ვეთანხმები-მეთქი. შენ რატომ ნახვედი აფხაზეთში?

— ჯაბა ჩემი ძმაკაცი იყო, თუმცა მხედრობის საკითხში არც მე ვეთანხმებოდი ბოლომდე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბევრი კრიმინალი მოგროვდა პატრიოტისა და სამშობლოს ჯარისკაცის ეგიდით. მეშინოდა, რომ გაჭირდებოდა მათი სრულად მართვა და ისეთი ბოლო ექნებოდა, როგორიც ჰქონდა.. არადა, მაგრად კი იომეს და ბევრი ბოლომდე შეეწირა კიდეც... შვიდასი კაცი ხუმრობაა?! ნახევარზე მეტი კრიმინალები იყვნენ. მაგრამ მძარც-



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ველი და არაკაციც რომ ბევრი აღმოჩნდა... განსაკუთრებით ომის შემდეგ. როგორც გინდა თქვი და ომს, თუნდაც პატრიოტულს, ბევრი საზიზღრობა და სიბინძურე ახლავს...

— შენ რაღად დადიხარ ყველგან, შენც კარიერაზე ფიქრობ?

— მოიცა რა, მეე?

— აბა, ჩემსავით რა ყველგან დაეთრევი.

— ხიფათი მიყვარს.

— რა გემრიელად გამაცინე! მერე რაღა ტყვიებში ეტენები, შე ჩემა, წითელზე გადაირბინე და გადმოირბინე, ერთი ათჯერ... რა მონამლული ტვინი გაქვს, იმ ჩემი ოსის არ იყოს. სიმთვრალეში მეზობლებთან ისევ ხიპიშობ თუ დაბერდი. ისევ კერპთაყვანისმცემლები არიან თუ დრომ გადაუარა და ჩაუქრათ ალები?

— გიჟი არა ვარ. მე შინაარსიანი ხიფათი მიზიდავს. ხასიათის ამბავია, ფული გაქვს, მაგრამ უქმარისობის გრძნობა არ გასვენებს, არა? ვა, ლექსები იცი?

— ლიასგან მახსოვს ზოგი...

— არა, არ გადაუარათ. ეს ხომ მოურჩენელი ჭირია, სანამ ცოცხლები არიან, მაგათი საშველი არ არის.

— ესე იგი, ისევ ჩხუბობ.

— ერთს ეშინია და ვერაფერს მიბედავს, მეორეს არა და შიგადაშიგ ვჩხუბობთ ხოლმე.

— ისეთი შერეკილი ხარ, შეეშინდება, აბა, რა! რა ჰქვია მშიშარას?

— გივი.

— მაინც რომელი უფრო გევასება.

— რომელსაც არ ეშინია, რა თქმა უნდა. შენი ცოლი როგორი ქალია, მშვიდი ცხოვრება გაქვთ? გიყვართ ერთმანეთი?

— რა უჭირს, ყველაფერი აქვს, რაც უნდა და შინ მშვიდობაა. მგონი ჩემი ეშმაკობები იცის და ჩუმად არის.

— კარგია.

.....

— რა ჰქვია ამ დედამოხნულ მთას? ძლივს არ ამოვედით?

— ლომისა, მთასაც ლომისა, საყდარსაც. შიგნით უზარმაზარი ჯაჭვი კიღია. ეთნოგრაფებისგან გამიგია ასეთი ლექსი: ლომისას ჯაჭვი კიღია, არავინ იცის ვისია, შასტირა ლამაზმა ქალმა, ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია, შავეთით გამოპარული შავგვრემენაის ყმისია. ტყვეობიდან გამოპარულა ჯაჭვიანად, ადგილიდან კი მოუგლეჯია, მაგრამ ვეღარ მოუხსნია. აქ ამოსულა და მომკვდარა... აბა, არაგვს გაღმა გაიხედე, შენთვის კარგად ნაცნობ ადგილს დაინახავ.

— ვა, ტო, გუდაურია?!

— ცოტა დავისვენოთ და დავეშვათ. გული ბოროტებით მეცხება ქსნის ხეობას ისე ვტოვებ, როგორც მტრისგან მოტაცებულ შვილს. ლარგვისი შუასაუკუნეების ნაქალაქარია, იქ დიდი საყდარია. ყელის ტბაზე, სათავეებში ათ წელიწადს ყოველ შემოდგომაზე არჩევბზე სანადიროდ დავდიოდი...

— იცი რა გამახსენდა? არმაზ ბურნაძემ რომ გითხრა, გაგებუტებოდა თენგიზ არჩვაძე, აბა რა იქნებოდა, მის სახლიკაცს შიგ პასპორტში მოარტყიო. სად იყო ეგა?

— რაჭაში, ლუხუნის ხეობაში, არჩვი მოვკალი. ვაიმე, ბიჭო! პასპორტი! პასპორტი, გივის პასპორტი!

— რა იყო, რა შუბლი შეინგრიე, რა პასპორტი, ვისი პასპორტი.

— გივის ბიჭის პასპორტი დამრჩა ნანგრევებთან, ჟილეთის ჯიბეში მედო, ტოტზე დავეიდე პირს რომ ვიბანდი და დამრჩა! იქნებ სადმე გადაწყვედ, რომ მოკლან ამოსაცნობი მაინც არ მეყოლებო, ტიროდა. ნამოვიღე. უნდა დავბრუნდე!

— შენ გიჟი ხო არა ხარ, სად უნდა დაბრუნდე, მიიღებ ტყვიას და პასპორტიც იქ დაგრჩება და სიცოცხლეც. დაივინყე ეგ სისულელე. ადამიანს სისულელე ამარცხებს და არა ჭკუა. გონს მოდი, ძმაო, გინდა იმ ჩიტირეკია გივის შევენროთ? თანაც ბიჭი ხომ ვერ ნახე.

— ეგ მართალია... არა, ვერ დავუკარგავ პასპორტს, მგონი სადღაც მიდის, საზღვარგარეთ. შენ აქ დამიცადე ან დაეშვი ქვეშეთში, ან თუ არჯიით ნახვალ, აი იმ კლდეებს ჰქვია არჯია, მღეთაში ჩახვალ. იქ ვახო ბუთხუზს იკითხავ, მაგარი მონადირეა, დიდი ხნის წინ ერთად გვინონიალია. მე მახსენე და გადაგყვება...

— ნუ აფრენ, რა. ვინ იცის, სახლში იქნება? ან ცოცხალია?

— მაშინ აქ დამიცადე. ერთ ოთხ საათში ამოვალ.

— ადექი, რას გაშეშდი, დავეშვათ. თუ დავგვხოცავენ და ჩვენი ბედიც ეს ყოფილა.

— მადლობა ძმაო. გეუბნები, დამიცადე-მეთქი.

...

— დავისვენოთ ცოტა ხანს, ფეხები მეტკინა.

— აიმ მუხის ქვეშ დავისვენოთ, ცოტა ენერგიას მოგვცემს.

— ჰო, სინით მოგვართმევს.

— მოგვართმევს, შემონმებული მაქვს.

— როგორ...

— როგორ და, თხელი ფოლგა უნდა აილო, ჯობია შოკოლადის, ორ ხელს შორის დაიჭირო და დაინახავ რომ ფოლგა შენკენ გამოიბურცება, რაც იმას ნიშნავს რომ ენერგია შენკენ მოდის.

— მაგის საპირისპირო იცი რამე?

— ვიცი, პალმის ქვეშ თუ დადგები, პირიქით მოხდება, იქით გაიბურცება, ამიტომ ეს ხე სახლთან არ უნდა იდგეს.

— ასე მგონია, რაღაც ზღაპრებს მიყვები.

— ტყუილად გგონია. ყველა არსებებს თავისი ბიოგრაფია და დანიშნულება დაჰყვება. ასეა, ძმაო.

— მე მაინც ქალებზე ლაპარაკი მირჩევნია. მიდი, რა, მითხარი რატომ დამორდით.

— შენი რა პროფესიის იყო.

— საბოლოოდ არ ვიცი, რამდენიღაც უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. რომ გავიცანი ახალი ჩამოსული იყო გერმანიიდან. ერთხელ ერთი ცნობილი მწერლის პანა-

ნინა რაღაც წავიკითხე, ქალური სიდიადე ერქვა. ქალს მოჰკვდომია ქმარი, რომელსაც დახეული წინდები სცმია, ერთ ღამეში მოუქსოვია ცოლს, კუბოსთან, სიამაყით ლაპარაკობდნენ ქალები ამაზეო. სულ ეს იყო. მან კი წყალში გადაყარა მთელი სიდიადე, სანამ ცოცხალი იყო, ვინმე უშლიდა წინდების მოქსოვასო?

— შენ არ დაბრუნდებოდი მეზობლის გამო? რა იყო, ტრიგონომეტრიულ ამოცანას ხსნი?

— კეკლუცობას ვერ დავინყებ, იმისთვის არ დავბრუნდებოდი, ვინც ღირსი არ არის. მაგარი წყენია ვარ. არც ლიასთვის. ერთხელ ისეთი დათვის ტყავი ვაჩუქე, გოგი თურმანაულმა ჩამომიტანა, უღამაზესი. მეორე მისვლაზე ველარ ვნახე. რა უყავი-მეთქი. მეგობარს ვაჩუქე დაბადების დღეზეო, ისე მშვიდად მიპასუხა, თითქოს ცალი საყურე დაუადა. მივადექი და ვცემე, ფეხით შევდექი, ოღონდ გუნებაში, რა თქმა უნდა. საცემი კი იყო, მაგრამ ვერ ვიტან ქალაქუნას, კაცებს რომ ვერ ერევა და ქალებთან ხიპიშობს. სამაგიეროდ, ლიანას ვეძახდი და უნდა გენახა როგორი მძულვარებით შემომხედავდა ხოლმე. სულ ერთ წლამდე ვიყავით ერთად და ასე, ფანტაზიაში, სამჯერ ვცემე. თუ მივხვდებოდი, რომ ფული სჭირდებოდა, ვაძლევდი და უარზე არასოდეს იყო. შენსას ფული უყვარდა? თქვი, ბიჭო, რა ერქვა, დაფიცებული გაქვს?

— ფულის სიყვარული არ შემიმჩნევია. რა შეჭამე ტვინი, ანა ერქვა... ერთხელ დილასისხამზე გავიდა, გზის ფული გაქვს-მეთქი? ვკითხე. მაქვსო. იდიოტივით მოვიქეცი, რას ვეკითხებოდი. ხომ არ ვეტყვი შენს ჩანთაში ჩავიხედე, ვიცი არა გაქვს-მეთქი. ფეხით წავიდა ისინიდან საბურთალოზე.

— ლამაზი იყო?

— კარგი იყო და საინტერესო...

.....

ისევ ნანგრევებთან...

— ესე იგი არ მეუბნები, რატომ დამორდით...

— ისეთი დოზით მაქვს ნაჭაში, არ მახალისება.

— მაშინ ჯერ მე გეტყვი. გინდა მაგრა გაგაოცო?

— მიდი.

— ყველაფერი შენი ბრალია, ანუ რომ დავშორდით.

— რაა? რას ბოდავ...

— რას და, თუ გახსოვს, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ერთმანეთს რომ გადავანყდით რუსთაველზე, სამი წლის წინათ, ტეტე რომ მომაჩიჩე და დაგაზე. დისერტაციის დაცვაზე მივდიოდი მაშინ. ვიტრიპაჩე, იმავე სალამოს ქამარში გავიჭე და დესერტაციაზე წავედი ლიასთან ერთად. ის დაქალი იცავდა რესტორანში რომ ვიყავით ერთად. თუ ეს არ მითქვამს. ერთხელ, რაღაც ეშმაკად, რესტორნიდან რომ გამოვედი, ლიას ვუთხარი ბერიკაზე ადი და ას ლარს მოგცემ-მეთქი. ცუდად შემომხედა, გამჭოლად და თვალის დახამხამებაზე ყველაზე მაღალ ბერიკას ციყვივით მოასკუბდა თავზე. ჩამოვიდა და ხელისგული მაჩვენა, ფული დადეო. მხოლოდ ასლარიანი მედო ჯიბეში. მისი დაქალის შემრცხვა და მივეცი, რა მექნა. ისე, მართალი რომ გითხრა, ფულის ყადრი ვიცი, გადამყრელი არა ვარ. მეტისმეტი მფლანგველობა ხომ ისეთივე ცოდვაა, როგორც მეტისმეტი სიძუნწე. ასე არა არის? იცი, მგონი არც კეთილი ვარ. კი ვეხმარები ჩემს გაჭირვებულ ნათესაებს, მაგრამ მაინცდამაინც არ მემეტება, რა ვქნა, ასეა...

— მერე, უფრო მაგარი არა ხარ? არ გემეტება და მაინც ეხმარები. რა ვიცი, დიდი ფული არასოდეს მქონია. იყო ერთი გენიოსი ფიზიკოსი, სტივენ... ფუ შენი, გვარი დამავინყდა, 43 წლის უკვე მუნჯი და საპყარი იყო, ჰკითხეს, რაზე ფიქრობ ყველაზე მეტადო. ქალებზე, ქალები იდუმალი არსებები არიანო, ასე უპასუხა... როგორც ჩანს, მაინც გიყვარდა ის ქალი.

— უფრო ბოლმა მახრჩობს. ხო იცი, რა დრო იყო, დესერტაციაზე მაგრა გავაფრინეთ, მაგრა დავთვევით, ბევრი ვიცეკვეთ და შენი იარაღი ფაფუ! ნახევარ საათში ყველამ იცოდა, რაც დავკარგე, იმიტომ, რომ ლიამ თავის დაქალს უთხრა, ხომ არ იციო, იმან თავის ქმარს სთხოვა დახმარება, იმან თავის ძმაკაცს და აშ. და აშ... ეს დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული, რისთვისაც არც ერთს არ აგვცდებოდა, ბოთლზე დაჯდომა, თან რამდენი ბოზი იქნებოდა იქ, ხომ წარმოგიდგენია. ატყდა ჩუმი ალიაქოთი. მე ვიდექი და ვახამხამებდი...

— ეგ რაღაა? მოკლედ ჟარგონების მეფე ხარ, ლევან ბრეგადის ჟარგონების ლექსიკონი დაგიზებირებია.

— ვა, ეგეთიც არსებობს? უგამოსავლობას, უმწეობას გამოხატავს ჩემთვის. მართალი ვითხრა სხვისგან არც გამიგია.

— ჰო, ეგ სიტყვა წიგნში მგონი არ არის, უნდა ვუთხრა.
— იცნობ?

— კარგად. რა ძალა გადგია, მშვენიერი ქართული იცი.

— მაგრა შევეჩვიე ჩემი ბიჭების ლექსიკას. თავიდან ვეჩხუბებოდი და ბოლოს იმათ მაჯობებს, ადვილია და მოკლე.

— სად გეჩქარება, რო? მერე, მერე გააგრძელე...

— მე და ლია ადრე წამოვედით. გარდერობის ნომრისთვის ლიამ ჩანთა გახსნა და გაცოცებით შემომხედა, შენი იარაღი მის ჩანთაში იდო. საცეკვაოდ რომ გავდიოდი, მე ჩავდე და სიმთვრალის გამო დამავინყდა. სახლთან რომ მივიყვანე მითხრა, ქურდზე უარესია ის, ვინც დაკარგულს იპოვის და არ იტყვის, ახლა თავისთავი ხომ ყველას ეჭვმიტანილი ჰგონიაო. გადავიდა და გადავიდა. აუხსენი ესლა ქალს, რომ თქმა არ შეიძლებოდა, რომ იარაღი ტაბელური არ იყო. მგონი დრო იხელთა, ჩემთან დაშორება უნდოდა. მანამდე ერთ მის ნათესავს მაგარი საქმე ჩაუწყვევ, არადა სხვაზე მქონდა ნათხოვნი, უფრო ახლობელზე, მის გამო თავი დავიმცირე. ძან ტუტუცი იყო. მე იმ ადამიანს პატივს არ ვცემ, ვინც ჩემი ერთგულებისთვის სხვას უღალატებსო, ასეთ რამეებს ამბობდა ხოლმე. უმადური... ბოლოს ორივე დაზარალდა, ჩემიც და იმისიც.

— ისე, როგორ ეწყობოდი ერთმანეთს.

— ისე როგორ, სექსში?

— თუნდაც.

— პრელუდია კარგი იყო, ცოტაოდენი ალკოჰოლი ასწორებდა. თქვენი?

— ჩვენი პრელუდია ინტერლუდიის შემდეგ იწყებოდა. ვიხსენებდით ჩვენი ცხოვრების სასაცილო მომენტებს ჩაბჭირებამდე.

— ეგ როგორ.

— როგორ და... ალკოჰოლი არ გვჭირდებოდა.

— ანუ თქვენ შორის მომცემი აღმაფრენათა იყო?

— ...იყო.

— გამოდის ისე საღამოს უნდა ვუცადოთ?

— ეგრეა.

— ესლა შენ მომიყვები რატომ დაშორდით. რა იყო, გაზით ამოგგლიჯო სიტყვები?

— არასოდეს მითქვამს. კარგი, ჩავთვლი რომ აღსარებას ვამბობ, იქნებ გულზე მომეშვას... თინას ვერ ვულალატე...

— მოიცა, ნუ მაცინებ, ანა გყავდა და ცოლს ვერ უღალატე? კარგი, რა, რას ბლატაობ.

— როდის იყო კაცები მაგას ლალატად ვთვლიდით. რა, გამოჭერაზე ხარ?

— აბა, ვერ გავიგე.

— მაშინ შვილი არ გყავდა, ხომ იცი რა გვიან შეგვეძინა. ჩათვლიდა, რომ ამ მიზეზით ვეყრები, ამისთვის ვერ გავიშვებ. იმან კიდე, რომ მითხრა ფეხმძიმედ ვარო, იმ პირველი წამის გაელეგება დაიჭირა და...

— დაგახვევინა?

— არა. მეც დავიჭირე მის თვალეში მეხის წინ გაელეგება. ვერ ვკადრე, ისე გააჩინე-მეთქი. ახლა ვნანობ, ყოფილიყო ის ბავშვიც თუ უნდოდა. ჩვენ შორის სიკვდილმა ჩაიქირქილა და... იმ დღის მერე აღარ მინახავს, სადღაც გაქრა.

— აუ, ბიჭო, რა პაზორნი დასასრულია. თუ შენ მოყვები ისე, რომ გული დამიმძიმდა. იმიტომ გადაირიე ბელეზზე? პრინციპში რა მოხდა, მილიონი ეგეთი შემთხვევაა. როდის იყო ეგ...

— 2000 წელს დავშორდით.

— ჩვენ ორი წლის წინ. მომზერდა კიდეც მისი მუდამ დარდიანი თვალების ცქერა. მოვრჩეთ, რა, ისედაც რა ხიფათში ვართ, მოვიშალე რალაცნაირად. ესლა ხეზე ავალ, გავიხედ-გამოვიხედავ, თუ მშვიდობაა დავიდრათ, რაც იქნება, იქნება!

— არ ჩამოვარდე, ბიჭო.

— ნუ გეშინია, მაიმუნივით დავძვრებოდი ხეებზე, რაც მე კაკალი მომიპარავს ბავშვობაში.

.....

— აბა, როგორ არის საქმე, შენიშნე რამე?

— სადღაც შორს ხანძარივით მოჩანს.

— წესით მალე უნდა გვეშველოს. რაც მე ამ ხეობაში მინადირია, საკუთარი ხელისგულივით ვიცი აქაურობა, ღამით ლომისამდე ისევ როგორმე მივიპარებით და მერე სამშვიდობოსაც ჩავალთ.

— ისეთი სახე გაქვს, თითქოს ქსანზე ყოფნა უფრო გინდა, ვიდრე არაგვზე.

— დორეთკარი, თოხთა, ბალაანი, ცხავათი. მგონი სოფელი არ არის ღამე რომ არ მქონდეს გათეული. სადაც საყდარი, სამლოცველო თუ ეკლესია იყო, ყველა აზომილი და ჩახატული მაქვს.

— აქ ახლომახლო არაფერი ჩანს საეჭვო. მოდი საფლავებით მოკლზე გადავიაროთ და გზას ავუყვებთ, სანამ დაღამდება, გაგზებრდი უკვე, შიმშილისაგან თავბრუ მეხვევა. თან ღამით, გამოტეხილად გეტყვი, საფლავების ბავშვობიდან მეშინია, სულეზიო, ლანდებო...

— ეგრე ვქნათ. კიდე კარგი, ჟილეტი და პასპორტი დამხვდა.

— ჰოდა, აქ არავინ არის, დათვებს კი პასპორტი არ სჭირდებათ.

.....

— ხედავ, უმრავლესობა ქართველია, მხოლოდ შიგადაშიგ არის ოსების საფლავები. საერთო სასაფლაო გქვონდა, ამის დედა ვატირე. ესლა კი ერთმანეთს ვხოცავთ.

- უფრო სწორად, ერთმანეთს გვახოცვინებენ...
- აი, სულ ახალი სასაფლაო, ვილაც სურათიდან ილიმება.
- ლია!
- ანა!

საფლავის ქვაზე ეწერა: ლიანა მახარაშვილი-ფილიევა. ერთს ადამის ვაშლი გაეჩხირა ყელში და თვალები გაუწითლდა:

— პატარა გოგო...რა ეშველება შვიდი წლის პატარა გოგოს?

მეორე სიკვდილივით გაფითრდა და გაოგნებულმა შეხედა გვერდით მდგომს.

- შვიდის?!
- ისევ აღმართი.
- ეგ კალაშნიკოვი, სოხუმში რომ გქონდა, ის არის?

— არა, ეს აკაეს-ია, ის აკაემ-ი იყო. ჯობდა პირიქით ყოფილიყო, აკაეს-ის ჯერით ხაზების გავლება შეიძლება, ომში ეს ჯობია. ის ჩავაბარე, რა ჭირად მინდა, თუ მშვიდობიანად გავაღწიეთ ამასაც ჩავაბარებ. მხოლოდ პარაბელუმს დავიტოვებ, ცხრა ტყვია ჩადის და შორს მიაქვს...

— ჩვენ ეხლა რა გვექვია მოლალატეები, ლაჩრები, უთავმოყვარენი თუ დეზერტირები, იქაურობა რომ მივატოვეთ. აბა, შენებურად, არქიტექტურულ-მონადირულად გააიასნე.

— არც ერთი. მოლალატეები იმიტომ არაა, რომ ციხის გასაღები მტრისთვის არ ჩაგვიბარებია. ლაჩრები იმიტომ არაა, რომ არავის დაუძალებია, წადი, ამ იდიოტურ ომში იბრძოლეო. დეზერტირებიც არაა, დავალებიდან ხომ არ ვიბარებით. თუ ლალატს დავგაბრალებენ, ისეთივე უსამართლობა იქნება, როგორც მოხვეე ონისესა და ბახტრიონელი წიწილას მიმართ. არც პირველი იყო მოლალატე, სატრფოსთან თავდავინყებას მიეცა და საბედისწერო დანაშაულიც იქვე ჩაუსაფრდა. რაც შეეხება თავმოყვარეობას სილაჩრესთან და სიმამაცესთან არავითარი საერთო არა აქვს.

- ვითომ რატომ.
- იმიტომ, რომ ყველა ერთნაირი არ არის. წიწილას ომის, უფრო სწორად, ალბათ იარაღის ჟღერიალ-ჩახუნის ხმის შეეშინდა, აქედან გამომდინარე — სიკვდილის, მაგრამ რომ შეეშინდა, იმიტომ ხეზე ჩამოიკიდა თავი, ჩამოიხრჩო. რას იტყვი, იყო უთავმოყვარეო?

— ისეთი ლაპარაკი იცი, ურწმუნო თომას მოარჯულებ, ნაბავე ქალებს, აბა რა!

— ქალებთან იშვითად ვამბობ ასეთებს. ძირითადად მე მათ ვუსმენ.

— ისე, ამდენხანს ერთმანეთთან არასოდეს ვყოფილვართ, არა? სოხუმშიც ხომ შემთხვევით ვნახეთ ერთმანეთი, ზვიადის დროს ცხინვალთანაც შემთხვევით, გახსოვს, კინალამ რომ გცემეს? რა სისულელეს ვაკეთებთ, დავბრუნდეთ თბილისშიო, გაუთავებლად რომ ყვიროდი და შიგადაშიგ ხელჩართულიც ჩხუბობდი ვილაც მასწავლებლთან. მე ზვიადის მომხრე ვიყავი მაშინ.

— მერე ეგ მასწავლებელი ჯერ ვილაცა თავისიანმა გოთვერნულად დაჭრა, მკლავი გაუმტვრია, მერე კი გუგავამ მოკლა ტეტე-თი. ამბობენ, გაუვარდაო. ცოტა ხანში ისიც თავის მანქანაში ნახეს ჩაცხრილული იმავე ტეტე-თი. უპოვიათ წერილი, სადაც წერებულა, რომ მეგობარი შემოაკვდა და თავს აღარ იცოცხლებს.

— კაცმა არ იცის თავი მოიკლა, მასწავლებლის ძმაკაცებმა მოკლეს თუ შემკვეთმა მოიპორა. რა სისულელე იყო

ყველაფერი, მაშინაც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ვერ წამოვედი, კაცებს ვერ ვუღალატე.

— სისულელე ძირითადად კომიკურია ხოლმე, ის ტრაგიკული იყო და იმიტომ ვერ წამოხვედი. მეც ბოლომდე იქ არ ვიყავი? ცხინვალთან უამრავი ხალხი იდგა, ქართველები, იქითა მხარეს ოსები. დიდი ჟღერის სუნი ტრიალებდა, მაგრამ ხალხმა გაიმარჯვა მაშინ და არა იდეამ.

— ხალხი ბრძენია, სისხლისღერა არ მოხდა, მაგრამ ალბათ გახსოვს, ჩვენმა ზოგმა ლიდერმა კინოს სახლთან მიტინგი რომ მოაწყო და ხალხი დააბოლა, უიარაღოდ ჩასულ ქართველებს ოსები იარაღით უსწორდებიანო. როგორია? მეც მაშინ გამიტყდა. ჩემი თვალით მაინც არ მენახა...

— ჰო, ხალხმა სიმართლე რომ გაიგო, მაშინ გაიბზარა ყველაფერი, ნდობა დაიკარგა. და ეს ვინ გააკეთა? რუსმა, რა თქმა უნდა, ოსის და ქართველის ხელით. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიმარჯვებთ, როცა ერთი ერთზე ვართ, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი იყოს მონინალმდევე. ორი ერთზე არ გამოდის, არასდროს... რა ვქნა, ის ასპინძელი ბიჭი არ ამომდის თვალებიდან, გუშინ რომ თავი ცალკე ეგდო და ტანი ცალკე. რა უნდა უთხრან დედამისს, რა მივიღეთ ამ ტრაგედიის სანაცვლოდ...

— რა ბიჭი იყო?! ისიც ჩვენსავით მოხალისე. კაი, ჰო, ის ახალგაზრდა იყო, ჩვენ რამ აგვაფრახა, რატომ წამოვედით ამ ჩათლახურ ომში. ორი ერთზე... ახლაც ასე არ არის? ოსები გვეომებთან ციდან და ხმელეთიდან რუსების ნაქეზებით, ცოტა ხანში ალბათ თბილისშიც გამოცხადდებიან. უფრო სწორად, შემოცვივდებიან, გამოცხადებულები უკვე იქნებიან. ესაც მორიგი ტრაგიკული სისულელეა, არა?

— აბა, რა! თვითონაც მიირთმევენ მისართმევს, მაგრამ მერე რა...

— განყალდა ტვინი ამდენი ბოლმისგან და შეურაცხყოფისგან. ძაან დავილაღე, მგონი ვიბრიდები. მირთმევაზე რალაც სასაცილო გამახსენდა. ძმაკაცი მყავს, დათო წამალაშვილი, იმან მიამბო. ერთი თბილისელი კობტაპრუნა გოგო გათხოვილა მის სოფელში. იქაურ საქმეს ვერ აკეთებდა, ძროხებს ვერ წველიდა, ბარს რომელი ფეხი უნდა ჩავკრაო, ბოსტნიდან ამოჰკიოდაო. მამამთილის დედამ სისხლი გაუშრო, უყვიროდა, ლანძღავდა, თავ-ბედს აწყევლინებდა. ჰოდა, როგორც იქნა ეს ავი ბებრუხანა მიქელამ გასკვანჩა, მოკვდა. რძალს ყბა აუხვევია და სახლის ლაგება დაუწყია. თან ცრემლებით დასძახოდა, შენც მოისვენე და მეც, მანდ ვისლა ეჩხუბებო. ფანჯრები დაუნმენდია, მერე მეზობელთან გადასულა, მოხუცი გარდაიცვალაო. გამოჰყოლია მეზობელი, შესულან ოთახში. ყბააკრული დედაბერი მნიშვნელოვანი გამომეტყველებით ლამის ქოთანზე იჯდა და ჩაფიქრებული საქმიანობდა.

- ისეთ ხასიათზე ვარ თუ გავცივებდი არ მეგონა.
- ჰოდა, იმიტომაც ვიყებე-გაყებე ამდენი...
- მაგას აღმართის დასაწყისშივე მიეხვდი.

-
- აკი ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალაო? ხომ ამოვედით ორჯერ ლომისაზე. თქვი რამე, რა ენა გადაყლაპე.
- მლეთაში ჩადი, ვახო იკითხე.
- ისევ იქ უნდა დაგაზო, ქვევით?
- კისრისტენით!

გეთქვა თუ ასე აპირებდი. მარტოც ამოვიდოდი... მეც ყველანაირად ვეცდები, ძმაო...



ზურაბ ლავრელაშვილი

სისხლის ძიება

საბუხრემა სთქვა
 კაი ყმისა,
 გმირის,
 მამკლავის,
 იმედი მქონდა მარდი ფეხის,
 მხარის და მკლავის,
 როს ანვდილიყო მტერთა თავზე შესაზარებლად.
 ...სისხლის რუები დიოდა და სისხლი გვანვიმდა,
 პიროფლიანმა შუბი თვისი მტერზე განმინდა,
 როცა სცა ფერდში,
 შეულენა შიგნეულობა,
 როგორაც ციხეს შეანგრევენ დიდრონ მორებით,
 პირი დაალო იარამაც,
 ადგა ზმორებით,
 სისხლი, ვით ნისლი,
 შეტბორილი მწვანე მდელოზე...
 განითლდა არე,
 დღე იყო მწარე,
 გახელილ თვალში ჰქრება ნათელი,
 და კაცის ფეხით უღვთოდ ნათელი,
 ველარ ადგა ბალახი ფეხზე,
 რომ შეეცინა დილა-ბნელზე ალიონისთვის...
 ჰა, სუსტმა სიომ გადაიარა შორეულ ეხზე,
 მოზარე ქალის ექო ჰქონდა,
 ყურნი დაიცო,
 არ შეესმინა გლოვა იგი — უტყვი, საზარი,
 რადგან გმირის გულს სიბრალული არ ეკარება.

ღევის სატრფო

მერიგე ღმერთმა ჩამაჰყარა
 მალლიდან ლახტი.
 მმუსრავად უხმო დევეებისად
 ჯვარ-ხატებს უნინ.
 ლახტი აიღეთ, სთქვა

და უცებ გაუჩინარდა,
 ნისლს შეერია,
 შეიმალა კაცთა თვალთაგან...
 ღვთისშვილთ წინ ილო
 ლახტი მძიმე და ვეებერთელა,
 ვერვინ შეჰბედა,
 ვერვინ დასძრა,
 რომ აელო და ქვეშ ქარი ეტარებინა;
 მხოლოდ კოპალემ
 ღვთის შეწევნით ლახტი ხელთ იპყრა,
 დევეებს მიუხტა, ამონყვიტა დედა-ბუდიან,
 ლახტი კლდეს დაჰკრა
 და ანკარა წყარო ადინა.
 ლიკლიკით მოდის წყალი თავქვე,
 ცა ირეკლება
 მის სილურჯეში, როს გუბდება წყარო ღრმულეებში;
 ლახტის სიმსხოა ნაკადული,
 ლალად რომ მღერის,
 ქოჩორს ივარცხნის მის ტალღებში თეთრი იფანი.
 ღამ-ღამ მიწიდან ამოძვრება დევი ცალთვალი,
 ხის ქვეშ მოელის მისი სატრფო
 ნაზი ასული.
 ჩუმად ლალობენ კაცის თესლი და მიწრიელი,
 ბნელი ღამეა მათი ტრფობის მოწმე და მხსნელი,
 და ის იფარავს დევეთმმუსვრელი კოპალესაგან;
 არკი დაინდობს, დევეს თუ სადმე გადაეყარა,
 მიტომაც დევენი წარიხოცნენ,
 მიწას შთავიდნენ,
 ველარ ბოგინობს მათი მოდგმა ამ ქვეყანაზე,
 მაგრამ სიყვარულს ეს დევი კი დაუმონია,
 ქვესკნელსაც სწვდება სატრფოს ლანდი
 პირმოცინარი,
 დევი ამოჰყავს წკვარამიდან,
 იფნის ქვეშ ხვდება,
 რათა მცირედი ალერსითლა იჯერონ გული...

იფანი. მტრობა. გველის სხითო

ერდომალალი შუბნურიდან მტრედი აფრინდა...
 ფრთათეთრი იყო და ფარფატით მზეს მიეახლა
 ავის მაცნე.
 გადმომფრთხალი, ძმათაკვლის მოწმე...
 ისარი ისარს ეტოლება,
 ზუზუნებს ლახტი,
 ძიმაისქენი შეაბჯრულან,
 ჩუმად ილტვიან,
 რადგან სამი ძმა-მესისხლენი
 ლიქოკის თემის
 მოკვლას უქადის სტუმრად მოსულ თუმებს მალიად...
 ვერცხლის თასია კოპალესი
 მათი მშველელი,
 უჩუმრად დაჰფლეს კერის პირას მესისხარისა,
 და იყვავილა ვერცხლის თასმა:
 ხედ ამოვიდა
 შუა კერაზე,

ტოტებდანულ იფნისა სახედ,
 ზედ კი გველი შემოჭვებოდა...
 ჩალხი რო ერქო,
 იმ ძმამ მოსჭრა ცულით იფანი,
 სახლი ცეცხლს მისცა,
 დაინაცრა ერდო და კარი...
 სოფელს გაშორდნენ,
 ველარ დადგნენ ძველ საბუდარზე,
 სადაც ნაცარი ზედ წაჰყროდა კერიის ნაშთებს.
 ჩალხიმ მოჰხედა...
 ცხვირზე მოჰხვდა ცეცხლის წინწკალი,
 ხელი მოიკრა ცხვირზე ჩალხიმ
 და ზედ შერჩა ცხვირი მაშინვე,
 შორს გაეცალნენ შუბნურის თემს მოშულლარები;
 იმათ ალაგას ჯვარი დარჩა,
 კოპალეს მოძმე.
 იფანი ისევ ამოვიდა,
 ზედა წევს გველი,
 ნაწილიანი, დაგორგლილი, შავად მჩინარი.
 ზოგჯერ ჰხედვიან:
 ათამაშებს გველი მარგალიტს,
 პირით აისვრის, კუდით იჭერს,
 ლაღობს, ერთობა...
 კაცთაგანს კიდე არვის ძალუძს განძს გაეკაროს,
 ძმათა მტერობის შულღი უშლის,
 ქრება ზმანება,
 როდესაც ხელი სისხლიანი იწვდება მისკენ.

იახსარი ღმერთს უპირება

იახსარს ჰყვანდა სატრფოდ დევი
 მზეთუნახავი...
 ვისგან ვინ უყვარს ღვთისშვილებმა როდი იციან.
 მერიგე ღმერთს კი ავსულთ ჟღერტა ებრძანებინა!
 იახსარს თითქო ეს ბრძანება არ ეყურება:
 სდგას და დასცქერის დევის ქალსა
 გაშტერებული...
 ლახტი ასნია,
 უნდა დაჰკრას,
 მაჯა არკი ემორჩილება,
 მეტისმეტია, დევის ქალო, სიტურფე შენი,
 რაკილა გმირი შაუბოჭავს,
 დაუმონია...
 ანგელოსებმა დაუარეს
 დევ-კერპებს წინა,
 ტბაში ჩარეკეს,
 საძრაობა შეუკრეს მყისვე.
 ღვარი წავიდა დევის სისხლის,
 ტბას გადეფარა,
 ჯვარ-ხატებს ფეხი უსველდებათ,
 ტბასთან შექუჩდნენ.
 ნახეს, იახსარ ტბის პირას სდგას
 გაბეცებული...
 იქვე ტალღებში დევის ქალი
 წამოწოლილა...

„რა იყვ, იახსარ, რა მოგსვლია, ბედშავო, გვითხარ!“
 ხელი გაავლეს...
 იახსარმა ამოიგმინა:
 „აეაჰმე, ვკედები, ძმანო, მგონი, თუმც ვარ უკვდავი,
 გერგეტის თავზე უფლის გვერდით დავანებული“.
 ლახტი აილო კოპალემა, დევის ქალს დაჰკრა.
 „აბა, იახსარ, თულა გახსოვს შენ ღვთის ბრძანება?!“
 თავი ჩაჰკიდა იახსარმა,
 სიტყვა ვედარ სთქვა,
 უფლის ბრძანებას ღვთისშვილიც კი ვერსად წაუა...
 სულად მაიქცა დევის ქალი,
 ტბაზე ბოჟირობს,
 გადი-გამოდის ანაშუქად მწვანე ტალღებზე;
 დაგვიანებულ მგზავრებს ჰლუპავს.
 სავალადა ჰხდის
 წყლის უფსკრულსა და ტბათა წიაღს,
 პირაშკმულს, მაცთურს...
 მარტოკა ქაჯნი მიმოდინ დაუბრკოლებლივ,
 ქაჯნი მარდნია,
 მიტომ წყალზე, ვით ხმელეთზე, ისრე დადიან.

ბრძნული ჯაჭვი

სად არის ჯაჭვი თორღვაისი, ნაწილიანი?
 ქაჯებს მოსტაცა, ტანს აისხა გმირმა უჩუმრად.
 ტყვია ვერა სჭრის, ხრმალი ვერ ვნებს,
 ისრის პირი ზედვე ბლაგვედება...
 გადიდდა გმირი,
 ფშავს ავიდა,
 ფშავი დაიპყრო,
 თითო შიშაგ ცხვარს მიუძღვნიან ყოველ წელს მუქვად;
 არწივის მხარსა ისრისათვის და ნაცრის გუდას
 თოვლიან გზების გასამშრალეზლად...
 მუცოში იყო,
 წინ შამაჰხვდა ხევსურის ქალი,
 ლამენათევი თორღვა მიდის არჭილოსაკენ.
 ჯაჭვი იხადა, იქვე დადო, აბანოს პირზე...
 გაცურდა ჯაჭვი,
 დაეკარგა პატრონს მყისიერ...
 როგორაც გველი გახობდება წმინდა ბალახში,
 დაქანებული მთიდან ღვარი ჩაიშრიტება,
 ასე უგრძნობლად ჯაჭვი უცბად გაუჩინარდა.
 ბევრი ეძება გმირმა იგი,
 ვერკი მოჰხელა,
 დაუცველ ტანზე რომ აესხა ომში მიმავალს...
 ფშავლებმა მოჰკლეს იმავე დღეს
 საარავგოზე...
 ჩონთამ ესროლა მას ისარი, გულს განუწონა,
 გადიქცა გმირი,
 ბექს დაეცა,
 ბექი ჩაზნიქა...
 იმ ადგილს ძეძვი ამოვიდა
 ეკლებიანი.
 ქაჯებს დარჩათო ის ალაგი,
 აგრე ამბობენ.

ჩხარუნი ისმის ჯაჭვებისა —
 ქაჯთა ხორხორცი...
 თორღეის სული მაღლით დასცქერის, ნალველი აწევს,
 რაკი უმუხთლეს მინრეელთა,
 ჯაჭვი მოჰპარეს,
 ანკი ლაღობენ, ერთმანეთზე ზედ გადადიან,
 დალუპეს გმირი,
 უჯაჭვობით დამარცხებული.

გული და სიბრძნე

ქისტებმა დასჭერეს მინდის გული,
 დაინანილეს,
 ძუძუთა ბაღლებს და ფეხმძიმე ქალებს აჭამეს,
 რათა ქისტნი მას დაემსგავსონ...
 ვაჟკაცი იყვის,
 კაცთა მცოდნე და ბუნებისაც,
 მეპურყველელი მინდიაი,
 ხოგაის ძეი,
 ენა ესმოდა ჩიტებისა,
 ხეთა და ქვათა,
 დაჰგურგურებდა, როგორც ცოცხალს,
 მინდორთ და მთათა.
 ქისტები ბრძოდნენ.
 შუღლი ჰქონდათ ხევსურებს მათი;
 დაჰვინწყებოდა კაცთა მოდგმას
 ღვთის მცნება ათი...
 კაცი კაცს ნუ ჰკლავს,
 ცოდო არის, დიდი ბრალია,
 ამას იტყოდა ბრძენი მინდი...
 გარნა მთვრალია
 კაცის სისხლით თვით მოძმეც მისი,
 რიდი არა აქვს მოყვასისა, აბა თუ სხვისი!
 ქამანდს უგდებენ,
 ლახტით სცემენ,
 დანას აბჯენენ,
 თავსა სჭრიან და ეზოებში მარგილს აგებენ,
 ხოლო ხელ-მკლავი მოშულლარის
 ქაჯზე შავდება...
 ცხიმის წვეთი სდის,
 დაბლა ჩადის კაცის წინწკალი.
 იმ ადგილს მინა ბერნი არის,
 მწვანის რიდი ზრდის.
 გადაძოვილი მტრობისა და კაცთაკვლის გესლით...
 ქალი უყვარდა მინდიას
 ალდაისძეი,
 მიპარვით დასთქვეს პაემანი ქისტის ციხესთან...
 გასთქვა ვიღაცამ...
 და შეიპყრეს მინდი ქისტებმა,
 არ დაანებეს თავის მოკვლა,
 მაგრად გაჰკოჭეს,
 საფლავზე დაჰკლეს — შემწედ მკვდრების,
 იმათ მსახურად.
 გული კი, გული, ჯერ მფეთქავი, ნანილიანი,
 როგორც საუნჯე ხელში იპყრეს,

დაისაკუთრეს,
 რადგანაც სიბრძნეს უნარი აქვს მოჯადოების...
 სიკვდილის შემდეგ კაცი მაინც რჩება სამზეოს,
 თუნდ ლეში სჭამოს მისი მტერმა...
 ასე გადვიდა
 მინდი ხალხში,
 გაუჩინარდა.

არამხუტუს ლაბაშა

ჯოხს დაებჯინა არამხუტუ,
 ლაბაშას თვისას,
 მთიდან მთაზე ხტის...
 საკვირველი სიცქაფე მისი,
 თავზარსა სცემდა მეჯოგეებს, მონადირეებს,
 ვისაც კი გმირი შეხვდებოდა ტყეში პირისპირ,
 შეწუხდა ხალხი...
 ღმერთს შესთხოვენ შეწვენას მისგან,
 ღმერთმა აღარტი მოავლინა,
 ჯვარ-ხატი დიდი...
 გაღმა გორაზე დააბრძანეს ხატი პატივით,
 იმის პირდაპირ არამხუტუს დაუდევს ბინა,
 ქალებს იტაცებს და იქ მიჰყავს
 გამოქვაბულში...
 მოფენილია იქაობა ძვლების ნაშთებით,
 ცოცხლადვე ჰყლაპავს არამხუტუ ნაპარავ ციკნებს,
 ძვალს უკან ანთხევს...
 აღარტის ხატი თვალს ადევნებს,
 მის ნაბიჯს ზომავს,
 ხატს თვალი უჭრის — გმირი ვერსად დაემალება,
 რა წამს გამოვა ბუნაგიდან, ჩუმად, მიპარვით,
 ხატი კისერზე დაახტება და ერკინება...
 გათენებამდე იბრძვიან და ინათებს როცა,
 მაშვრალთ მზე გაჰყრის —
 მზის სხივები სთენთავს ორთავეს,
 თავიანთ სადგომს აკითხავენ, სულს იქ ითქვამენ.
 ბევრჯერ იბრძოლეს...
 და იძალა ხატმა ძლიერმა,
 მოქანცა გმირი, მისასუსტა, მისიკვდილა,
 მინას დაასკდა არამხუტუ, ველარ ინძრევა,
 ხატი ზედ აზის, შეუბოჭავს მისი მხარ-მკლავი.
 ვერკი ასნია მან ლაბაშა დაცემულ გმირის,
 ველარ სახმარი, მაინც რიდით შესახედავი,
 რაკი ეგონათ, არამხუტუ ვაცოცხლდებოდა
 და ისევ ფრენით გადივლიდა მთათა მწვერვალებს...
 ხარის მომყვანმა დიდგოორგომ,
 ილორის ხატმა
 პანანა თავი გამოგზავნა ხალხის საშველად.
 რაც ხატმა ვერ ჰქნა, ის შეიძლო თავგმა პანანამ...
 კბლით გადალრღნა მან ლაბაშა წამხდარი გმირის,
 შუა გადატყდა; ველარ იბჯენს მას არამხუტუ,
 კვლავ რომ შეეძლოს ქვესკნელიდან გამობრუნება...
 მაგრამ მკვდარია, უძრავად წევს, ლეშად, მდუმარი,
 და თვალს უჩიჩქნის მოზიმზიმე
 შავი ყორანი.



ჩვენ – იუდა

ნეკნები მტკივა,
 თითქოს არ მაქვს არც ერთი მთელი,
 დღეს ხომ ტირიან დედები-გედები,
 შვილთა დამსხვრეულ ნეკნებს
 ტირიან.
 იციან, რომ
 მე არაფერი მქონია ჩემი.
 ვეცდები
 გითხრათ გულახდილად: ვიქურდე სხვისი
 და ოცდაათ ვერცხლში გავცვალე.
 დავთვალე მაინც
 და მივხვდი, რომ დამაკლდა ოცდაათი.
 არლარა მქონდა ამაზე მეტი,
 ჰოდა, ავდექი და გავეცალე
 ცარიელ ქისას.
 ამბობენ, განიპოვო კრეტსაბმელი ტაძრისა
 ორად,
 მტრისას თუ ვინმე იდგა იქ და არ შეინანა
 თავისი დგომა უგუნურად,
 როგორც გამხმარი ფესვების.
 და მე კი ამ დროს ვიყავი უკვე
 ყველა ჩვენგანში,
 ვარ ახლაც, მუდამ
 და აღარ ძალმიძს ამდენად ყოფნა,
 მტკივა ნეკნები, განბნეული
 ამდენ რჯულში, ამდენ მრწამსში,
 ყველა წყალში, ყველა ქვიშაში
 და გვედრებით ყველას უკლებლივ,
 ევედრეთ მომკვდარს ყველა ჩვენგანისთვის,
 ყველა ჩემთვის და ყველა თქვენთვის,
 ევედრეთ გულით,
 გამიღოს კარი თქვენი ყველას სულიდან
 გარეთ,
 იჩქარეთ!
 თქვენ იცით, არ მაქვს თქვენი სულის გარდა
 სხვა სახლი,
 და თუ არ თქვენთან,
 მე აღარსად ვიქნები მერე.
 ნეკნები მტკივა,
 თითქოს არ მაქვს არც ერთი მთელი,

უშუალობა, გულწრფელობა, სისადავე — ეს ცოტა არ არის ლექსისთვის, მაგრამ არსებობს კიდევ რაღაც სხვა, რომელიც არ სჩანს, ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ და იცი, რომ სწორედ ის ქმნის ნაწარმოებს, კომპოზიციის ცოცხალ მთლიანობას.

შორს რომ არ წავიდე, აქვე, გვანცა ჯობავას ლექსებში შეგვიძლია ვეძებოთ ეს „სხვა“. არაჩვეულებრივი წარმოსახვის მეშვეობით მას შეუძლია თავისი შინაგანი სამყაროთი გადასახლდეს საგანში და იქიდან მოახდინოს პოეტური სათქმელის პროეცირება. მნიშვნელობა არ აქვს, იყოს „იუდა“, იყოს „ქოხები“, იყოს „თოვლდიდობა“, ის გადავა, გადაიხვეწება, განიბნევა ობიექტის დეტალებში და იქიდან ნამოიღებს მთავარს, ძირეულს, არსისეულს, მეხუთე ელემენტით უცნაურს, რომლითაც შექმნის ახალ, ეპიკურ საზრისს, ცოტა არ იყოს, მოუხელთებელს, მაგრამ თავისებურს, საგულისხმოს, თავისი ხელწერით აღბეჭდილს.

სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობა, ერთპირობა, მთლიანობა, განუყოფლობა ლირიკის ძირეული თვისებაა, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის პოეტური შემოქმედების წესი, ზნე, მექანიზმი, რომელიც თუ არ გაქვს, ვერ გადაიღებ, ვერ გადაინერგავ, ვერ ჩაიმონტაჟებ.

ამ თვალსაზრისით, გვანცა ჯობავა ლირიკოსია. ამიტომ არის იგი თავისუფალი, მისი საზრისი კი — ამოუწურავი, ბოლომდე მიუკვლეველი.

გვანცა ჯობავა

დღეს ხომ ტირიან დედები-გედები,
 შვილთა დამსხვრეულ ნეკნებს
 ტირიან.
 და არ არსებობს მათ ცრემლებზე მეტი ტკივილი,
 და არ არსებობს ამ ნეკნების ტკივილზე მეტი,
 და თუკი კვლავაც ვცოცხლობ ქვეყნად როგორც იუდა,
 მე არ მყავს ჯვარცმულ იესოზე მაღალი ღმერთი.

ჩვენ ვართ ქოხები

ჩვენ ვართ ქოხები,
 ყოველ დილით ჭრილით ვაღებთ
 დაკოჭლებულ კარს და
 ვიჯვრებთ, რომ სიცოცხლეს
 ჩვენ არ მოვცდებით.
 არ დაგვრჩება არც ერთ ქვაზე,
 არც ერთ გზაზე,
 არც გზაგასაყარზე
 სხვისთვის გამომდნარი
 ცხელი ლოცვები.
 და თუ მაინც დაგვრჩა,
 მერე ვიტყვით, რომ
 გვინდოდა გვეპოვნა,
 და რომ ვერ ვიპოვეთ, ესეც მიზეზია,
 ლოცვაც თავის ფეხით ვერ მოვა.
 ჩვენ ვართ ქოხები და ესეც ქაოსია,
 აბლაბუდებით შემოქსოვილი,
 და თუ ხელიც წაგვცდა, ჩამოგვექცევა
 და მერე გვექვია
 ხან ობოლი, ხანაც ლტოლვილი.
 მერე ყრუ გუგუნის, მერე ნატირლები,
 მერე ხმალანწვილი ორატორები,
 მერე ხან მლიქვნელნი, ხანაც მქუხარენი,
 “მახვილს სცემენ”:
 ჩემო სამშობლო!
 ჩვენ კი ქოხები ვართ, კბილებჩაცვენილი,
 მუდამ უენო და მიუსაფარი,
 სამი სიტყვა გვახსოვს, ისიც გაზუთხული:
 ღმერთო, არასოდეს დაგვტოვო!
 ღმერთო, მოგვანიჭე ტექნოლოგია, რომ,
 როცა დაგვძახებენ მაშინ გავიხსნათ
 მოდურ კორპუსების ლიფტის კარივით,
 ვიყოთ ხან ვისთვის და ხან ვისთან.

ღმერთო გვცვივა, გვცვივა გაუსაძლისად,
ღმერთო გვშია, გვშია გაუსაძლისად,
ღმერთო, ლოცვა, ლოცვა სული წმინდისა,
ლოცვა მამისა და თან ძისა,
გაგვახსენე...
ხიდზე შეძახილი, ვაშა, ფეხის ბაკუნი,
ხიდქვეშ მილასლასებს ენგური,
გზაზე ბერიკაცი მოსთქვამს, შეხეთ,
ჯიბემორღვეული დედა კენგურუ.

თოვლიდობა

თოვს...
მანქანის შუშის სანმენდები
სულ უფრო ჩქარა ტრიალებენ
იქით-აქეთ,
იქით-აქეთ,
ქუჩაში ნისლია
და გზები, როგორც დენის სადენები
სხვადასხვა მხარეს იკლაკნებიან.
არ ვიცი სად, რომელ ბარში ან იქნებ სახლშიც,
მაგრამ უკრავს მუსიკა,
ისევე ის...
“მოდილიანის” “ავე მარია”
და ჩემი ოთახის მეტრონომიც ითვლის
იქით-აქეთ,
იქით-აქეთ.
და მე მჯერა, რომ შენ,
შენ იყავი ჩემი დაბადება,
ჩემი გარდაცვალება,
ჩემი სიკვდილი.
მე მჯერა, რომ გათენება, რომელიც შენთან ვნახე
ბრჭყალებში ჩასმული ჩემი გათენება იყო,
დალაბება, რომელიც შენთან ვნახე,
ბრჭყალებში ჩასმული ჩემი დალაბება იყო,
სიყვარული, რომელიც შენთან ვნახე,
ზუსტად ჩემი სიყვარული იყო საზღვრების გარეშე,
და ღმერთი, რომელიც შენთან ვნახე,
ის ღმერთი იყო, რომელსაც ასე დიდხანს ვეძებდი.
თოვს...
უმიზეზოა, ვიცი, ახლა შენი გახსენება,
უმიზეზოა სიტყვები, რომლებიც უტყვენ ჩემს გონებას,
როგორც ურიცხვი დამპყრობლის ლაშქარი,
როგორც დამენყრილ მთებს მორიგი მენყერი.
ხილვები, რომლებიც ჯერ ფიფქებად,
შემდეგ ფიფქების ფიგურებად,
მერე კი უფრო მკვეთრად, უფრო გარკვევით
ჩნდებიან, როგორც ნათელი
და მე მჯერა შენი ხელების,
მჯეროდა მაშინაც, როცა შენ გეგონა,
არც კი ვიცოდი, რომ სწორედ მათ შეეძლოთ
ჩემი წაკითხვა,
ჩემი განკითხვა,
და ჩემი სიყვარული.
თოვს...
და მე ვიცი, რომ თოვლი, რომელიც
ჩემი სახლის ფანჯრებს ადნება,
შენს ხელისგულებში გროვდება შემდეგ,

როგორც სინანული,
როგორც თვითმკვლელობა,
როგორც გადარჩენა.
წუხელ მთელი ღამე თოვლიდობა იყო,
მე ამ დროს მშვიდად მეძინა,
შენ კი მოხვედი და სიკვდილს გადამარჩინე,
დღეს კი გგონია, რომ მე ეს აღარ მემახსოვრება...
არადა, როცა ასე მშვიდად მიძინავს
თვითმკვლელ ღამეებში,
მჯერა მხოლოდ შენი ხელების,
ჩვენი ხილვების,
და ჩვენი თოვლიდობის,
რომელიც მარადიულია როგორც მარადისობა.

ჩვენი ზონსა

SOS! „ანა კარენინა“ საფრთხეშია!

გაზეთ „რეზონანსის“ საკვირაო გამოცემაში („გალაკტიონი“) „ანა კარენინას“ ახალი თარგმანის ბეჭდვა დაუწყიათ — რომელ ლიტერატორს არ დააინტერესებდა ასეთი ახალი სასიამოვნო ინფორმაცია, მაგრამ თქვენს მტერს, ისე წამიმნარდა ეს წინასწარი, ფრიად გასაგები და ბუნებრივი თრთოლით სავსე, განცდა. როგორც კი ერთ-ერთი ფრაგმენტს გავეცანი, უმალ ილია ჭავჭავაძის ცნობილი შეძახილი აღმომხდა, „სად არის... თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული... გენისა!“ აფორიაქებულმა თავდაპირველად, რა თქმა უნდა, „გალაკტიონის“ რედაქტორს, ჩემს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, ქალბატონ ლელა ორიაურს დავურეკე, შემდეგ ნერილობითი რეპლიკაც გავუგზავნე, მაგრამ ამაოდ, თავი მოიკლა, ამას ვერ დავებქდავო...

სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობ მთარგმნელს — ქალბატონ მარიკა ჩოლოყაშვილს, თორემ, რა პრობლემაა, მამამვილწორად ავუხსნიდი, რომ, როგორც ჩანს, თარგმნა და ისიც ლ.ტოლსტოისა, არ უნდა იყოს მისი საქმე... ეს ისეთი, ტოლსტოისავე საყვარელი ფრაზით თუ ვიტყვით, „სიმაღლე და პოეზიაა“, მხოლოდ ერთულებს ხელეწიფებათ. ამასთან, როგორც მინიშნები, რუსული ენაც უნდა იცოდენ იმდენად მაინც, რომ ავტორისეულ აზრს ჩასწვდე და შემდეგ შეეცადო ქართულად გადმოსცე, ცხადია, თუკი ამისი ნიჭი საერთოდ მოუცია გამჩენს. ელემენტარული გზით შეუძლია თავად დარწმუნდეს ამაში ქ-ნი მ. ჩოლოყაშვილი — ვინმე სპეციალისტს გააკეთებინოს ერთი აბზაცის პნკარედი და შეადაროს თავის თარგმანს...

სხვათა შორის, ყოველივე ეს, ქალბატონ მ. ჩოლოყაშვილისათვის მის რედაქტორს, ქალბატონ ქეთევან ქურდოვანიძეს უნდა აეხსნა და შემდეგ მოეწესრიგებინა კიდევ ტექსტი („redactus“ ლათინურად სწორედ „მონესრიგებულს“ ნიშნავს), მაგრამ, ალბათ, არც მისთვის დაუბერტყავს უფალს ეს ნიჭი და აი, შედეგიც — განზილებული ქართველი მკითხველის ჩივილი. იმედია, ქალბატონი მარიკა და ქალბატონი ქეთევანი, რომელთაც უსათუოდ ტოლსტოის სამყაროსთან ზიარების კეთილშობილური ზრახვა ამოძრავებდათ, აუცილებლად დაფიქრდებიან, რუსული ენისა და საერთოდ ამ ხელობის გამოცდილ ოსტატებთან ერთად კვლავაც გადახედვენ თავიანთ ნახელავს, რაც ნამდვილი პატივისცემა იქნება როგორც ქართველი მკითხველის, ისე თვით ლ.ტოლსტოის მიმართ.

დიდად დამავალბებთ, თუ ამ რეპლიკას დროულად გამოაქვეყნებთ. საინტერესოა, რამ გადაადგმევინა ქ-ნ მ. ჩოლოყაშვილს ასეთი ნაბიჯი — მარტო სურვილი ხომ არ შველის საქმეს?!
ულრმესი პატივისცემით

გოგი დოლიძე

რიჩარდ ელმანი

ორი დიდი მწერლის პირველი შეხვედრა

ერთ დღეს, მე (იეიტსი) ამ წიგნის საკორექტურო ანაბეჭდებს ვათვალისწინებდი დუბლინში და ვყოყმანობდი, გამეგზავნა თუ არა მიმოხილვისათვის დუბლინის გაზეთებში. ვფიქრობდი, არ უნდა გავგზავნო, რადგან ლვარძლიანი თეოლოგიის გარდა შიგ ვერაფერს აღმოაჩენენ, რაც არასოდეს განმიზრახავს, და შესაძლებელია მთელი მიმოხილვა სულ რაღაც ერთ წინადადებაში მომექცია-მეთქი. მაინტერესებდა, რამდენ ხანს უნდა ვყოფილიყავი მიჩნეული განუსჯელი თვალსაზრისების მქადაგებლად და მღელვარების თავკაცად, რომელსაც ხელთ ფუჭი ახალგაზრდობის ჩირაღდანი ეპყრა. ქუჩაში გამოვედი და ერთი ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა, თავი გამაცნო, მითხრა, პროზაული ესეების თუ ლექსების წიგნი დავეწერეო, და ჩვენს საერთო მეგობარზეც მესაუბრა.



ჯეიმზ ჯოისი

დიახ, საერთო მეგობრის სახელი გავიხსენე, ეს... — ჯორჯ უილიამ რასელი? იყო, ჩემზე უფრო თავზეხელაღებული მეამბოხე, რომელთანაც ნისლიან გარიჟრაჟამდე ფილოსოფიაზე ვმსჯელობდით. ახალგაზრდას ვთხოვე წამომყოლოდა ო'კონელ სტრიტის რესტორნის მოსანეგოთახში. იქ წამიკითხა ლამაზი, თუმც მოუწინააღმდეგელი და ექსცენტრიული ჰარმონიის მქონე პატარა პროზაული ესკიზები და მედიტაციები. მითხრა, მეტრული ფორმა უკუვადგე, რათა ისეთი თავისუფალი ფორმის მოძებნა შემძლებოდა, რომელიც ჩემი სულის გამოძახილი იქნებოდაო. მისი ნამუშევარი შევაქე, მან კი მითხრა, „სინამდვილეში სულ არ მენადვლება, თქვენ მოგწონთ თუ არა რას ვაკეთებ და რას არა. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც კი ვიცი, ყველაფერ ამას რატომ გიკითხავთ“.

თუმცა, დადო თუ არა თავისი წიგნი, ახსნას შეუდგა, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ იმას, რაც კი შემიქმნია. მკითხა, რატომ ვიყავი დაინტერესებული პოლიტიკით, ფილოსოფიით, მოვლენათა ისტორიული განვითარებითა და მისთანანით? მეტიც, რატომ ვწერდი იდეების შესახებ, რატომ ვიყავი შემწყნარებელი განზოგადოებათა მიმართ? ეს ყოველივე გავარჯერებელი რკინის გაციებას, შთაგონების ჭკნობას ჰგავდა. სახტად დავრჩი, მაგრამ მალე მოვიკრიბე თავდაჯერებულობა; გავიფიქრე, ის სამეფო უნივერსიტეტიდანაა და ჰგონია, რომ

ყველაფერი თომა აქვინელის მიერ არის დადგენილი-მეთქი. ასე რომ, ჩვენ აღარ გვჭირდებოდა თავის შეწუხება. მისი მსგავსი ბევრი შემხვედრია. ალბათ, თუკი ჩემს წიგნს გაზეთების რედაქციებს გავუგზავნიდი, სწორედ ჯოისი განიხილავდა. მეორე წუთში კი ჩემს მეგობარზე ალაპარაკდა (ობრი ბერდსლიზე³ ან ოსკარ უაილდზე), რომელიც თავამეგობრული ცხოვრების შემდეგ სიკვდილის სარეცელზე კათოლიკედ მოინათლა. თქვა, ვიმედოვნებ, რომ გულწრფელი იყო. იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ ბოლო წუთებში იგი თავისთავის წინაშე გულმართალი არ იქნებოდაო. არა, მაინც არ მესმოდა ჯოისის.

იმხანად მცირე პიესებს ვწერდი ირლანდიური თეატრისათვის, რომელთაც ემოციებსა და ფოლკლორზე ვამყარებდი. ჯოისი განსაკუთრებით ამას ეწინააღმდეგებოდა და მითხრა კიდევ, ამით ყველაფერს აფუჭებთო. ვუთხარი, ამ პიესებს ადვილად ვწერ-მეთქი. მან კი მითხრა, ეს ჩემთვის საესეებო ნათელიაო, და ისიც დაამატა, ჩემი პატარა წიგნი მხოლოდ ჩემი საკუთარი გონებითაა დავალე-



უილიამ ბატლერ იეიტსი

ბული, რომელიც ღმერთთან უფრო ახლოა, ვიდრე ფოლკლორთანო.

წიგნი ავიღე და მივუთითე რა მის ერთ-ერთ მოსაზრებაზე, ასე ვუთხარი: ეს თქვენ რომელიღაც მწერლიდან გაქვთ აღებული, ვინც ფოლკლორი გამოიყენა-მეთქი. გალიზიანება ვიგრძენი, ფიქრები მომეძალა, ბოლთას ვცემდი და თან ვუხსნიდი, რომ ყოველი ღირებული ხელოვნება ხალხურ ტრადიციანება დამყარებული. ვუთხარი, „ხელოვანი, როცა დიდხანს მხოლოდ საკუთარი გონებით ცხოვრობს, სხვა ხელოვანთა მიბაძვით, რომელთაც მასავით წინასწარ აწონილ-დაწონილი აქვთ ყველაფერი, წმინდა და მარტივი იდეების სამყაროში ექცევა, უკიდურესად ინდივიდუალური ხდება და ბოლოს, სრულყოფილების მძაფრ ძიებაში სრულიად გასტერილურდება. მეორე მხრივ, ხალხური წარმოსახვა უსასრულო ხატებს ჰქმნის, სადაც იდეები არ არსებობენ. ხალხურ წარმოსახვაზე დაყრდნობილი ამბები უგულვებელყოფენ მორალურ და ყველა სხვა კანონის მოქმედებას. ისინი იმ ბავშვებზე არიან, რომლებიც ცეცხლში წარმოსახვით სურათთა მონაცვლეობას ხედავენ. თქვენ აღმოაჩენთ ორი ტიპის გამონაგონს, — ხელოვანთა გამონაგონს და ხალხურ გამონაგონს, ცივილიზაციისას, რომელიც ქალაქიდან მოდის და იმ ცხოვრების ყაიდიდან, რომელსაც ადამიანი სოფლად ჰპოვებს. ქალაქებში, განსაკუთრებით ლონდონის მსგავს დიდ ქალაქებში, ვერ ნახავთ, რასაც ძველი მწერლები ხალხს უწოდებენ; სამაგიეროდ, ნახავთ მცირე, უაღრესად ცივილიზებულ, უაღრესად სრულყოფილ, ინდივიდუალურ მაცხოვრებლებს და უმრავლესობას, რომელიც მათ ბაძავს და ყველაფერს აუფასურებს. აგრეთვე აღმოაჩენთ შექმნის ათასწიერი დიდ უნარს, მაგრამ ეს იქნება ქმნადობის იმპულსი, რომელიც თანდათან უფრო და უფრო სუსტდება. მეორე მხრივ, სოფლად, გვულისხმობ ირლანდიასა და მის მიდამოებს, იქ, სადაც ქალაქებმა ფეხი ვერ

* ნაწყვეტი ნარკვევიდან „იეიტსის პიროვნება“

მოიკიდეს, ნახავთ ინდივიდუალურ თვისებებს მოკლებულ ხალხს. ასეთი ხალხი იმავე მოვალეობებით ცხოვრობს და ისევე ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლეზე, როგორც მათი მამები უამბობდნენ, მაგრამ, სიტყვის თქმისას, ამბების მოყოლისას, ყველაფერ იმის დროს, რაც წარმოსახვით თამაშს უკავშირდება, უსაზღვრო სიუხვე ახასიათებთ. მე ასობით ამბები შევაგროვე და ასობით შემიგროვეს და თუ ერთმანეთს შეადარებთ, არცერთი ეს ამბავი მეორეს არა ჰგავს. მათთვის არაფერია შეუძლებელი და, რადგან ვერაფრით გააკვირვებთ, ყველაზე უფრო გასაოცარ მოვლენათა წარმოდგენა შეუძლიათ. ხალხური ცხოვრება, სოფლის ცხოვრება არის ბუნება მთელი თავისი სიუხვით, მაგრამ ბუნებასთან დაუკავშირებელი ცხოვრება, ქალაქური ცხოვრება სტერილური სულია. თანამედროვე სამყაროს მთელი სიმანხინჯე ქალაქების მომრავლებამ და მათი აზროვნების მიმართულებამ გამოიწვია. და, თუ გვინდა სილამაზის დაბრუნება, სული და ბუნება უნდა შევაუღლოთ. როცა იდეა, რომელიც ინდივიდის ცხოვრებიდან მოდის, ხალხის მიერ შობილ წარმოსახვასთან შეუღლებება, მაშინ დიად ხელოვნებას, ჰომეროსის ხელოვნებას, შექსპირის ხელოვნებას და ჩარტრის საკათედრო ტაძრის ხელოვნებას მივიღებთ.

შეგხედე ჩემს ახალგაზრდა კაცს. ვიფიქრე, ახლა კი მისი გული მოვინადირე-მეთქი. მაგრამ დიდად ვცდებოდი. მან მშრალად მიპასუხა: განზოგადობანი პოეტებს არ შეუქმნიათ, ისინი სწავლულებმა შექმნეს და ყოვლად გამოუსადეგარნი არიანო.

ახლა კი წასასვლელად წამოდგა და როცა გადიოდა, მითხრა:

„მე ოცისა ვარ. თქვენ რამდენი წლისა ხართ?“ — ვუპასუხე, მაგრამ, ვშიშობ, ერთი წელი დავიკელი. მან ამოიოხრა და მითხრა: — ასეც ვფიქრობდი, რომ ძალიან გვიან შეგხვდით. თქვენ ჩემთვის საკმაოდ ასაკოვანი ხართო.

და ახლა ვერ გადამინყვეტია, უნდა გავაგზავნო თუ არა ეს წიგნი ირლანდიურ გაზეთებში განსახილველად. ახალგაზრდა თაობა ჩემს კარზეც ისევე აკაკუნებს, როგორც საკუთარზე.

ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიშვილი

1. ჯეიმზ ჯოისი.
2. პოეტი (1867-1935), ესეისტი, ჟურნალისტი, სოციალური მოაზროვნე და მხატვარი.
3. პრიტანელი თვითნასწავლი ილუსტრატორი (1872-1898). ილუსტრირებული აქვს უაილდის „სალომეა“, პოუპის „დალასის მოტაცება“ და მისთ.
4. გოთიკური საკათედრო ტაძარი (1194) ჩრდ. ცენტრალურ საფრანგეთში.

ლიტერატურული ცხოვრება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 25 მაისს მრავალრიცხოვან სტუმრებს მასპინძლობდა. აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისიის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ორგანიზებით

გაიმართა პროფესორ რუსუდან ნიშნიანიძის საჯარო ლექცია: „გიორგი პაპაშვილის დაბრუნება“.

მომხსენებელმა ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა ქართული წარმომავლობის ცნობილი ამერიკელი მოქანდაკისა და მწერლის – ჯორჯ პაპაშვილის ფათერაკებითა და, იმავდროულად, წარმატებებით აღსავსე უცნობი ცხოვრების შესახებ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლიპაის უნივერსიტეტში დაცულია ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „სპეციალური კოლექცია“. სწორედ ამ უნივერსიტეტის მიწვევით რუსუდან ნიშნიანიძე იყო პირველი ქართველი (და ყოფილი საბჭოთა კავშირიდან) მეცნიერი, რომელიც ამ არქივს და უზარმაზარ მასალას გაეცნო. საჯარო ლექციაზე მოსმენილმა ნამბობმა და წარმოდგენილმა ფაქტებმა არაერთი სასიამოვნო მოულოდნელობის წინაშე დააყენა მსმენელები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ლექციის პარალელურად, ეკრანზე მიედგინებინათ თვალი და არაერთი ხელნაწერის პირ

თუ ნამუშევრები, უნიკალური ფოტოები, სპეციალური კოლექციის მასალები „დაეთვალეირებინათ“.

მოულოდნელობა წინ ელოდათ. მოსაწვევე მიითითებელი იყო, რომ ნაჩვენები იქნებოდა დოკუმენტური ფილმი (საჩუქრად გადაეცა რუსუდან ნიშნიანიძეს). ჯორჯ პაპაშვილზე, როგორც მოქანდაკეზე შეერთებულ შტატებში 1953 წელს გადაიღეს ფილმი, რომელიც ნანახი ჰქონდა მისი ნამუშევრების იმ უამრავ დამთვალეირებულს და მისი ნაწარმოებების მკითხველს, რომელთათვისაც ეს მრავალმხრივი პიროვნება ცნობილი იყო, მაგრამ საქართველოში (და არც ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში) ეს ფილმი ნანახი არავის ჰქონდა. დარბაზში მსხდომი საზოგადოება ის პირველი აუდიტორია იყო, რომელმაც ეს ფილმი ნახა.

იყო არაერთი შეკითხვა, კიდევ უფრო მეტი – შეფასება. თავისი მოსაზრებები და მაღალი შეფასებები გამოთქვეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. თამაზ გამყრელიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ, აკად. გურჩა კვარაცხელიამ, აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ; აკად. ელგუჯა ხინთიბიძემ, რომელიც უძღვებოდა შეხვედრას და სხვებმა.

დასასრულ, რუსუდან ნიშნიანიძემ მადლობა გადაუხადა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საქართველოს პარლამენტის მიგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, საქართველოში ამერიკის საელჩოს საკონსულოს ხელმძღვანელს — ყველა იმ ადამიანს, რომელთაც უზრუნველჰყვეს მისი სამეცნიერო მივლინება შეერთებულ შტატებში. საჯარო ლექცია დასრულდა, თუმცა საზოგადოება არ იშლებოდა, ხმადაბლა საუბრობდნენ, კიდევ ერთხელ იხსენებდნენ ლექციაზე მოსმენილ სრულიად უცნობ ფაქტებს ქართველ ემიგრანტებზე, სხვადასხვა სახელმწიფოში მოღვაწე თანამემამულეებზე და რასაკვირველია, ჯორჯ იგივე გიორგი პაპაშვილზე, რომელიც ასე საინტერესოდ, უჩვეულოდ და მასშტაბურად „დაუბრუნდა“ თავის ისტორიულ სამშობლოს.

ემზარ კვიციანი

რუსული პოეზია ქართულად

რუსული პოეზიის ქართულ ენაზე თარგმანას საკმაოდ ხანგრძლივი, მყარი ტრადიციები აქვს. ამ საშვილიშვილო საქმეს მეცხრამეტე საუკუნეშივე საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი მწერლობის კორიფეებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ, გააცნეს ქართველ მკითხველს პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის და სხვათა უკვდავი შემოქმედება.

ეს დიდად საჭირო წამოწყება კიდევ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა მეოცე საუკუნეში, როცა ქართველმა სიმბოლისტებმა — „ცისფერყანწლებმა“ — მტკიცე, მეგობრული კავშირი დაამყარეს რუს თანამოკალმეებთან. ცნობილია, რა ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ვალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინ ბალმონტს, რომელმაც შეუნელებელი შთავაგონებით თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი პუშკინის ლირიკა დღემდე სანიმუშოდ ითვლება. რუსული პოეზიის თარგმნის მხრივ თავი ისახელებს ვალერიან გაფრინდავილიმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, სიმონ ჩიქოვანმა, დავით გაჩეჩილაძემ, ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ლადო ასათიანმა და სხვებმა.

მომდევნო თაობის პოეტებიდან აღსანიშნავია ანა კულანდაძის, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭილაძის, მიხეილ ქელივიძის, არჩილ სულაკაურის, ლანა ლოლობერიძის, თამაზ ჩხენკელის, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ ჭილაძის, გივი გვეტქაორის, ვახტანგ ჯავახაძის, დავით წერეთლის, თამარ ჯავახიშვილის და სხვათა ღვაწლი.

ინტერესი რუსული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებისადმი საქართველოში არასოდეს შენელებულა. ყველას ვგახსოვს, სამოციან და მომდევნო წლებში ქართველ პოეტებს რა ახლო მეგობრობა ჰქონდათ ბელა ახმადულისთან, ევგენი ევტუშენკოსთან, ანდრეი ვოზნესენსკისთან, იური რიაშენცევთან, იუნა მორიცთან და სხვებთან.

შარშანინი (გამომცემლობა „თბილისი“, 2010), კოტე ყუბანეიშვილის თაოსნობით, გამოვიდა მეორე, შევსებული გამოცემა — „რუსული პოეზია. თარგმანები“ — რომელშიც, პუშკინის ეპოქიდან მოყოლებული, 78 რუსი პოეტი გაერთიანებული. კრებულში ფიგურირებს ხუთი მთარგმნელი და მათგან ყველაზე ნაყოფიერი კოტე ყუბანეიშვილია.

მართალია, მოკლე წინათქმებში ხაზგასმულად არის ნათქვამი, რომ ეს კრებული, ვახუშტი კოტეტიშვილისა და ნიკო გომელაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი, არ შეიძლება ჩაითვალოს რუსული პოეზიის ანთოლოგიად, მაგრამ როცა ამდენი, სხვადასხვა საუკუნეებისა და განსხვავებული

ხელწერის პოეტი ერთადაა წარმოდგენილი, გვინდა თუ არა, წიგნს ანთოლოგიის იერი ეძლევა.

უკმარისობის გრძობას იწვევს ის გარემოება, რომ წინამდებარე კრებულის მიღმა დარჩნენ ისეთი მნიშვნელოვანი პოეტები, როგორებიც არიან — ბარატინსკი, ტიუტჩევი, ფეტი, ნეკრასოვი, სოლოგუბი, ვიარსლავ და გიორგი ივანოვი, პეტროვიჩი, ბაგრიცკი, ხოდასევიჩი, ტვარდოვსკი და სხვები.

გარდა ამისა, თარგმანთა მოზრდილ ნაწილში, სამწუხაროდ, მრავლადაა თვითნებურ გადაკეთებათა, ახირებათა შემთხვევები, რაზედაც თვალს ვერ დაგვხუჭავთ და რაც მეტად არასახარბიელო სურათს ქმნის. ხშირია, აგრეთვე, უხეში კორექტურული შეცდომები, გაუგებარს რომ ხდის ტექსტის აზრს.

თუ რაოდენ სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს პოეტური ნაწარმოების მიმართ, საამისოდ ერთ თვალსაჩინო მაგალითს მოვიხსობ. ტოლსტოიმ პუშკინის ცნობილი ლექსის („Воспоминание“) ბოლო სტრიქონში შეცვალა ეპითეტი, რამაც მთელი სტრუქტურა, განწყობილება და, რაც მთავარია, პუშკინისეული მელოდია დაარღვია, „ფონეტიკურად გააუარესა სტრიქონი“. პუშკინის ლექსი ასე მთავრდება:

Но строк печальных не смываю.

„ომისა და მშვიდობის“ ავტორმა ნაცვლად პუშკინის საყვარელი ეპითეტისა („печальных“) ჩასვა „постыдных“.

საუკეთესო თანამედროვე რუსმა პოეტმა და ლექსმცოდნემ ოლგა სედაკოვამ ყოვლად მიუღებლად ჩათვალა ტოლსტოისეული ვარიანტი და ცხადყო თუ „печальных“ რამდენად ახლოა პუშკინის მსოფლგანცდასთან, როგორ ეხამება ერთმანეთს აქ ჟღერადობა და აზრი და რომ ასეთი შეცვლა პოეტის ენის ლექსიკონთან შეუთავსებელია.

არ არის საკამათო. ის, რაც გენიალურ ტოლსტოის შეცდომად ჩაუთვალეს, მით უფრო არ გვეკატიება ჩვენ, უბრალო მოკვდავებს.

განსახილველ კრებულში მიხილ ლერმონტოვის ერთადერთი, სააღბომო ხასიათის ლექსია, მიძღვნილი მრავალმხრივ საყურადღებო ქალის ალექსანდრა სმირნოვასადმი. ალექსანდრა სმირნოვა-როსეთი პეტერბურგის ლიტერატურულ ელიტაში კარგად იყო ცნობილი, როგორც დიდად ნიჭიერი და განსაცვიფრებლად განათლებული ადამიანი. თვით პუშკინი და გოგოლი თხოვდნენ მას, ეწერა დოკუმენტური პროზა. ამ ულამაზესი არსების ცოლად შერთვას აპირებდა ისეთი გამოჩენილი პიროვნება და პოეტი, როგორიც იყო ჟუკოვსკი, მაგრამ უარი მიიღო.

ლერმონტოვმა ალექსანდრა სმირნოვა გაიცნო კარაზინების ოჯახში და მისი მშვენიერებით მოხიბული დარჩა. ეს ლექსი მიუძღვნა, მაგრამ პირველი სტროფი ზედმეტად ინტიმური იყო და ლექსის ადრესატის თხოვნით, ავტორმა იგი გამოქვეყნებამდე გადაშალა.

კოტე ყუბანეიშვილმა სწორედ ეს ორსტროფიანი ვარიანტი თარგმნა და, უნდა ითქვას, დედნისეული სული შენარჩუნებულია. ლერმონტოვს ჩვევად ჰქონდა, ლექსები ეფექტურად, აფორისტულად დაემთავრებინა და მთარგმნელმა შესძლო, სხარტად ნათქვამი ასევე გადმოელო:



**ეს ყველაფერი მომგვრიდა სიცილს,
რომ ასე ძლიერ არ მგვრიდეს სევდას.**

აზრი რომ შეცვლილი, გადასხვაფერებული არ არის, ამაში იოლად დაგვარწმუნებს ორიგინალი:

**Всё это было бы смешно,
Когда бы не было так грустно.**

ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი ფაქტის გახსენება — თავის დროზე სილამაზით გამორჩეული ალექსანდრა (ექვსი წელი იყო იგი ნიკოლოზ პირველის დედის, მარია ფეოდოროვნას ფრელინა), „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში“ სიამაყით აღნიშნავდა, რომ მისი ბებია ეკატერინა (ქეთევან) ციციშვილი იყო ქართველი თავადის ასული, ვისი უბადლო გარეგნობითაც ყოვლის მნახველი ფრანგებიც კი გაცუბულები იყვნენ (გრაფი რიშელიე მას მსოფლიოში ულამაზეს ქალად თვლიდა). ციციშვილები სხვა ქართველ თავადებთან ერთად (ორბელიანები, ბარათაშვილები, ერისთავები, ამილახვრები...) ვახტანგ მეექვსის ამაღლებაში შედიოდნენ და ლტოლვილ ქართველ მეფესთან ერთად, პეტრე პირველის კარზე, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. ამ და სხვა ამბებზე არაერთი ძვირფასი ცნობა გვხვდება ალექსანდრა სმირნოვას მემუარებში (А. О. Смирнова-Россет, Дневник. Воспоминания, М., „Наука“, 1989). საგულისხმოა, რომ ალექსანდრა სმირნოვას ვაჟი, ცნობილი მეცნიერი, კავკასიაში მსახურობდა და თბილისის ბოტანიკური ბაღი მისი გაშენებულია.

ასევე მოკრძალებულად არის წარმოდგენილი „რუსული პოეზიის მზე“ — პუშკინი (წესით, ამ კრებულის სათავეში იგი უნდა მდგარიყო). მისი ლირიკის შედეგრი „მე თქვენ მიყვარდით“ კოტე ყუბანეიშვილს უთარგმნია და არცთუ ურიგოდ, მაგრამ არსებობს მშვენიერი თარგმანები ამავე ლექსისა (პაოლო იაშვილი, გივი შაჰნაზარი) და ალბათ საჭირო იყო მათი ბოლოში დართვა, როგორც ასეთი ტიპის კრებულების გამოცემისას კეთდება ხოლმე. მითუმეტეს, ერთი ლექსის ალტერნატიული თარგმანები ამავე წიგნში გვერდიგვერდ გვხვდება, რაზედაც შემდგომ ვიტყვი.

კოტე ყუბანეიშვილსვე უთარგმნია „ეკვგენი ონეგინის“ მერვე თავის ნაწყვეტი, მაგრამ აქ შეიმჩნევა ზოგიერთი უზუსტობა — პუშკინისეული „ცხოვრების სუსხი“ („ЖИЗНИ ХОЛОД“) თარგმნილია, როგორც „ცხოვრების ლაფი“, რაც ალბათ რითმის გამო მოხდა. აქვეა რამდენიმე წყვილი ზმნური რითმებისა (პუშკინს ეს ვირტუოზულად გამოსდიოდა), რაც ვერ ახდენს სასურველ შთაბეჭდილებას (მაგ., მოახერხა — შეაფერხა).

„ვერცხლის საუკუნის“ უთვალსაჩინოესი ფიგურის, ანა ახმატოვასა და სხვათა მასწავლებლის, უფაქიზესი ლირიკოსის ინოკენტი ანენსკის ერთი ლექსია („Среди миров“) თარგმნილი და იგი ჩვენს ცნობილ პოეტს ვახუშტი კოტეტიშვილს ეკუთვნის. მას, სხვებთან შედარებით, ოსტატობაც და გამოცდილებაც მეტი აქვს, მაგრამ ორსტროფიანი ლექსის ფინალური სტრიქონები ხელოვნურად გამოიყურება, ჟღერადობის მხრივაც სცოდავს. სამყაროს უსასრულობაში იდუმალად მოკაფე ვარსკვლავზე უხერხულია ასე გაუმართავად ითქვას:

**არა იმიტომ, რომ მე მისგან სინათლეს ველი,
არამედ, რადგან არ მჭირდება მისგან სინათლე.**

ამ ორი სიტყვიდან („არამედ“, „რადგან“) ერთი ზედმეტი და ამის გამო ფრაზა ვერ არის სტილისტურად სრულყოფილი. გარდა ამისა, არც აზრი უნდა იყოს მთლად ზუსტად გადმოტანილი. გვერდით დაბეჭდილი ორიგინალი ასე იკითხება:

**Не потому, что от Неё светло,
А потому, что с Ней не надо света.**

ბალმონტის ერთი ლექსია შერჩეული („Ветер“); იგი კარგად გამოხატავს პოეტის ნატიფი სულის რხევას და კოტე ყუბანეიშვილსაც მონდომება არ დაუკლია, „ქარი“ შესაფერისად აემეტყველებინა ქართულ ენაზე, თუმცა ეს წარმატებული თარგმანი ბუკვალური სულაც არ არის.

რუსული სიმბოლიზმის უმთავრესი ფიგურისა და თეორეტიკოსის ანდრეი ბელის ერთი ცნობილი, ძლიერი ლექსი („Из окна вагона“) მთლიანობაში კარგად უთარგმნია იმავე კოტე ყუბანეიშვილს, მაგრამ მესამე სტროფში ზედმეტად თავისუფლად ექცევა ტექსტს, ჩამოთვლაში გამოტოვებულია რუსული სოფლის პეიზაჟის მნიშვნელოვანი ატრიბუტი — სასაფლაო და თარგმანი სხვა მხრივაც მოიკოჭლებს, მეტყველება განზრახ არის გართულებული, ხოლო ანდრეი ბელი, თავისი ძნელად გასაგები, გასაშიფრავი პროზისგან განსხვავებით, ლირიკაში მუდამ სინათლეს, გამჭვირვალობას ესწრაფვის. ნათქვამი რომ უფრო ცხადი გახდეს, პარალელურად მოვიტანთ დედანსა და თარგმანს:

**И кабак и погост и ребёнок,
Засыпающий там у груди,
Там убогие стаи избенко,
Там убогие стаи людей.**

ეს სტრიქონები ასეა გადმოტანილი:

**სამიკიტნო თუ ეზო თუ ჩვილის
ნაზი ტუჩები, ძუძუს რომ წოვს,
ქოხებს, ჩადგმულებს ბურუსში ძილის
და ხალხს უბედურს, ბალახის მძოვს.**

ლექსის ფინალში არის სხვა უზუსტობანიც, მაგრამ ამაზე გამოდევნება შორს წაგვიყვანს. ამ ხარვეზების თავიდან აცილება არ იყო ძნელი.

მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი, „მეპოქის ტრაგიკული ტენორი“ ალექსანდრ ბლოკი ხუთი ლექსით არის წარმოდგენილი, რაც მისასაღებელია.

ბლოკის განთქმული, ღრმა პესიმიზმით აღსავსე ლექსი („Ночь, улица, фонарь, аптека“) უთარგმნია და მეტისმეტად სუსტადაც ა. დარჩიაშვილს. იგი სრულებით ვერ გრძნობს ბლოკის ლირიკის შეუდარებელ უშუალობასა და სისადავეს, მის შემეცდარ ინტონაციას, რასაც მცირეოდენი სიყალბეც არ ურევია. თუ რა მოუხეშავად არის გადმოცემული ბლოკის ამაღლებული, ამასთანავე სასომიხდელი მეტყველება, ამის საჩვენებლად, მიყოლებით შევადაროთ ორივე სტროფი. პოეტი აუტანლად მოსაწყენი ყოფიდან გამოსავალს ვერ ხედავს; ჩვენს თვალწინაა გადაშლილი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი. ამ ფონზე ქართულად ამეტყველებული: „დამიჯერე, რომ სამეფლი არ ჩანს“, კომიკურად და ფამილარულად ჟღერს. „საუკუნის მეოთხედი“ („четверть века“) ასე ბულალტრული დაანგარიშებით რომ

არ უნდა გადმოგვეტანა („თუნდ იცოცხლო ოცდახუთი წელი“) ამას დიდი მიხვედრა არ ესაჭიროებოდა:

**Ночь, улица, фонарь, аптека,
Бессмысленный и тусклый свет.
Живи ещё хоть четверть века —
Всё будет так, исхода нет.**

თარგმანის — „იდუმალ შუეს ვერ მოუცავს ბნელი...“ — არანაირად არ შეესაბამება ბლოკის სტრიქონს („Бессмысленный и тусклый свет“) და საერთოდ არაფერს ნიშნავს.

უკეთესად არც მეორე სტროფია თარგმნილი. როცა ლექსში ოსტატობა, ფრაზის გრძობა, ნაჭედობა არ ჩანს, აზრის სწორად გადმოცემა ვერაფერს გიშველის. მეორე სტროფში, გარდა იმისა, რომ ჩამოთვლის რიგი დარღვეულია, ბოლო სტრიქონის ტრიადის ერთი წევრი (ფანარი), სულაც გამოტოვებულია. სიცხადისათვის კვლავ პარალელს მივმართოთ:

**Умрёшь — начнёшь опять сначала
И повторится всё как встарь
Ночь, ледяная рябь канала,
Аптека, улица, фонарь.**

ახლა თარგმანს მივადევნოთ თვალი:

**მოკვდები და დაიწყება თავიდან,
არ გეგონოს, შეიცვლება რამე,
ისევ არხში მოციმციმე მთვარე და
ისევ ქუჩა, აფთიაქი, ღამე.**

აქ რომ მთვარე ყოფილიყო საჭირო, ბლოკი როგორმე, მთარგმნელის დაუხმარებლად მოუძებნიდა ადგილს ამ ულამაზეს, ყველაზე პოეტურ ღამის მნათობს, მაგრამ იგი ფანარის მიბნედილი შუქის დახატვას ესწრაფვოდა და ამის გამო გაჩნდა ჯადოსნური სახე — „ледяная рябь канала“, რისი თარგმნაც ა. დარჩიაშვილმა ვერ შესძლო.

ბლოკის დანარჩენი სამი ლექსის („...Ищу спасенья“, „Я Гамлет... холодеет кровь“, „Искусство — ноша на плечах“) თარგმანი მეტ-ნაკლები ოსტატობით შეუსრულებია კოტე ყუბანეიშვილს, რაც მის გარკვეულ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

რუსული სიმბოლიზმის ბურჟუაზიანის, ვალერი ბრიუსოვის ერთადერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი ლექსია კრებულში შეტანილი („Юному поэту“) იგი ძალზე კარგად უთარგმნია კოტე ყუბანეიშვილს. საზომიც კი მსგავსია, რაც დედნისნაირ ყლერადობას ქმნის. დასანანი, რომ ერთი ადგილი, ბოლო სტროფის მეორე სტრიქონი, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ახდენს, საერთო სიტყვიერი ქსოვილიდან ამოვარდნილია („თუნდაც ვერ დაიცვა ალექსანდრე რომ მეტი“).

ასეთივე ლაფსუსი მოსდის კოტე ყუბანეიშვილს ბუნინის სონეტის („В Альпах“) თარგმნისას. მეტად უხერხულად, დახლართულად გამოიყურება პოეტზე ნათქვამი ასეთი ფრაზა: „ველარ ალაგზნებს ტაშის ცემა ბრბოსი რომ მეტი!“ დედანში ეს ძალზე ნათლად, სადად არის ნათქვამი: „Его толпы не радует привет!“

ცოტა არ იყოს ზერელედ, უგულისყუროდ უთარგმნია კოტე ყუბანეიშვილს მაქსიმილიან ვოლოშინის მოზრდილი

ლექსი („По ночам, когда в тумане“), რომელიც ბრიუსოვს ეძღვნება და რომელშიაც საგრძნობია ტექნიკური ჩაჯვარდნები (უმეტესად, გართმვის დროს), ფინალს ზემოთ კი რვა სტრიქონი, გაუგებარი მიზეზის გამო, უთარგმნელადაა დატოვებული; თარგმანში, შესაბამის ადგილას, სიცარიელეა.

ვოლოშინის საუკეთესო, გულისშემძრავი ტრაგიზმით აღსავსე ლექსი „На дне преисподней“ — დიდი შთაბეჭებით, კეთილსინდისიერად აქვს თარგმნილი ვახუშტი კოტეტიშვილს. ლექსი ავი წინათგრძნობითაა გამსჭვალული და მძაფრ ყვედრებას გამოხატავს „შვილთა მკვლელები რუსეთის“ მიმართ. ბევრის მთქმელია ისიც, რომ ლექსი ბლოკისა და გუმბოლიოვის ხსოვნას ეძღვნება და თარიღად ავადმოსაგონარი 1922 წელი უზის, როცა რუსეთში უსაშინელები სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

აკმეიზმის ლიდერის, ანა ახმატოვას მეუღლის, „ჩეკას“ მიერ ვერაგულად დახვრეტილი ნიკოლაი გუმბოლიოვის ხუთი ლექსია კრებულში შეტანილი და აქედან სამი ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმნილია. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს „ოცნებები“ („Мечты“), მაგრამ პირველ სტროფში მთარგმნელს მცირეოდენი თვითნებობა გამოუჩენია — „აღფრთოვანებათა“ ნაცვლად გვაქვს „ხილვები მწველი“, რაც ერთი და იგივე არ არის. შევადაროთ ეს ადგილები:

**Старый ворон с оборванным нищим
О восторгах вели разговory.**

ქართული ტექსტი რამდენადმე განსხვავებულია:

**ბერმა ყორანმა დაძონძილი გლახაკი იხმო,
რათა გაენდო წელანდელი ხილვები მწველი.**

მონონების ღირსია ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი — „...У меня не живут цветы“, მაგრამ არ იყო აუცილებელი, იგივე ლექსი კოტე ყუბანეიშვილსაც ეთარგმნა, მითუმეტეს, რომ იგი რამდენიმე ადგილას საჭირო სიზუსტეს არ იცავს; დედანში ნიგნები რვა რიგად არის ჩამწკრივებული, რაც მასთან არ ჩანს, ხოლო ფინალურ სტრიქონში, ბუკინისტის ადგილსამყოფელს რომ ეხება, კოტე ყუბანეიშვილს გამოტოვებული აქვს სასაფლაოს ეპითეტი — „წყეული“. ამ და სხვა შემთხვევებში, როცა თარგმანის დუბლიკატი გვაქვს, რუსული ტექსტი მეორდება, რაც, ტექნიკური თვალსაზრისით, არ მგონია, გამართლებული იყოს.

ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი „მე და თქვენ“ არ არის ბოლომდე თანაბარი ღირსებისა, შეიმჩნევა მცირეოდენი გადახვევები, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია, როცა იგივე ლექსი სათარგმნელად ა. დარჩიაშვილისთვის მიუციათ. გარდა სუსტი, ხელოვნური, ზედმეტად შორეული რითმებისა (მხრიდან — მხიბლავს; გამოსასვლელს — აღმოსავლეთს; თარეშობენ — ბავშვები...), სტრიქონთა უმრავლესობა თვითნებურადაა გადაკეთებული ისე, რომ ვეღარ იცნობ. რაც საჭიროა, ის გამოტოვებულია, ხოლო გაუგებარია, საიდან მოიტანა „ეგზოტიკური აღმოსავლეთი“ ანდა რაში დაჭირდა არაბის გაქეციანება. მესამე სტროფი სრული აბსურდია. ჩემი საყვედური დასაბუთებული რომ იყოს, მოვიხმობ დედანს და მოვაცოლებ მთარგმნელის განსაცვიფრებელ, წრეგადასულ თვითნებობას:

**Я люблю как араб в пустыне
Припадает к воде и пьёт,
А не рыцарем на картине,
Что на звёзды смотрит и ждёт.**

ეს სტრიქონები ა. დარჩიაშვილმა ასე გაიგო თუ „გამიფრა“:

**მიყვარს არაბი ქეციანი
ხარბად რომ წყაროს ენაფება,
და არა ტილო ტიციანის,
ან ტიციანის მონაფეთა.**

საკითხავია — რა ესაქმებათ აქ დიდ იტალიელ მხატვარს ტიციანსა და მის მონაფებს? არაფერს ვამბობ, მომდევნო სტროფში რამ გააჩინა თუნდაც „პროტესტანტული სამოთხე“. სურათი ისედაც ნათელია. საერთოდ, ამ კურიოზულ თარგმანში ყველაფერი თავდაყირაა. როდესაც გუმილივისთანა პოეტს ვთარგმნით, მეტი გულისყური და პასუხისმგებლობა გვმართებს.

კრებულში ვახუშტი კოტეტიშვილის კიდევ ორი თარგმანია ამავე პოეტისა. გუმილიოვმა ეს ლექსები დახვრეტამდე ცოტა ხნით ადრე დანერა და მის საუკეთესო ქმნილებებს მიეკუთვნება.

აზრობრივად და ტექნიკურადაც გამართულად არის თარგმნილი „მეექვსე გრძობა“, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავარ, ფინალურ სტროფში გვხვდება ძალზე უხეში კორექტურული შეცდომა. იქ, სადაც უნდა ყოფილიყო „ბუნებისა და ხელოვნების დანა“ („скальпель“), გაიპარა „ბუნებისა და ხელოვნების დონე“, რამაც აზრი მთლიანად შეცვალა, გაუგებარი გახდა.

ასეთივე კურიოზული კორექტურული შეცდომის მსხვერპლი გახდა ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმნილი „პატარა სპილოც“. ფინალში დახატულია მდიდრულად მორთული ეგზოტიკური ცხოველი — სპილო, რომელსაც ოდესღაც აჩოჩქოლებულ რომში პანიბალი მიჰყავდა. მთარგმნელმა დედნისეული ფრაზა („Нёс к трепетном Риму...“) სწორად, პოეტურად გადაიტანა: „მიარწევდა ათრთოლებულ რომში“, მაგრამ კორექტორისა თუ რედაქტორის დაუდევრობის გამო (ეს მომენტები ნიგნში როგორღაც დაქარაგმებულია, ვერ გავიგე რედაქტორისა და გამგომებლის გვარი), დასანანი ლაფსუსი მივიღეთ — დედანში უხამსობა იკითხება — „მიარწევდა“.

საბჭოთა რეჟიმის მიერ უსამართლოდ განადგურებული დიდი პოეტის ოსიპ მანდელშტამის მეტ-ნაკლები წარმატებით თარგმნილი ხუთი ლექსია წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი. პირველი მათგანი („...Дано тело...“) ვახუშტი კოტეტიშვილსაც უთარგმნია და კოტე ყუბანიშვილსაც. ვახუშტი კოტეტიშვილი ერთგულად მიჰყვება დედანს და ზოგჯერ ზედმეტ პედანტიურობასაც იჩენს. კოტე ყუბანიშვილი ამდენადვე თავისუფლად თარგმნის. თვითნებობა მაინცდამაინც დიდი არ არის. მაგალითად, „ყვავილი“ შეცვლილია „ნაყოფით“ („Я и садовник, я же и цветок“ — „მებაღეც მე ვარ და ნაყოფიც რჩეული“).

ვახუშტი კოტეტიშვილს მშვენივრად, თითქმის უნაკლოდ აქვს თარგმნილი მცირე ლექსი („...Невыразимая печаль“), რაშიაც მკითხველი თავად დარწმუნდება.

მანდელშტამს მშობლიურ ქალაქზე არაერთი ძლიერი და ტრაგიკული ჟღერადობის ლექსი აქვს დანერგილი. ერთი მათგანი — „ლენინგრადი“ — კარგად უთარგმნია კოტე ყუ-

ბანიშვილს, მაგრამ ფინალურ სტრიქონებში ყურს ჭრის ბანალური ზმნური რითმა („ჩამიშლის — ამიშლის“).

კოტე ყუბანიშვილსაც უთარგმნია მანდელშტამის შედეგური „ნიჟარა“, მაგრამ ტექსტს ბოლომდე ვერ მორევია — ფინალური სტროფი ბუნდოვნად ჟღერს, თანაც ბოლო სტრიქონში გაპარულია დასანანი კორექტურული შეცდომა — უნდა იყოს „ქარით“, იკითხება კი — „ლაფით“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, ვინაც საგანთა ახლებური ხედვითა და ხმით, ფორმისმიერი ძიებებით უზარმაზარი კვალი დაატყო რუსულ პოეზიას, შეიძლება უკეთესად წარმოჩენილიყო. კრებულში მისი სამი ლექსია შეტანილი („ლექსი საბჭოთა პასპორტზე“, „ლექსი გემოვნებათა სხვაობაზე“, „მისმინეთ!“), რომელთაგან მისი ადრეული, ყველაზე მეტად საყურადღებო შემოქმედებიდან ბოლოა შერჩეული.

პირველი ლექსი — საბჭოური იდეურობის ეტალონი — კოტე ყუბანიშვილის თარგმნილია და რამდენიმე უხერხულად ნათქვამს თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია. ფინალურ სტრიქონებში მაიაკოვსკის ისედაც მედიდურად აქვს განცხადებული: „Я — гражданин Советского Союза“ და აქ არ იყო საჭირო აღმატებითი ხარისხის ჩამატება: „მე მოქალაქე ვარ დიადი საბჭოთა კავშირის!“

ბოლო ორი ლექსის თარგმანი ა. დარჩიაშვილს ეკუთვნის და მათში აშკარად შეინიშნება კურიოზები, ქართული ენისათვის არაბუნებრივი გამოთქმები, ფრაზათა მოუხეშავი მიმოხრა, რაზედაც არ ღირს საგანგებო მსჯელობა, ყურადღების გამახვილება.

პოეტური ტექსტის თვითნებურად გადაკეთების ბევრად უარესი მაგალითია ა. დარჩიაშვილის მიერ თარგმნილი პასტერნაკის „ზამთრის ღამე“ („ყოფაგოს“ ციკლიდან). ამ ბრწყინვალე ლექსის რამდენიმე ძალზე კარგი ქართული თარგმანი არსებობს, რომელთაგანაც უნდა დავასახელოთ ლანა ლოლობერიძის და თამარ ჯავახიშვილისა.

თუ რამდენად შეიძლება სახე უცვალო მშვენიერებას, დაამახინჯო იგი, ამის ნათელსაყოფად მოვიტან ჯერ პასტერნაკის ორ სტროფს და მის შესაბამის ქართულ ტექსტს, რასაც ვერასგზით ვერ ვუნოდებთ მხატვრულ თარგმანს:

**На озаренный потолок
Ложились тени,
Скрещенья рук, скрещенья ног,
Судьбы скрещенья.**

**И падали два башмачка
Со стуком на пол.
И воск слезами с ночника
На платье капал.**

მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ აქვს რაიმე საერთო ქვემოთ მოტანილ სტრიქონებს პოეტის ერთ-ერთ შედეგთან:

**გაცისკროვნებულ ჭერს ჩრდილების
აჩნდა ლაქები,
რომლებსაც მხოლოდ
სხეულები განალაგებენ.**

**და იყო ორი მშვენიერი
პატარა ჩექმა,
რომელთა ვარდნამ იატაკზე
ხმაური შექმნა.**

ბორის პასტერნაკის ასეთივე უმნიშვნელოვანესი ლექსი („Быть знаменитым некрасиво“) უთარგმნია კოტე ყუბანეიშვილს, მაგრამ ტექსტის სიძნელე ბოლომდე ვერ არის დაძლეული. ალაგ-ალაგ ყურს ეხამუშება უზუსტობა. დედანშია:

**Места и главы жизни целой
Отчёркивая на полях.**

თარგმანში სრულიად სხვა რამ იკითხება:

**ფიქრი სიჩუმეს გაგიადვილებს
გადასარჩენად ფარული გესლის.**

არავითარი „ფარული გესლი“ პასტერნაკთან არ არის და არც იგულისხმება. არის სხვა წვრილმანებიც, რომელსაც ვერ გამოვედევნებთ.

თავის დროზე ძალზე პოპულარული პოეტის იგორ სევერიანინის ორივე ლექსის („Увертюра“, „Каретка куртизанки“) მთარგმნელი ა. დარჩიაშვილია. ორივეში უნვად არის გაბნეული უზუსტობისა და თვითნებობის ნიმუშები. „უვერტიურის“ დედანში არსადაა თარგმანისეული „პიკანტური ფლეში“, „იმპულსურად ვიგზნები“, „ქალთა საამო მასებში“ და სხვა. მეორე ლექსში გვეჩოთირება ყოვლად გაუმართლებელი პროზაიზმები: „ჯანმრთელობის საკითხს მთლიანად ანდობს პაჟს...“, „ტულეტებს ვიტრინის სუნი სდის“ და მისთანანი. ეს არ არის პოეზიის ენა.

„ვერცხლის საუკუნის“ სიამაყის, ანა ახმატოვას მთარგმნელად იგივე ა. დარჩიაშვილი გვევლინება და მდგომარეობა არც აქ არის სახარბიელო. მაგალითად, ცნობილ „ნაცრისფერთვალეა ხელმწიფეში“ ასეთი არაბუნებრივი, ღვარჭნილი სტრიქონია: „დედოფლის დარდი მაქვს მისი ალსრულებით“. სიტყვათა ასეთი მალალფარდოვანი წყობა პირდაპირ ეწინააღმდეგება ახმატოვას კლასიკურ სისადავეს, შეუთავსებელია მისი წერის მანერასთან.

ბოლო, მეტად ნატიფი ლექსიც („...Дверь полуоткрыта“) დამახინჯებულია ა. დარჩიაშვილის თარგმანში. ანა ახმატოვა წერს:

**На столе забыты
Хлыстик и перчатка.**

ამ ლექსში ყოველი მცირე დეტალი თავის ადგილზეა და „წკეპლის“ გამოტოვება უთუოდ რალაცას აკლებს საერთო განწყობილებას, აღარბებს ანტურაჟს:

**მაგიდაზე მარტო
ხელთათმანი გდია.**

ანა ახმატოვა ნახევარტონების, მინიშნებათა დიდოსტატია, რაც კარგად ჩანს ფინალურ სტროფში. ტრფობით აძგერებულ გულს ასე იშვიათად თუ მოფერებია ვინმე:

**Ты совсем устало,
Бьёшься тише, глуше...
Знаешь, я читала,
Что бессмертны души.**

ეს განუმეორებელი ლირიზმი და მომხიბლავი ინტიმურობა თარგმანში პირწმინდად ნიველირებული, გამქრალია:

**თუ შეეტყო დაღლა
ნელ-ნელა სცემს სულ ის,
წამიკითხავს ალბათ
უკვდავება სულის.**

რუსული ფუტურიზმის უდიდესი წარმომადგენელი, ლექსის ჭეშმარიტი ნოვატორი, ბოგანოდ გარდაცვლილი ველემირ ხლენიკოვი (იგი სიცოცხლეშივე აღიარეს გენოსად), რომლის შემოქმედებაშიც ქარბად იგრძნობა წარმართული ნაკადი, ორი მცირე, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ლექსით არის წარმოდგენილი და ორივეს თარგმანი კოტე ყუბანეიშვილს ეკუთვნის. პირველში („Кузнечик“) სიტყვათა ვირტუოზული თამაშია, რაც ასე ემარჯვებოდა ხლენიკოვს. ამ დროს რთული პოეტური სახე იქმნება:

**Кузнечик в кузов пуза уложил
Прибрежных много трав и вер.**

კოტე ყუბანეიშვილმაც სცადა სიტყვების თამაშზე გადაეტანა ყურადღება, მაგრამ მისი მცდელობა, ცოტა არ იყოს, კომიკური გამოვიდა: „კალიამ კუზი კალათში ჩადო“. ალიტერაცია ნამდვილად საგრძნობია — ქართული „კუზი“ და რუსული „кузов“ ფონეტიკურად კი არის ახლოს, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის.

მეორე, ასევე ცნობილი, ხშირად ციტირებული ოთხსტრიქონიანი ლექსი („...Когда умирают кони — дышат“) თავიდან ბოლომდე ნათელი, გამჭვირვალე, ურითმოა და მისი გამართულად თარგმნა კოტე ყუბანეიშვილს არ გასჭირვებია.

ანა ახმატოვას ტოლფარდი პოეტი მარინა ცვეტაევა რაოდენობრივად და, მცირე გამოწკლისის გარდა, ხარისხობრივადაც, კარგად არის წარმოდგენილი. პირველივე, წინასწარმეტყველური ნიჭითა და გზნებით განათებული საუცხოო ლექსი რიგიანად აქვს თარგმნილი კოტე ყუბანეიშვილს, მაგრამ ბოლო სტროფში პოეტის ადრინდელი ლექსებისადმი მის მიერ თვითნებურად შერჩეული ეპითეტები („უცნაურებს და სასაცილოებს“) არა გვგონია, გამართლებული იყოს. საერთოდ, ეპითეტს განსაკუთრებული როლი აკისრია და იგი ზედმინევენით ზუსტი, გამომხატველი უნდა იყოს.

როგორ უნდა ყოფილიყო დაჯერებული საკუთარ შესაძლებლობებში სრულიად ახალგაზრდა მარინა ცვეტაევა რომ თავისი ადრინდელი შედეგრი ასე ამაყად, ამალღებულად დაემთავრებინა:

**Моим стихам, как драгоценным винам,
Настанет свой черёд.**

ქართული ვერსია გადაუხვევლად მიჰყვება დედანს და მისი ციტირება საჭირო აღარაა.

მარინა ცვეტაევას ლექსებიდან სამი („Прокрасться...“, „Я страница твоему перу“, „...не хочу ни любви, ни почестей...“) ვახუშტი კოტეტიშვილმა თარგმნა და სამივეგან მისი სამაგალითო პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება ჩანს.

კოტე ყუბანეიშვილს ცვეტაევას „კატები“ ძირითადად მარჯვედ აქვს გადმოღებული, მაგრამ ორი სტრიქონი („დროა იმაზე ჩაიკენეთ თუ ხელს...“ „და კმაყოფილი კვებისგან ჭარბის“) მეტად ხელოვნურად გამოიყურება და თანაც დედნისგან დამორებულია.

უაღრესად თავისებური ხელწერის, ორიგინალური ფორმებისკენ მიდრეკილი პოეტის დანილ ხარმსის ერთადერთი ლექსის („страсть“) თარგმანი კოტე ყუბანეიშვილს ეკუთვნის. იგი თავადაც მომხრე და მოყვარულია პოეზიაში თამამი ექსპერიმენტებისა, არ ერიდება სკაბრეზულობას და კარგად უნდა მორგებოდა სექსუალური თემატიკით მდიდარი ხარმსის აზროვნებას, მაგრამ შიგადაშიგ ზომიერების გრძნობას ვერ იცავს. მართალია, დედანში ჟინმორეული, გამხეცებული ავტორი ვნებისაგან ლაგამს ხრავს, მაგრამ იგი არ ამბობს ისეთ რამეს, რასაც მას მთარგმნელი მიანერს:

**ინსტინქტებმა გაიმარჯვეს ჩემში,
ლამის სპერმამ ამოასხას ჭერში.**

ფიქრობ, შემდგომში ამ თარგმანს უთუოდ წაადგებოდა დახვეწა, სრულყოფა, რაც კოტე ყუბანეიშვილს ნამდვილად არ გაუჭირდება.

რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული პოეტის სერგეი ესენინის საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „წერილი დედას“ კოტე ყუბანეიშვილს რამდენადმე თავისუფლად უთარგმნია, ნაკლებად უზრუნია ცალკეული დეტალების ზუსტად გადმოღებაზე, მაგრამ საერთო განწყობილება, ლექსის სულისკვეთება შენარჩუნებულია. ეს პოპულარული ლექსი სხვა ქართველ პოეტებსაც აქვთ თარგმნილი და კარგი იქნებოდა მათი თარგმანებიც შესულიყო ნიგნის ბოლოს, დანართში.

ქართული პოეზიის ამაგდარი, დიდი რუსი პოეტი ნიკოლოზ ზაბოლოცკი ერთადერთი სატრფიალო ლექსით („Признание“) არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს ლექსი ნამდვილი შთაგონებით, თვალსაჩინო ოსტატობით აქვს თარგმნილი კოტე ყუბანეიშვილს და შედეგიც სასურველია. იგი უთუოდ მისი საუკეთესო თარგმანია. ამ დონეს შენარჩუნება უნდოდა.

ბელა ახმადულინას ახალგაზრდობისდროინდელი ლექსი, რომელიც ძირითადად ანდრეი ვოზნესენსკიზეა დაწერილი („...Когда моих товарищей корят“) კოტე ყუბანეიშვილსა და ალიკა დარჩიაშვილს ერთად უთარგმნიათ; მთავარი აზრი ლექსისა სწორად არის გადმოცემული, მაგრამ შეიმჩნევა ზოგიერთი დაუდევრობა — ბერძნული ღვთაება სწორად არ გადმოუტანიათ მთარგმნელებს, შენარჩუნებულია რუსული ფორმა („ანთეი“), რითმები ზედმეტად ყრუა, მოშვებული (თუმცა რითმას არც ახმადულინა აქცევდა საჭირო ყურადღებას), პუნქტუაციაც არ არის დაცული.

მეორე ლექსის („...Не уделяй мне много времени“) თარგმანი ა. დარჩიაშვილს ეკუთვნის და შეიძლება ითქვას, საშუალო დონე ნამდვილად არის მიღწეული. აქ არ არის პედანტური სიზუსტე (ამას არც არავინ მოითხოვს), მაგრამ სტრიქონთა ბუნებრივი მდინარება უთუოდ სასიამოვნოა, რასაც ა. დარჩიაშვილი სხვა შემთხვევებშიც უნდა ცდილიყო.

გვგენი ევტუშენკო თავისი თაობის ნიჭიერი, მაგრამ არათანაბარი პოეტია. შეიძლებოდა მისი უკეთესად შერჩე-

ვა და წარმოჩენა. აქ უფრო მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ლექსებია. სამივე ლექსის მთარგმნელად ა. დარჩიაშვილია მითითებული. ამათგან უმჯობესია „მეგობრის ხსოვნას“, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიას უნდა შეეხებოდეს. ლექსის არც ორიგინალი, არც თარგმანი სიახლით, რაიმე მიგნებებით არ იქცევს ყურადღებას, მაგრამ არც გაღიზიანებს, კლასიკური სისადავის გზა მიჰყვება.

ნობელის პრემიის ლაურეატი, სკანდალური ბიოგრაფიის პოეტი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იოსიფ ბროდსკი განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი და ეს ინტერესი გასაკვირვებია. ბროდსკი ლექსის დიდი ოსტატია, მძაფრ მიდრეკილებას იჩენდა ნაირგვარი ფორმებისადმი, რაც ამ კრებულშიც აისახა. დიდად საყურადღებოა ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმნილი „ორი საათი რეზერვუარში“, რომელიც ჭარბად შეიცავს ე.წ. „მაკარონული ლექსის“ ელემენტებს (უმეტესად გერმანული ფრაზებია გამოყენებული). ამ ძნელად შესასრულებელმა თარგმანმა მკითხველთა და ლიტერატორთა საერთო მოწონება დაიმსახურა და, ამდენად, მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდები.

ცნობილია, რაოდენ თავისუფლად გრძნობდა თავს მრავალმხრივ განათლებული იოსიფ ბროდსკი ანტიკურ სამყაროში და სასიამოვნოა, რომ ამ ციკლის ერთი საუკეთესო ლექსი („ოდისევსი ტელემაქეს“) წინამდებარე ნაკრებში შევიდა. ჯერ ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანია, რომელსაც მოსდევს კოტე ყუბანეიშვილისა (რუსული ტექსტი კვლავ მეორდება). თავისუფალი ლექსი წინაპირობას უქმნიდა მთარგმნელებს, აზრი მაქსიმალურად ზუსტად გადმოეტანათ. მთავარი იყო შეუმცდარი ინტონაციის მიგნება და მათ ესეც შესძლეს. უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანებში (ვახუშტი კოტეტიშვილისა ადრინდელია) შეიმჩნევა ფრაზოლოგიური და ლექსიკური დამთხვევები. კოტე ყუბანეიშვილმა ალბათ ზოგი რამის დაზუსტება სცადა.

კოტე ყუბანეიშვილს კარგად უთარგმნია ერთი თავი ა. სერგეევისადმი მიძღვნილი უსიუჟეტო, ბერძნული ყოფის ამსახველ სურათებად დანაწევრებული პოემისა („ST AETATEM NOSTRAM“ ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ). სასურველია, ეს წამოწყება მან, სამომავლოდ, ბოლომდე მიიყვანოს.

ბროდსკის ბოლო ლექსის („...В деревне бог живёт не по углам“) თარგმანი კოტე ყუბანეიშვილს მთლად დახვეწილი ვერ გამოსვლია; ალაგ-ალაგ გვხვდება მოუხეხავი სტრიქონები, არაზუსტი ფრაზები: „სოფელში ღმერთი ბევრია თუჯში“, „ის წნის ლობებს“ (ორიგინალში: „Он изгороди ставит“). საერთოდ კი იოსიფ ბროდსკი სხვებზე უკეთაა შერჩეული და თარგმნილი.

ბულატ ოკუჯავა თავისი ლექსების უმრავლესობას მღეროდა და აქაც მისი ყველაზე პოპულარული ლექსის მიღწევა („ლოცვა“) არის შერჩეული. კოტე ყუბანეიშვილს ეს სასიმილო ლექსი რვამარცვლიანი მაღალი შაირით გადმოუღია და დედნისეული ცალფა რითმის ნაცვლად ჯვარედინი რითმა გამოუყენებია, რამაც ერთგვარი ხელოვნურობის კვალი დაატყო თარგმანს, რამდენადმე შებოჭა სტრიქონთა ლაღი, თავისუფალი დინება. თუმცა ისიც უნდა ითქვას — ლექსის აზრი და პათოსი შენარჩუნებულია. ყურს ეხამუშება ერთი ადგილი. მომაქვს ორიგინალი და მისი თარგმანი, გვერდიგვერდ დაბეჭდილი:

**Как верит каждое ухо
Тихим речам твоим,
Как веруем и мы сами,
Не ведая, что творим!**

უთუოდ უნდა დარჩენილიყო დედნისეული „ყოველი ყური“; ერთი ნაკითხვაც კმარა, მექანიკურად თარგმნილი სტრიქონების მოუხეშაობა რომ ვიგრძნოთ:

**როგორ ხარობს ყური თითო
შენ სიჩუმის სმენით ცხადით,
როგორ გვჯერა ჩვენვე თვითონ,
როცა ვერ ვგრძნობთ, რასაც ვჩადით.**

გაცილებით უხვად არის წარმოდგენილი მრავალთა კერპი, მეორე სახელოვანი ბარდი ვლადიმერ ვისოცკი. მისი საუკეთესო სასიმღერო ლექსი — „არ მიყვარს“ — კოტე ყუბანეიშვილს უთარგმნია; მხატვრულ სახეთა წყობა შესატყვისად არის გადმოტანილი, მაგრამ აქა-იქ შეიმჩნევა უზუსტობანი და ხელოვნურად გართულებული გამოთქმები. პირველ სტროფში ნახსენებია „ნელინადის დრო“, ხოლო მთავრდება მას „დილა“ შეუფარდა. ასევე, მეოთხე სტროფში რუსულ ფრთიან გამოთქმას („против шерсти“), რაც დინების სანინალმდეგოდ სვლას ნიშნავს, ქართულში ენაცვლება „კრახით დასასრული“, რაც არა გვგონია სწორი იყოს. გვხვდება ზოგიერთი კუთხური გამოთქმაც („ცხვირპირს დაუნთხლევს“), მაგრამ მთლიანობაში თარგმანი დასაწინ არ არის.

ასეთივე ღირსებისა ან გარდაცვლილი ნიჭიერი მსახიობისა და თავისებური პოეტის ნიკო გომელაურის მიერ თარგმნილი „ძველი სახლი“, სადაც ყველაფერი თანაბრად გამართული და უდავო არაა. მთარგმნელი, სიზუსტის მხრივ, ალაგ-ალაგ სცოდავს. მაგალითად, ერთ სტროფში „ბნედიანი“ უგულვებელყოფილია, მისი ადგილი „ჯალათს“ უკავია. სხვა შეუსაბამოებანიც შეიმჩნევა და ამის მაჩვენებელ რუსულ და ქართულ სტრიქონებს აქვე ამოვიწერ:

**И затеялся смутный, чудной разговор,
Кто-то песню стонал и гитару терзал,
И припадочный мальи — придурок и вор —
Мне тайком из-под скатерти нож показал.**

აი, ქართული პარალელიც:

**ატყდა უაზრო, უშნო კამათი,
ხმები მახალეს, სიმი დაღალეს,
ვიღაც სულელი, ქურდი, ჯალათი
დანას მიღერებს, რას არ მამბრალეს.**

ვისოცკის ბოლო ორი ლექსი („...День на редкость...“, „Если б я был физически слабым“) კოტე ყუბანეიშვილის თარგმნილია, მაგრამ გამიჭირდება ამ თარგმანებზე რაიმე სასიამოვნო ვთქვა. გარდა უზუსტობისა, ორივე ლექსში ხშირად ირღვევა რიტმი, რაც ტექსტის აღქმას აძნელებს. ნათქვამის დასტურად მოვიტან ერთ სტროფს — ორიგინალს და მის ქართულ თარგმანს:

**Ну а если я средних масштабов —
Что же делать мне, как же мне быть?
Не могу игнорировать бабов,
Не могу и спиртного не пить!**

არც მთლად გულმისაგვლად გამოხატული ეს ბოჰემური სულისკვეთება კოტე ყუბანეიშვილმა თავისებურად გადმოიტანა — ზოგი რამ შეცვალა, მაგრამ საერთო სურათი არ დაუმახინჯებია და საყვედურიც მხოლოდ მას არ ეკუთვნის:

**და რადგანაც საშუალო ტანით,
მე გახლავართ რა ვაკეთო სხვა,
ვტკბები ქალის მშვენიერი კანით
და არაყის არ მბეზრდება სმა.**

პოეტური სიტყვის დიდოსტატი და გამოჩენილი მთარგმნელი არსენი ტარკოვსკი (მან დაუვინყარი ამაგი დასდო ქართული პოეზიის თარგმნის საპატიო საქმეს) ამ კრებულში ძალზე მკრთალად გამოიყურება. ორი ლექსი, ალიკა დარჩიაშვილისა და კოტე ყუბანეიშვილის მიერ თარგმნილი, მის რჩეულებშიც არ არის შეტანილი და თვით თარგმანებიც არაფრით არ იქცევეს ყურადღებას, დედნიდანაც დაშორებულია. ამდენად, თუ ამ კრებულის მომდევნო, შესწორებული და შევსებული გამოცემა გამოვა, არსენი ტარკოვსკი უფრო ღირსეულად უნდა წარმოჩნდეს. გარდა ამისა, თავისი ასაკის გამო (იგი 1907 წელს დაიბადა) გაცილებით ნინ უნდა იყოს.

სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს (ვგულისხმობ, როგორც ორიგინალს, ასევე თარგმანს) გენადი შპალიკოვის, იგორ გუბერმანის, დიმიტრი პრიგოვის, ვადიმ შუკის, სერგეი განდლევესკის ლექსები.

ხალხური პოეზიის ცოდნასა და ირონიული ლირიკისკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს იგორ ირტენიევი. ფრანგული ყოფის ამსახველი მისი მახვილგონივრული ბალადა („У кюре была собака“), პაროდული ჟღერადობა რომ აქვს, უთარგმნია ა. დარჩიაშვილს, მაგრამ შიგადაშიგ გამოტოვებულია ზოგიერთი პასაჟი (მღვდელი ნუნკობისთვის თავის ძალღს თოფით კლავს და ასაფლავებს), რის გამოც ლექსი გაუგებარი რჩება.

კარგი თვალის და სხვათაგან გამორჩეული პოეტური ხელწერა აქვთ დიმიტრი ვედენიზინს და ეფიმ ბერშინს. მათი თითო ლექსი („ბაბუანვერა“ და „დედის ხსოვნას“) კარგად უთარგმნია კოტე ყუბანეიშვილს.

მომეჩონა გლეხ შუპლიაკოვის მოზრდილი თავისუფალი ლექსი „ჯემა-ალ-ფნა“, რომელიც პასუხისმგებლობის გრძნობით, ოსტატურად უთარგმნია შოთა იათაშვილს და ორიგინალის სული, აზიის მცხუნვარე ქალაქის ფერადოვანი სურათები, დღევანდელი დროის ფორიაქი ხელშესახებად გადმოუღია — ჩვენს თვალწინ არის გადაშლილი ძველი ხალიჩებით ჭრელი და მღელვარე ცხოვრება აღმოსავლური ქალაქისა, გვესმის ვეება მოედნის გუგუნი...

დღევანდელ პირობებში, როდესაც მრავალსაუკუნოვანი კავშირი რუსულ და ქართულ კულტურებს შორის საგრძნობლად შესუსტებულია და ჩვენს მწერლებსაც ადრინდელი გულითადი მეგობრობა აღარა აქვთ ერთმანეთთან, ამ ტიპის პოეტური კრებულის გამოსვლა, მიუხედავად არაერთი ნაკლოვანებისა, უთუოდ მოსაწონი და მისასალმებელია.

მაია ჯალიაშვილი

სურნელოვანი ღამის სიმწვანეში

ფოთლებმა და ყვავილებმა იცოდნენ,
როგორ ეცხოვრათ, მე კი — არა.
ჰერტა მიულერი

როგორია სამყარო?
ისეთი, როგორადაც აღვიქვამთ.
მშვენიერი, ჰარმონიული თუ ქაოტური
და მახინჯი?
ხან ასეთი, ხან ისეთი.
მთავარია ადამიანი, რომელიც ყოვე-
ლივეს აკვირდება და ცდილობს სამყაროს
კანონზომიერება აღიქვას, თავის სიცოცხ-
ლეს ამ საერთო კანონზომიერებაში ადგი-
ლი უპოვოს, ბუნების ნაწილად შეიგრძნოს
თავი.

ასეთი ადამიანები უპირატესად ხელო-
ვანი არიან.

ასეთი ადამიანები უპირატესად პოეტე-
ბი არიან — სულერთია, ქალაქზე გადმო-
აქვთ ნაფიქრ-განცდილი თუ უბრალოდ ასე
ფიქრობენ და ცხოვრობენ — გიორგი ლეო-
ნიძის ელიოზივით („ნატვრის ხე“).

ხელოვნება ადამიანს სამყაროს აღქმას ასწავლის.

რობერტ ვალზერის მთელი შემოქმედებაც უპირველე-
სად მშვენიერების დანახვასა და შეგრძნებაში ეხმარება
მკითხველს. მისი ნაწარმოებების მაგიური ძალით მკითხვე-
ლი გარდაიქმნება და სხვა მზერა, უხილავის დანახვის უნა-
რი უჩნდება. ამგვარი განცდა განსაკუთრებით ამ რომანში
„და-ძმა ტანერები“ წარმოიჩნდება. რობერტ ვალზერი (1858-
1956) შვეიცარიელი გერმანულენოვანი მწერალია, მსოფ-
ლიოში აღიარებული და დაფასებული. ქართველი მკითხვე-
ლი მის შემოქმედებას უკვე იცნობს მაია მირიანაშვილის
ჩინებული თარგმანებით („გასეირნება“, „იაკობ ფონ გუნ-
თენი“, „მარია“ და „თანაშემწე“). ქართველი მკითხველი უკ-
ვე იცნობს დოკუმენტურ-მემუარული ყაიდის ნიგნსაც „ხე-
ტიალი რობერტ ვალზერთან ერთად“, რომელიც ცნობილმა
მწერალმა და მეცენატმა კარლ ზელიგმა დაწერა (ესეც მაია
მირიანაშვილმა თარგმნა).

ცნობილია, რომ რობერტ ვალზერის რომანებით აღფრ-
თოვანებული იყო ფრანც კაფკა, რომელიც დიდი ენთუზი-
აზმით ლაპარაკობდა მათ შესახებ, როცა კი შემთხვევა მიე-
ცემოდა. ხოლო ჰერმან ჰესე წერდა: „რობერტ ვალზერის
შემოქმედებას რომ ყველა იცნობდეს, ალბათ, სამყარო
უკეთესი იქნებოდა“.

ვალზერის მკითხველს უხილავის შეგრძნების უნარი
უმახვილდება.

ქართულ ლიტერატურაში იდუმალისა და მშვენიერის
დასანახავი თვალის ახელას ყველაზე უფრო ვაჟა-ფშავე-
ლას ნაწარმოებები უწყობენ ხელს. ვაჟას სამყაროსეული
აღქმა მკითხველს რომანტიკოსად აქცევს: „რამ შემქმნა

ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა?“ ეს სტრიქონი
ტკბილ-მწარე სევდითაა სავსე და ნელი სიხარულით აღავ-
სებს მკითხველის სულს.

რა აუტანელია ადამიანის მარტოსულობა ამ სამყაროში
და თანვე რა აუცილებელი იმისათვის, რომ დაინეროს:
„ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი, ვერღა აღ-
ვანთე დაშთომილი მისი ლამპარი...“ (ბარათაშვილი).

ამიტომაც ჩვენს შთაბეჭდილებაში რობერტ ვალზერის ამ
რომანის მთავარი გმირი სიმონი უპირველესად ბარათაშვილ-
სა და ვაჟა-ფშაველას ენათესავება. რა თქმა უნდა, ამგვარი
მარტოსული, ყოფნა-არყოფნის წყევლაკრულვიან საკითხავ-
თან შეჭიდებული არაერთი „ნათესავი“ მოე-
ძებნება მას მსოფლიო ლიტერატურაში,
უპირველესად ჰამლეტი, მაგრამ მაინც აქვს
რალაც თავისი, რაც ყველასგან გამოარჩევს
და დასამახსოვრებელ სახეს ქმნის. სიმონი
მაძიებელია, სულ მუდამ იცვლის ადგილსა
და გარემოს, ეს მას საკუთარი თავისა და
სხვების შემეცნებაში ეხმარება.

რობერტ ვალზერი ამ რომანში უხვად
იყენებს თავის ცხოვრებისეულ დეტალებს.

ამ რომანის გაცნობით კი კიდევ ერთ
ნაბიჯს გადავდგამთ მისი მრავალფერო-
ვანი, სიკეთით, სიყვარულითა და რწმენით
აღსავსე სამყაროს შესაცნობად.

მწერალი ამ რომანში თვალს მიადევ-
ნებს, თუ რა აყალიბებს ადამიანის ხასი-
ათს. იცვლება იგი თუ თავიდანვე გან-
საზღვრულია მისი რაობა, სურვილები,
მისწრაფებანი.

რომანში და-ძმა ტანერები იხატებიან, როგორც სამყა-
როს შესაცნობად „გამგზავრებული“ ადამიანები. შემეცნე-
ბის ამ გზაზე მათ მიჰყვებათ ოჯახური მოგონებანი, ტკბი-
ლი ბავშვობის ნაირფერი და სურნელოვანი სურათები. მა-
თი გზები ხან ერთდება და ხან ისევე გაიყრება, რათა მონატ-
რებამ მწარე ნალველი დაბადოს და კვლავ ერთმანეთისკენ
მიახედოს. მათ შორის დრო-სივრცის მიერ გაჩენილ ნაპრა-
ლებს მწერალი წერილებით ამოავსებს, რომლებიც საგსავა
სინაზითა და სიყვარულით.

რომანში სამი ძმა და ერთი და ცხოვრების ბილიკებს
მარტონი მიუყვებიან. მარტოსულობა თითქოს მათი საგვა-
რეულო დალია. და-ძმას შორის გამორჩეულია 20 წლის სი-
მონი, სწორედ მის თავგადასავალს გვიამბობს მწერალი.
მისი ცხოვრების სულ ორიოდე წელიწადია წარმოჩენილი,
მაგრამ ყოველივეს ისე გვიხატავს, რომ ეს საკმარისია პერ-
სონაჟის გასაცნობად და შესაყვარებლად.

ვალზერი პერსონაჟს სხვადასხვა ვითარებაში გამოაც-
დევინებს თავს, უპირველესად ეს არის გარკვეული დროით
ჯერ ქალაქში ცხოვრება — შემდეგ სოფელში, რათა შეძ-
ლოს დაინახოს, რას იძენს თუ კარგავს ადამიანი, როდესაც,
ერთი მხრივ, სოფლის გაშლილ სივრცეში ლაღად ურთიერ-
ობს ბუნებასთან, მეორე მხრივ, ქალაქის ერთგვარ „ჩაკე-
ტილ“ სივრცეში უღრმავდება უსაშველო მარტოსულობას.

სიმონი ხან თვითონ ირჩევს სამსახურს, ხან სხვა ურჩევს
— ესეც გამოცდილებისთვისაა, რათა შეძლოს არჩევანი.

საგულისხმოა ეპიზოდები, რომლებშიც ჩანს, როგორ
მსახურობს ერთი მდიდარი ქალბატონის ოჯახში. აქ სამსა-
ხური მთლიანად შთანთქავს, ფიქრის დროს უკარგავს, ესე



ბლზიტ ვალზერი
და-ძმა ტანერები



იგი, მეობას საფრთხეს უქმნის. თუმცა სიმონი სრულიად პროზაულ ყოფაშიც პოეტად რჩება. ასე რომ, მწერლის აზრით, ვერანაირი გარემო და ყოფითობა ვერ ჩაკლავს ადამიანში სილამაზის აღქმის უნარს, მთავარია, ეს თანდაყოლილი უნარი გქონდეს, მაშინ სიმონივით სხვისი ფეხსაცმლის ყოველდღიური უაზრო წმენდა კი არ გაგაბოროტებს, არამედ ამ უსიხარულო ყოფაშიც სიხარულს შეგაგრძნობინებს, თუ იფიქრებ ფეხსაცმლის სილამაზესა და მისი პატრონის კეთილშობილებაზე.

ესე იგი, მწერლის აზრით, ცხოვრება პოეტურია. მთავარია, შენ არ იყო ანგარიშიანი, პრაგმატული, შეგეძლოს უხეში რეალობის მიღმა სილამაზის დანახვა, მაშინ შენს აღტაცებას ვერაფერი შეუშლის ხელს და სულ გაოცებული იქნები. ეს გაოცება ყოველდღე ახლიდან აღმოგაჩენინებს სამყაროს, როგორც უთვალავფერიან ნახატს და სიხარულს მოგანიჭებს. მაგალითად, როგორ აღიქვამს სიმონი ავადმყოფი ბიჭუნას ხელებს: „ბიჭს მეტად ლამაზი ხელები ჰქონდა, უმწეოდ ეწყო საბანზე და ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ამ ბიჭის ავადმყოფობის მთელი ტკივილისა და სირცხვილის ტარება საკუთარ თავზე აეღოთ. სიმონს კიდევ დიდხანს, თანაც სიყვარულით, სურდა დაკვირვებოდა ამ ხელებს“.

სიმონს ხიბლავს ადამიანთა უშუალო, ბუნებრივი დამოკიდებულებანი. იოლად იღებს შენიშვნასა თუ საყვედურსაც, რადგან ფიქრობს, რომ ეს ადამიანებთან აახლოებს. ქალებსა და ბავშვებს უნდა დაემორჩილო, ეს სულაც არ ნიშნავს ღირსების შეურაცხყოფას — ასე ფიქრობს იგი. ის არის ადამიანი, რომელიც თავის ხასიათს თვითონვე აყალიბებს — იგი ისეთია, როგორც თვითონ სურს და არა ისეთი, როგორც სხვას უნდა, რომ იყოს. ამიტომაც ის სხვანი, რა თქმა უნდა, ხშირად უცნაურად აღიქვამენ მის საქციელს.

ნებისმიერი საქმიანობისას, მაგალითად, საყიდლებზე სიარულისასაც კი, ცდილობს სიამოვნება მიიღოს, სიყვარულით შეასრულოს ყველა დავალება და არ დაავინყდეს ზემოთ ახედვა: „უნდა იგრძნო, რომ იქ მალა, შენს თავს ზემოთ, რაღაც საოცრად ლამაზი და უსასრულოა, ცოტა მოლივლივე, იქნებ ცისფერი, და რა თქმა უნდა, საოცრად მსუბუქი“.

მწერალი კონტრასტულ გარემოში გვიხატავს პერსონაჟს. სიმონი ხან ბუნების წიაღში დახეტიალობს ლალი და თავისუფალი, ხან პატარა სამზარეულოშია, მოვალეობის ტვირთით, მაგრამ ახერხებს ბედნიერების გრძნობა არაფერს ჩააშხამებინოს: „მიხარია, ასე შეყუჟულად, მყუდროდ რომ ვარ. რაში სჭირდება ადამიანს მუდამ უსასრულო სივრცე, სადაც გამუდმებით სიმყუდროვის ნოსტალგია სდევს“; თანაც აქ: „ჭიქები ერთმანეთთან შეხებისას ასე სასიამოვნოდ ნკარუნობენ“.

სიმონი ხშირად ფიქრობს ათას რამეზე და რომანიც უპირველესად მისი ფიქრის ნაკადებია. იგი ცხოვრებას ისეთს იღებს, როგორც არის, უბრალოდ, ცდილობს ყოველივეში ლამაზი აზრი დაინახოს. არის რაღაც მისტიკური მის ამგვარ დამოკიდებულებაში გარემოსთან: „მე ხომ ჯადოსნურის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია“.

საიდუმლო იზიდავს მას ყველაფერში და თვითონვე ასაიდუმლოებს ყოველივეს. ამიტომაც ბავშვურია მისი ქცევა, სწორედ ბავშვისთვის დამახასიათებელი აღტაცებითა და გაოცებით შესტყერის სამყაროს, თითქოს ღმერთი სწორედ ახლა მის თვალწინ ქმნის ყოველივეს და ის ერთადერთი მხილველი და თანადადმსრეა ამ ღვთაებრივი საქმი-

ანობისა. ეს დაახლოებით იმგვარი აღტაცებაა, ჩვენი პოეტი რომ გამოთქვამს ერთ სხვებისთვის ჩვეულებრივ, მაგრამ მისთვის უჩვეულო ლამეს: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი...“ ჯერ არასდროს... ეს არის მთავარი. ამ „გაცვეთილ“ და ათასგზის აღწერილ სამყაროში შენ პირველი აღმოაჩენ რაღაც უჩვეულოსა და ჯერ არნახულს, ოღონდ ეს რომ შეძლო, სხვანაირი უნდა იყო, სიყვარულითა და მაღლით სავსე.

სიმონმა იცის, რომ თანაგრძნობა ადამიანებს აახლოებს, ამიტომაც ყველას მიმართ, განურჩევლად ნაცნობისა თუ უცნობისა, უცნაურ თანაგრძნობას ამჟღავნებს.

მას ხიბლავს ადამიანთა თუ საგანთა დახვეწილობა და სინატიფე. ამიტომაც ნახულობს სიზმარს პარიზზე და აქვს განცდა: „ღმერთი თუ სადმე დედამინაზეა, ალბათ ეს პარიზი იქნება“. მწვანით მოსილ პარიზის ქუჩებში უცებ ბარდნა დაიწყება. მწვანე და თეთრი ფერების შეხამება საოცარ ვიზუალურ ხატს ქმნის. ეს პარიზისთვის ჩვეულია. ამიტომაცაა, რომ ფრანგი მწერლები ასე ლამაზად წერენ. „ჰაერი მთლად ცისფრად, თბილად ჩამოწვება ქუჩებზე. პარიზში ცაც კი სეირნობს და აღფრთოვანებულ ადამიანებში ერევა. ერთ დღეში აყვავდებიან ხეები და საოცარ სურნელს მოჰფენენ, ჩიტები აჭიკჭიკდებიან, ღრუბლები ცეკვას მოჰყვებიან, ყვავილები წვიმასავით დაიწყებენ ჰაერში ფრენას“, — ასე აღუწერს კლარა სიმონს პარიზს.

აქ ჩანს გერმანული კულტურის შვილის ფრანგული კულტურით გატაცება — სხვადასხვაობის შეგრძნება და უცხოთი აღტაცება. ამიტომაც ბუნებრივია, რომ სიმონი სტენდალის რომანებს საოცარი გზებით კითხულობს.

მწერლის აზრით, ხელოვნება წმინდა მსახურებაა. ამიტომაც არის, რომ ცდილობს თავისი ნაწარმოებებით და უპირველესად, ამ რომანით მკითხველის სულსა და გონებაში რწმენისა და სიყვარულის წყურვილი გააღვიძოს.

რომანში არის ნოსტალგია ბუნებრივი, უშუალო ყოფისა. ცივილიზაცია, ერთი მხრივ, ადამიანს უქმნის ფიზიკურად კომფორტული არსებობის პირობებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი სულიერი ჯანმრთელობისთვის ერთგვარი საფრთხეა. ამიტომაც გრძნობს სიმონი უნუგემო „სილატაკეს“, დაკარგულობას.

სიმონს კიდევ ჰყავს ერთი ძმა, ემილი, რომლის თავგადასავალიც ბიბლიური უძღვები შვილის იგავს იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ შინ დაბრუნებული ვერ ისვენებს და კვლავ სახეციალოდ გარბის, რაც საგიჟეთში მისი მოხვედრით მთავრდება. მწერალი უცნაურად ჩართავს ამ ძმის ამბავს რომანში, სიმონს სხვები უყვებიან ვილაც ჭკვიანი და გადარეული ყმანვილის შესახებ და მის ასეთ ბედში მშობლებს ადანაშაულებენ. სიმონი კი დარწმუნებულია, მხოლოდ ადამიანის სულია ყოველივეს წარმმართველი, როგორც სულიც გაქვს, ისეთივე ცხოვრება გექნება და ვერავინ ვერ შეცვლის.

სიმონი მიიჩნევს, რომ უბედურებას არ უნდა გაურბოდეს ადამიანი (ან სად გაექცევა!), ის ხომ ადამიანს პიროვნებად აყალიბებს: „მე უბედურების მეგობარი ვარ... ის ჩვენ უკეთესს გვხდის“... „უბედურება ლამაზია, რადგან ის ბედნიერებასაც მოიცავს. მას აქვს გამანადგურებელი, მაგრამ, ამავე დროს, ნაზი, საყვარელი ხმა. ის ახალ ცხოვრებას აღვიძებს“. „სად გაგონილა სიყვარული პატარა უბედურების გარეშე? სიზმარი, ოცნება უფრო ლამაზია, ვიდრე რეალობა, რადგან როცა ვოცნებობთ, მხოლოდ მაშინ შეგვიძ-

ლია ჩავენდეთ უბედურების სიტკობებსა და მის მომავალ-
დობელ სიკეთეს“.

სიმონი, რა თქმა უნდა, მწერლის ალტერეგოა, ამიტომაც მძაფრად წარმოჩნდება სამშობლოსთან მისი მიჯაჭვულობა. იგი ფიქრობს, რომ სხვა ქვეყნებში ასეთი ლამაზი მზე არ იქნება: „ვალარებ, ხშირად აქ თავს უმწეოდ ვგრძნობ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩემი სამშობლოს ცის ქვეშ შემოიღია მხოლოდ სუნთქვა, ცხოვრება... განა ბუნება მიდის სადმე საზღვარგარეთ? გადასახლებიან კი ხეები სადმე, რომ უფრო მწვანე ფოთლები გამოისხან და შემდეგ შინ დაბრუნდნენ და იტრაბახონ ამით?“ „მსხვერპლი მხოლოდ დედამამშობლოსთვის შეიძლება გავილო, თუ ამის საჭიროება დადგა“.

ვალზერისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ადამიანს ცოცხალი რწმენა ჰქონოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში გამყლავნებულებიყო მადლი: „რაში სჭირდება მას ჩვენი ლოცვა, როცა ასე კადნიერად და უგულოდ ავძახით მალა, გეგონება, ყრუ იყოს?! განა სჭირდება ადამიანს ღვთის წინაშე თამაში, მას ხომ ისედაც ესმის. თუ ქადაგებები და ორლანის ხმა ურჩევნია?“

ბუნებაში იგი ყველაზე მეტად შეიგრძნობს უხილავთან სიახლოვეს: „ტყეში საღამო ჟამს საუცხოო ხმები შემოგეგებება, მკვეთრი, მაგრამ თან ნაზი, სიმშვიდის მომგვრელი. იქ კი შეუძლია კაცს დაისვენოს, ილოცოს. ტყეში კაცს თავისთავად უნდება ლოცვა. ესაა ერთადერთი ადგილი, სადაც ღმერთი ყველაზე ახლოსაა. იქნებ უფალმა სწორედ ამიტომ შექმნა ტყე, რომ იქ შეაბიჯო, როგორც წმინდა ტაძარი და ილოცო. ერთი ასე ლოცულობს, მეორე ისე. ტყეში ნაძვის ქვეშ წამოწოლილიც, წიგნს რომ კითხულობს, ესეც თავისობური ლოცვაა. ლოცვა ხომ ფიქრებში ჩაყარვია. უფალი იქაა, სადაც საჭიროა. ტყეში გრძნობს კაცი უფალს, იქ, ამ მშვიდ აღფრთოვანებაში ეძლევა მას რწმენა“.

ვალზერი, ამ თვალსაზრისით, რომანტიკოსებს ენათესავება. მისთვისაც მნიშვნელოვანია სამყაროს კანონზომიერებისა და ჰარმონიულობის შეცნობა, ღვთის მწყობრული თვალის შეგრძნება და დროში არსებობის ტკივილის ამგვარად გადალახვა: „სიმონი ამ დიდ საოცრებას მიმტერებოდა. ზოგჯერ უჩვეულო გრძნობა ებადებოდა, თითქოს ის შორეული სამყარო, საიდანაც მთვარე ამოდოდა, იმდენად ახლოს იყო მასთან, რომ შეხებაც შეეძლო. ყველაფერი საოცრად ახლოდ ესახებოდა. რა ჰქვია იმ ცნებას, რომელიც ამგვარ სიმორესა და სიახლოვეს ერთდროულად გამოხატავს, მოულოდნელად უსასრულობას ასე ახლოს რომ წარმოაჩენს ამ დამძიმებულ, ხმაურიან, სურნელოვან ღამის სიმწვანეში“.

სიმონისთვის ყველაზე დიდი გამოცანა ცხოვრებაა, რომელიც ხშირად სასტიკია და მძულვარებით ეგებება ყოველ ახალ „სტუმარს“. ცხოვრება დროებითი სამყოფელია, გზაა, რომელიც ადამიანს „ზრდის“ და აქცევს „რაიმედ“. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ამ გზაზე მდგომ სიმონს თავი არარაობად მიაჩნია: „ჯერაც ისევ ცხოვრების ჭიშკართან ვდგავარ, ვაკაკუნებ, ვაკაკუნებ, იქნებ ცოტა გახელებულიც და ველი, რომ ვინმე მოვა და კარს გამიღებს. ურდული მეტად მძიმეა და კარის გაღება არავის ეხალისება, მითუმეტეს, თუ გრძნობს, რომ იქ მათხოვარი დგას და აკაკუნებს. მე არარაობა ვარ — ვილაცის მორჩილი, ან მომლოდინე და, ამავე დროს, მეოცნებეც, რადგან მოლოდინის ჟამს ოცნება ვისწავლე“.

ის მიხვდა, რომ ბედნიერება და ტკივილი ერთმანეთს ჩრდილივით დასდევენ. ორივე „აღმზრდელია“ მისი სულისა. როგორც კონსტანტინე გამსახურდიას საჯარსამიძე („დიონისოს ღიმილი“) ამბობს, კაცს ხიფათი იმიტომ შეემთხვევა, რომ თავის თავსა და ღმერთს მიაგნოსო. სიყვარული და ტანჯვა სიმონის ულალატო მეგობრები არიან. მთავარია, თვითონ არ გაეცქერს რომელიმეს და, ამგვარად, დაფარულია და უხილავისკენ მიმავალი გზიდან არ გადაუხვიოს.

რომანში ყურადღებას გზის სიმბოლიკაც იქცევს. მწერალი პერსონაჟს წარმოაჩენს როგორც მუდმივად გზაჯვარედინზე მყოფს, სულ — არჩევნის გაკეთების ჭოჭმანში. მთავარი ის კი არ არის, შეცდომა მოუვა თუ არა, არამედ ის, რომ „უკან“ არ დაბრუნდება და „გზას“ გააგრძელებს იმის მოლოდინით, რომ მომავალ გზაჯვარედინზე სწორ მიმართულებას აირჩევს.

სიმონს განსაკუთრებით ზამთარი უყვარს და ამიტომაც რომანში უხვადაა დათოვლილი სერების ფერწერული სურათები. ეს კამკაშა და ყოვლის მშთანთქმელი სითეთრე თითქოს მისი სულის ამალღებულისა და შეურყეველისკენ სწრაფვას ირეკლავს. ამ სითეთრეში თითქოს უფრო მძაფრად წარმოჩნდება მიწიერი ვნებების ბინიერება. საგულისხმოა ისიც, რომ ვალზერმა თითქოს წინასწარმეტყველურად განჭვრიტა თავისი სიკვდილი. რომანში აღწერილია, ქალაქგარეთ როგორ დახეტიალობს სიმონი თოვლში და უცებ თოვლზე უცნაურად წამოწოლილ კაცს მოჰკრავს თვალს. წამოწოლილი კი მკვდარი პოეტი, სებასტიანი აღმოჩნდა, რომელსაც უბეში წითელი წიგნაკი ედო, ხელნაწერი ლექსებით.

სიმონი ფიქრობს: „რა დიდებულ ადგილას მოუძებნია საფლავი. მარადიულ სიმწვანეში, თოვლით დაფარულ ნაძვებქვეშ. არავის გაუფხელ ამის შესახებ. თავის მკვდრებს ზემოდან ზეცა მიხედავს, ვარსკვლავები უმღერენ საამოდ, ღამის ფრინველებიც იღუღუნებენ, ეს იქნება საუკეთესო მუსიკა მისთვის, რომელსაც არც აღარაფერი ესმის და ვერც ველარას შეიგრძნობს. შენი ლექსები, ჩემო სებასტიან, რედაქციაში მინდა მივიტანო, იქნებ იქ წაიკითხონ და დაბეჭდონ კიდევ, რომ შენი ბრწყინვალე, ლამაზად მჭლერი გვარი სამყაროშიც გაიგოს. დიდებული სიმშვიდეა აქ! თოვლში, ამ ნაძვებქვეშ გაშუშებული წოლა, ეს საუკეთესოა, რისი გაკეთებაც შეძლო“.

ვალზერიც ასე იპოვეს თოვლიან ტყეში გარდაცვლილი. მწერალს სჯერა ადამიანის სულის უკვდავებისა. სიმონი ამბობს: „ადამიანი მარადიულია. მაშინაც შენი ვიქნები, როცა ამქვეყნად აღარც მე ვიქნები, აღარც შენი მტვრის ნასახი; საჩუქარი ყოველთვის უფრო დიდხანს ცოცხლობს, რათა იგლოვოს საჩუქრის მფლობელი. მე საჩუქრად ვარ დაბადებული. ყოველთვის სხვას ვეკუთვნი. სამწილად მტკიოდა გული, როცა მთელი დღე ისე აბნეული დავიარებოდი და ვერავის ვპოულობდი, ვისთვისაც საკუთარი თავი შემეძლო შემეთავაზებინა“. ვალზერმა მკითხველს თავისი რომანები აჩუქა და ვიდრე ამ საჩუქარს „პატრონი“, იგივე მკითხველი ეყოლება, მწერალსაც სჯერა ადამიანის სულის უკვდავებისა.

რომანის მთავარი გმირი, სიმონი, დიდი მეოცნებეა და მკითხველსაც აჯერებს სურნელოვანი ღამის სიმწვანეში დაბადებულ სასწაულებში.

ვალზერმა მკითხველს თავისი რომანები აჩუქა და ვიდრე ამ საჩუქარს „პატრონი“, იგივე მკითხველი ეყოლება, მწერალსაც გაუხანგრძლივდება სიცოცხლე.

და ლამის გარეთ ყინული გალხვა...

ხშირად ხაზგასმით აღინიშნება ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის შესახებ, მაგრამ არა მგონია, ეს ურთიერთობა ოდესმე ისე ხელშესახები და თვალნათლივი ყოფილიყო, როგორც მან საქართველოს დამოუკიდებლობისას შეიძინა.

თუნდაც საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში ასულ ებრაელებზე ვთქვათ. როგორ მოსტირიან საქართველოს, როგორი რულდუნებით უვლიან იქ, ისრაელში, ქართულ სულიერებას: მუსიკას, ლიტერატურას, კულტურას, ყოველივე ქართულს, რაც თან გაიყოლეს, და ცდილობენ იქაც განავრცონ, დამხვდურ ებრაელობას მოუთხრობენ და აოცებენ ჩვენი ურთიერთობებით.

რაც შეეხება იმ ებრაელებს, რომლებიც ვერ შეეღივნენ, ვერ მოსწყდნენ ქართულ მიწას, ჩვენი კულტურას, ლიტერატურას, პოლიტიკას, ბიზნესს თავისი ღვანლით ამდიდრებენ. მათზე საუბარი ძალზე ვრცელი იქნებოდა. მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის კეთილ საქმიანობაზე მოვითხრობთ.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე და თანათავმჯდომარე ნელი გურგენიძე, საქართველოში მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის ასოციაცია — პრეზიდენტი ევა ბაბალაშვილი, თბილისში, ებრაელთა სათემო სახლში განთავსებული კლუბი „26 საუკუნე“ — ხელმძღვანელი ზაირა დავარაშვილი. ეს ორგანიზაციები თავისი საკუთარი პროგრამებით, პროექტებით მოღვაწეობენ, მაგრამ აწყობენ ერთობლივ ღონისძიებებსაც, რაც ჩვენი კეთილმეგობრული და კეთილგონივრული ურთიერთობის გამყარება-გაღრმავებას ისახავს მიზნად.

ამ შესვენებებზე იკრიბებიან ქართველები და ებრაელები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები თუ უბრალო მოქალაქეები, მაგალითად, მრავალშვილიანი დედები. შესვენებებზე მონაცვლეობით წარმოაჩენენ ქართველი თუ ებრაელი სტუმრის ღვანლს ქვეყნის წინაშე, მოისმენენ მათ საინტერესო საუბარს ამა თუ იმ თემაზე. შესვენება-ზეიმების თანმხლებია მხატვრული პროგრამაც. ასე რომ, იგი გართობა-დასვენებასაც მოიცავს. დაბოლოს, მთავრდება დაჯილდოება-დასაჩუქრებთი.

შარშან იენისში, გლდანში, „თეთრ ტბაზე“, საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ და საქართველოში მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის ასოციაციამ დაუვიწყარი ზეიმი მოუწყვეს ებრაელ და ქართველ ბავშვებს.

ზაირა დავარაშვილი ყოველ გაზაფხულზე ებრაელთა სათემო სახლში ებრაულ დღესასწაულს ფურიმს და დედის დღეს ისეთი აღმაფრენით, გულწრფელობითა და სიყვარულით აღნიშნავს, იფიქრებ, მთელი წელი ამ დღისთვის ემზადებაო.

სულ ახლახან „ვერიკოს“ თეატრში ასოციაციების ხელმძღვანელებმა მაია კვეზერელი-კოპაძემ, ნელი გურგენიძემ და ევა ბაბალაშვილმა ერთობლივად საზეიმო საღამო მოუწყვეს პოეტ თემურ ჩალაბაშვილს, მისი დაბადების 60 წლის აღსანიშნავად, და ამერიკული ორგანიზაციის „ჯოინთის“ ხელმძღვანელს ზოჰარ (ზურაბ) დავითაშვილს.

საზოგადოება არ მოერიდა ძლიერ ცინვას და მოლიბულ გზებს, რაც ჯამლეტ ხუხაშვილმა მათ გმირობად ჩაუთვალა. ვფიქრობ, ამ ორი საპატიო პიროვნების მიმართ პატივისა და დაფასების გამოსატვის გარდა, იყო დიდი სურვილი ორი ერის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ ერთმანეთისათვის თანადგომა, სიყვარული, პატივისცემა.

ეს ყოველივე დამსწრეთა შორის, მართლაც, ნათლად იგრძნობოდა.

საღამოს უძღვებოდნენ ევა ბაბალაშვილი და ჯამლეტ ხუხაშვილი, მაგრამ ბატონმა ჯამლეტმა ომანიანი ხმით, დაუოკებელი ტემპერამენტით მეუღლეს იოლად აართვა ინიციატივა. თითოეული სტუმრის გვარ-სახელთან ერთად აცხადებდა მათ საქმიანობას, ხოტბა-დიდებასაც არ იშურებდა, ჩვეულ იუმორსაც აშველებდა და დარბაზში მხიარული, უშუალო განწყობილებაც მალე შეიქმნა.

განწყობა უჩვეულო გარემოშიც შექმნა. ჩვენ ხომ დიდი ვერიკოსა და მიხეილ ჭიაურელის, უსაყვარლესი სოფიკოს და უნიკალური კოტე მახარაძის სამყაროში ვიმყოფებოდით.

საღამოზე ტრადიციულად წარმოადგინეს საქართველოში მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის ასოციაციის მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწეობის ამსახველი კლიპი. ისაუბრეს ასოციაციის საქმიანობაზე.

შემდეგ მთავარი სტუმრების — თემურ ჩალაბაშვილი-სა და ზოჰარ დავითაშვილის — წარდგენის დროც დადგა.

ზოჰარ დავითაშვილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. საშუალო განათლებაც აქ მიიღო. მერე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში წავიდა. 11 წელი სხვადასხვა სამსახურში გაატარა. თელ-ავივის ღია უნივერსიტეტში სწავლობდა. დიდი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა. ექვსი წელი იმუშავა ამერიკულ საკანცელარიო და საკომპიუტერო ქსელში — რიგითი თანამშრომლიდან ფილიალის დირექტორის მოადგილეობამდე მიაღწია. არასოდეს ტოვებდა ფიქრი იმაზე, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო. ეს დროც დადგა. ისრაელში გაიცნო მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც ბიძაშვილის ქორწილში იყო ჩასული. მოენონათ ერთმანეთი და მალევე დაქორწინდნენ.

ბატონი ზოჰარი ამჟამად ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ჯოინთის“ ხელმძღვანელია, რასაც იგი დიდ პატივად მიიჩნევს. „ჯოინთი“ დაგეგმილი პროგრამით ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ მთელი მსოფლიოს ებრაელობას, მათ შორის საქართველოში მცხოვრებ სიდუხჭირეში მყოფ ებრაელებს. ბატონი ზოჰარი და მისი თანამოსაქმენი, მართლაც, მადლიან საქმეს ემსახურებიან და, როგორც ჩანს, სამომავლოდ საქართველოში უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები გახდება მათი ღვანლი.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, საქართველოდან წასვლისას თან რას წაიღებდით, დაუფიქრებლად ვიციყადი, ქართულ ურთიერთობას, რომლის მსგავსად არასად, არასოდეს შემხვედრია. ეს მინა მართლაც დალოცვილია და დალოცვილი იყოს უკუნითი უკუნიამდე, — ბრძანა ბატონმა ზოჰარმა.

ზაირა დავარაშვილმა, როგორც უფრო დაახლოებულმა პირმა ბატონ ზოჰართან, ისაუბრა მის საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ მისი დიდი იმედი აქვთ, მისგან ბევრს ელოდებიან. თქვენში, — მიმართა მან ბატონ ზოჰარს, — არის ქართულ-ებრაული ბუნების სინთეზი, სული, ხასიათი — ისრაელური მენტალიტეტით გაჯერებული, ეს ცოტას როინიშნავს. მინდა გავიხსენო დიდი რაბინის ადინ შტაინ-ზალცის სიტყვები: „მზე ნათელს გვჩუქნის და სანაცვლოდ არაფერს გვთხოვს“. ამის მსგავსია თქვენი და თქვენი ორგანიზაციის უშურველი და უანგარო მოღვაწეობა.

ბატონი თემურისა და ბატონი ზოჰარის მიმართ მილოცვა — კეთილი სურვილები არ დაიშურეს კომპოზიტორებმა მარიკა კვალაშვილმა, ვაჟა აზარაშვილმა, მწერალმა და მთარგმნელმა ჯემალ აჯიაშვილმა, პოეტებმა

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილმა და მარინე თექეთმანიძემ, მაია კვეზერელი-კობაძემ, ნელი გურგენიძემ, ქოენმა რაფაელ მესენგისერმა, ნელი ჩაფიძემ. ისინი გულწრფელად მადლიერებას გამოხატავენ მათი მოღვაწეობის გამო და სამომავლოდაც წარმატებებს უსურვებდნენ.

ითქვას, რომ **თემურ ჩალაბაშვილის** შუშანიკისადმი მიძღვნილი ლექსი — „ო, დედოფალო“ მენამულ ხავერდზე ამოქარგული მეტეხის ეკლესიაში, წმინდანის საფლავს ამშვენებს, ხოლო ლექსს „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებლო“ ერის სულიერმა მამამ **ილია მეორემ** მართლმადიდებლობის ჰიმნი უწოდა. მისი ლექსები თარგმნილია აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და რუსულ ენებზე. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ნოვატია, პუბლიცისტური წერილი. მრავალი წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია. თემურ ჩალაბაშვილის ნაღვანს მართლაც, რომ სანთელივით ადგას დიდი გალაკტიონ ტაბიძის და ივანე მაჩაბლის პრემია.

ბატონმა თემურმა 40 წელი დაჰყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. გახლდათ სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, მხარში მდგომი და გზის გამკვლევი მომავალი ჟურნალისტიკისა და დამწყები მწერლებისათვის.

— თემური არის დიდი ქართველი და მემამყება მასთან მეგობრობა. თემურს დიდ პატივს ვცემ, რადგან მისთვის მთავარი კრიტერიუმია ადამიანი. ბიბლიურ დავითს პოეზიის მამას უწოდებდნენ. მას ჰქონდა ქნარი, რომელიც ქარის დაბერვისას თვითონ უკრავდა. თემურს ძალიან კარგად აქვს პოეზიის ქნარი მკერდს მიდებული და გვატკბობს თავის ლექსებით, — აღნიშნავდნენ საღამოს მონაწილენი.

— სახლში მეგობარი მენვია. ცოტა ხნით ოთახში მართო დავტოვე და, რომ შევბრუნდი, თემურ ჩალაბაშვილის ლექსთა კრებულს ინტერესით ჩაჰკირკიტებდა. მითხრა, ან უნდა დავრჩე და ლექსები ბოლომდე წავიკითხო, ან სახლში გამატანო. უარი ვერ ვუთხარი, ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნი მაინც ვათხოვე. ერთი კვირის შემდეგ ორი წიგნი მომიტანა. ერთი ჩემი, ერთიც ქსეროქსზე გადაღებული.

მეორე ამბავსაც გავიხსენებ. რადიოში თემურთან ერთად პირდაპირი ეთერი გვექონდა. საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან გვირეკავდნენ, ლოცავდნენ და მის ლექსებს იხსენებდნენ. მერე სთხოვეს, მასაც წაეკითხა, ოღონდ ნელა, ჩანერა რომ მოვასწროთ, წიგნის საყიდლად ფული არ გვაქვსო, — წუხდნენ.

ეს ეპიზოდები ფილოსოფოსმა **რეზო ბალანჩივაძემ** გაიხსენა.

საღამოზე მაია კვეზერელი-კობაძის სტუდენტებმა **თორნიკე რაზმაძემ, თამარ აღნიაშვილმა, ეკა ლობჯანიძემ** ისაუბრეს თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედებაზე, ნაიკითხეს მისი ლექსები.

ბატონმა თემურმა, როგორც სჩვევია, მოკრძალებით ისაუბრა თავის შესახებ და სათქმელი ლექსებით თქვა. ისიც აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მთებერვლი ღირშესანიშნავი თარიღია. ეს არის დავით აღმაშენებლის ხსენების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაბადების დღე.

ქიზიყში დაიბადა. ქიზიყური სიჯიუტით უყვარს თავისი ქვეყანა. რას ნიშნავს ქიზიყური სიჯიუტე? ამას მისი ლექსები პასუხობენ: „**სისხლში მობანავე საქართველოს ჯავ-**

რი ხატისხატად მისვენია“, „აჰა, სამშობლოვ, შვილი ერთგული, დაადგი შენი მიძიმე უღელი“, „**ღმერთო კი მომკალი, როცა ქართველი არ წაიკითხავს „ვეფხისტყაოსანს**“, „**ისეთი შვილი რად გინდა, სამშობლო არა სტკიოდეს**“. ეს მცირე ამონარიდია ბატონი თემურის ლექსებიდან, რომლებსაც ერთი ნაკითხვით ვერ დაშორდები, ისევე ნაკითხვა გინდება, ზეპირად სწავლის სურვილი გებადება.

თემურ ჩალაბაშვილი ის პიროვნებაა, მწყურვალისათვის წყალი რომ მიაქვს, თავად „სიღარიბით მდიდარი“ მშინერს ლუქმას გაუყოფს. „**მტანჯავს, არ მასვენებს კითხვა, ღმერთთან ერთი რამ მაქვს სათხოვარი, როგორ განვიკითხო მითხრას, თავად მათხოვარმა მათხოვარი?**“, „**მომკალი, ოღონდ ნუ დამანახვებ მშეირი ბავშვის მოწყენილ სახეს.**“

ბატონი თემურის მოკრძალებას, თავმდაბლობას გამოხატავს მისი სიტყვები: „**თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ, მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები**“. განა მხოლოდ სურვილთან თამაშია სტრიქონები: „**ლექსს კი არ ვწერდი, ცეცხლნაკიდებულ სახლში შევბოდი**“, „**რომ ზოგჯერ ერთი რითმის გულისთვის დღე საფლავითი მიბალახდებ**“. დიდებულად არის ნათქვამი. მკითხველს უთუოდ სიამოვნებას მოჰგვრის, ან დააფიქრებს სოფლის ამაოებაზე სტრიქონები: „**და ამოგიტან ზაფხულს ხურჯინით დიდ თოვლობისას მთაში ამოვალ**“, „**დაგიჩოქებენ ჩემი ლექსები და ხარებივით აბლავდებიან**“, „**არაფერია სიცოცხლე, მაგრამ სიკვდილზე მაინც ცოტა მეტია**“, „**ფრთხილად იარეთ, მიწას გული არ მოუვიდეს**“... გვაფრთხილებს პოეტი და მისი შემოქმედება უბრალო მოწოდება კი არ არის, თავდავეა შერწყმული თავის პოეზიასთან, ხოლო პოეზია მასში ჩაბუდებულია და სულის სარკმლიდან იმზირება. თემურ ჩალაბაშვილი **გოდერძი ჩოხელის** მოთხრობებიდან მოსულ სევდიან კაცს მაგონებს. მის ლიმილშიც კი სევდა გამოკრთის... რა სევდას დაატარებს მგოსანი, ამაზე მისი ლექსები მოგვითხრობენ ნათლად და გულშიჩამწვდომად.

უჭირისუფლოთა ჭირისუფალია, სევდიანის გულისტკივილის გამზიარებელია, მეგობრისათვის ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია; ერთი სიტყვით, ის ძველი ქიზიყელია, ქვეყნისთვის განირულ სიცოცხლეს ჩირად რომ არ აგდებდა. რომ არა მისი მოკრძალება, უფრო მზისგულზე იდგებოდა, მაგრამ არაფერია თავადვე იცის, რომ: „**ბოლოს მომძებნის თვით უკვდავება, ლექსები ჩემი ჭირისუფლები**“.

შეხვედრაზე უჩვენეს ჩალაბაშვილის ლექსზე „სანთელი“ შექმნილი კლიპი, **ალექსანდრე ბასილაიას** მუსიკის თანხლებით. საღამო დაამშვენა **თემურ ნიკლაურის** მიერ შესრულებულმა სიმღერამ „**ამას სჯობია**“, რომლის მუსიკა **მარიკა კვალაიაშვილს** ეკუთვნის. ბატონი თემურის ლექსებზე დაწერილი სიმღერები სიამოვნებით მოისმინეს სხვათა შესრულებითაც. დამსწრენი მოხიბლა ელდინო საღარაძის მიერ ნაკითხულმა ლექსებმა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი ბიჭების საგალობელი.

დარიგდა საჩუქრები, საპატიო სიგელები, ყვავილები, სუფევდა ამალელებული განწყობა, ერთმა იხუმრა კიდევ — ამ დარბაზში, იმდენი სიყვარული და სიტბო დაგროვდა, რომ გავალთ, ყინული გალხობილი დაგვხვდებოდა...

ზაირა სხირტლაძე

ნინო საბაშვილი

„ამდენ ბერძენ მორწმუნეს ბვერევა“

საქართველოს ცივილიზებულ ერებს შორის საუკუნეთა განმავლობაში თავისი ღირსეული ადგილი ეჭირა. ცივილიზაციის განვითარებას იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და თავის კვალს ტოვებდა კულტურის ისტორიაში.

კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოში და საზღვარგარეთ არსებულმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა, რომლებიც ძირითად სარწმუნოებრივ-განმანათლებლურ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ეს ცენტრები ქრისტიანობის გავრცელებიდან ახლო ხანებიდანვე წარმოიშვა.

განსაკუთრებული როლი საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების საქმეში წმინდა მინას — იერუსალიმს — მიუძღვის. მოგვიანებით საზღვარგარეთის ქართულმა მნიშვნელოვანმა კერამ ათონის მთაზეც გადაინაცვლა, სადაც ქართულთა მიერ დაარსებულმა მონასტერმა საქართველოს საეკლესიო-სამწერლობო ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულა.

საისტორიო წყაროების თანახმად, არამარტო საქართველო, არამედ მსოფლიოს ძლიერი მართლმადიდებლური ქვეყნები უძრავ-მოძრავ ქონებას სწირავდნენ ათონის მთის ქართულ სავენს გასაძლიერებლად. მათ შორის იყვნენ ბიზანტიის კეისრებიც. აქედან გამომდინარე, ათონზე ქართველთა მონასტერი ეკონომიკურადაც ძლიერი კერა გახლდათ და იდეოლოგიურადაც ინტენსიური მოღვაწეობა სუფევდა. აქ ითარგმნებოდა უმდიდრესი ბერძნული საეკლესიო მწერლობის სახელმძღვანელო ძეგლები. ამასთანავე იქმნებოდა ფასდაუდებელი ქართული ორიგინალური თხზულებანიც.

ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა უპირველეს ყოვლისა ქართული ეკლესიის გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად იყო აუცილებელი, რაც მას საშუალებას აძლევდა სხვა მაღალ კულტურულ საფეხურზე მდგომ ერებთან კულტურულ-პოლიტიკურად გათანაბრების პრეტენზია ჰქონოდა.

IX-XI საუკუნეებში საქართველოს ისტორიული განვითარება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ტენდენციით მიმდინარეობდა, ხოლო პოლიტიკურ გაერთიანებას კი ქართული სინამდვილეში საეკლესიო-კულტურული გაერთიანება უსწრებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ეროვნულ-კულტურული საქმე ღირსეულად შეასრულეს საზღვარგარეთ არსებულმა ქართულმა მართლმადიდებლურმა კერებმა. განსაკუთრებით კი ათონის ქართველთა მონასტერმა და იქ მოღვაწე ბერ-მონაზვნებმა, რომელთა შორის გამორჩეული იყო მამა-შვილი იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები, რომლებმაც არამარტო დააარსეს ათონის ქართველთა მონასტერი, გამორჩეული ათონის მთაზე არსებულ სხვა ერების მიერ დაარსებულ ოც მონასტერს შორის, არამედ ერთგვარი კულტურულ-საგანმანათლებლო ხიდიც გასდეს ქართულ და ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობათა შორის. ეს უმნიშვნელოვანესი საქმე გააგრძელა გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც იყო XI საუკუნის ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი, ეროვნული კულტურის დიდი მოამბე, ათონის

ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო და ლიტერატურული საქმიანობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ვინც საქართველოს სახელი ბიზანტიაში გაიტანა.

მისი წყალობით XI-XII საუკუნეებში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული თუ მსოფლიო აზროვნების მონაპოვარი გვექონდა თარგმნილი ქართულ ენაზე. მან დიდი როლი ითამაშა იმდროინდელი საქართველოს საეკლესიო და საერო ცხოვრებაში არსებულ ანომალიათა გამოსწორება-აღმოფხვრაში. მისი დამსახურებით ათონის ივერთა მონასტერი ქართული კულტურის სულიერების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ კერად იქცა. მისმა მოღვაწეობამ ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ბაგრატ IV თხოვნით გიორგი მთაწმინდელმა ხუთი წელი დაჰყო საქართველოში, მოაგვარა საეკლესიო საქმეები და ამხილა სამეფო კარზე და საეკლესიო გარემოში დამკვიდრებული ქრისტიანული ეკლესიისათვის სათაკილო ქმედებანი.

წლევანდელი წელი გიორგი მთაწმინდელის წლად არის გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გვესაუბრება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ენრიკო ბაბიქაშვილი**.

— გიორგი მთაწმინდელი დაიბადა თრიალეთში. მამამისი იაკობი საქართველოს მეფე ბაგრატ III დაახლოებული პირი იყო. მეფემ იგი სპარსეთში ერთ-ერთი დავალების შესასრულებლად დესპანად გაგზავნა. გზად მიმავალი თრიალეთში ერთ-ერთ ოჯახში ლამის გასათევად გაჩერდა, სადაც მისი მომავალი მეუღლე ცხოვრობდა.

იაკობს იმდენად მოეწონა ოჯახი და ახალგაზრდა ღვთისმოსვიმი მარიამი, რომ მშობლებს სთხოვა, თუ მშვიდობით დაბრუნდებოდა, მათ ქალიშვილზე დაქორწინების უფლება მიეღო და მათთან დამკვიდრებულიყო. იაკობმა მისია შეასრულა, დაბრუნდა უკან და მარიამზე იქორწინა.

იაკობსა და მარიამს 6 შვილი შეეძინათ. პირველი — თეკლა, რომელიც ბავშვობიდანვე ტაძრისის მონასტერში იზრდებოდა, მეორე — თეოდორე, რომელიც სასულიერო პირი არ გამხდარა, მესამე — გამოცხადებით ეჩვენა მარიამს, რომ შეეძინებოდა ვაჟი, რომელიც უნდა შეენირათ ღვთისთვის და დაერქმიათ გიორგი. დაახლოებით 1009 წელს დაიბადა გიორგი, რომელიც შეიდ წლამდე დედამასთან იზრდებოდა. შვიდი წლისა სამცხის სოფელ ტაძრისის დედათა მონასტერში წაიყვანეს, სადაც მისი უფროსი და თეკლა აღსაზრდელად ტაძრისის წინამძღვარს წმიდა საბაიას ჰყავდა მიბარებული.

როგორც გიორგის ათი წელი შეუსრულდა მისმა მამის ძმებმა — გიორგი მწერალმა და საბა ხახულელმა — ძმას — იაკობს ურჩიეს, რომ შვილი მათთან, ხახულის მონასტერში მიეყვანა.

იმ დროს ხახულის მონასტრის წინამძღვარი მაკარი იყო. მისი კურთხევითა და ნებართვით გიორგი მონასტერში დარჩა. იქ იმ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებანი, როგორებიც იყვნენ ბასილი ბაგრატიის ძე (ბაგრატ III შვილი, რომელმაც დაწერა ექვთიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი პირველი საგალობელი), ანტონ მნათე და სხვ. პატარა გიორგი აღსაზრდელად ილარიონ თვალთვალს მიბარეს.

— როგორ მოხვდა გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინოპოლში?


— დაბა ტვარნატაფში ცხოვრობდა დიდებული ფერსოს ჯოჯიკის ძე, რომელიც იყო მეუღლე ბაგრატ ბასილის ძის დისა ე.ი. ბაგრატ III ქალიშვილის. მან და მისმა მეუღლემ (სახელი ცნობილი არ არის) ხახულის მონასტრიდან კარის მღვდლად მიიწვიეს ცნობილი და სათნო ადამიანი გიორგის ბიძა — გიორგი მწერალი, რომელიც ადრე სამეფო კარის მწერალი გახლდათ. მან პატარა გიორგიც თან წაიყვანა. იგი ესმარებოდა ბიძას, როგორც წიგნის მკითხველი და კანანახი (გალობის დამწყები). აქ მათ ერთი წელი დაჰყვეს. ყრმა გიორგის სიკეთითა და გონიერებით განცვიფრებულმა ფერსოს მეუღლემ შვილივით შეიყვარა. ამ დროს თრიალეთი ბიზანტიის ხელში იყო. ბიზანტიის კეისარმა ბასილიმ ფერსოს დააბრალა მის წინააღმდეგ მონაწილეობა და სიკვდილით დასაჯა, ხოლო მისი ოჯახი კონსტანტინოპოლში გადაასახლა. ფერსოს ქვრივმა გიორგი მწერალი და ყრმა გიორგი თან წაიყვანა, სადაც მათ 12 წელი დაჰყვეს.

ბაგრატ III ასულმა გიორგი აღსაზრდელად მონაზონს მიაბარა, რომელმაც ზედმინევიტ შეასწავლა ბერძნული ენა, რაც მან შემდგომ ბრწყინვალედ გამოიყენა თავის მთარგმნელობით მოღვაწეობაში.

12 წლის შემდეგ, კეისრის ბრძანებით, ფერსოს მეუღლეს უფლება მისცეს ტვარნატაფში დაბრუნებულიყო, მან 25 წლის გიორგი და გიორგი მწერალიც თან წამოიყვანა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გიორგი მთანმინდელი ხახულის მონასტერში მივიდა, სადაც წმიდა ილარიონ თვალთვალმა ბერად აღკვეცა.

— როგორ აღმოჩნდა გიორგი შავ მთაზე?

— გიორგის ხახულში ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მას იერუსალიმის მონახულებისა და მოლოცვის სურვილი ჰქონდა. ერთ ღამეს იგი მონასტრიდან გაიპარა. იცოდა, რომ ძებნას დაუწყებდნენ, ამიტომ გზად შემოყრილ მანანალას თავისი ტანსაცმელი ძონძებში გაუცვალა. მალე მას გზის მაჩვენებლისგან მიტოვებული ბრმა შემოხვდა, რომელიც ეშმაკეულისგან შეპყრობილი აღმოჩნდა. გიორგი სამი დღე ლოცვებს უკითხავდა და ეშმაკეულისგან სრულებით განკურნებული ერთ-ერთ მონასტერში დატოვა, თვითონ კი გზა განაგრძო და შავ მთაზე ჩავიდა. აქ მან გაიცნო განდევნილი ბერი გიორგი, რომელიც სვიმეონ მესვეტის მონასტერთან ახლოს მთის ნაპრაღში დაყუდებული 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. მან გიორგი მთანმინდელი დაიმონაფა და რომანანმიდის მონასტერში დაამკვიდრა, სადაც მან სამი წელი დაჰყო. შემდეგ კი სქემით აკურთხა, ამ დროს გიორგი 30 წლისა იყო. გიორგი თავისი მოძღვრის ნებართვით იერუსალიმს გაემგზავრა წმინდა



ენრიკო გაბიძაშვილი

ადგილების მოსალოცად. მცირე ხნის შემდეგ ისევ შავ მთაზე დაბრუნდა და მოძღვრისაგან დავალება მიიღო, გამგზავრებულიყო ათონის მთაზე და ეფთვიმე მთანმინდელის მიერ დაწყებული მთარგმნელობითი საქმიანობა გაეგრძელებინა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი დაყუდებული განდევნილად ცხოვრობდა, მას კავშირი ჰქონდა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებთან. იგი ხვდებოდა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო გიორგის ცოდნასა და ტალანტს. მისი დამსახურებით გიორგი სამწერლო და მთარგმნელობით მოღვაწეო გზას დაადგა.

— როდის აღასრულა გიორგი მთანმინდელმა მოძღვრის თხოვნა ათონის მთაზე წასულიყო და მთარგმნელობითი საქმიანობისთვის მოეკიდა ხელი?

— მოძღვრისაგან მიღებულმა დავალებამ თავდაპირველად მონაფე შეაკრთო, რადგან თავს არ მიიჩნევდა ღირსად, ამ საქმიანობაში ეფთვიმეს შემკვიდრე გამხდარიყო. მაგრამ ბოლოს დაემორჩილა მოძღვრის ბრძანებას და მთანმინდაზე ივერონის მონასტერში გაემგზავრა (დაახლოებით 1040 წელს). თავიდანვე იგი თავმდაბლობის გამო ორ წელიწადს „შეურაცხ“ სამუშაოს ასრულებდა და მოძღვრის დავალებას არ ასრულებდა, როდესაც ეს მოძღვარმა გაიგო, შავი მთიდან გამოგზავნა მონაფე იოანე საყვედურის სათქმელად.

გიორგიმ პატიება სთხოვა გიორგი შეყუდებულს და ეკურთხა მღვდლად. კურთხევის შემდეგ არჩეულ იქნა დეკანოზად და წიგნების თარგმნას მიჰყო ხელი. პირველ ყოვლისა თარგმნა „დიდი სვინაქსარი“. იმავდროულად აგროვებდა ცნობებს, რათა აღენერა ათონის ქართველთა მონასტრის დამარსებელთა ცხოვრება-მოღვაწეობა.

„დიდი სვინაქსარი“, რომელიც გიორგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პირველი ძეგლია, არის უზარმაზარი კრებული, რომელიც ძირითადად ეყრდნობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკლესიის, თეოდორე სტუდიელისა და ათანასე ათონელის ლავრის ტიპიკონებს. ამ სვინაქსარში ბიზანტიელი და საერთო ზოგადქრისტიანულ წმინდანთა გვერდით შეტანილია ყველაზე დიდი მოცულობის ეფთვიმეს სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც დამატებით შეიტანა გიორგიმ თავის თარგმანში.

— როდის დაინიშნა გიორგი ივერონის მონასტრის წინამძღვრად?

— შავი მთიდან ჩამოსვლის შემდეგ, როგორც ვთქვით, პირველი ორი წლის განმავლობაში შავ სამუშაოს ასრულებდა, შემდეგ იძულებით მღვდელ-მონაზონი გახდა, შემდეგ დაახლოებით 1042 წელს მონასტრის დეკანოზად აკურთხეს, ხოლო 1044 წლიდან მონასტრის წინამძღვრად

დაადგინეს. გიორგი თავს წინამძღვრობის ღირსად არ მიიჩნევდა, მაგრამ მონასტრის კრებულის დაჟინებული თხოვნით სამჯერ წილი იყარა ორ სხვა მამასთან ერთად და ტრაპეზის ქვეშ დადებული წილი სამჯერვე გიორგის შეხვდა.

ამ თანამდებობაზე 1056 წლამდე იყო, ერთი წლის გამოკლებით, როდესაც 1054 წელს შავ მთაზე დაბრუნებულა.

მონასტერზე ზრუნვა დიდ ენერგიას მოითხოვდა, წიგნების სათარგმნელად კი დრო აღარ რჩებოდა. ამის გამო, იგი ჩავიდა კონსტანტინოპოლს და იმპერატორისგან ბაგრატის დედის მარიამის დახმარებით ნებართვა გამოითხოვა შავ მთაზე დაბრუნებულიყო და მთარგმნელობითი მოღვაწეობა გაეგრძელებინა.

— როგორ მოხვდა გიორგი თეოდოსი ანტიოქელ პატრიარქთან და რა იყო კამათის საგანი?

ბერძნების მიერ ქართველ ბერ-მონაზონთა ათვალისწინება სვიმეონ მესვეტის (უმცროსი) მონასტერში გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ისინი ქართველთა მიერ შესრულებულ ლეთისმსახურებაში ხედავდნენ ცდომილებებს, რაც სინამდვილეში იყო ქართული ეკლესიის ტრადიციებზე დაფუძნებული მსახურება, და საჩივრით მიმართეს ანტიოქიის პატრიარქს და ამბობდნენ, ქართველთა ეკლესია და მღვდელმობღვარნი არცერთი პატრიარქის ხელმწიფებას არ ექვემდებარებიანო. პატრიარქმა ბრძანა, რომ მასთან მიეყვანათ ვინმე ქართველი მონაზონი, რომელმაც ბერძნული ენა იცოდა და მისგან მოესმინა განმარტებანი. ქართველმა მონაზონებამ სთხოვა გიორგის, მათი დამცველი ყოფილიყო პატრიარქთან შეხვედრისას.

გიორგი ეახლა პატრიარქს და განუმარტა ყველა ის საკითხი, რასაც ბერძნები ქართველებს ედავებოდნენ. მისი თქმით, ჩვენ ძველისძველი ქრისტიანები ვართ, რომლებიც ანდრია პირველწოდებულმა მოგვაქცია, თქვენი ეკლესია კი ანდრიას ძმამ პეტრემ (მანამდე სვიმონი ერქვა და სამოციქულო მოღვაწეობა ძმის ანდრიას ქადაგების გავლენით დაიწყო). გამოდის, რომ ანდრია მწოდებელია, ხოლო პეტრე — წოდებული. მაშინ რომელი რომელს უნდა დაემორჩილოს — მწოდებელი წოდებულს, თუ პირიქით — წოდებული მწოდებულს?

გიორგიმ განაცხაო: თქვენ ხომ ამბობთ, რომ მწვანელობა არასდროს შეგვხებიაო — მაგრამ ნუ დაგავინწყდებათ, რომ იყო ჟამი, როდესაც „საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოებოდა“ და მართლმადიდებლობის კერად საქართველო ითვლებოდა. იოანე გუთელის ეპისკოპოსად კურთხევის დროს საბერძნეთში რომ ვერ მოინახა მართლმადიდებლური ეკლესია, მცხეთაში აკურთხესო. პატრიარქმა ნახევრად ხუმრობით თქვა, ეს ერთი კაცი ამდენ ბერძენ მორწმუნეს გვერევაო და თუ არ მოვეშვებით მასთან კამათს, მართლა არ დაგვიმორჩილოსო.

— როგორ მოხდა გიორგი მთაწმინდელის სამშობლოში ჩამოსვლა და რა საეკლესიო ცდომილებანი დაინახა მან?

— საქართველოს მეფე ბაგრატ IV, როდესაც დედასთან ერთად მარიამთან (რომელიც მონაზვნად გიორგიმ აკურთხა და მას დაემონაფა) კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, შესთავაზა გიორგი მთაწმინდელს ჭყონდიდის

საეპისკოპოსოს მწყემსმთავრობა, რაზედაც გიორგიმ უარი თქვა. მაშინ მან სთხოვა სტუმრად ჩასულიყო საქართველოში და ქართული ეკლესიის საჭირობოტო საკითხები მოეგვარებინა. გიორგი მიწვევას დათანხმდა და მალე რამდენიმე მონაფის თანხლებით სამშობლოში ჩამოვიდა. მეფემ დიდი პატივით მიიღო სახელოვანი სტუმარი. ამ დროს საქართველოში დიდი შიმშილობა იყო. ქვეყნისათვის ესოდენ დიდი განსაცდელი მასობრივად სპობდა მოსახლეობას. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ მისი მონადინებით გასაჭირს არ ეშველებოდა. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება ერთობლივად მეფესა და სამღვდელეობას უნდა ეთავა. ამ დროს ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ გიორგი ხედავდა, თუ როგორი გულგრილი იყო მამინდელი უმაღლესი წოდებიდან გამოსული სამღვდელეობა. საეპისკოპოსო ხარისხს ღირსეული კი არა, მდიდარი ლეზულობდა. გიორგი მთაწმინდელმა ისარგებლა ბაგრატ მეფის თხოვნით ყოველივე ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად და პირველ ყოვლისა მეფეს მიუთითა, რომ მას საეპისკოპოსო კათედრებზე დანიშვნის ნაცვლად ეპისკოპოსებისაგან ქრთამი არ აელო.

გიორგი მთაწმინდელი საჭიროდ მიიჩნევდა, რომ მსოფლიოს საეკლესიო კრებებისა და „მოციქულთა კანონები“ თავისი სამართლიანობით აღდგენილიყო, მეფეს ეპისკოპოსის თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა აღეკვეთა, ეკლესიას შელახული ღირსება და დიდება დაბრუნებოდა, საეპისკოპოსო წოდება მეფის არჩევაზე კი არა, კანონიკური სამართლის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო. ეპისკოპოსებს მკაცრად აფრთხილებდა, რომ ეკლესია-მონასტრების გამშვენიერებასა და შემკობაზე ბევრი სახსარი არ დაეხარჯათ. მათი უპირველესი საზრუნავი გლახაკთა და დავრდომილთა დახმარება და ფეხზე წამოყენება უნდა ყოფილიყო. მან უარყო საეკლესიო საქმეებში წოდებრივი უპირატესობა და ქადაგებდა, რომ საეკლესიო პირებში, უპირველეს ყოვლისა, პირადი ღირსება უნდა დაენახათ.

— რა მიზნით წაიყვანა 80 ადამიანი და რა ბედი ეწიათ მათ გიორგის გარდაცვალების შემდეგ?

— გიორგი მთაწმინდელი დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობდა და ხალხის ცხოვრებას ეცნობოდა, მოძღვრავდა და გასაჭირში მყოფ ხალხს სულიერად ამხნევებდა. მან შიმშილისაგან განსაცდელში ჩავარდნილი 80 სხვადასხვა ასაკის ადამიანი შეკრიბა და საეკლესიო მსახურებისათვის ათონის მთაზე გასამგზავრებლად მოამზადა (მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მათი მშობლებიც იყვნენ, მათ შორის — გიორგის დისშვილები და მათი შვილებიც).

იგი გზაში წვრთნიდა მათ, ასწავლიდა გალობას, წმინდა წერილს, ლეთისმსახურებას. გამიზნული ჰქონდა მათი ჩაყვანა ათონის მთაზე, რადგან იმ დროს ათონის მთაზე ქართველი მონაზვნების ნაკლებობა იყო. კონსტანტინოპოლში ჩასვლისას იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ იმ დღესვე დიდი პატივით მიიღო გიორგი მთაწმინდელი თანმხლებ პირებთან ერთად. ამის შემდეგ კეისარმა სამჯერ მიიწვია გიორგი თავისთან და დახმარება აღუთქვა. მაშინ მან იმ 80 აღსაზრდელის მზრუნველობა სთხოვა. როგორც ჩანს, გიორგი თავისი აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა. იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის დღეს, ზიარების შემდეგ

თავისი 80 მოწაფე კეისარს წარუდგინა. ბავშვებმა იგალობეს „გალობი სვიმონ მოხუცებულისაჲ!“ არავის უფიქრია, რომ გიორგი სვიმონ მართლის „ან განმითევე“-ს ამა ქვეყნიდან საკუთარ „განსვლას“ გულისხმობდა. იგი მეორე დღეს 1065 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა. ქართველობამ მისი ცხედარი კონსტანტინოპოლიდან ათონს გადაასვენა და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალა, სადაც ამ ტაძარში გიორგის მიერვე გადმოსვენებული იოანე და მისი ძე ეფთვიმე მთანმინდელი განისვენებდნენ.

— თუ შეიძლება მოკლედ მოგვითხროთ გიორგის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ.

— ალბათ ძნელია გიორგის მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი ლიტერატურული შემოქმედების შესახებ მოკლედ საუბარი, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ მის მიერ დანერგილ უმთავრეს ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი ათონის მთაზე გაგზავნა მისმა სულიერმა მოძღვარმა გიორგი შეყენებულმა და დაავალა ეფთვიმე მთანმინდელის მიერ დანერგული მთარგმნელობითი საქმიანობის გაგრძელება. მთარგმნელობითი საქმიანობის დაწყებასთან ერთად გიორგიმ ვალდებულად ჩათვალა თავი შთამომავლობისთვის დაეტოვებინა ორიგინალური ძეგლი თავის დიდ წინამორბედთა შესახებ და აღწერა თხზულება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ სახელწოდებით „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლაზაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“. ეს თხზულება არის ვრცელი მატრიანე ათონის მთაზე ქართული მონასტრის დაარსებისა და საქმიანობისა, იოანე და ეფთვიმე მთანმინდელთა და მათი მეგობრების თავგანწირული ბრძოლა მონასტრის ძმობის გასამრავლებლად და ამ მიზეზით ბერძენთა შემოტევების მოსაგერიებლად.

ნათარგმნი ძეგლებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგის ლიტერატურული შემოქმედების პირველი ნიმუში „დიდი სვინაქსარი“ გახლდათ. ეს არის უზარმაზარი ძეგლი, რომელშიც კალენდარული თანმიმდევრობით წარმოდგენილია მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა ხსენების დღეები მათი აღნიშვნის ლიტურგიკულ მასალაზე მითითებით. წმინდანთა ხსენების უმეტესი დღეები წარმოგვიდგენენ ამ წმინდანთა მოკლე, სვინაქსარულ ცხოვრებას.

არ დარჩენილა ქართული სასულიერო მწერლობის თითქმის არცერთი დარგი, რომელიც გიორგის თავისი თარგმანებით არ გაემდიდრებინოს: ბიბლიოლოგიაში აღსანიშნავია მისი თარგმანები: „დავითნი“, „სახარება — ოთხთავი“, სრული „სამოციქულო“ (საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლეები და მოციქულთა კათოლიკე ეპისტოლეები).

ეგზეგეტიკიდან (ე.ი. ბიბლიური ძველი და ახალი წიგნების განმარტება) დავასახელებთ ბასილი დიდის „ექესთა დღეთათვის“, გრიგოლ ნოსელის „თარგმანება ქება ქებათისაჲ“, მისივე „კაცისა შესაქმისათჳს“, იოანე ოქროპირის „დაბადებისაჲ თარგმანი“.

აპოკრიფებიდან (არაკანონიკური ბიბლიური ტექსტები): „ავგაროზი“ ანუ მიმონერა იესო ქრისტესი და ედესის მეფე ავგაროზს შორის, წიგნი იოსებ არიმათიელისა.

ლიტურგიკა — ჰიმნოგრაფიდან: „დიდი სვინაქსარის“ შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. „თთუენი ათორმეტნივე“, რომელიც წარმოადგენს უზარმაზარ კრებულს, რომელიც მოიცავს მთელი წლის წმინდანებისადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონებს (ცხრა ოდიან საგალობელი). თითოეული წმინდანისადმი რამდენიმე ასეთი კანონი არის მიძღვნილი, რომელიც გიორგის შეუკრებია სხვადასხვა ბერძნულ საგალობელთა კრებულებიდან. სხვათაშორის გიორგის თავის ნათარგმნ კრებულებში ორიგინალური ქართული საგალობლებიც ჩაურთავს. „დიდი პარაკლიტიონი“ (რვა ხმაზე განყოფილი სადაგი დღეები — ორშაბათი-შაბათი საგალობელთა კრებული), რომელსაც გიორგის ბიოგრაფი გიორგი მცირე უწოდებს: „სამკაული ეკლესიათაჲ“; „დიდი მარხვანი“ (მარხვის პერიოდის საგალობელთა კრებული); „ზატიკი“ (აღდგომის დღესასწაულის ციკლის საგალობლები); „დიდნი კურთხევანნი“ (რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა კურთხევათა და ლოცვათა წესები).

ჰომილეტიკიდან: აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი კრებული — „სტოდიერი“, რომელიც თეოდორე სტუდიელის მარხვისა და აღდგომის დღეებში საკითხავი „სწავლანია“ (57 სიტყვა).

ჰაგიოგრაფიიდან ცნობილია მისი ნათარგმნი მეტაფრასული რედაქციის რამდენიმე თხზულება, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანს. დავასახელებთ ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის ერთი ძეგლის თარგმანს, რომელშიც მოთხრობილია კონსტანტინოპოლის გარემოცვა სკვითებისა და ავარების მიერ 626 წელს.

დოგმატიკიდან (მეცნიერება ქრისტიანული დოგმების შესახებ): აღსანიშნავია გიორგის თარგმანები ეგნატე ღმერთშემოსილის (+155წ) თორმეტი ეპისტოლისა ქრისტიანული სარწმუნოების საკითხებზე. აგრეთვე, სხვადასხვა ეკლესიის მამათა რწმენის სიმბოლოების ტექსტები.

— თვით გიორგის შესახებ შექმნილ თხზულებაზე რას გვეტყვი?

— გიორგი მთანმინდელის „ცხოვრება“ დაუნერია მის განუყრელ მოწაფესა და თანამგზავრს გიორგი მცირეს, ანუ ხუცეს-მონაზონს, მას შემდეგ, რაც მისთვის ეს საქმე დაუვალეობა გიორგი მთანმინდელის სულიერ მოძღვარს გიორგი შეყენებულს. როგორც თხზულების შესავლიდან ჩანს, რომელიც გიორგი მცირის მიერ გიორგი შეყენებულისადმი გაგზავნილ ეპისტოლეს წარმოადგენს და ამ ეპისტოლეში არის ჩართული გიორგის ცხოვრება (ეს ფორმა ქართულ ჰაგიოგრაფიაში პირველად გვხვდება), გიორგი შეყენებულს განმეორებით მიუმართავს გიორგი მცირისათვის ამ დავალების შესასრულებლად (ალბათ, გიორგი მცირე თავს ღირსად არ მიიჩნევდა თავისი მოძღვრის ბიოგრაფია დაენერა და პირველი თხოვნა არ შეასრულა) და ბიოგრაფიისათვის მასალაც კი გამოუზღავნა.

გიორგი მცირის თხზულება ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის შედეგია. იგი ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშია და ასევე ფასდაუდებელი მატრიანე XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივი კულტურული ურთიერთობებისა. ამ ძეგლის ღირსებებზე საუბარი, ალბათ, ცალკე ვრცელი თემაა.

ეკა ბუჯიაშვილი

ქიება სამყაროს დასასრულამდე

□

ჯანო ჯიქიძის წიგნების წარდგინება

ამ კრებულში არის ძლიერი მოთხრობები, რამდენიმე შედეგრი და არცერთი ჩავარდნა, — ასე დაიწყო **როსტომ ჩხეიძე** შეხვედრას ჟურნალ „**ჩვენი მწერლობის**“ ლიტერატურულ სალონში, **ჯანო ჯიქიძის** ორი ახალი წიგნის წარდგინებაზე, — „**ზამზამზამ**“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაცაა და, წიგნის სათაურადაც გამოტანილი, ავტორის სულისკვეთებასაც ექსპრესიულად გამოხატავს — ღვთისმამობობას, რაც მის ყველა თხზულებაში შეინიშნება — ხან ძალიან მკვეთრად, ხანაც უფრო შეფარულად, მაგრამ მთელი წიგნი არსებითად ამითაა გამსჭვალული. სანიმუშოა ბატონი **ჯანოს** სტილურ ძიებათა თავისებურებანი — ქართული ენის ნორმების ფარგლებში იგი ყველანაირ გარღვევას ცდილობს. ერთმანეთს ენაცვლება დიდი დრამატიზმი და იუმორი, რომლის გარეშეც ამ მოთხრობების ფონი ძალიან პირქუში იქნებოდა.

ეს არის კაცი, რომელიც მოდას არ აპყვება, და თუ ითვისა-ლისწინებს, რა ხდება მსოფლიო ბელეტრისტიკაში, მხოლოდ იმას, რაც მისთვის იქნება ბუნებრივი.

თუ შეიძლება, რომ მისი პერსონაჟები შევიდნენ სახარებაში, ამას არ იყენებს რომელიმე მწერლის გავლენით, ასეთ შემთხვევაში ეს ყველაფერი ბუნებრივი ვერ იქნებოდა.

ვინც კარგავს ზღაპრის იდეალების შეგრძნებას, ის პერსონაჟი ყველაფრისგან იცლება და ბატონი **ჯანო** ცდილობს, ეს სულიერება მკითხველსაც შეუნარჩუნოს — ისე, რომ მკითხველიც პერსონაჟად აქციოს.

მისთვის სიტყვით თამაშიც ბუნებრივია, ამიტომაცაა ასეთი ლაღი ეს მოთხრობები, მათ შორის, „**რონინი, TRIPPELN და იბაპი მარტისა**“, რომელიც ერთი ზმნის გადარჩენაზეა, ავტორი ქალის სახით რომ გააცოცხლებს და ცდილობს, რეალობას დაუბრუნოს.

„მე ყანის მარგვლა არ ვიცი“

...რონინი ყველამ დაივიწყა... ბევრ კარგ სიტყვასთან ერთად, ახლა მხოლოდ „სიტყვის კონას“ რომ შეფარებიან — ზოგი დროებით, ზოგიც, ვინ იცის, სამუდამოდ, და **წინო ვახანია** საინტერესო მოხსენებით, კარგად აქცენტირებული ნიუანსებით რომ მიმოიხილავს **ჯანო ჯიქიძის** შემოქმედებას, თავის გამოსვლას სწორედ ამ მოთხრობაზე საუბრით დაიწყო, თვითონ ავტორს ტრაგიკულად დაღუპული უსინათლო მუსიკოსის, კომპოზიტორ ვიკტორ ტოკარევის ხსოვნისთვის რომ მიუძღვნია.

რონინი ზმნაა, რომლის შესახებაც ჟურნალში „**ჩვენი მწერლობა**“ ცოტა ხნის წინათ ნახევრად სახუმარო განცხადებაც გამოქვეყნდა, სადაც განმცხადებელი სთხოვდა ყველას, ვისაც კი ბოლო დროს დაწერილ ნაწარმოებებში შეხვედრია ან თვითონ გამოუყენებია ეს სიტყვა, გამოხმაურებოდნენ.

თხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ რონინი დაივიწყეს, მაგრამ...

— ცოცხალი სიტყვა თუ უნახავს ვინმეს? — იკითხავს ქალბატონი ნინო, — ხორცშესხმული სიტყვა თუ გამოცხადებია ვინმეს? ლამაზ ქალად ქცეული სიტყვა თუ სტუმრებია? იქნებ პოეტებს სწორედ ამ სახით ეხსენებთ ზეციური საუნჯე.

ჯანო ჯიქიძე გვიყვება „**რონინის**“ გამოჩენისა და მისი გადარჩენისათვის ბრძოლის ამბავს.

მოთხრობაში ჩართულია „**მარტის არაკი**“ ყველა დავიწყებული ავტორის ხსოვნად, ყველა ხალხური არაკისა და ლექსის, ზღაპრისა და პოემის სადღეგრძელოდ რომ ითქმის და გულისხმობს დავიწყებული გმირების, დავიწყებული სიტყვების, დავიწყებული ტერიტორიებისა და წეს-ჩვეულებების, დავიწყებული ასოების სადღეგრძელოსაც კი. „**იქნებ** ამ სადღეგრძელომ მაინც გვიშველოს ცოტა, ჩვენც რომ არ მივეცეთ დავიწყებას“.

ჩვენ — ადამიანები.

ბევრი რამის არცოდნის გამო ბევრი რამის დავიწყების ზღვრამდე მისულები.

„**მე არ ვიცი**. ყანის მარგვლა არ ვიცი, მოსავლის შენახვა არ ვიცი. მარტო პურის ყიდვა და ჭამა ვიცი“.

ან:

„**ვაზის გასხვლა არ ვიცი**, ღვინის დაყენება არ ვიცი. მარტო დაღვევა ვიცი“.

ამ ტკივილიან ფრაზებსაც თვითრონინით შეზავებული სტილის, სერიოზული და ხალისიანი თხრობის მონაცვლეობის გამო თითქოს სიმსუბუქის განცდასაც რომ გიტოვებენ — შეხვედრაზე ნინო ვახანია გაიხსენებს და კრებულის „**ზეგზეგზე**“ თითოეულ თხზულებას რომ მიმოიხილავს, წიგნის ამ მხარეზეც საგანგებოდ გაამახვილებს ყურადღებას.

— **პოსტმოდერნიზმის** ერთ-ერთ ხერხს — სხვის ტექსტში შესვლასა და უკვე აღწერილის სხვა ჭრილში და სხვა თვალთ ალქმას — წარმატებით იყენებს მწერალი. პირველი თვალის მოვლებისას ტექსტში გრაფიკულ გამოსახულებათა დანახვისას ეკზიუპერის „**პატარა უფლისწული**“ მოგაგონდება. მერე იგებ, რომ ეს ნახაზები ავტორს შესავლის, ე.წ. „**ფსევდომცნიერული პროლოგისთვის**“ დასჭირდა. მთავარი მიზანი შესავალშივე გაცხადდა — მე ვეძებ მამას, ანუ ღმერთს ეძებს მწერალი. „**ყველა ადამიანმა თვითონ, დამოუკიდებლად, საკუთარი სულიერი ენერგიით უნდა აღმოაჩინოს ზეციერი მამა, ხელახლა უნდა გაიაროს კაცობრიობის მიერ არაერთხელ გავლილი გზა და ისე მიეახლოს უფალს**“.

ჯანო ჯიქიძე კი, ქალბატონი ნინოს თქმით, თავი ოთხთავს შეაფარა... უფრო სწორად, კი არ შეაფარა, შიგ შევიდა და შეუმჩნეველად შიგვე დასახლდა.

— **მკის დროს პურის ყანაში**, მწიფე თავთავებს შორის მოქცეული ფიქრობს, რომ იესო მონაფეებთან ერთად სწორედ დღეს, შაბათს ჩამოივლის და რამეს შეცვლა შეუძლებელია.

თავისი პიროვნული დამოკიდებულება აქვს მთხრობელს იესოვადმი.

უყვარს მაცხოვარი რბილი, მონყალე, ჩვეულებრივი სასწაულების შესახებ მოუბარი: „შეხედეთ ლელვს, როცა მისი ტოტები რბილია, ახლოა გაზაფხული“. ვერ უყვარს მოძღვარი მკაცრი და განმსჯელი, პასუხის მომთხოვნი.

მომხსენებელი ტექსტში გაფანტულ სიმბოლოებზეც გამახვილებს ყურადღებას — გამჭვირვალეზეც და ოდნავ ბუნდოვანზეც. „თუმცა ეს ხომ მოთხრობაა და არა ოთხთავის კომენტარი, ამიტომ გონებისთვის გაუგებარიც კი, გრძნობისთვის სავსებით მისაღებია...“

— მე არ ვიცი, ყანის მარგვლა არ ვიცი, მოსავლის შენახვა არ ვიცი, მარტო პურის ყიდვა და ჭამა ვიცი...

მე ვაზის გასხვლა არ ვიცი, ღვინის დაყენება არ ვიცი, მარტო დაღევა ვიცი, — თავისას დარდობს მწერალი, ღმერთთან საკუთარ დამოკიდებულებაზე საუბრობს და რწმენასაც თავისას ეძებს ზეგზებზე ხეტიალისას.

ნინო ვახანიას თქმით კი, ეს ძიება დიდი ხნის დაწყებულია — პრესტორიულ ხანაში და მარადიულად გაგრძელდება — სამყაროს დასასრულამდე.

მანამდე კი...

მანამდე თავის გამოსვლას ჯანო ჯიქიძისებურად დაამთავრებს:

— მწერლის ზეგზებზე სიარულს, საკუთარ სულში ხეტიალს, მამის ძებნასა და, საერთოდ, ყოველგვარ ძიებას გაუმარ-ჯოს!



ჯანო ჯიქიძე და მაია ჯალიაშვილი

„აი, ის სიო

ვიქნებოდით“

— არა მხოლოდ ვკითხულობ ამ ტექსტებს, შეყვარებული ვარ მათზე, — იტყვის მსახიობი **ნინო კასრაძე**, ვინც აუდიოდისკზე ჩანერილი ჯანო ჯიქიძის ოთხი მოთხრობიდან ორს ახმოვანებს, ორს კი თვითონ ავტორი კითხულობს.

„მსახიობის სწორ, სათანადოდ აქცენტირებულ, კარგ მეტყველებას მხარს უსწორებს და თავისებურ ხიბლს სძენს ავტორის ოდნავ აჩქარებული ტემპში, სასიამოვნო ხმა“ (**ნინო ვახანია**), თვითონ მსახიობის თქმით კი მან ჯანო ჯიქიძის სახით პროფესიონალი ექიმი დაკარგა და შეიძინა საყვარელი მწერალი, რადგან, როგორც პაციენტი, ვეღარ მიდის მასთან, ვისი შემოქმედებითაც ასეთი აღფრთოვანებულია.

— რაც შეეხება იმ ორ მოთხრობას, რომლებიც ჩავწერე, მგონი ძალიან სუბიექტური ვიყავი, რადგან ჩემი დამოკიდებულება მაქვს ამ ტექსტთან. ამიტომ ამ სუბიექტურობას ნურც ახლა დამძახავთ, — იტყვის და უჩვეულო არტისტულობით, ეფექტური მანერითა და ცოტაც ორონიული ინტონაციით წაიკითხავს ამონარიდს „რონინიდან“.

ექიმი-მწერლის თემას კი მოგვიანებით **რენე კალანდი-**

აც შეეხებინება:

— საქართველოში რამდენიმე ექიმი ვიცი, კარგ ლიტერატურას რომ ქმნიან. რუსებს უფრო სხვაგვარად აქვთ საქმე — მათ ბულგაკოვი და ჩეხოვი ჰყავდათ ექიმები, მაგრამ... ჩვენთანაც არიან რჩეული სახელები ამ თვალსაზრისით, მათ შორისაა ჯანო ჯიქიძეც.

ლეონიდ ანდრეევი და სხვები რომ მოდიოდნენ რუსულ მწერლობაში, ლევ ტოლსტოი სწერდა თურმე ვილაძას, ცდილობენ შემაშინონ, მაგრამ არ მეშინია, აი, ტიუტჩევი ნავიკითხე და სერიოზული მწერალი მგონიაო.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ახლახან შემთხვევით გადავანყადი ჯერ კიდევ „ნობათში“ დაბეჭდილ მოთხრობებს ჯანო ჯიქიძისა და იქიდანვე ჩანს, რომ მისი სახით სერიოზულ მწერალთან გვაქვს საქმე.

ალბათ ბევრი მწერალი ვერ შეძლებს ტექსტში აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური საკითხებიც წამოჭრას და, ამავე დროს, გაამყაროს ისეთი ქვეტექსტებით, მართლაც რომ ალსაგსა საოცარი ფრაზეოლოგიზებით, მერე კი ეს ყველაფერი ისე შეფუთოს ირონიითა და იუმორით, რომ მკითხველში ვიზუალურ შთაბეჭდილებას ტოვებდეს.

არა, ასეთ რამეს ბევრი მწერალი ვერ შეძლებს, ჯანო ჯიქიძე კი, **ნინო ბაქანიძის** აზრით, ის შემოქმედი, ვისი თხზულებების კითხვისასაც ნამდვილად გრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ხედავ სახლის სახურავზე შემომჯდარ ანგელოზს, რომელიც თურმე ცხოვრებაში პოეტი ჩიტისრძე ყოფილა; ხედავ, როგორ ებრძვის ჭინკებს და ცდილობს, არ ჩაუშვას საკვამურში... უჩვეულო იუმორის წყალობით კი მწერალი აღწევს იმას, რომ საჭირობოროტო ეპიზოდების კითხვისას შესაძლოა, ტირილის ნაცვლად, მწარედ გაგეცინოთ.

— დავამთავრე კითხვა და გამახსენდა ერთი ეპიზოდი — „მაგიური თეატრი“ — ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგლიდან“, და გაკრული აფიშა: „მხოლოდ შეშლილთათვის“. ვინც შეაღწევს ამ თეატრში, უნდა ჰქონდეს უნარი მოცარტის უკვდავი სიცილიც გაიგონოს და გოეთესაც გაესაუბროს. ზეგზებზე ხეტიალისას, სადაც ბატონი ჯანო იკვლევს გზას და თავისი მკითხველიც თან მიჰყავს, სწორედ გოეთეს ასოციაცია გიჩნდება.

ასევე, ამ ნაწარმოებში იგი ნამოწვევს კრედოს — „ცოდნას შეიძენ, ცოდვას ჩაიდენ და პირქით, ცოდვას ჩაიდენ, ცოდნას შეიძენ“ — რომელიც მოთხრობაში „სხუაი“ სულაც ლაიტმოტივად იქცევა თხზულებისა და გაფიქრებს იმაზე, როგორ უნდა დააღწიო თავი ამ პარადოქსს.

გოეთე თავის ფილოსოფიურ ლირიკაში ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: ვინც ფლობს ცოდნასა და ხელოვნებას, აქვს რელიგია, მაგრამ ვისაც ორივე აკლია, დეე ჰქონდეს სარწმუნოება. ამიტომ მიფიქრია იმაზე, ნეტა თქვენთვის

სად გადის ზღვარი პიროვნულ რელიგიასა და სარწმუნოებას შორის და რას ეძებთ ზეგზებზე?
თვითონ მწერალი კი:

* * *

— მე დავიბადე საქართველოში, ზემო იმერეთში, სადაც მტერმა შემოაღწია მხოლოდ ერთხელ და ამიტომ ჩემს რწმენას არ გაუვლია მკაცრი გამოცდა, რომელიც მის სისუსტესა თუ სიმტკიცეზე იმოქმედებდა. ის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, ჩემი ბედისწერაა. მე რომ დავბადებულიყავი სირაკუზში, ვიქნებოდი კათოლიკე ქრისტიანი და თუ იმ ხანაში მომიწევდა ცხოვრება, როცა ინდულგენციებს არიგებდნენ, მე შემშურდებოდა ჩემი მეზობლის, თუკი ის შეისყიდდა ინდულგენციას, მე კი — ვერა.

თუ დავიბადებოდი ისრაელში, ვიქნებოდი ორთოდოქსი იუდეველი და ვერ შევიწყნარებდი განყენებას, სხვადასხვა სექტის მოძრაობას, მაგრამ იესოს მოძღვრებას თუ მოვისმენდი, დავფიქრდებოდი ამაზე და, თუ საშუალება მექნებოდა, ვიქნებოდი ყარიზი მოხეტიალე იერუსალიმიდან მცხეთამდე, ღამისთევის საფასურად კი მოვყვებოდი ქრისტეს ჯვარცმის ამბავს და მის მკვდრეთით აღდგომას.

...მაგრამ მე დავიბადე საქართველოში, მართლმადიდებელ ქრისტიანად, და ეს ჩემი ბედისწერაა.

ქრისტიანობის სიო ყოველთვის ქროდა ჩემს ქვეყანაში, მანამდეც, ვიდრე მეფე და დედოფალი მოექცეოდნენ ამ რწმენაზე, და მე ვიქნებოდი ის სიო, რომელიც ხან გაძლიერდებოდა და ხანაც მინავლდებოდა...

მეტის თავი მე არ მექნებოდა...

ესაც იზიჰარება მოშე კობრინელი

„რაბი მოშე კობრინელს მაღლითკენ პირშექცეულს აღმოხდა: ეჰ ანგელოზო, ანგელოზო, დიდი ხელოვნება არ უნდა თქვენსავით ცხოვრებას ცაში: არ ჭამთ, არ სვამთ, არც შვილებს აჩენთ და არც ფულის შოვნა გჭირდებათ. ჩამოდი ერთხელ მაინც მიწაზე, მიჰყავი ხელი ჭამა-სმას, შვილების გაჩენას და ფულის შოვნას და მერე ვნახოთ, როგორი ანგელოზიც იქნები“.

„ხასიდური სწავლანის“ ეს ამონარიდი, მოთხრობას — „იმშადაგური“ — რომ უძღვის ეპიგრაფად, შეკრებაზე ლია კარიჭაშვილი გაიხსენებს და იმ ამბავსაც გვიამბობს, ამის საპასუხოდ ერთმა ანგელოზთაგანმა საპირისპიროს დამტკიცება რომ განიზრახა, მიწაზე ჩამოსვლის ნებართვა მოიპოვა და ცხოვრობს ამ მოთხრობის პერსონაჟად — როგორც რიგითი ადამიანი, რომელსაც ყველა ადამიანური ცოდვისა და შეცდომის უფლება და პირობა აქვს.

— მოთხრობა თავისი მიზანდასახულობით მტკიცებაა იმისა, რომ ადამიანს შეუძლია სწორად იცხოვროს ნუთისოფელში. „სწორად“ კი ნიშნავს, იყოს ყველასთვის საჭირო, გულისხმიერი, სიყვარულით და თანაგრძნობით განმსჭვალული და სხვისთვის თავგანწირვის შემძლე. სწორედ ესაა ქრისტიანული მოძღვრების ფუნდამენტი, თუმცა მოთხრობაში სარწმუნოება არაკონფესიურია. ღმერთი ერთია და მას ნაწარმოების გმირი დუალა მიმართავს ქართულ-ლექსურ-სპარსულ ენებზე.

ამ და სხვა თხზულებათა შესახებ თავის აზრს რომ გაგვიზიარებს, ქალბატონი ლია იმასაც აღნიშნავს, რომ თითო-

ეული დიდი ცოდნითაა დაწერილი. ავტორი საფუძვლიანად იცნობს ქართულ (და არამარტო ქართულ) მწერლობას, გათავისებული აქვს მისი მონაპოვარი, რაც ქვეტექსტებშიც გამოსჭვივის. კრებული კი მწერლის ფსიქოტიკის მთლიანობაში კარგად წარმოაჩენს: ფრაზა — „კამათი მძულს“ — ცხადყოფს, რომ ავტორი არ მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთათვისაც ჭეშმარიტება კამათში იბადება. როგორც ჩანს, მისთვის ჭეშმარიტება დუმილში შეიმეცნება, საკუთარ თავთან განმხოლოებითა და ფიქრით.

კიდევ იმ განსაცდლებით შეიმეცნება, ბედისწერა რომ უმზადებს ადამიანებს. ამიტომაც ადა ნემსაძე თავისი საინტერესო გამოსვლის შემდეგ ასე მიმართავს შეკრებილებს:

— ყველა დიდ განსაცდელს გადარჩენილი ადამიანი ხომ თითქმის თავიდან იწყებს ცხოვრებას, ან თუ არ იწყებს, სიცოცხლის ხელახლა განცდის მძაფრი შეგრძნება აუცილებლად აქვს. ამ ფონზე გაფრთხილება-დარიგებასავით ჩაგვესმის ჯანო ჯიქიძის ხმა: „შეხედეთ თქვენივე გონების მონიტორს და დაიმახსოვრეთ — დარჩენილ სიცოცხლეს გაუფრთხილდით — ცხოვრება, მოგესხენებათ, კომპიუტერული თამაში სულაც არ არის“.

ჯანო ჯიქიძე ხშირად ტოვებს სათქმელს მკითხველის ანაბარა, როგორც მიაა ჯალიაშვილი აღნიშნავს ნიგნის ბოლოსიტყვაობაში, „მკითხველს აიძულებს, იფიქროს და ეძიოს საკუთარი თავი, ცხოვრების უდაბნოში დაკარგული“.

მეც ამ შემთხვევაში მწერალს მივბაძავ და ჩემს მოკრძალებულ შეხედულებებს შეკითხვით დავასრულებ, ოღონდ იმ იმედით, რომ ეს კითხვა რიტორიკულად არ დარჩება:

— მაშ ასე, ბატონებო! თქვენ ფიქრობთ, რომ ცხოვრება თამაში არ არის? რატომაც არა? თუკი ცხოვრება თეატრია, მაშინ ჩვენი სიცოცხლე თამაშისგან ასე შორს არის?

* * *

...ამ თამაშში ანგელოზად დარჩენასაც თუ გულისხმობდა მოშე კობრინელი.

მწერალი გურამ დოჩანაშვილის პარტიიდან

წარმოიდგინეთ თბილისური ზაფხული.

პაპანაქება სიცხე. იტალიური ეზო. ღია ფანჯრებში ხვატისგან გათანგული ადამიანების გადალაპარაკებაც ისმის.

უცებ ვილაც მარცხნივ, მეორე სართულზე წარდს გააგორებს. ისმის მხოლოდ კამათლებისა და ქვების გაჩრჩების ხმა. ზუსტად იმავე დროს ეზოში სახელდახელოდ მოწყობილ მაგიდასთან, ლელვის ჩრდილში სხვა პარტია ნამოიწყეს მეზობლებმა. მერე კი მარჯვენა მხრიდან ქალები აახმაურებენ კამათელს.

...და იბადება სურათი: როგორ მოდის კამათლების წვიმა თბილისში, მერე სულაც რომანში რომ გადაინაცვლებს.

ეს ამბავი იმის ნიმუშად გვიამბო ბატონმა ჯანომ, რომ გავლენა მწერლის შემოქმედებაზე ნებისმიერმა რამემ შეიძლება იქონიოს. თავის „სულიერ ძმად და ბიძაშვილად“ კი იტალიელ მწერალს დინო ბუცატის მიიჩნევს.

— თუ ვინმესთან ახლოს ვარ, მის მცირე თხზულებებთან, ოღონდ, ცხადია, ბუცატის არსად ვიმეორებ, უბრალოდ ხედვა მაინტერესებს მისი. სიახლოვე ორ შემოქმედს შორის კი ხშირად შეიძლება აღმოაჩინოთ, განსაკუთრებით სიმბოლოებთან მიმართებით. როცა პირობითობას განვი-

ხილავთ, სიმბოლოები იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ერთი და იგივე პირობითი ნიშანი სხვადასხვა მწერალთანაც აღმოაჩინოთ. „სამოსელი პირველი“ რომ წავიკითხე, ბევრი ისეთი რამ ვიპოვე, რაც „შემცენების პრაქტიკუმში“ მქონდა. ძალიან მიყვარს გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება და მიმაჩნია, რომ მისი ექსპერიმენტები წარმატებულია. „რონინის“ დაწერის შემდეგ კი... ვაცხადებ, რომ თუ ვინმეა გურამ დოჩანაშვილის პარტიკაში, მათ შორის მეც ვარ.

შემოქმედებით გავლენაზე ბატონმა ჯანომ მას შემდეგ ისაუბრა, რაც ამის შესახებ როსტომ ჩხეიძემ იკითხა. ბატონმა როსტომმა კი ეს თემა **გურამ პეტრიაშვილის** გამოსვლის შემდეგ წამოიწია.

სამშობლოსთან ოცნლიანი განშორების მერე შინ დაბრუნებული, ქართულ სიტყვასა და სულიერებას მონატრებული ბატონი გურამი „ვეფხისტყაოსნიდან“ რომ ამოზიდავს ლიტერატურის სიღრმეებსაც და ღირებულებებსაც, იტყვის, რომ მწერლობაში აფასებს არა ფილოსოფიურ თუ რელიგიურ ნაკადებს, ათასგვარი იდეოლოგიის შეჯახებებს, არამედ იმას, რაც პირნიშნად ლიტერატურა და ამ სხვადასხვანაირი ნაკადების ურთიერთშერწყმისას იღექება, როგორც, ვთქვათ, სპექტაკლის ნახვის შემდეგ გამახსოვრდება მსახიობის ესა თუ ის მიმიკა და შესტი, რომელმაც შენც გაგაცინა ან დაგამწუხრა.

„ვეფხისტყაოსანი“ კი, მისი თქმით, კინტენსივია ლიტერატურისა, თუმცა კი ყველანაირი ფილოსოფია და ფსიქოლოგია შეიძლება მოვახვიოთ თავს. ჯანო ჯიქიძის თხზულებებშიც ბატონ გურამს სწორედ ის აინტერესებს, რაც ლიტერატურა... რაც გაცეხს. პირველი გაცეხა ჩნდება მაშინ, როცა ავტორი უცნაურ ამბავს გიყვება, მეორე გაცეხას კი იწვევს ის, რომ ეს უცნაური ამბავი, მოულოდნელად, ლოგიკური და ბუნებრივი ხდება.

— დღეს რატომღაც მსოფლიო კულტურა ორად გაიყო — ერთ მხარეს შვარცნეგერები და რემბოები არიან, მეორე მხარეს კი — „ღრმად ჩაფიქრებული ბრძენკაცები“. არადა ავინყდებით, რომ შექსპირიც, სერვანტესიც... საერთოდ, დიდი მწერლები იმიტომ იყვნენ დიდები, რომ ძალიან მნიშვნელოვან, ზოგადასაკაცობრიო საკითხებზე სახალისოდ ესაუბრებოდნენ მკითხველს.

ჯანო ჯიქიძის შემოქმედებაც ამ თვალსაზრისითაა საინტერესო. ისიც მინდა ვთქვა, რომ მის თხზულებებში მოისმის გურამ დოჩანაშვილის ინტონაციები, აი, თუნდაც, ზმნებზე რომ წერს, მახსენდება „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“. „მე ყველაზე ძალიან მიყვარს სიტყვა როგორიცაა მოიხფრო... და ყველაზე ძალიან არ მიყვარს სიტყვა გაეძეხი“.

და რაც მთავარია: როცა ჯანო ჯიქიძის თხზულებებს კითხულობ, ეჭვი არ გეპარება მის გულწრფელობაში — რასაც გეუბნება ავტორი, სწორედ ეს სურდა ეთქვა.

ფიზიკოსი **თემურ ნადარეიშვილი** კი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია შემოქმედების პროცესში მწერალი თავის თავს დააკვირდეს, რადგან მაშინ ის ხელოვანი კი არა, ხელოსანი იქნებოდა, გავლენა ამ პროცესზე ყველაფერმა შეიძლება მოახდინოს, აი, თუნდაც ნიუტონი მთელი ცხოვრება ფიქრობდა ერთ უჩვეულო მოვლენაზე, რომელსაც ახსნას ვერ უძებნიდა, მაგრამ დაეცა ვაშლი თავზე და ასე აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

„ჩვენი მწერლობის“ სალონში მუდმივი ლიტერატურული ექსპერიმენტების ქვეშ მყოფმა ბატონმა თემურმა,

ფიზიკის „ლაბორატორიების“ გავლით, სხვა არაერთი მოსაზრებაც გაგვიზიარა. მათ შორის ისიც, რომ ხანდახან არცოდნა ძალიან დიდი ძალაცაა — ასე უფრო გაბედული ხდები. ეს გაბედულება კი ბევრ საინტერესო გადაწყვეტილებასაც მიგაღებინებს. თვითონ ბატონმა თემურმა კი ამ სალამოზე ერთი „მნიშვნელოვანი“ გადაწყვეტილება მიიღო:

— მინდა ექიმი შევიცვალო. ვესტუმრები ხოლმე ბატონ ჯანოს ვიზიტზე როგორც პაციენტი.

ვისხდებით და... ვისაუბრებთ ლიტერატურაზე.

„მშვიდობის სიმოლო“ სახელმწიფოს საძირკველში

წერდა 1981 წლიდან 89-მდე.

მერე იყო 11-წლიანი პაუზა.

მერე — შემოქმედებითი რენიშავა, რომელიც როსტომ ჩხეიძემ ჩაუტარა და ასე დაბრუნდა ლიტერატურის კალაპოტში.

იყო მოთხრობების ერთი კრებულის გამოცემის მცდელობაც — 1991 წელს, მაგრამ მაშინ ქვეყანა აირია და ამისთვის აღარ ეცალა.

მეორედ კრებულის მომზადება 2003-ში გადაწყვიტა, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ვერც მაშინ მოხერხდა. და აი, ბოლოსდაბოლოს ამ წიგნმაც იხილა სამზეო.

თვითონ მწერალი იუმორით ამბობს:

— რაკი ეს შევძელი, ე.ი. გადავრჩით, ყველაფერი კარგად იქნება, სამოქალაქო ომსაც ავცდებით, რევოლუციებსაც, მშვიდობაც გვექნება და სახელმწიფოსაც ავაშენებთ. მანამდე კი, როსტომ ჩხეიძის იუმორნარევივე რეპლიკით — „მთავარია ეს გამოცემა სახელმწიფოს საძირკველში დევეს“ — და თავის მკითხველს ელოდება, რომელიც ამ ორიგინალურ თხზულებებს ნამდვილად არ მოაკლდება.

თვითონ ავტორის დამოკიდებულება მასთან კი ასეთია:

— საერთოდ მკითხველი ყოველთვის ზემოდან უყურებს კომედიის გმირებს და ფიქრობს, რომ მას ეს არასოდეს დაემართება, ამიტომ შეუძლია ამაზე გაიცინოს; ტრაგედიის გმირებს კი ქვემოდან უმზერს, შესაძლოა შენატრის კიდევ, ფიქრობს, რომ თვითონ ამ სიტუაციაში არასოდეს მოხვდება, ვერასოდეს გახდება, ვთქვათ, სახელმწიფო ინტრიგების მსხვერპლი, რადგან ის არ არის ასეთი ჩამომავლობის.

ჩემი პოზიცია კი არის ის, რაც დამახასიათებელია ტრაგიკომედიისათვის. ავტორი უნდა იყოს ირონიული, სიცილიტირის გუნებაზე დაგაყენოს. მე სწორედ ასეთ წიგნებს ნაწიკითხავდი და როგორი მკითხველიც ვარ, იმ კალაპოტში ვცდილობ წერასაც.

ის კი...

აი, ის, ქვეყანა რომ გადარჩება, სამოქალაქო ომებსა და რევოლუციებს რომ ავცდით, მშვიდობა რომ გვექნება და ქვეყანასაც ავაშენებთ, დიდი დამსახურებაა კეთილი ხალხისა, ჩემი მხარდამჭერების, ამ წიგნის — ასე ვთქვათ, „მშვიდობის სიმოლოს“ — გამომზეურებას რომ შეუნყვეს ხელი. ამ ყველაფრის სათავეშიც, ბოლოშიც და შესართავთანაც კი დგას როსტომ ჩხეიძე — ჩემი პირველი შემფასებელიც, დამფასებელიც და, თუ საჭიროა, დამწუნებელიც.

ნონა კუპრეიშვილი

პორტრეტი თაობის ფონზე

უკანასკნელ პერიოდამდე საქართველო ლიტერატურაცენტრის ტულ ქვეყნად აღიქმებოდა, რაც, ცხადია, იმ გადამწყვეტმა როლმა განაპირობა, რომელიც ქართულმა მწერლობამ ჩვენი კულტურული იდენტობის შენარჩუნებისთვის შეასრულა. საბჭოურ „სცილასა და ქარიბდას“ შორის უდანაკარგოდ გასვლა რთული აღმოჩნდა და ეს, ალბათ, ვერც მოხერხდა, თუმცა ის, რაც გადარჩა, ჩემი ღრმა რწმენით, არა მარტო ჩვენი დღევანდელი, არამედ მომავლის სულიერი კონვენციის საფუძველია. „გადარჩენაში“ აქტიური მონაწილეობის საშუალება მიეცა და შესაბამისად ყველაზე პროდუქტიულიც აღმოჩნდა „სამოციანელებად“ წოდებული მწერალთა და ლიტერატორთა ახალი თაობა, რომელმაც პოსტსტალინური ხანის პირველივე წლებიდან მთელი ძალისხმევა არა საბჭოური, უკიდურესად იდეოლოგიზებული, არამედ რეალური სამშობლოს და მასში საკუთარი თავის „აღმოჩენისაკენ“ მიმართა.

ცისანა გენძეხაძე – მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის შესანიშნავი მკვლევარი და ინტერპრეტატორი – სწორედ რომ „სამოციანელია“, რაც მისი მეცნიერული მოღვაწეობის, ინტელექტუალურსა თუ ეგზისტენციალურ დროში არსებობის არა ქრონოლოგიური ნიშნული, არამედ მყარი მსოფლმხედველობრივი პოზიციაა. თამაზ ჩხენკელმა ასე ჩამოაყალიბა საბჭოთა ადამიანებად ვერგადაქცეული ახალგაზრდების ამ გარკვეული ჯგუფის მიერ თავის დროზე გაკეთებული არჩევნის ფორმულა: „ჩვენი დიდი ვნება ქართული ლიტერატურა და ენა იყო“.

რეპრესირებული ოჯახის შვილი (ასეთი კი თანატოლთა დიდი ნაწილი გახლდათ) ქალბატონი ცისანა იქნებ სხვებზე მეტად აფასებდა თავისუფლების იმ სულს, რომელიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ სიბნელიდან მზის სინათლეზე ამოსულ ქართველ თუ უცხოელ მწერალთა ტექსტებს მოჰქონდათ. ეს იყო გაუხუნარ, მარადიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ის ყოვლისმომცველი შეღწევა-დობა, რომელიც ყველა დროის ღირებულ მხატვრულ სიტყვას გააჩნია და სამყაროსთან ჩვენი სწორი დამოკიდებულების ინდიკატორის ფუნქციასაც ასრულებს.

სხვადასხვა ჯურის იდეურ ფანატიკოსთა მცდელობის მიუხედავად, დაუთრგუნველი სიტყვის, ასე ვთქვათ, ცოცხალი ენისა და აზრისადმი რწმენით აღსავსედ მეჩვენა ცისანა გენძეხაძე ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ, როდესაც ლიტერატურის მუხეუმში მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პირველი გამოფენის დონწყობის დროს ვნახე.

იმხანად ჩვენ, ახალგაზრდა ლიტერატორებმა, უკვე ვიცოდით, რომ სწორედ მას ერგო მწერლის ქალიშვილთან, ქეთევან ჯავახიშვილთან, მუშაობის პატივი, რაც, სავსებით ლოგიკურად, მისადმი ნდობის უტყუარ საბუთად მიიჩნეოდა. ბიბლიოგრაფია, რომელიც ამ ორმა ქალბატონმა

შეადგინა, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სისტემური გააზრების, მწერლობას ნაძალადევად ჩამოცილებული ავტორისა და მისი ზედროული მხატვრულ-ესთეტიკური პრობლემების ლიტერატურულ პროცესში ხელმეორედ ჩართვის საფუძვლად იქცა.

იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება არ ჩქარობდა მკითხველთა ახალი თაობისათვის რეაბილიტირებულ მწერალთა ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულფასოვან წარდგენას, მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის „თეთრი ლაქების“ შევსებას, მომავალი რეპუბლიკაციისათვის პრესასა თუ პირად არქივში მიმოხეული მასალის თავმოყრას, მართლაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არც ის განცდა იყო განელებული, რომელიც 1962 წელს მიხეილ ჯავახიშვილის, ანუ როგორც მას გრიგოლ რობაქიძემ უწოდა, ნამეხული მიხეილ ჯავახიშვილის, ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საღამოს შემდეგ ასე გამოხატა მურმან ლეზანიძემ: „ქართული ცხვირი, / ზედ პენსნე მკაცრი, / მართალი შუბლი, / წარბი მერცხლებად... / რას არ მოესწრება / ცოცხალი კაცი, / შენს სადიდებლად / სიტყვა გვეძლევა“.

ინტერესი ამ მწერლისადმი ცისანა გენძეხაძეს, როგორც პროფესიონალ ლიტერატორს, არასოდეს განელებია. მეტიც, იგი დღემდე სხვადასხვა რაკურსით სწავლობს და აანალიზებს იმ მრავალფეროვან თემატიკას, რომელსაც ასეთი ოსტატობითა და სიღრმით ამუშავებდა მე-20 საუკუნის ეს უდიდესი პროზაიკოსი, ილიას ტიპის შემოქმედი, რომელიც, საგანგებოდ შევნიშნავ, ქართველთათვის არა მარტო თავისუფლების მოპოვების, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამავე თავისუფლების სწავლების გზებს ეძებდა (თურმე გერცენიც ამბობდა: „მე ვხედავ ძალიან ბევრ გამათავისუფლებელს, მაგრამ ვერ ვხედავ თავისუფალ ადამიანებს“).

დაწყებული მწერლის საეტაპო რომანების სიმბოლურ-ალეგორიული სისტემის სტრუქტურებით, მწვავე და მართალი სიტყვის მქადაგებელი პუბლიცისტიკის შეფასებით (მიხეილ ჯავახიშვილის წერილების 2001 წლის, რამაზ შიშინიაშვილისეულ გამოცემას ქ-ნმა ცისანამ ვრცელი სტატია მიუძღვნა) და დამთავრებული ნაკლებად ცნობილი მოთხრობებისადმი — „მინის ყივილის“ თუ „ცოფიანი“ — მიძღვნილი გამოკვლევებით ქალბატონი ცისანა განაგრძობს კომენტირებას ღია და მარად ცოცხალი კლასიკური ტექსტისა, რომლის შესაძლებლობებიც ამოუნწურავია. ამასთან, ამყარებს იმ ინტელექტუალური სივრცის საზღვრებს, საიდანაც პირადად მისთვის (და ესეც „სამოციანელობის“ ერთ-ერთი ნიშანია) ფუნქციამწერალური მწერლობის და საერთოდაც, „ლიტერატურის მორალური პასუხისმგებლობის“ ტერიტორია-ნაკრძალი იწყება. ამერიკელი ჯონ ჩემპლინ გარდნერიც (დაბ. 1933 წელს) თავის ამავე სახელწოდების გახმაურებულ ნიგნში „ურჩხულეთან მებრძოლ, სამყაროს საიმედოდ დამცველ, ღმერთისა და ჩვენი მწუხრის თავიდან ამცილებელ თუ არა, გადამვადებელ ხელოვნებაზე“ მსჯელობს. მასაც მტკიცედ სწამს, რომ „ხელოვნება დამანგრეველი, ხელოვნება ნიჰილისტებისა, ცინიკოსებისა და სიცოცხლის მოძულეებისა არ არის ჭეშმარიტი ხელოვნება, რადგან ეს უკანასკნელი თავისი არსით თამაშია ქაოსისა და სიკვდილის წინააღმდეგ, ენთროპიის წინააღმდეგ“. სწორედ მიხეილ ჯავახიშვილისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სხვა გამორჩეული ქართველი მწერლების –

სულიერი და კულტურული მესხიერების მატარებელი ამ ადამიანების — შემოქმედებით გზავნილთა „სწორი ნაკითხვით“ მიდის ქალბატონი ცისანა იმ მართებულ დასკვნამდე, რომელიც ლიტერატურული მემკვიდრეობის არა მუმიფიცირების, არამედ მისი სიცოცხლისუნარიანობის, სხვა სიტყვებით კი, ტრადიციისა და ნოვატორობის მუდმივი დიალოგის პრინციპს ეფუძნება.

დღევანდელი კონტექსტში ჰუმანიტარისთვის, რომელიც ზოგჯერ გადაშენების პირას მდგარი იშვიათი ჯიშის ცხოველსა თუ მცენარეს ემსგავსება, ეს უმნიშვნელოვანესი, ვიტყვოდი, საბაზისო პოზიციაა, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება თავისი „შესატყვისობანი“. ერთ-ერთია ცისანა გენძეხაძის ფიზიკური დამოკიდებულება მისი თაობის არაერთი მწერლისა და კრიტიკოსისადმი, იქნება ეს არჩილ სულაკაური, რეზო ჭეიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ასათიანი თუ მანანა გვეტაძე. კრიტიკული პროზის დიდოსტატის, გურამ ასათიანის, როგორც „ახალი დროის თერგდალეულის“, შემოქმედებითი პორტრეტი სავსებით ადეკვატური ქვეტექსტის მქონე მეტაფორითაა გახსნილი; „კაცი, რომელმაც გუგულის ბუდე გადაუფრინა“. მართლაც, ასე იყო: მაშინ, როდესაც „ცენზურის საცეცები ჯერ კიდევ შორს აღწევდა“, როდესაც არაერთი კრიტიკოსის ღირებულებრივი ორიენტირები

ფრიად საეჭვო იყო, ინტერესიც არა მხატვრული, არამედ უპირატესად სოციალური სამყაროსკენ იყო მიმართული და ლიტერატურული რეპუტაციებიც ამ პრინციპით იქმნებოდა, გურამ ასათიანი „ახალი ცოცხით“ ლიტერატურული დარბაზის დასუფთავებაზე (როგორ არ გაგახსენდეს აქ ილიას „ორიოდე სიტყვის“ კრიტიკული პათოსი), ხელოვანისთვის „სავარძლების“ მომკვდინებელ ძალაზე, კრიტიკისათვის „სადამსჯელო ფუნქციის“ ჩამორთმევაზე, მწერლობისა და კრიტიკის ურთიერთდაახლოებაზე, ლიტერატურული კვლევის „შინაარსთმცოდნეობიდან“ „პოეტიკათმცოდნეობაზე“ დაუყოვნებელი გადაყვანის, პოეტური სტაგნაციის დაძლევის შესახებ იწყებს საუბარს და თანაც ისე, რომ ყოველივე ამას საფუძვლად უდებს ქართული მწერლობის არა შემდგომი ატომიზება — დაქუცმაცების, არამედ გაერთიანების იდეას, იმას, რასაც რევანზ თვარაძემ მოგვიანებით „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ უწოდა.

საბჭოური კლოშეებით ენის მოკვდინების, მისი სოციალისტურ სქემებში ფაქტობრივი ჩამარხვის წინააღმდეგ გამართული ბრძოლა, რომელიც თავის დროზე მიხილ ჯავახიშვილმა და კონსტანტინე გამსახურდიამ წარმარ-

თეს, ამჯერად ახალი თაობის ხელში უნდა გადასულიყო, სრული შეგნებით, რომ საბჭოური აგიტპროპაგანდით საგრძობლად შელახული ცნობიერება შეძლებდა ამ უპირველესი ეროვნული განძის, მასთან კი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების შენახვასა და შემდგომ განვითარებას. ცისანა გენძეხაძემ, როგორც სპეციალისტმა, კარგად იცის, რომ ამ და სხვა მისიების შესრულება ყველამ ერთნაირად ვერ შეძლო, რომ ნონკონფორმისტებთან ერთად კონფორმისტებიც არსებობდნენ და თვით „კომუნისტსაც კი ჰედონისტმა სძლია“, თუმცა იმ გარდამტეხი მომენტის მნიშვნელობას გადაუჭარბებლად აფასებს და მიიჩნევს, რომ მთავარი სათქმელის მკითხველამდე მიტანა მაინც მოხერხდა. სწორედ ასე და ამგვარ ტალღაზე, მიხილ ჯავახიშვილის



ცისანა გენძეხაძე, ნონა კუპრეიშვილი, რამაზ შიშინაშვილი, მედეა ჩიკოიძე

გმირული შემოქმედების შემდეგ, თავს იჩენს მის კიდევ ერთ პროფესიულ ინტერესად ქვეული მხატვრული სამყარო, რომლის შემქმნელიც მე-20 საუკუნის კიდევ ერთი დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძეა.

ნელს „ინტელექტმა“ მწერალ ზვიად კვარაცხელიას რედაქტორობით გამოცა ცისანა გენძეხაძის ნიგნი „პოეტის მკაცრი ოთახი“, რომელიც მემუარულ-ესეისტური ხასიათისაა და ძირითადად ქართული ჭილაძელოგიის ანალიზს, მასთან ერთად კი თვით ოთარ ჭილაძის სიჭაბუკისდროინდელ, აქამდე გამოუქვეყნებელ ლექსებს შეიცავს. ლიტე-

რატურის ისტორიისათვის ამგვარი მასალა ფასდაუდებელია. ნიგნში შთამბეჭდავადაა წარმოსახული მესხიერებას შემორჩენილი ახალგაზრდობისდროინდელი სურათები, ომისშემდგომი თბილისი და მისი მცხოვრებნი — ასაკისთვის შეუფერებელი, უფროსებისაგან ნათხოვარი მუქი ფერის ტანსაცმლით შემოსილი გოგო-ბიჭები, ძირითადად უქონლნი, მაგრამ მაინც მხიარულნი და ნიგნით დაინტერესებულნი, ფარისევლობისა და ზნეობრივი ჭუჭყის ნაცვლად, რომელიც მათ გარშემო, ცხადია, არსებობდა, სიკეთესა და ურთიერთგატანაზე ორიენტირებულნი, ბუნდოვან, მაგრამ ბედნიერ მომავალზე მეოცნებენი. მათ შორისაა ისიც, ვინც არა მარტო მისით აღტაცებული თანატოლებს, არამედ ქართველთა (და არა მარტო ქართველთა) უფრო დიდი ნაწილის სახელით დაადასტურებს თითქოს საბოლოოდ „მორჯულებული“, თავისუფლების უარყოფელი, ისტორიიდან განდევნილი ქვეყნის ფარული „ეროვნული ენერჯის არსებობას“, შეიგრძნობს იმ პულსაციას, რომელიც, აკაკისა არ იყოს, არა სიკვდილს, არამედ მხოლოდ თვლემას ადასტურებს. ეს ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსი ოთარ ჭილაძეა, რომელმაც საკუთარ თავს — თავისივე ქართველობის მიმე ხვედრის გააზრებით —

„ბედნიერი ტანჯული“ უნდა.

ცისანა გენძეხაძე, როგორც ამ თითქმის ინტიმური წიგნის ავტორი, ახერხებს მთავარი აქცენტის დასმას: მიუხედავად იმისა, რომ იგი მოხიბლულია თავისი სიყრმის მეგობრის პიროვნული თვითმყოფადობით, ეს „შინაური დამოკიდებულება“ ლიტერატურულ ნაწილზე არ ვრცელდება. ოთარ ჭილაძის ტექსტები მისთვის თავისთავად მხატვრულ ღირებულებას ინარჩუნებს და ამიტომაც, ბუნებრივია, ყოველგვარი მიკერძოების გარეშეა შეფასებული. საკუთარ რეპრეზენტაციებთან ერთად წიგნში წარმოდგენილია იმ ავტორთა ნაშრომებიც, რომლებმაც ოთარ ჭილაძის შემოქმედების მეცნიერული კვლევა მაღალ საფეხურზე აიყვანეს. ეს, ცხადია, პირველ რიგში, ეხება მანანა კვაჭანტირაძეს, რომელმაც არაერთი წელი მოანდომა „ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტების“ შესწავლას.

ცისანა გენძეხაძე იწონებს არა მარტო მანანა კვაჭანტირაძისეული კვლევის სტილს, არამედ მიმართულებას, მეთოდოლოგიურ სიახლეს, რომელიც ენისა და ლიტერატურის სემიოლოგიის მიერ სამეცნიერო ენასთან დაკავშირებული ნიშნობრივი მოვლენების შესწავლაზე გადის. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სწორედ მ. კვაჭანტირაძემ, პირველად ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში, მწერლის ენა, ენობრივ ნიშანთა სისტემა განიხილა, როგორც ღირებულებათა სისტემა, რომელიც სიმბოლურად ასახავს ნაციონალური და ინდივიდუალური მენტალიტეტის შიდა სახეს, მის „ფარულ მიდრეკილებებს“. სხვა სიტყვებით, ოთარ ჭილაძის ენაზე, როგორც მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენაზე, დაკვირვებით „აღინერა ნაციონალური ენის სიმბოლური ბუნება“, მისი დამოკიდებულება სამყაროსა და სოციალურ მიმართ. ხოლო რაც შეეხება რომანების მხატვრულ ქსოვილში მითოსური სტრუქტურების შემოტანას, რასაც „წარსულსა და მომავალს, მარადიულ და წარმავალ დროებს შორის წინააღმდეგობა“ მინიმუმამდე დაჰყავს, ის სავსებით მართებულად განხილულია, როგორც „ხალხის მიერ შენახული სიბრძნით ჩვენს ცნობიერებაში ცალკეულის – მთელთან, წარუვალის — წარმავალთან, ჭეშმარიტთან, მარადიულთან“ მორიგების გზა. გაზიარებულია მ. კვაჭანტირაძის ერთი მნიშვნელოვანი დასკვნაც: „თუ კარლ იარსპერსის მიხედვით, მითი სიკვდილს გვასწავლის, ჭილაძის მიხედვით, იგი სიცოცხლესაც გვასწავლის: წარსულის გზით – მომავალს, წარმოსახვის გზით რეალობას, გრძნობადის გზით – ფიქრსა და აზროვნებას“. მოკლედ, მ. კვაჭანტირაძის კვლევის თეორიულმა არტიკულაციამ, რომელმაც გამოკვეთილი სახე მიიღო და მწერლის ჩანაფიქრის მასშტაბურობა წარმოაჩინა, ცისანა გენძეხაძე, როგორც პროფესიონალი ლიტერატორი, გულგრილი ვერ დატოვა (ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებდა იგი მ. ჯავახიშვილის შემოქმედების სხვა სერიოზული მკვლევრების: თემურ დოიაშვილის, თამაზ ვასაძის, ლელა წიქარიშვილისა და სხვათა მიმართ).

ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედება, განსაკუთრებით კი მისი საეტაპო რომანები, კიდევ ერთი „სამოციანელის“, ზურაბ კაკაბაძის სიტყვების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, იქცნენ წიგნებად, რომლებიც იჭრებოდნენ მკითხველის ცხოვრებაში და მას არა ზერელე, არამედ სწორედ რომ არაკომფორტული კითხვის შედეგად ფიქრს (გაიხსენეთ ზემოთქმული), თავისუფლების სწავლას აიძულებდნენ. ცი-

სანა გენძეხაძეც ამ დიდ სულიერ საგანძურს იმავე კრიტიკურ-რეზიუმით უდგება, თუმცა ამ თვალსაზრისით ერთგვარად წრის შემკვერელი მწერლის უკანასკნელი რომანი „გოდორი“ აღმოჩნდა, რომლის გამოქვეყნებას ერთ-ერთ პირველი ცისანა გენძეხაძე გამოეხმაურა. რუსმა ლიტერატორებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ ო. ჭილაძეს, როგორც პოეტს და ო. ჭილაძეს, როგორც პროზაიკოსს, სინანულით აღნიშნეს, რომ ისეთი თვითგანმნენდა, როგორც „გოდორში“ ასახული, რუსულმა მწერლობამ ჯერჯერობით ვერ გაბედა. მართლაც, სამწუხაროდ, ჩვენი გუშინდელი პოეტური დებისა და ძმებისთვის, რომელთაც თვით პოეტობა უსაქართველოდ ძნელად წარმოედგინათ (ევეგენი ევტუშენკო წერდა: საქართველოს უნებლიე დავიწყებთაც კი რუსეთში პოეტობა შეუძლებელიაო), სრულიად მიუღებელია ის ვერდიქტი, რომელიც ქართველმა მწერალმა კამელების სახით, მთელ ტოტალიტარულ სისტემას გამოუტანა. ქვეყნის საშოდან კამელთა გამოფხეკა ის აუცილებელი „ქირურგიული ოპერაციაა“, რომლის გარეშე გრგანის ზმის სრული სიჯანსაღე, შხამიანი მომაკვდინებელი „ჯერკვალისაგან“ მისი გათავისუფლება შეუძლებელია. „მწერლის მკაცრი ოთახი“ ჭეშმარიტი ლიტერატურისადმი ისეთი პატივისცემითაა გამსჭვალული, როდესაც მწერალი საკრალიზებულ, მკაცრ ოთახში ნებაყოფილობით გამომწყვდეულ ქომაგად, მწერლობა კი დიდ გაფრთხილებად წარმოგვიდგება.

ცისანა გენძეხაძე, თავისი თაობის არაერთი წარმომადგენლის მსგავსად, მწერლურ სიტყვას შეკედლებულ და ამ სიტყვით „სულიერ გაჩანაგებას გადარჩენილ ადამიანთა“ რიცხვს მიეკუთვნება. ეს კი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ილუზორულ სამყაროში გამოკეტვას კი არა, ქაოსისა და ჰარმონიის ურთიერთდაპირისპირებაში ჰარმონიისადმი ერთგულების დემონსტრირებას ნიშნავს. საკუთარ თავთან ჰარმონიული თანაარსებობის მიღწევა ჩვენივე გაადამიანურების პროცესის შეუქცევადობას განაპირობებს. აღარ არიან ან თითქმის აღარ არიან ისინი, ვინც მაუდგადაფარებული პრეზიდენტის კუთხეებს შუბლს ახლიდა, ვინც, „წოდებულად“ დაბადებული, თავის ნიჭს ახურდავებდა და თვალებს დითირამების შეთხზვაში იწყალებდა, არც ისინი, გადიკაცებულ ხელმრუდ „ვაჟკაცებთან“ ერთად ხორაგის სიმძიმისაგან ჩაზნექილ სუფრებს რომ უძღვებოდნენ, და აღარც ისინი, „მამულიშვილობის“ მანტიით შენიღბულნი, საკუთარი ქვეყნისადმი სრულ ურწმუნობასა და ცინიზმს, მასთან ერთად კი კაპიტულანტურ სულიკვეთებას ამკვიდრებდნენ. სამაგიეროდ, ბევრ სხვა მნიშვნელოვან რამესთან ერთად, კვლავაც ღირებულებას ინარჩუნებს აბსოლუტურ უპერსპექტივობაში მოქცეული, „ნამდვილ ომად ქცეული მწერლობის“ (ო. ჭილაძე) პირობებში, სიტყვასთან შეჭიდებული გურამ რჩეულიშვილის გაბრძოლება, მუხრან მაჭავარიანის მიზანმიმართული და რეზონანსული ქარაგმულობა, შოთა ჩანტლაძისა და ნიკო სამადაშვილის მარგინალიზებული პოეზია, ოთარ ჭილაძის ახალი პოსტგალაკტიონური ლირიკა – თვალახელილი ქართველის თვითრეფლექსია, მისივე მრავალნაწილიანი „საგა“ საქართველოზე... და, ცხადია კრიტიკული აზრის ის მიმართულება, რომელსაც... გურამ ასათიანი და აკაკი ბაქრაძე ავითარებდნენ. ყოველივე ეს დღემდე რჩება ცისანა გენძეხაძის, როგორც ლიტერატორის, მასტიმულირებელ, თუ გენებათ, მაპროვოცირებელ ფაქტორად, რათა ხვალინდელი, ჯერ კიდევ დაუნერელი ინტერპრეტაცი-

მურმან ჯგუზურია

ოთარ ჩხეიძე... ჩხეიძეები...

რამდენი ოთარია საქართველოში, მწერლის კალამი რომ გაუტოკებია?

ოთარ ჩხეიძე. ოთარ ჩიჯავაძე. ოთარ ჭელიძე. ოთარ ჭილაძე. ოთარ მამფორია. ოთარ კუპრავა. ოთარ შალამბერიძე. ოთარ მიქაძე. ოთარ ნურნუშია. ოთარ კანდელაკი. ოთარ დემეტრაშვილი. ოთარ ბაქანიძე. ოთარ ხუციშვილი. ოთარ ურუშაძე. ოთარ ნოდია.

ყველა ჩამოვთვალე? ალბათ, არა. ზაალ ბოტკოველს უნდა ვკითხო.

ეს, რაც შეეხება სახელებს. თუმცა ამ ესეის სათაურის მიხედვით, მე უფრო გვარზე მინდა გავამახვილო ყურადღება.

ჩხეიძე გიორგი. ჩხეიძე ოთარი. ჩხეიძე რეზო. ჩხეიძე ნოდარი. ჩხეიძე ნოდარი. ჩხეიძე ციალა. ჩხეიძე თემური. ჩხეიძე როსტომი.

გიორგი ჩხეიძე (ქუჩიშვილი) — კაცი, პოეტი, გალაკტიონის უახლოესი მეგობარი, ერთ-ერთი ქართული ლექსი-შედეგის ავტორი:

**ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს...**

ოთარ ჩხეიძე — პროზაიკოსი, დრამატურგი, ცნობილი, გამორჩეული, სახელგანთქანი, შესანიშნავი, დიდი ანუ ისეთი, ვის როგორ მიაჩნია, როგორ მიიჩნევს.

მე ვამბობ: ოთარ ჩხეიძე. ქართველი მწერალი, XX საუკუნის მხატვრული მემკვიდრე. საუკუნის სიგრძე-სიგანით განმზილველი. შექმნა საკუთარი ენა. საკუთარი ქართული. საკუთარი სტილი. კილო. ტილო. „Вот Вам мое стило, и можете писать сами“ (მაიაკოვსკი).

ო. ჩხეიძის პროზა. ვ. მაიაკოვსკის პოეზია.

საიდან სადაო, იქნება ვინმემ გაიფიქროს, მაგრამ ამ ორ უზარმაზარ შემოქმედს ბევრი რამ აქვს საერთო. ორივენი ქმნიან საკუთარ ენას. ორივენი თავისი თანამედროვეობის, თავისი ეპოქის ჟამთააღმწერელნი არიან. ერთმა მათგანმა თავი მოიკლა. მეორე მათგანი იქამდე ებრძოდა ურჩხულს, სანამ არ დაამარცხა, რა გინდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ, რაც დრო გავა, უფრო და უფრო მეტად რომ გავიცნობიერებთ. დრო ჩვენზე მეტია. ჩვენზე უფროსი, ჩვენი ტოლი და ჩვენზე უმცროსი. ჩვენ ერთი ვართ. დროს სამი განზომილება გააჩნია. თუმცა განუყოფელი. სამება-ერთი. წარსული. აწმყო. მომავალი. ჩვენ გარკვეული (გაურკვეველი) დრო გვაქვს მოზომილი. შემოქმედი ყველა დროში არის. ჩვენ წავალთ. შემოქმედი არ წავა. პოეტი მაინც სულ არ კვდება, როდესაც კვდება.



გიორგი ქუჩიშვილი

ბატონ ოთარს ამ ესეიში კიდევ მინდა მივუბრუნდე, ახლა კი ასაკისა და რიგის მიხედვით ვიაროთ.

ნოდარ ჩხეიძე — გიორგი ჩხეიძის ვაჟიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი.

დედაქალაქში თემურ ჩხეიძემ ჩამომიყვანა. შოფრად ვმუშაობდი ენგურჰის მშენებლობაზე. ლექსებს ვწერდი. თემურ ჩხეიძე და მისი კოლეგები თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ზუგდიდში, შალვა დადიანის სახელობის თეატრში მიაველინეს. ჩემმა ახალმა ნაცნობებმა თემურ ჩხეიძემ, ჟანრი ლოლაშვილმა, ავთანდილ მახარაძემ, ნათელა არველაძემ ნაიკითხეს ჩემი ნაცოდვილარი და გამამხნევეს, შემეგულიანეს. თემურმა მამისეულ სახლში მიმიჩინა ბინა. ასე რომ, მთელი ორი წელიწადი ბატონი ნოდარ ჩხეიძის სტუმარი ვიყავი (ამდენი ხანი სტუმრობა ვის გაუგონია!), გავიღვიძებდი დილით და ბალიშის ქვეშ ხან ხუთმანეთიანი იყო ამოღებული, ხან — ათმანეთიანი, ცხონებული ქალბატონი —

ციალა ჩხეიძე — ბატონი ნოდარის და, თემურის მამიდა გვივლიდა და გვაპურებდა. ქალბატონი ციალა ჩხეიძე გახლდათ ფრიად განათლებული პიროვნება, საუცხოო მთარგმნელი (მარტო დოსტოევსკის „ყმანვილი“ რომ დავასახელო), მაგრამ მე, ცხადია, მეტი ურთიერთობა ბატონ ნოდართან მაკავშირებდა. ბატონი ნოდარი იმ ხანებში (გასული საუკუნის 70-იანი წლები) რუსთაველის თეატრიდან იყო წამოსული (განაწყენებული? არ ვი-

ცი). ერთხელაც, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის კონკურსში უნდა მიელო მონაწილეობა, მაგრამ თავადვე უარი განაცხადა.

— „და“ — ს არ მაკითხებენო, მითხრა, ყოველ სტროფს ბოლო სტრიქონზე რომ მოუდის, თუ მოუდიოდა. „და“ ამოსუნთქვის საშუალებას გაძლევსო. დაამატა, რაც რუსთაველმა ჩვენზე კარგად უნყოფაო.

პრუსტი წერს, სახარების ლექსსა და ლექსს შუა მორწმუნის-მოცველის დუმილი (სუნთქვა) ისმისო. პაუზა. თანაც ეს „და“ არა მარტო შესვენებისათვის (სულის მოსათქმელად) ჰქონდა ალბათ გაანგარიშებული რუსთაველს, არამედ ტექსტის (სტროფის) კარგად გაცნობიერებისათვის. კი არ უნდა ჩაგებულბულებინა, ესე იგი, არამედ კარგად უნდა დაფიქრებულიყავი მის შინა-არსზე, შინამოზე. ამ სიტყვას, შინამოს, ცხონებული მიხეილ თუმანიშვილის მოგონებების წიგნიდან („რეჟისორი თეატრიდან წავიდა“) ვიმახსოვრებ. სიტყვამ მოიტანა და ამ „შინამომ“ მიკარნახა მეორე სიტყვა — წინამო, შინამო სულია. წინამო — თვალი. თვალი, ანუ ის, რაც არის დღეის საქართველო. წინამო, ანუ ფასადი, წვიმა რომ ემტერება დრო-გამოშვებით.

— თქვი, აბა, თეატრი, — მეუბნება ბატონი ნოდარი.

ვამბობ.

— მეგრელი თეატრს ვერ გამოთქვამს. — მეუბნება. ილიმის. მისმა ხმამ, მისეულმა კითხვის მანერამ ახლებურად დამანახა გალაკტიონის პოეზია.

**წამყე ბეთანიისკენ, იქ, სადაცა ახლო-მახლო
იყო ორბელიანების და ირაკლის სამოსახლო...**



ცილა ჩხეიძე



ნოდარ ჩხეიძე



თემურ ჩხეიძე

**ადგილები ასე მშვენი ვარდისაგან, ისაგან...
სანადირო ადგილები... წამყე ბეთანიისაკენ!..**

რანაირი ქართულია! პური და თაფლი. ქაფური. ყურის მალამო.

არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ იმ ხანებში ბატონი ნოდარი სხვა ლექსებისაგან განსხვავებით უფრო ხშირად კითხულობდა „მანონ ლესკოს“. მე იმ დროს გალაკტიონის ეფემერები და ედგარები მიტაცებდა, ბატონ ნოდარს — მისი ბოლოდროინდელი ლექსები. ხანი გამოხდა. ეფემერების სიყვარული საკუთარი, მშობლიური კარ-მიდამოს სიყვარულით იძლია. „აი, ამ ქვასთან გავატარე ბავშვობა მთელი, აი, ამ ქვასთან“. და ქვა გახდა უფრო ახლობელი, ვიდრე ლელიანი (ვერლენი) თუ ედგარი. მაგრამ ამის თაობაზე სხვა დროს ვისაუბროთ...

ბატონ **რეზო ჩხეიძეზე**, არ ვიცი, რა ვთქვა. ორ-სამჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს. მაგრამ, ალბათ, არც ახსოვს ჩემი ვინაობა. მის ნახელავზე იმდენია ნათქვამი, ანკი რა უნდა დავამატო. თვით კუროსავამ აღნიშნა, ყველა დროის საუკეთესო კინო-ფილმი „ნერგები“ არიო.

ეს ერთი რამე კი მაინც უნდა ვთქვა:

ბატონი რეზო რომ სიტყვას ამბობს, თუ დაკვირვებინახართ, იგი თითქოს თავად უსმენს თავის გამონათქვამს, ამბობს ნელა-ნელა, დახანებით. ფიქრიანად, და თითქოს თავადვე მიჰყვება გზად თავის სიტყვას, მიაცილებს, შენამდე, ჩემამდე გზაში რომ არაფერი შეემთხვას, ანუ კარგად იქნეს გაგებულნი...

ცხონებული **ნოდარ ჩხეიძე** — ლიტერატორი, კრიტიკოსი. სულ სამგზის მყავს ნანახი. მეტი არა.

კეკელიძის ქუჩის აღმართზე ცხონებულ ჯუმბერ თითმერიას, ნოდარ ჩხეიძის უახლოეს მეგობარს, ბინა ჰქონდა ნაქირავები. ოთხ თუ ხუთ სართულიანი სახლის პირველი სართული. ერთხელაც ჯუმბერი ვინახულე. სახლის წინ, ზედ ქვაფენილზე ხის ყუთი იდგა. ყუთზე ნარდი იდო. და ჯუმბერი და ნოდარი ნარდს თამაშობდნენ. ამღერებენო, რომ იტყვიან. ნოდარმა რალაც იწყინა და მოულოდნელად ნარდი აშალა. და წავიდა. „წაგებას ვერ იტანს“. თქვა ჯუმბერმა.

მეორედ: ბეჟან აბაშიძის დედის გასვენებაში ვართ, კახეთში. და ჭირის სუფრას რომ ვუსხედით და ყველანი აიშლნენ და მე რომ ჯერ კიდევ ღვინით სავსე ჭიქა მეკავა ხელში, ნოდარმა ხმამაღლა დაიძახა: „მურმან!“ და ხმა იგი, დრო და დრო დღემდე ჩამესმის.

მესამედ: ჯუმბერ თითმერიას მამის გასვენებაში ვართ. სასაფლაოდან მოვბრუნდით. ჭირის სუფრას ვუზივართ. კარგი ამინდი იდგა და უცებ განვიმდა. ვილაცამ ბრეზენტი მოზიდა, რათა მაგიდაზე გადაეფარებინა, ნოდარი წამოდგა, მივიდა იმ კაცთან, ბრეზენტი რომ უნდა გაეჭიმა ფანჩატურზე, ლურსმანი და ჩაქუჩი ჩამოართვა, დაიხარა, ხელები მოაფათურა მოხრეშილ მინაზე. რამდენიმე მოზრდილი კენჭი მოიქცია მუჭში, ბრეზენტს წვერი დაუჭირა, შიგ ქვა შეახვია და ბანრით ხის ლარტყას მიაბა. ასე გააგრძელეო, აჩვენა იმ უცნობ მამაკაცს, ბრეზენტის ლურსმნით მიჭედვას რომ აპირებდა, და სუფრას დაუბრუნდა.

თემურ ჩხეიძეზე მცირე ესეი მაქვს გამოქვეყნებული, რაც, მემუდარება, პატარა წიგნაკად მაინც რომ გარდაისახოს და ალბათ, ასეც იქნება, იმდენად ვარ დავალებული მისგან როგორც კაცისა და მეგობრისაგან, რასაც გვირგვინს ადგამს, უწინარეს ყოვლისა, მისი არაჩვეულებრივი შემოქმედება. იგი ჩემი გაგებით, უპირველესი ქართველი რეჟისორია.

ამ გამონათქვამის ამწყობს ვთხოვ, ხაზგასმით აკრიფოს სიტყვა — ქართველი.

როსტომ ჩხეიძე.


ხანი გამოხდა მე თავშესაფარი გამომიჩნდა და ასე და ამრიგად მოვხვდი საირმის გორაზე, ბატონი ოთარ ჩხეიძის ბინის მეზობლად. როსტომი იმ ხანებში, მგონი, სტუდენტი იყო. გამარჯობა-გაგიმარჯოს. ზედაც მისი არაჩვეულებრივი ღიმილი და მორჩა. დიდებული ქალბატონი და დიდებული დიასახლისი გაგვიწყობდა ხოლმე პატარა სუფრას და გული ჩემი (ინტერნეტი) ინერდა და იმასხვრებდა ოჯახის თავისა და სუფრის გამძღოლის გამონათქვამებს. „შევარდენმა შეისროლა ცაში ოქროს ნკეპლა“. ან კიდევ: „ქარმა ქალაქს დაუშინა ნუშის ნაფერთალი“. შუილი. შრიალი. შარიშური. შესმა. შეღვინება. პანია, ნელში გამოყვანილი ჭიქები გვიდგას და ხატულა, თიხის დოქი. ბატონი ოთარი ისე დინჯად



როსტომ ჩხეიძე



რეზო ჩხეიძე



ოთარ ჩხეიძე

და ფიქრინად ამბობს მორიგ სადღეგრძელოს, გეგონება, აგერ, ხელის განწვევინაზე კი არა, არამედ სადღაც შორს მივდიოდე, თანაც დიდი ხნით და თანაც გაურკვეველი მიმართულებით. როსტომმა შემოიხედა. სალამი თქვა და სხვა ოთახში გავიდა. ოჯახის თავმა რატომღაც სუფრასთან არ მიიწვია. „როსტომ“, თქვა და მეტი არაფერი. და ყველაფერი ითქვა იმ ერთადერთი სიტყვით. როგორი ამბავია, კაცი სხვაგან იყო და შინ მოვიდა. „როსტომ!“ რამხელა ცოდნა აუცილებელი, რომ კარგად გაერკვე, იმ ერთადერთ სიტყვას ძახილის ნიშანი მოჰყვა იმ ღამით თუ არ მოჰყვა. თუკი ოჯახის თავი ჩათვლიდა, რომ ვაჟიშვილი თავის დროზე დაბრუნდა შინ, მაშინ „როსტომს“ ძახილის ნიშანი არ მოეხმება, მაგრამ თუკი ვაჟიშვილმა დაიგვიანა შინ მობრუნება, ძახილის ნიშანი აუცილებელი შეიქნებოდა. და ის ძახილის ნიშანი გააკეთებდა სხვა დანარჩენი სიტყვების გასაკეთებელს. ბატონისა და ბატონიშვილის ურთიერთობა იმ ღამით ასე დამთავრდა. ოდისევისი შინ დაბრუნდა.

დრო მიდის.

როსტომ ჩხეიძეს უკვე თავისი საკუთარი ენა გააჩნია, სახელოვანი მამის კვალობაზე, და საკუთარი მსოფლმხედველობა. თავისი აზრის ერთგულია და სხვათა აზრის შემწყნარებელი და გამომამზეურებელი.

ბიოგრაფი. მატთანე. დრამატურგი. მთარგმნელი (**პაატა ჩხეიძე** რამ დამავინყა? ან მისი შესანიშნავი თარგმანები?), როსტომი გახლავთ აგრეთვე საუკეთესო ქართული სალიტერატურო ჟურნალის მეთაური. და, რა თქმა უნდა, № რაოდენობის ნიგნის ავტორი. რამდენს მოიცავს ეს № არ ვიცი, ჩემდა სამწუხაროდ. ვიცი, ამას წინებში გამოაცხადეს ხელმონერა ტოლსტოის 100-ტომეულზე. ბატონმა ოთარმა რამდენი ტომი გვიანდერდა? რუსული ენა ჰორიზონტია. ქართული ენა — ვერტიკალი. ა-ნი ისაა, რაც არის. ა, ესე იგი, ვიგულისხმობთ დედა-მინა, ხოლო ჰ-აე სულ ცაში მიდის. და ამ ორ ასოსა შინა მთელი სამყაროა. ვინ მოიფიქრა? რუსული ენა მიწისმზომელია, ქართული ენა — ცის.

როსტომი ჩემს თვალწინ გაიზარდა. დაახლოებით ისე, როგორც იზრდებოდა მისი ცნობიერება. ოჯახიდან, გორიდან, ალექსანდრე ორბელიანიდან მოკიდებული ამერ-იმერს

რომ მოეფინა, რასაც ადასტურებს მისი (ჩვენი) სალიტერატურო ჟურნალი. და მაინც, საიდან ამდენი მეგრული ავტორი? ამდენი მეგრული გვარ-სახელი, რასაც გაცილებით მეტი შინა-არსი (შინამო) გააჩნია, ვიდრე მე აქ აღვნიშნავ.

საქმე კი იქით მიდის, ძვირფასო მკითხველო, გამორიცხული არაა, როსტომ ჩხეიძის 100-ტომეულსაც მოვესწროთ.

ალბათ იკითხავთ, რაღა მაინცდამაინც ჩხეიძეებზე გავაბილაპარაკი?

მაგრამ განა საკვირველი არ არის ამდენი სახელიანი ჩხეიძეების არსება-ყოფიერება ამ ერთ-ცახე საქართველოში?

საოცრებებს რა გამოოღვეს ამ ცისქვეშეთში.

განა ასევე საოცარი არ არის, თუნდაც ის, რომ ყველა უდიდესი მოჭადრაკის გვარი იწყება ერთი და იმავე ასონიშნით?

კაპაბლანკა. კარპოვი. კასპაროვი. კასიმჟანოვი. კრამნიკი. ყველა ესენი სხვა და სხვა დროს მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ.

მივფიქროთ ამათ კერესი და კორჩნოი (სამარქაფოდ), და კიდევ ერთი კ-ანი, ანუ კარლსენი, ჯერეთ უწვერული ყმანვილი, ჭადრაკის მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი რომ უკავია!

P.S.

ამას წინათ, „ჩვენმა მწერლობამ“ ბატონი ზურაბ ხასაიას შესანიშნავი ესეი გამოაქვეყნა, სადაც ავტორი გვესაუბრება დემოკრატიული წყობილების ავ-კარგზე, ავზე, უნდა მეთქვა, მაგრამ არ საუბრობს იმის თაობაზე, თუ რა უნდა შეენაცვლოს დემოკრატია, რაზედაც ამ სამი ათეული წლის წინათ გამოაქვეყნა თავისი ნააზრევი ბატონმა ოთარ ჩხეიძემ. ანუ: მეცნიერმა-ფილოსოფოსმა მიგვანიშნა იმაზე, თუ რა გვჭირს, ანუ დასვა დიაგნოზი, ხოლო მოძღვარმა-მწერალმა გამოგვინახა სამკურნალო საშუალება-წამალი, რითაც შეიძლება ჩვენი ერისა და ბერის განკურნება-გამოჯანმრთელება.

კიდევ რამდენი დრო და ხანია საჭირო-აუცილებელი, რომ ჩვენმა გზაბნეულმა სამშობლომ თავისი მოძღვარისა და მეცნიერის შეგონება გაითავისოს და გაინიშნა-დაიშინოს?

„ჭკუით, ქართველებო!“ (ჭაბუა ამირჯიბი).

ჩემი გირი ბინოდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები (ასოცირებული პროფესორის მანია კვიციანი-კოპაძის სახელსონო).

თინათინ ჯაფარიძე

ვინ არის გირი?! ვის შეიძლება ეს სტატუსი მივანიჭოთ?! ნუთუ არსებობს კრიტერიუმები, რომლი-



თაც განვსაზღვრავთ გირის ფენომენს?!

გმირად არ იბადებიან, გმირები შემდეგ ხდებიან! ეს უდავოა, მაგრამ როგორ? იყო გირი არც ისე ადვილია, როგორც ჩვენ გვგონია და არც იმდენად რთული, რომ ამ სტატუსის ტვირთვა ვინმეს გაუჭირდეს.

ყველაზე რთული სტატუსის მინიჭებაა. ერთი შეხედვით, დღეს გირის ფენომენის ცნება გაფართოვდა და ყველა მასწავლებელი, დედა, მამა, აღმზრდელი, ქველმოქმედი, ქვრივი თუ უზრალოდ ადამიანი, რომელსაც სხვაზე ზრუნვა უანგაროდ შეუძლია, გირია.

გმირობის ჩემუელი ფორმულა ასეთია — შენი გადასაცე სხვას, არ დაელოდო საზღაურს და იყო ბედნიერი.

ქალი, რომელსაც არ ჰყავს შვილი, მაგრამ აქვს სურვილი იშვილოს სხვისი ბავშვი, ირჩევს უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლს და ხდება ერთ-ერთი, საკუთარი მშობლისგან უარყოფილი ჩვილის დედა. ეს გმირობაა. ეს ის სულგრძელობაა, რომლის გამოჩენაც ასეთ სიტუაციაში ყველაზე დასაფასებელია. აბა წარმოიდგინეთ, გაზარდო სხვისი შვილი, ეს ხომ რთულია და რამდენად ძნელია გაზარდო ბავშვი, რომელიც ვერ დადის, ვერ გეძახის, ვერ არსებობს დამოუკიდებლად და ვერ თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად. მაგრამ შენ ხარ დედა, რომელსაც ისევე უყვარს თავისი შვილი, როგორც სხვებს, ისევე ზრუნავს მასზე და აძლევს ყველაფერს, რაც შეუძლია, როგორც ნამდვილი დედა.

არ წუნუნებს, არც ნანობს თავის საქციელს. მას ხომ შეეძლო ჯანმრთელი ბავშვი აეყვანა შვილად, მაგრამ მან მსხვერპლი გაიღო, მას შეუყვარდა ეს პანანინა, სუსტი არსება და მარტოობისთვის ვერ გაიმეტა. დათმო ამპარტყვენება, სიამაყე, თავმონონება და გაიღო რაც გააჩნდა: თანხა, სიტბო, სიყვარული, სულგრძელობა, მოთმინება, მზრუნველობა, თავმდაბლობა და დედობრივი თავგანწირვა. ის არ შეეპუა არსებულ სიძნელეებს და აღზარდა, გაზარდა, ადამიანად დააყენა ის, ვისაც მთელი ცხოვრება შეაღია.

აი ვინ არის გირი. ჩემთვის ასეთი დედები არიან გმირები, საერთოდ შვილის გაჩენა და მისი სწორი გზით აღზრდა უკვე გმირობაა, მაგრამ ამ შემთხვევაში შენ ირჩევ გააჩინო ბავშვი და გაზარდო შენი საკუთარი შვილი, არ განიცდი დისკომფორტს და არ ნვალობ მის გადაადგილებაზე, სწავლაზე, კვებასა და ჩაცმაზე, ისე როგორც ეს უნარშეზღუდული ბავშვის აღზრდის შემთხვევაში ხდება.

და კიდევ, ამ სიაში იმ დედებსაც მივათვლი, რომლებსაც საკუთარი უკვე ჰყავთ, მაგრამ სურთ ოჯახური სიტბო სხვასაც გადასცენ, აგრძნობინონ სიყვარულის და საკუთარი „ჭერის“ ქონის ფასი.

იყო დედა, კარგი დედა, ეს უკვე გმირობაა! იყო სხვისი შვილის დედა, ეს ორმაგი გმირობაა! იყო სხვისი, უნარშეზღუდული ბავშვის დედა, ეს ათმაგი გმირობაა! ეს ისეთი სულგრძელობაა, რომელსაც მე, ალბათ, ვერასოდეს ვერ გამოვიჩენ. ამას ძალა სჭირდება. ძალიან დიდი ძალა...

ლანა გიორგიძე

ტელეკომპანია „იმედმა“ 2011 წლის „იმედის გირი“ გამოავლინა მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით.

გადაცემაში „იმედის გირები“ წელს 40 სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და



რელიგიის ადამიანის ამბავი იყო მოთხრობილი. 18 დეკემბრამდე 40 „იმედის გირიდან“ 11 საუკეთესო გირი თერთმეტკაციანმა ჟიურიმ 10-ბალიანი სისტემით შეარჩია. ჟიურის წევრებიც სხვადასხვა პროფესიის მიხედვით შეირჩნენ: გია მურღულია, თაკო ფხაკაძე, ნიკა რაჭველი, გოჩა სანიკიძე, მაკა მეტრეველი, ნანა ჩაჩუა, გია ბულაძე, რუსუდან კერვალიშვილი, ნიკა რურუა, სოსო ფხაკაძე და დავით ლორთქიფანიძე.

გადაცემა „იმედის გირები“ თითქოსდა სრულიად განსხვავდებოდა სხვა ფორმატის „გადაცემებისაგან“, რადგან ჟურნალისტები მოგვითხრობდნენ სრულიად ჩვეულებრივ ქართველებზე, რომლებიც საქმემ გამოარჩია და გმირად აქცია. ყოველი პიროვნება იმსახურებდა შექებას, გაცემას, გაკვირვებას, მათი სიკეთე გადამდებია.

როგორ შეიძლება კომერციულმა მიზნებმა გირის ფენომენს საძირკველი გამოაცალოს... მხოლოდ ჩვენ თუ შევძლებდით სხვების მიბაძვით გმირები ერთმანეთზე გაგვეჯობებინა. ქულებით, „სმს“-ებითა და „ლაიქებით“ განგვესაზღვრა „ვინ უფრო გირია“, ვის ეკუთვნის ბინა, დასვენება. დღეს გმირად შერაცხავ, ხალხს გააცნობ, ხვალ კი უწონი ღვანლს, ნამოქმედარს.

ყველაფერი „დაუმესიჯეთ-ი“ როგორ უნდა წყდებოდეს?! ალბათ, ეს პროექტიც თავიდანვე ჩაფიქრებული მახე იყო, რომელსაც ბევრი „50-თეთრიანი სატყუარა მოჰყვა“. 40 გირი ქართველიდან ვინ ავირჩიეთ „სუპერ-გირი“?! — სამარცხვინოა.



კა მალალაქა

„გ მ ი რ ი — არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმიოცა მეტი და ძალითა გარდარეული, უდიდეს და უმხნეს ჩვენსა“.

ეს გმირის სულხან-საბასეული განმარტებაა, თუმცა გმირობა თითოეული ადამიანისთვის სხვადასხვა რამეს შეიძლება ნიშნავდეს... ფრანგი მწერლის რომენ როლანის აზრით, გმირია ის, ვინც აკეთებს ყველაფერს, რაც

შეუძლია... მუსიკოსი ბობ დილანი ამბობდა, რომ გმირი ისაა, ვისაც ესმის, რა პასუხისმგებლობანი აქვს თავისუფლებას... ამერიკელი მოაზროვნის, ჯოზეფ კემპბელის აზრი კი უფრო ახლოსაა საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებასთან: „გმირია ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე გაიღო რაღაც უფრო დიდისთვის“.

გმირის ხსენებისას უმეტესობას ან ომის გმირები გვახსენდება, ან ადამიანები, რომლებმაც სხვების გადასარჩენად თავი განირჩეს. ალბათ, ყველა დროის ყველაზე დიდი გმირები სწორედ ეს ადამიანები იყვნენ... მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და ხშირად, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამბავიც კი შეიძლება გმირობის ტოლფასი აღმოჩნდეს. ყველაფერი დროზე, გარემოზე, ამბავსა და ხალხზეა დამოკიდებული. ადამიანი ვერ იქნებოდა გმირი, მართო რომ ყოფილიყო ამქვეყნად. ადამიანი ვერ იქნება გმირი საკუთარი თავისთვის. გმირები მხოლოდ სხვისთვის არსებობენ... იქნებ სწორედ ამიტომაც გმირობის ცნება თავისთავად უკვე მოიაზრებს სხვისთვის სიცოცხლეს ან სხვისთვის სიკვდილს...

ცხადია, ყველა გმირს ვერ გავიხსენებთ, ჩვენს ისტორიულ გმირებს ზედმეტი ქება ალბათ არც სჭირდებათ. ერთადერთი, რაც მოგვეთხოვება, ისაა, რომ ისინი გვახსოვდეს. გვახსოვდეს სახელები და ადამიანები, რომლებსაც ჩვენი და ჩვენი ქვეყნის, ენის, რელიგიის გადარჩენასა და არსებობას უნდა ვუმადლოდეთ.

ზოგჯერ შესაძლოა უბრალოდ მძიმე ცხოვრებისეული ნაბიჯიც გმირობად იქცეს. შეიძლება გმირი უნოდო ისეთ ადამიანს, რომელიც ტოვებს მას, ვინც ყველაზე მეტად უყვარს, სწორედ მისივე კეთილდღეობისთვის. მამ წარმოიდგინეთ, რამდენი ემიგრანტი დედა გვყავს ქართველებს. იქნებ ზოგი შემეკამათოს და მითხრას, რომ ეს სულაც არაა გმირობა, მაგრამ ნება მომეცით, ასე მჯეროდეს. მე ვიცი, რომ გამოუვალი მდგომარეობის გარეშე ამგვარ გადაწყვეტილებას არავინ იღებს. ვიცი, რას ნიშნავს, როცა უახლოეს ადამიანებს ტოვებენ და მათ დასახმარებლად უცხო ქვეყანაში მიდიან, ბევრს წარმოადგენაც გაუჭირდება, რამდენი რამის გადალახვა უხდებათ იქ ამ ადამიანებს, რამდენ წინააღმდეგობას გადალახავენ და რამდენ შეუძლებელს აქცევენ რეალობად სწორედ რომ სიყვარულისთვის, სხვაზე ზრუნვითა და სხვაზე დარდით.

ჩემთვის ყველა ასეთი ქალი გმირია. რადგან შვილისგან შორს ყოფნაზე მძიმე დედისთვის არაფერია. ამიტომაც მე მეამაყება, რომ გმირი დედის შვილი ვარ...

გმირობა ყველაზე ძვირფასის დათმობაა, ყველაზე სასწრაფოს განირვა. განა მეტყვის ვინმე, რომ 26 წლის გურამ რჩეულიშვილს სიცოცხლე არ უყვარდა? ყველა მისი სტრიქონი ხომ სიცოცხლესა და ახალგაზრდობას უმღერის. აზვირთებულ ზღვაში სწორედ სიცოცხლის გადასარჩენად შევიდა, მერე რა, რომ ეს სხვისი სიცოცხლე იყო...

იცით, გმირის სახელს ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს? ის, ვისაც ეს არაფერში სჭირდება, ის, ვინც გმირობაზე არ ფიქრობს, როცა ამას სჩადის. როცა მრავალშვილიანი ებრაელი ტყვის ნაცვლად გაზის კამერაში სასიკვდილოდ შედიოდა, ალბათ, გრიგოლ ფერაძე სულაც არ ფიქრობდა, რომ ოდესმე წმინდანად შერაცხავდნენ. არც ექვთიმე თაყაიშვილი უფროთხილდებოდა სიცოცხლის ბოლომდე ქართულ განძს იმისთვის, რომ სამუდამო დიდება მოეპოვებინა. გმირი მხოლოდ იმიტომ სჩადის გმირობას, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია, ასეთია მისი ცხოვრებისეული მრწამსი, ასეთია მისი ბუნება. ის გმირია... თუმცა გმირებად არ იბადებიან, გმირები შემდეგ ხდებიან...

გამიგია, როგორ ამბობენ, გმირები ადრე იყვნენ, დღეს სად შეუძლია ვინმეს ცოტნე დადანივით მოიქცეს ან ხერხეულიძეთა დედასავით ცხრა შვილი შესწიროს სამშობლოსო. მაგრამ სულ რამდენიმე წლის წინათ ყველამ დავინახეთ, რომ ასე არ არის... ჩვენ ირგვლივ მცხოვრები, „უჩინარი“, სულ ახალგაზრდა ბიჭები მოულოდნელად იქცნენ გმირებად... ალბათ, დიდხანს არავის დაავიწყდება, როგორ იბრძოდნენ „მინდისის გმირებად“ ნოდებულები ჯარისკაცები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. რუსმა გენერალმაც კი ინატრა ასეთი მეთრეები, მტერიც კი აღაფრთოვანა მათმა საქციელმა.

21-ე საუკუნეში, რომელსაც ინფორმაციულ საუკუნეს სამართლიანად უწოდებენ, გმირის სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ენიჭება მასმედიასაც. მედიასაშუალებები ზოგჯერ გაუცნობიერებლად, ზოგჯერ გამიზნულადაც ქმნიან მისაბამ სახეებს, ძერწავენ ავტორიტეტებსა და გმირებს, ცუდ და კარგ პერსონაჟებს. ზოგჯერ ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა ადამიანის გმირობას, მაგრამ ძნელი სათქმელია, რა უფრო დიდი გმირობაა: სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადამიანისთვის შეიძლება სულ სხვადასხვა რამ აღმოჩნდეს ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი.

ირგვლივ უამრავი გმირია, უბრალოდ ხშირად ბევრის ცხოვრებას ჩვენ არ ვაფასებთ სწორად და გვგონია, რომ კიდევ უფრო მეტია საჭირო. განა გმირობა მხოლოდ სიცოცხლის განირვა და არნახული სიმამაცის გამოჩენაა? გმირობა არაა, როდესაც შეგიძლია სიკეთე ისე გააკეთო, სამაგიეროდ არაფერი მოითხოვო?! გმირობაა, როდესაც ყოველ დილით შეგიძლია საკუთარ თავს აჯობო; გაუსაძლის ტკივილებს გაუმკლავდე და ფეხზე დადგე; პრობლემების მიუხედავად, მაინც გაიღიმო და მომავლის რწმენა არ დაკარგო.

გმირობა ძნელია, მაგრამ არა — შეუძლებელი... მთავარია დიდ სიყვარულს ატარებდე გულით, არა აქვს მნიშვნელობა, სხვა ადამიანი გეყვარება თუ შენი საქმე... სიცოცხლე თუ სამშობლო... მთავარია ამ სიყვარულისთვის ყველაფრის გაკეთება შეგეძლოს — უანგაროდ, უსასყიდლოდ, უთქმელად და თუნდაც უჩუმრად...



ნათია კორქაშვილი

სხვადასხვა ადამიანი სიტყვა „გმირის“ მნიშვნელობას ერთნაირად აღიქვამს. გმირია ის ადამიანი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ ჩაიდინა, გაბედული ან შეიძლება არც იყოს გაბედული და სირთულეებს ნაკლებად უშინდება, თუმცა, როგორც წესი, განსხვავებულია ის გარემო და პირობები, რომლებიც ადამიანს გმირად აქცევენ. ზოგს უნდა გმირი იყოს და ამისთვის იღვწის, ზოგიც კი თავისი სურვილის მიუხედავად, გმირი ხდება ან გმირად იზადება.

ადამიანს, რომელზედაც მე მინდა მოგიხსნათ, თითქმის დარწმუნებული ვარ, არავინ მიიჩნევს გმირად. ის ვერც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს გმირს და მით უფ-

რო, არასოდეს გაიფიქრებს, რომ მას ვიღაც გმირად მიიჩნევს, ეს „ვიღაც“ მე ვარ. ვინც ჩემს მონათხრობს წაიკითხავს, შეიძლება არც დამეთანხმოს, ამ ადამიანში გმირის ვერაფერი დაინახოს, თუმცა ყველას საკუთარი შეხედულება გვაქვს, გამონაკლისი არც მე ვარ და ძალიან მოკრძალებულად გავიზიარებთ ჩემს აზრს.

იმ ადამიანზე, რომელსაც მე გმირს ვუწოდებ, ბევრი არაფერი ვიცი. ვიცი მისი ცხოვრების მხოლოდ ერთი ეპიზოდი, რამაც ის ჩემთვის გმირი გახადა, მას არც მანამდე ვიცნობდი. ერთ კვირა დილით ტაძარში, წირვაზე მივდიოდი. ავლაბრის მეტროდან ტაძარამდე გზად მიწისქვეშა გადასასვლელი უნდა გამეველო. როდესაც კიბეს დაუყუყვი, ერთ-ერთ საფეხურზე ჩამომჯდარი მოხუცი შევნიშნე, თეთრწვერა და ძალიან სათნო სახისა. არ მინდა ეს მოხუცი ასე მოვიხსენიო, მაგრამ ის მათხოვარია. გაზაფხული იყო და ძალიან ბევრი ჩიტი დაფრინავდა. თითქოს მათაც გაეგოთ თეთრწვერა ბაბუას სიკეთის ამბავი და მის ირგვლივ ტრიალებდა დაახლოებით ოცამდე ჩიტი. ეს ყველაფერი ძალიან კარგი სანახაი იყო, მოხუცი ფრინველებს გაცისკროვნებული სახით უყურებდა. ამ დროს მან ხელი ჩააცურა თავის შავ, ოდნავ ჭუჭყიან ჩანთაში, პატარა პურის ნაჭერი ამოიღო და მისი დანაკუნება დაიწყო. მთელი კიბის საფეხური გაავსო პურით ჩიტებისთვის და ისინიც მაღიანად შეექცეოდნენ მოხუცის მიერ მომზადებულ საკვებს. ეს სცენა ჩემთვის აღმაფრთოვანებელი აღმოჩნდა. თუ როგორ აჭმევენ ფრინველებს საკვებს ადამიანები, მინახავს, როგორ არა, ბევრჯერ მეც გამიკეთებია, თუმცა ეს სულ სხვა შემთხვევა იყო. ლუკმა პურს, რომელსაც მოხუცი ხელგამონვდილი, ზოგჯერ დამცირების, შეურაცხყოფის ფასად შოულობდა, ჩიტებს უნანილებდა და თან მათ სიკეთით, დიდი სიყვარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა. მე მგონია, რომ ეს გმირობის ტოლფასია. მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, ეს მოხუცი ჩიტებს საკენეს უყრიდა თუ სხვა რამეს აკეთებდა, მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიუხედავად მისი მდგომარეობისა, სიყვარულის დიდი ნიჭი არ დაეკარგა. დღეს ადამიანები, რომლებსაც თითქმის ყველაფერი აქვთ იმისთვის, რომ ნორმალურად იცხოვრონ, როგორი ბოროტნი, ბოლმიანები არიან, თეთრწვერა მოხუცი კი, რომელიც ალბათ, ბევრჯერ მშვიდობა უყოფილა, ბევრჯერ დაუმცირებიათ, ღამის გასათევიც არ გააჩნია და არც გვერდით ჰყავს ვინმე, ვინც სიტბოს, სიყვარულს გაუზიარებს, ასეთი დიდსულოვანი, მომთმენი იყო. მე ამან გამაოცა, გამაოცა მისებურმა სიყვარულმა, ყველაზე მეტად კი მისმა სიკეთით გაბრწყინებულმა თვალებმა გამოაცა.

ეს რამდენიმე წლის წინათ მოხდა, მას შემდეგ, არ ვიცი, მერამდენედ მიხდება იმ ადგილზე გავლა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ის მოხუცი ვერასდროს ვნახე. ამას ძალიან განვიცდიდი, მინდოდა კიდევ მენახა, რადგან მისგან სიკეთის კეთებას ვსწავლობდი, თან არა ისე, სხვების დასანახად რომ ირჯებიან ხოლმე, არამედ მთელი გულით და დიდი სიყვარულით. ეს ამბავი ძალიან ბევრ ადამიანს მოუყუყვი და მინდოდა თქვენც გცოდნოდეთ თეთრწვერა მოხუცის შესახებ, რომელმაც ბევრ რამეზე დამაფიქრა. არ ვიცი, რა მოუვიდა, როგორ არის ან სად არის ახლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ყოველთვის ჩემი გმირი იქნება.

დავით ქელიძე

გმირობა 50 წლისა გამხდარა!

წულარ იტყვიო, საოცრად სწრაფად გარბის დრო, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ თურმე ჭალარაც შემოგპარვია და სიბერემიც შესულხარ. არადა, 50 წლის წინათ ამ ბიჭებმა ევროპა დაიპყრეს – ქართული გუნდებიდან პირველებმა!

დიახ, მთელი ორმოცდაათი წელიწადი გასულა იმ დღიდან, როცა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა მადრიდის „რეალი“ დააჩოქა და პირველად (ჯერჯერობით უკანასკნელად) ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა (1962 წლის 29 ივნისი)!

ეს გმირობა გახლდათ, რადგან იმ დროს, XX საუკუნის 60-იან წლებში, საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთი გუნდი იყო, რომელსაც შინ თუ გარეთ ყველა ტიტული უნდა მოეგო – ცსკა!

ქართველმა ვაჟკაცებმა რუსეთის სუპერგუნდსაც გამოუყვანეს წირვა – ორივე მატჩში, თბილისშიც და მოსკოვშიც, ღირსეულ წარმატებას მიაღწიეს და ფინალისკენ გაიკაფეს გზა, სადაც ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს – მადრიდის „რეალს“ შეხვდნენ.

60-იანი წლების თბილისელთა უძლეველი გუნდის კაპიტანი გურამ მინაშვილი იყო, გამარჯვება კი მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ოთარ ქორქიამ გამოსჭვდა!

თუმცა, უსამართლობა იქნება, არ გავიხსენოთ კიდევ ერთი ღვანლმოსილი კაცი – გიორგი ავალიშვილი, რომელმაც ფაქტობრივად ამ უდიდეს გამარჯვებამდე მოიყვანა გუნდი – იგი 1961 წელს გაათავისუფლეს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან და სწორედ მისმა გამოზრდილმა ბიჭებმა მოახდინეს ეს სასწაული!

აი, ის ვაჟკაცები, რომლებიც ორმოცდაათი წლის წინათ არამარტო გუნდის, მთელი საქართველოს ღირსებას იცავდნენ (ანბანის მიხედვით მივყვით): ვალერი ალთაბაგვი, რევაზ გოგელია, ლევან ინსკირველი, ალექსანდრე კილაძე, ანზორ ლეჟავა, გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ამირან სხიერელი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ილარიონ ხაზარაძე.

ეს მატჩი „დინამომ“ შეიდექულიანი უპირატესობით მოიგო — 90:83 და, რა სასიხარულოა, რომ ყველა მოთამაშემ ღირსეული წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ყველამ, ვინც მოედანზე იყო, თავგანწირვით ითამაშა და სანუკვარი თასი თბილისში ჩამოიტანა.

და მაინც, არაფრით არ შეიძლება ნახევარფინალური ორმატჩიანი რაუნდის უყურადღებოდ დატოვება.

იმჟამადაც და შემდეგაც, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მოსკოვის არმიელ კალათბურთელთა გუნდის ყოველი დამარცხება ლამის სენსაციად აღიქმებოდა, ქართველმა ბიჭებმა კი ცსკა ორჯერ გაამწარეს – მოსკოვშიც, სადაც პირველი შეხვედრა გაიმართა (75:71), და თბილისშიც, განმეორებით მატჩში - 77:66. მარტო ამ ორი გამარჯვებით შეიძლებოდა თბილისის დინამოელთა მაღალნიჭიერებაზე, მაღალ ოსტატობაზე, ევროპულ დონეზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენებმა ეს არ იკმარეს და დუელში გამოჩვეული ევროპული გრანდი, იმ წლების აღიარებული ლიდერი მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს! ეს უკვე სასწაულის ტოლფასი იყო!

გურამ მინაშვილმა
ბრძანა:

„ოთარ ქორქია ლომი იყო მოედანზე და თავისი ლომობა მწვრთნელობაშიც დაამტკიცა! არ გინდა, ადგე და ამ პატარა პროვინციული მხარის (მასინდელი პარამეტრებით) გუნდმა ამდენი გრანდი ჩამოიცილო გზიდან და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვო! ჩვეულებრივ, ასეთი რამ სპორტში არ ხდება“.

ისევ ბატონი გურამი განაგრძობს:

„ცსკა-ს ორივე შეხვედრაში კუდიტ ქვა ვასროლინეთ, მერე კი ფინალში, ფენევაში „რეალსაც“ მოვახრევიანეთ ქედი. მართლაც უძლიერესი და, რაც მთავარია, ერთ მუშტად შეკრული გუნდი იყო. ფინალურ მატჩში ხუთი მოთამაშე ასცდა ათქულიან ზღვარს. ესე იგი, თანაბარძალოვანი გუნდი იყო, რაც სპორტულ თამაშებში ძალიან დასაფასებელია.“

მატჩის ბოლო წუთები ისეთი დაძაბული არ ყოფილა, როგორც მთელი თამაში. უკვე საკმაო უპირატესობა გვქონდა და მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.

არაჩვეულებრივი ფოტო გავუგზავნე ფენევიდან ჩემს მეუღლეს და უკან მივანერე – აი, ვის ვგავდი-მეთქი ფინალური სასტვენის შემდეგ. მაიმუნის სურათია, ხარხარის დროს გადაღებული. სამწუხაროდ, ის ფოტო სადღაც გაიბნა, დაიკარგა.

საერთოდ, სპორტი და, კერძოდ კალათბურთი, ადამიანებს აკეთილშობილებს. აი, მაგალითად, ცხონებული რეზო გოგელია შეიძლება ბანდიტი და ქურდი ყოფილიყო. იცით, როგორი მოქალაქე ჩამოყალიბდა? ქალაქისთვის საყვარელი, ხოლო ჩემთვის და მეგობრებისთვის ხომ საოცარი კაცი იყო. ძმასავით გვაკლია. და მის ასეთად ჩამოყალიბებაში ლომის წილი მიუძღვის მის პირველ მასწავლებელს, არაჩვეულებრივ მწვრთნელსა და პედაგოგს სულიკო თორთლაძეს.

ანზორ ლეჟავა პატარა სოფელ ქოლობნიდან იყო, შურა კილაძე – ბათუმიდან... ეს უბრალო ხალხის შვილები სპორტმა,

კალათბურთმა ისეთ მოქალაქეებად ჩამოაყალიბა, რომ დახვეწილი ინტელიგენტები, არისტოკრატები იყვნენ, მეგობრობის ეტალონები. სამწუხაროდ, ახლებში ასეთ ხალხს ვერ ვხედავ. ლმერთმა ქნას, ასეთები ბევრი იყვნენ, თორემ დავილუპებით და გადავშენდებით... იცით, ჩვენი მასწავლებლები ვინ იყვნენ? ერთი დიდი კაცი ქუთაისში მოღვაწეობდა – სულიკო თორთლაძე, მეორე თბილისში – მიშა კეკელიძე. საბჭოთა კავშირის ნაკრებს სწორედ ისინი უზრდინდენ კანდიდატებს და ამ დიდ გუნდში მუდამ რამდენიმე ქართველი იყო. გიორგი ავალიშვილი, შალვა დიასამიძე – ბუმბერაზი ხალხი, გამორჩეული მწვრთნელები. მე ძალიან გაიმართლა მწვრთნელებში – თავიდან შალვა დიასამიძე მავარჯიშებდა, მერე – მიხეილ კეკელიძე, გიორგი ავალიშვილი და ოთარ ქორქია. ხედავთ, როგორ გამილიმა ბედმა!..



ბენიერი დინამოელები

და კიდევ ერთი საინტერესო რამ. გარდა იმისა, რომ ფენევაში ქართული სული და ჯიგარი ალგვაფროვანებდა, ჩვენს საქმეაგოდ, იცით, ვინ იყო მოსული? – გრიგოლ რობაქიძე, მერი შერვაშიძე და სპირიდონ კედია. ეს სამი წყვილი თვალი გადასწონიდა 80-ათასიან ტრიბუნებს! ბიჭი იყავი და ის მატჩი წაგეო!“

და ქართველებმაც მიიგეს და თასი ჩამოიტანეს, რომელსაც მას შემდეგ ველარც მიუუახლოვდით. თუმცა, არა, ვცდები, მომდევნო, 1963 წელს, დინამოელებმა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მიაღწიეს, მაგრამ ჩვენს გუნდს იქ უკვე მოსკოვის არმიელთა გუნდი გადაელობა – ათი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი, ორ წელიწადში ოთხჯერ კი არა, ერთხელ მაინც რომ დაგემარცხებინა ცსკა! მაგრამ ეს წაგება სულაც არ აკნინებს „ოქროს ბიჭების“ დიდ დამსახურებას ქართული კალათბურთის წინაშე. ისინი რომ არა, ის და მის მერე მოსული თაობა რომ არა, დღეს ქართული კალათბურთი არ იარსებებდა.

ილარიონ ხაზარაძე:

„1962 წელს, ევროპის თასის მოპოვებას ვინ დაივინყებს.“

შვეიცარიაში ძალიან ბევრი ესპანელი მუშაობდა და ფენევის უზარმაზარი ჰოკეის დარბაზი გადაჭდილი იყო ესპანელებით. ჩვენი გულშემატკივრები კი ყველამ იცის – გრიგოლ რობაქიძე, ნინო ჩხეიძე, შალვა დადიანის პირველი მეუღლე, და დიკა კედია, რომელიც საფრანგეთიდან ჩამოვიდა. საინტერესო შეხვედრა გვქონდა ფენევის სასტუმროში. მოვიდა გერმანელი ქალბატონი, რომელსაც ომამდე ბოლნისში უცხოვრია, სადაც მაშინ გერმანელთა დასახლება იყო. ქართული ჯერ კიდევ ახსოვდა, ლექსიც გვითხრა არსენაზე და მატჩზე თავისი ორი ქალიშვილიც მოიყვანა.

რაც შეეხება ჩვენს თამაშს, მართალია, ბატონი გრიგოლ რობაქიძე სპორტული ჟურნალისტი არ ყოფილა, მაგრამ თავის წერილში ბრწყინვალედ აღწერა ეს შეხვედრა.

„რეალთან“ ჩვენი სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა: გურამ მინაშვილი, ვალერი ალთაბაევი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ანზორ ლეჟავა და მე. ორი ცენტრით ვითამაშეთ, რადგან „რეალის“ შემადგენლობაში ორი ამერიკელი მეფარე თამაშობდა – ჰაიტაუერი და მორისონი, ჰაიტაუერი ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრი იყო, მაგრამ რალაციის ოპერაცია გაიკეთა და ოლიმპიადაზე ვეღარ წავიდა...”

ვალერი ალთაბაევი:

„ის თასი რომ არ მოგვეგო, ეს იქნებოდა გასაკვირი. ჩვენ ხომ წლების განმავლობაში ერთად მოვდიოდით, ერთი ჭირითა და ერთი სიხარულით. ამიტომაც იყო, ერთ მუშტად რომ ვიყავით შეკრული. ამ ფინალის გენერალური რეპეტიცია სამი წლით ადრე, მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოხდა, როცა ნახევარფინალში სამმა კაცმა ხუთი ლატვიელი, ევროპის ხუთი ჩემპიონი დავამარცხეთ“.

გურამ აბაშიძე:

„ფინალი არ მითამაშია, თორემ ყველა წინასწარ შეხვედრაში მონაწილეობა მიღებული მაქვს. შენევაში არც ჩავსულვარ, უკვე წამოსული ვიყავი გუნდიდან. მაგრამ რადიომიმღებთან ისე ვინერვიულე, ლამის თმა გამითეთრდა...“

თმების გათეთრებაზე ერთ საინტერესო ამბავიც მოხდა. გიორგი ავალიშვილი ახალდაბაში ისვენებდა, რადიორეპროდუქტორთან მიჯაჭვული ცოცხლად აღიქვამდა შენევაში გაჩაღებული ბრძოლის პერიპეტეიებს და... მეორე დღით მისი ოჯახის წევრებმა მთლად გაჭაღარავებული ოჯახის უფროსი იხილეს...

რა მოხდა მაშინ, რატომ ჩამოაშორეს მწვრთნელი საყვარელ საქმეს, რატომ მოინდომეს საათივით აწყობილი გუნდის დაშლა, ახლა ჩვენი გასარჩევი არ არის. კიდევ კარგი, ოთარ ქორქიამ გუნდის დაშლა არ დაუშვა, ყოფილი მწვრთნელის გზას გაჰყვა (მას ხომ არა ერთი და ორი წელი უთამაშია გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით), არათუ დააკლო, ბევრი რამ უთუოდ შემატა კიდევ გუნდს და ნანატრი გამარჯვებაც იზეიმა, გიორგი ავალიშვილისა და მთელი თაობების ნანატრი თასი ჩამოიტანა თბილისში.

ლევან ინწკირველი:

– მეტოქეს, მადრიდის „რეალს“, არ ვიცნობდით, მათთან მანამდე არასოდეს გვეთამაშა. გვესმოდა, რომ მათი დამარცხება ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ მაინც, რა თქმა უნდა, გამარჯვებაზე ვფიქრობდით. ძალიან მონდომებულები ვიყავით, რომ მოგვეცა კიდევ ერთი შანსი, გვესახელებინა ქართული კალათბურთი.

შენევაში, ფინალურ შეხვედრაზე, მოსკოვიდან საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი იური

ოზეროვი გამოგვაცოლეს. გუნდის საერთო კრება მოინვიეს და ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა, ბატონმა ოთარ ქორქიამ ხუთ წუთში მოამთავრა სათქმელი – ბიჭებო, რადგან მეტოქის გუნდს არ ვიცნობთ, ჩვენი თამაში ვითამაშოთ, პირველი სწრაფი შეტევებით დავინყოთ და ვეცადოთ, თავიდანვე თავბრუ დავახვიოთ ესპანელებს, იცოდეთ, ყველამ ჯიგარი უნდა დავდოთ მოედანზეო.

რუსები გაგიჟდნენ, ხუთ წუთში როგორ მოამთავრეთ თამაშის გარჩევაო. აბა რა გვექნა, მადრიდელების თამაშს საერთოდ არ ვიცნობთ და ამიტომ ბიჭებს ჩვენი ტაქტიკით მოქმედება დავავალე, ხოლო მერე, მატჩის მსვლელობისას, თუ საჭირო გახდება, სათანადო ცვლილებებსაც შევიტანთ, – უპასუხა ოთარ ქორქიამ.

მთავარმა მწვრთნელმა ასეთი ხუთეული გაუშვა მოედანზე: კაპიტანი გურამ მინაშვილი, ანზორ ლეჟავა, ლარიკა ხაზარაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე და ვალერი ალთაბაევი.

იმათ სასტარტო ხუთეულში კი ორი ამერიკელი ზანგი თამაშობდა, რომელთაგან განსაკუთრებით ჰაიტაუერი გამოირჩეოდა. თავდაპირველად ცხოვრებული ანზორ ლეჟავა რომ დანახა, უთუოდ იფიქრა, ამას ხომ შეეჭამო, მართლაც კარგად ითამაშა იმ 205 სანტიმეტრი სიმაღლის ზანგმა (ეს მაშინ ძალიან დიდ სიმაღლედ ითვლებოდა), მაგრამ ჩვენი ანზორაც მაგრად დაუდგა.

საერთოდ, ისინი ძალიან თავდაჯერებული გამოვიდნენ მოედანზე და ჩვენს ასეთ თამაშს, ელვისებურ შეტევებსა და დაცვაში ასეთ ორგანიზებულ ქმედებას არ ელოდნენ.


ვლადიმერ უგრეხელიძე:

– თავიდანვე, რა თქმა უნდა, ველავდით, ვწვრივობდით, მაგრამ მოვიკრიბეთ ძალა, წერვიულობა დავძლიეთ და მშვენივრადაც ვითამაშეთ. ალბათ მეც გამომდიოდა ჩემი საფირმო „სიარული ცაში“. სათადარიგო სკამიდან მთელი მატჩის განმავლობაში გვამხნეებდნენ, რამაც არანაკლებ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს გამარჯვებაში.

თამაში სულ ქულა ქულაში მიდიოდა, ყველამ კარგად ითამაშა. შურა კილაძეს საერთოდ სპორტული „მანდრაჟი“ ჰქონდა, მაგალითად, ცსკა-სთან თამაში უჭირდა, მაგრამ რადგან „რეალი“ უცხო გუნდი იყო, მას არც არავის შემინებია და ბრწყინვალედაც ითამაშა, მშვენიერ პასებს გვაძლევდა, ზუსტადაც ისროდა. ვინმეს გამოყოფა გამიჭირდება. ყველამ კარგად ვითამაშეთ, ძალიან შეკრული გუნდი ვიყავით და იმიტომაც მოვიგეთ.

ამირან სხიერელი:

– მე მოედანზე არ გავსულვარ და როგორც ასეთ დროს მუდამ ხდებოდა, მოთამაშე ბიჭებზე მეტად ვწვრივობდით.



ეს-ეს არის ვლადიმერ უგრეხელიძემ (პტიცა) საკუთარ ფარზე მოხსნა ბურთი და ანზორ ლეჟავას ანოდებს, „ესპანელი ამერიკელები“ კი უკვე საკუთარი კალათის დაცვაზე ზრუნავენ და დაკარგულ ბურთს ზედაც არ უყურებენ.

პირველივე წუთებიდან ძალიან დაძაბული თამაში გაჩაღდა, ორი-სამი ქულით დავინაწურდებოდით, მადრიდელები დაგვეწვოდნენ. გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა შეხვედრა. ალბათ მეორე ტაიმის მეშვიდე წუთისთვის უკვე ხუთი ქულით გავიჭერით წინ და მატჩის ბოლოსთვის თამაშის სადავეები ჩვენ გვეპყრა ხელთ.

რამდენიმე წლის წინათ **ოთარ ქორქიას** რომ შევახსენე ეს თარიღი, ასე მიპასუხა:

„სამწუხაროდ, ჩვენში კალათბურთი გერევით იყო, დროდარო თუ გაიხსენებენ ხოლმე. 1981 წლის 13 მაისის აღსანიშნავად ლამის ყოველწლიურად ემზადება მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო, ჩვენი გამარჯვება კი ყველას დავინყებელი აქვს. მე არ მჭირდება, არც იმ „ოქროს ბიჭებს“, კალათბურთს სჭირდება, მისი პროპაგანდისთვისაა საჭირო“.

რა სავალალოა, რომ ეს დარდი საფლავეში ჩაჰყვა ქართული კალათბურთის ბერმუხას.

მაგრამ ამ ლამაზ გამარჯვებას მინორულ ნოტაზე დამთავრება არ ეგების – დღევანდელი თუ არა, ხვალინდელი თაობები აუცილებლად იამაყებენ თავიანთი პაპების ვაჟკაცობით. მთავარია, ჩვენ, ჟურნალისტებმა არ დავივიწყოთ ქართული სპორტის ღირსშესანიშნავი თარიღები.

სამწუხაროდ, იმ დიდ თაობას, რომელმაც ჟენევაში გმირობა ჩაიდინა, დღეს მხოლოდ სამნი შემორჩნენ – გურამ მინაშვილი, ილარიონ ხაზარაძე და ამირან სხიერელი...

ახლა კი, ნება მიბოძეთ, **გრიგოლ რობაქიძის** ორი ნაკლებადცნობილი წერილი გავაცნოთ, ახლობლისადმი გაგზავნილი:

„...გუშინ გაიმართა აქ შეჯიბრი კალათბურთელების – ქართველებისა და ესპანელების – პირველობისათვის ევროპაში.

გაგებული გექნება: გაიმარჯვეს ქართველებმა – 7 პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს - 90:83. მარცხი ესპანელების კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მათ არ ჰყოლოდათ ზანგი ჰიქტაუერი (ჰაიტაუერი, - ავტ.), გასაოცარი მოთამაშე, 83 პუნქტიდან 32 მისია.

ქართველები თამაშობდნენ აუღელვებლად, შეწყობილად, მეტოდურად – აქ სჩანდა უთუოდ ხელი მათი ხელმძღვანელის – ოთარ ქორქიასი.

ესპანელებს ეტყობოდათ აღელვება, თამაშობდნენ უფრო ცალცალკეულად. არც საერთო გეზი ჰქონდათ ჯეროვანად მომართებულნი.

მე ძალიან ველავდი. გასაგებია: სისხლი!

ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირთაგან ამოხეთქილი ძალა ქართული: მაგარი!“

„ქართველი კალათბურთელების გამარჯვება აქ, ჟენევაში, ესპანელებთან შეჯიბრში ჩვენთვის მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი.

1. აქ ესპანელები ბევრი არიან. ზოგიერთი ბუკებით (საკვირებით) მოვიდნენ. ყვიროდნენ – გასამხნეველად თავისიანებისა და, ცხადია, ნერვების ასაშლელად ქართველებისა.

ვაკვირდებოდი ამათ: ყვირილი, ხივილი, განგაში – არავითარ გავლენას არ ახდენდა მათზე, არ ამჩნევდნენ თუ არ იმჩნევდნენ. აღმოაჩნდათ გასაოცარი წვართი ხასიათის.

2. პირველ ნახევარში შეჯიბრისა ჩვენებმა ორი პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს. მე მჯეროდა, რომ ისინი პირველ შეხვედრაში თუ ვერ გაიმარჯვებდნენ, არ დამარცხდებოდნენ: თანასწორ გამოვიდოდნენ ესპანელებთან ერთად.

მეშინოდა მეორე შეხვედრაში: საშინლად ველავდი. რატომ?

ცნობილია, რომ ქართველები საერთოდ პირველ შემართებაში „ხარჯავენ მთელ ცეცხლს“ და შემდგომ ძალა აღარ ჰყოფნიან: ცეცხლი აკლდებათ (მონლოლებს რომ არ გაეგოთ ეს თვისება ქართველთა, საქართველოს დაპყრობა ძალიან გაუჭირდებოდათ. „ქართლის ცხოვრებაში“ არის სიტყვა შესახებ ამისა).

ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა შეჯიბრის მეორე ნახევარში. თუ პირველ ნახევარში ორი პუნქტით გაუსწრეს ჩვენებმა

ესპანელებს, – მეორე ნახევარში ხუთით. ცეცხლი არათუ მოაკლდათ, – პირიქით: კიდევ მოემატათ.

ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება: ბევრად მეტია უკანასკნელზე. როგორც ქართველი – მე მხრებში გავიმართე.

3. გამარჯვებულები არ აყვინჩილებულან გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი: „ხომ გავჯობეთ!“ რბილად, რაინდულად, ქართველურად გაუნოდეს ხელი მოპირდაპირეებს. დაუფიქსარი სურათი!

გამარჯვების ნახევარი თითქმის გამარჯვებულთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ: ოთარ ქორქიას, ვთქვათ პირდაპირ: მათ სულის ჩამდგმელს. დიდი ოსტატი ყოფილა, დიდი. მატჩის დროსაც ამა თუ იმ დავალებას აძლევდა აღზრდილებს თავისსა. აღსანიშნავია ესეც: ყოველ მათგანს ექცეოდა როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა. კარგი იქნებოდა, გადასცემდე მას, რასაც აქ ვსწერ, შეჯიბრზე. კარგი იქნებოდა!

გავიფიქრე: მისალმებოდი გამარჯვებულებს, – გადავიფიქრე. შეიძლება „ეუცხოოთ-მეთქი“, გავივლე გულში (მიხვდები, რის გამოც), სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სიღრმეში“.

ფიქრობ, ჩვენც ეს ტკივილი დაგვეუფლა ამ სიტყვების წაკითხვისას...



ესპანელთა კაპიტანი ხოსე ლუისი თავის ქართველ კოლეგას გურამ მინაშვილს (მარცხნივ) გამარჯვებას ულოცავს

სამხედრო გადატრიალების, ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ მომხდარ ტრაგედიათა უწყვეტ ჯაჭვში ერთ მხარე ფურცლადაა ჩაწერილი სამეგრელოს ხვედრიც, რომელიც დღემდე რჩება გახსნილ, მოუშუშებელ ჭრილობად. იქ დატრიალებულ უბედურებებზე მოგვეპოვებოდა ჯაბა იოსელიანის ავტობიოგრაფიული რომანი „მისამა ბანზომილვა“, რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის საგულისხმო ნიმუშია ვარკვეული კუთხით, მაგრამ ამ შემთხვევაში სცოდავდა იმ მიკერძოებითა და ზედაპირულობით, მწერლურის ნაცვლად პროპაგანდისტული თხრობის მონმეს რომ გხდის.

საბედნიეროდ, ის ამბები წარმოისახა პირუთენელი და მწერლური თვალთახედვითაც, უფრო ზუსტად, იმ ტრაგედიის სული ამტყვევდა მხატვრულ მატრიანშიც — ოთარ ჩხეიძის რომანში „თითრი ღამთი“. თუმცა ის ამბები მოითხოვდა კვლავ მიბრუნებასაც და დეტალურ აღწერასაც — ნამდვილად მომხდარი ეპიზოდები და რეალობიდან შემოსული პერსონაჟები დოკუმენტურ ფონს რომ შეუქმნიდნენ მხატვრულ განსჯას, თავისი სანდოობით ოთარ ჩხეიძის დაწყებულ საქმეს რომ გააგრძელებდა. ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის ზვიად კვარაცხელიას მიერ ნოველების სერიის შექმნა ამ მწვავე თემაზე სწორედ ასეთ მოკლენად გვესახება, თავისი სიმბოლური სახელწოდებითაც დამაფიქრებლად — „ყიფლიბანდი“. ცირა ჭურაშვილი, თვითონაც ჩინებული მწერალი, უპირველესად სწორედ ამ ნიგნის მნიშვნელობას გამოჰკვეთს, როგორც მხატვრულს, ასევე საზოგადოებრივს.

ცირა ყურაშვილი

ყიფლიბანდის ბასალები

ზვიად კვარაცხელიას ახალი ნიგნის — „ყიფლიბანდი“ — გასალები მის წინანდელ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაშია. „ილია სამეგრელოში“, ასე ჰქვია თხზულებას და ილიას შუქნათელ მოგზაურობას ასახავს სამეგრელოში. მოგზაურობასაც ვერ დაარქმევ, ილია სამეგრელოს მხარის უკანასკნელი მთავრის, ნიკო დადიანის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის უმდიდრესი ბიბლიოთეკის უსასყიდლოდ გადაცემის საშვილიშვილო საქმის დასავგირვეინებლად, ჩაბარების დოკუმენტაციის გასაფორმებლად, ამ განძის წამოსაღებად და ...ვიც იცის, იქნებ მის შემოსამტკიცებლადაც სწვევია სამეგრელოს“-ო, — როსტომ ჩხეიძე ბრძანებს ნიგნის წინასიტყვაობაში.



ვინც ამ მშვენიერ, ახალგაზრდული გულის ფრთონით დაწერილ ნაწარმოებს გულისყურით წაიკითხავდა და ფიქრში მწერლის სამომავლო სათქმელს მოინიშნავდა, უთუოდ იგრძნობდა, რომ მას მალალი მოქალაქეობრივი მონაწილე არ დაანებებდა მიეყურისძირებინა და სამზოზე არ ამოეტანა ის მწვავე სათქმელი, რომელიც სამეგრელოში კიდევ ერთ სვლას შეეხებოდა, ოღონდ ამჯერად არა ილიას წმიდა შუქით განათებულს, სიმტკიცისა და ეროვნული ერთიანობისთვის მოწოდებულს, არამედ დაშლა-დანაკუნების იმპერიული სურვილით აღვსილს, ძმათა ოჯახების საძარცვ-საკლავ-მანიოკებლად მომართული ბნელი ძალების ლაშქრობას. დახატავდა ერთი კალმის მოსმით, მწვავედ, შეულამაზებლად, ტრაგიზმით, ჩაფენილი სევდით, იუმორითაც კი, ისე, რომ ენა ახალი მხატვრული კრებულისა საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა, მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოების ენისაგან.

იქ ესთეტიკურ სათქმელს დაისაჭიროებდა დიადი აჩრდილი ილიასი და დადიანთა საქველო საქმეები, იქ იონა მეუნარგას პორტრეტს უბრალო ყოფითი სიტყვებით ვერ დახატავდი. მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებში ამაღლებულია განცდა, მომეტებულია სიდიადის გრძნობა, შემკობილია დიადი პორტრეტები, აქ, ამ კრებულში მხოლოდ პერსონაჟთა კი არა, ავტორის სათქმელშიც მოჭარბებული ბარბარიზმები გაგრძნობინებს,

რომ იგი სულ სხვა დროის კუთვნილებია. იმ ახალი ეპოქისა, როცა ჩვენი ქვეყნის გადალიანდაგების სურვილით წერატრანილი იმპერიული ძალებით ნაქეზებული ბოროტი სული ურნალივით მისდგომია წინაპართა ფიქრით და ღვანლით წამომართული ეროვნული თავისუფლების სიმტკიცეს და ქვას ქვაზე აღარ ტოვებს, აღარ ტოვებს არაფერს ლაფმიუსხმელს და შეუგინებელს. სხვაგვარად, უამსიტყვებოდ გაჭირდებოდა თითქოს ძმათამდარცველი, ძმათამკვლეი სურათის სიცხადით აღქმა... ახლა, როცა ხელთა გვაქვს ახალგაზრდა მწერლის ნოველათა კრებული „ყიფლიბანდი“, ფიქრში მწერლის სამომავლო სათქმელის მონიშვნა“ სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ გუმანმა გამართლა.

ამ ნიგნს გულგრილად ვერ გადაიკითხავ, მით უფრო, თუ დასავლეთ საქართველოსკენ პირმიქცეულმა ბეტეერებმა თავის დროზე მკითხველის გულზეც გადაიარეს ტრაგიკული კითხვით: „სად, სად მიდიან, ღმერთო?!“

მწერალი ცდილობს განემოროს ცალმხრივობას, მის მიერ შინაომის უსამართლო და სასტიკი ბუნების წარმოსაჩენად მოხმობილია ხასიათები მოძალადე და ძალადობის მსხვერპლად ქცეული ადამიანებისა, ორად გაყოფილ-დაპირისპირებულ ადამიანთა, მოხმობილია ხასიათები აქედანაც და იქიდანაც, რომელთაგან ერთი მხარე ამკარად განიცდის სინდისის უკმარობას, ან განიცდის ქენჯნას. მაშინ როცა მსხვერპლნი არ ურიგდებიან ძალადობას („მელქიორის ჯვარცმა“, „ჯერჯერობით უსათაურო“, „მაგანა“ „შეკვეთილი წირვა“) „სანთელივით კაცის“ (საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას) მკრთალი მინიშნებებით მოხაზული პორტრეტი, ნოველიდან ნოველაში გადასული სხვა ამბები ერთ მთლიან სიუჟეტად კრავს ნიგნს...

კარგია, რომ ეს ამბები არ დარჩა მწერლის კალამშიღმა, ის უკვე გონიერი და გრძნობიერი მკითხველის საკუთრებაა, ეს გამოცდილებაა, მაგალითია, დავინყების წიალიდან გამოხმობილი სურათებია იმის ცხადსაყოფად: საით არ შეიძლება სვლა, საით არ შეიძლება ადამიანის სინდისი გადაიხაროს.

და კიდევ ყიფლიბანდი, მწერლის მიერ მარჯვედ მოხელთებული სიმბოლო ჩვენი ეროვნული თავისუფლების სიმყფისა, ხან რომ კლდესავით და ციხესავით გაუტყვლები გვეჩვენება და თურმე ჩვილის თავზე ამობურთული ყიფლიბანდივით თოთო და სამზრუნველოა. მოთხრობათა კრებული კითხვის გასრულებისას საკუთარ თავთან ტკივილიანი ფიქრებით გტოვებს: უცნაური არაა, ასეთი დიდი კულტურისა და წარსულის გამოცდილებებით აღბეჭდილი ისტორიის მქონე ერს ასეთი თოთო ყიფლიბანდი ჰქონდეს?!

მარი ელენ (ჩიტო) რუხაძე — მამით ქართველი და დედით ფრანგი, დაბადებულია ნიცაში 1939 წელს. ჰუმანიტარული განათლება სორბონაში მიიღო. მუშაობდა განათლების სისტემაში, გამომცემლობებში. რამდენიმე წელი ერთ-ერთი ფრანგული ფირმის მოსკოვის ფილიალის თანამშრომელიც იყო. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებას. იყო მისი კულტურის კომისიის წევრი. წერა ადრე დაიწყო — რაც თავი მახსოვს, სულ ვწერო — და ამ გატაცებამ საბოლოოდ მწერლობამდე მიიყვანა. მისი ჟანრი ნოველაა. გამომცემული აქვს ერთი რომანიც „ფამადიპანა“, რომლის ქართული თარგმანი მზადდება დასაბეჭდად. ამჟამად დებთან ერთად ცხოვრობს ქ. პონტუაზში, მამისეულ სახლში. ჩვენი დიდი, სტუმართმოყვარე სახლის კარი მუდამ ღია იყო იმ საოცარი, არაჩვეულებრივი ადამიანებისთვის, რომლებიც, მამაჩემივით, იმ შორეული ზღაპრული ქვეყნიდან იყვნენ გადმოხვენილი და უზომოდ უყვარდათ და ენატრებოდათ სამშობლო, იგონებს ის. ბევრს მოგზაურობს. ყოველ წელს ჩამოდის საქართველოში, მის მეორე სამშობლოში. როგორც თვითონ ბრძანებს, მამისგან მემკვიდრეობით გადმომეცა საქართველო; ის სიყვარული. უნდა ყველა კუთხე მოიაროს, მეტ ხალხს გაეცნოს, ჩანვდეს ქართულ ფენომენს, და იქნებ აქაც ეწვიოს შთაგონება... მწერლის თვალთ დანახული... ვინ იცის. ძალიან განიცდის, ქართული რომ არ იცის, შემოგვჩვილა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ანბანის დონეს ვერ ავცდით.

მარი ელენ (ჩიტო) რუხაძე

ორი ნოველა

კონცერტი

ძველი, დაცრეცილი პიჯაკი აცვია, დასიებული ხელე-ბი სავარძლის სახელურებზე ჩამოუყრდნია, მოცახცახე თითებს პროგრამის ფურცლებს უთათუნებს, თითებს, რომლებიც რახანია ყოველდღიურად ფურცლავენ კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელნაწერებსა თუ წიგნებს, მტვრით დაფარულ ამ საგანძურს, პიოტრ ივანოვიჩი გზნებით რომ შთაბერავს სიცოცხლეს. ღრმად განსწავლულსა და ყველასადმი კეთილგანწყობილს დიდად აფასებენ, მაგრამ სიბინძურის გამო გული არავის მიუდის მასზე და არცთუ ხშირად სტუმრობენ. ეს სიბინძურე მისი დუხჭირი ყოფის შემადგენელი ნაწილია უჰაერო და უწყლო სარდაფში, სადაც თავი შეუფარებია მის კაემანს.

პიოტრ ივანოვიჩის ერთადერთი ფუფუნება კონცერტებზე სიარულია. როდესაც ბილეთი ძალიან ძვირია, მისი ერთ-ერთი ყოფილი მოწაფე, ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზის ადმინისტრატორი, უგზავნის ხოლმე მოსანვევს. ამ საღამოსაც გულისფანცქალით ელის სვიატოსლავ რიხტერის გამოჩენას სცენაზე. ფიქრებით უკვე იქ არის. ამიტომ ვერც კი ამჩნევს ქვაბიდან ამოფრქვეულ ოხშივარს, მისი ტანსაცმლიანად ყველაფერი რომ გაუჟღენთია. მის გარდა იქ არავინაა, რომ კომპოსტოს წვნიანს მიხედოს, თვითონ კი ისე შორსაა ამ ყოველდღიური უბადრუკი ყოფისაგან, რომელსაც ვერ ჩაუკლავს მის ეულ სულში ჩაბუდებული თბილი და კეთილი გული.

მუსიკა უნანავებს. თვალები მილულა. პირი ოდნავ ღია დარჩენია, თავი მარცხნივ გადაუხრია. ყოველი ბგერა, ყოველი ნოტი მის სხეულს დაივლის. გრძნობს, როგორ გაიჟღერებენ, დაჯგუფდებიან, სადღაც მალლა აიჭრებიან, იფანტებიან, წყდებიან... ნუთუ შეიძლება ჰარმონიის ასეთი ზეობა სიკვდილს მოასწავებდეს? არა, ის ჯერ კიდევ ცოცხალია. ტაშის გრიალმა რეალობაში დააბრუნა. კონცერტთან ერთად მისი ბედნიერი წუთებიც ჩათავდა. წელში მოხრილი კალოშებში უყრის ფეხებს და კონსერვატორიას ტოვებს. შინსკენ მიფარფატებს. შიშობს, არ მოცურდეს და დაენარცხოს მარმარილოსავით მოპრიალებულ, მოლიპულ ტროტუარს.

სადღაც ცნობიერების მიღმა მყოფი უბრუნდება თავის უბადრუკ სადგომს. ქვაბი თუხთუხებს. ოთახში ბული

დას. ორთქლი სქლად დასდებია საჭმელებით დალაქავებულ ქალაღებს. ისეთი დაღლილია, შიმშილსაც ვერ გრძნობს. გაზი გამორთო და მძიმედ ჩაემვა მონჯლრეულ სავარძელში, დაფლეთილი საბანი მუხლებზე ნაიფარა, აკანკალებული ხელე-ბი ჯიბეებში ჩაიწყო და სიკვდილზე დაფიქრდა. სიმარტოვეში სიკვდილი აშინებს, ამ დამშეული, უმონყალო ვირთხების გარემოცვაში.



ისევ კონცერტი აგონდება, გარს ნოტები ეხვევიან, ნახად ეფერებიან, ელამუნებიან, იდუმალებით მოცულ მარადისობაში მიაცილებენ. ხელები აღარ უკანკალებს. როგორც იქნა, მათაც ეღირსათ მოსვენება.

ქლიავის ყვავილობა

ძალღი ნება-ნება ექაჩება პატრონს, რომელიც მოკლე, არცთუ მტკიცე ნაბიჯებით მიჰყვება. როგორც კი ქალი შეჩერდება, ისიც გაიტრუნება და ყურადღებით აკვირდება თავისი ამოზურცული თვალებით. ერთმანეთით უდგათ სული. ორივე ისეთი ფაქიზი და უმწეოა, ვერ გაიგებ, ვინ ვის მფარველობს.

ტროტუარის გასწვრივ ჩამწკრივებული დეკორატიული ქლიავის ხეები ყვავიან. მათ ნაზ ფურცლებზე გაზაფხულის მზის სხივები ღიციციტებენ. ქალს მაშვების და შოშიების გალობა ჩაცემის და წარმოუდგენია, რა ლამაზია ხეები. ტროლეიბუსის გაჩერების მახლობელ მეხუთე ხესთან ნაბიჯს ანელებს. ზოგჯერ ვინმე გამვლელი გამოელაპარაკება, თითქმის ყოველთვის ძალს შეუქებს, რომლის მზინავი, ჩალისფერი დაბალი ბენევი მის სიჯანსაღზე მეტყველებს.

— მართლაც რომ კარგი ძალღია. შინ არასოდეს ყეფს და არც სანოლებსა და სავარძლებზე ხტება. როგორც კი დერეფანში შევალთ, საბელი უნდა შევხსნა და თათები გაეუსუფთაო. მერე პირდაპირ თავისი კალათისკენ მიცუნცულებს.

ქალი უცნობი მოსაუბრისკენ მიმართავს ცისფერ თვალებს, რომლებზეც სათვალე ტყუილად უკეთია. მერე მთელი დღე გაჰყვება ამ საუბრის შთაბეჭდილება. მეორე

დღეს კი ყველაფერი დავინწყებას მიეცემა. ისევ წავა სასერიონოდ გამოთვლილი ნაბიჯებითა და იმედით, რომ ვინმე კვლავ შეხვდება, მარტოობას შეუმსუბუქებს.

გამველი „მეგობარი“ ტროლეიბუსს ისე გაჰყვა, ქალმა ვერც კი მოასწრო განდობოდა, რომ უკვე ერთი კვირაა, სიცოცხლე აღარ სწადია. ამ დილით, რუხ-მოლურჯო პალტოს ქამარს რომ იკრავდა, იმ პალტოსი, მის საყვარელ დას ერთადერთხელ რომ ეცვა, მოაგონდა, როგორი ხალისით სეირნობდნენ ერთმანეთის წელზე ხელშემოხვეულები. საზაფხულო არდადეგებისას თავებზე სანადიროდ დადიოდნენ. მუნიციპალიტეტი ნაცრისფრებში ოც სანტიმს უხდიდათ, შავებში — ოცდაათს. ასე დააგროვეს დებმა ორმოცდაათი ფრანკი და ზამთრის ფეხსაცმელები იყიდეს. ხელმოკლე მშობლები ჰყავდათ, მაგრამ გოგონები მაინც ძალიან ბედნიერი იყვნენ. ისე უყვარდათ ერთმანეთი, სულსაც არ დაიშურებდნენ...

ძალი ქლიავის ხის ძირას ჩაცუცქდა და მოთმინებით ელოდებოდა. როგორც კი ქალი გააგრძელებს სვლას, ისიც მორჩილად გაჰყვება, მერე ნელ-ნელა წინ მოექცევა.

— ნავედით, პატარავ, — ალერსიანად ეუბნება ქალი, მოგონებებიდან გამოერკვა, — სეირნობა უნდა დავამთავროთ.

ამ ტროტუარზე ბოლო, მეცხრე ხემდე მივიდნენ. ახლა ქუჩა უნდა გადაჭრან. მოხუცმა ჯერ მარცხნივ მიაბრუნა თავი, მერე — მარჯვნივ. მისი დაბინდული მზერა მხოლოდ ბუნდოვან, გაურკვეველ კონტურებს აღბეჭდავს. ფერადები აგრერიგად რომ უყვარდა, ახლა ტანსაცმლის შერჩევაც კი აღარ შეუძლია. ამიტომაც მხოლოდ სადა და პასტელის ფერადები დაიტოვა, რომ ჭრელა-ჭრულა არ ეცვას. არ უნდა, ჭკუაზე შემცდარი ეგონოთ.

გუგუნი მიწყდა. გზა თავისუფალია. „გზა თავისუფალია“, სიცილით გამოაცხადებდა ხოლმე მისი და, როგორც კი იმისი ქმარი მანქანის კარს მიიჯახუნებდა. „ფანჯარა გააღე და სიგარეტი მომანოდე“, და პატარა ონავარი ბავშვებით ქმრისგან მალულად იწყებდნენ მონევას. მას კი ეგონა, ექიმის რჩევებს ასრულებს და ავადმყოფობა უკან იხევსო. ამ დროს მისი და ყოველთვის უფრო ჯანიანი იყო. ამიტომაც ებრძოდა ოცი წელი იმ ვერაგ სნეულებას და როდესაც უკვე სავესებით მონყდა, სამივე მაინც არ კარგავდა გამოჯანმრთელების იმედს. მოხდა ისე, რომ მისი სიძე სუთი წლის წინათ მოულოდნელად გარდაიცვალა. და კი გასულ კვირას მიაბარეს მინას. ამის მოგონებაზე ისე ძლიერ შეეკუმშა გული, შუა ქუჩაში გაჩერდა. ფინია ჯიუტად ექაჩება თოკით. ქუჩა გადაკვეთეს და ტროტუარზე ავიდნენ. მოხუცი ქალი დაიხარა და თავზე მიუაღერსა ძალს. „უშენოდ ნევრასთენია დამემართებოდა, ჩემო ძვირფასო პანიავ“, ჩასჩურჩულა ნაოჭებით შემორკალული

ტუჩებით. ირგვლივ გამეფებულმა დამთრგუნველმა სიჩუმემ სასაფლაო მოაგონა. გულსატკეპნი; მღვდლის ჩათვლით, მხოლოდ ხუთი მიაცილებდნენ მიცვალებულს. ვერასდროს წარმოდგენდა, მისი დიდი ოჯახი ასე თუ დაიქსაქსებოდა სულ რამდენიმე წელიწადში. ქორწინებები, ნათლობები, ზიარებები და დაკრძალვები ყოველთვის თავს უყრიდა ოჯახებს. ამ დროს დავინწყებას მიეცემოდა ყოველგვარი გაუგებრობანი და მტკიცდებოდა ოჯახური კავშირები. ახლა კი? გასულ კვირას შვილიშვილები არც მოსულან, ბებიას უკანასკნელად რომ გამოთხოვებოდნენ. მათი მამა, ქალის დისშვილი, ცოლთან გაყრილია და, ყოფილი მეუღლის ნახვით თავი რომ არ შეწუხებინა, არც შეუტყობინებია მათთვის. თუმც კი ბიჭები აღარ არიან პატარები; ერთი ოცისაა, მეორე — ჩვიდმეტი...



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

გულისა და სულის შემძრავი ეს სევდიანი მოგონებანი სრულიად აუტანელია მისთვის. უნდა, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს შინ. ბინას სამონყალოდ მრევლის ღვთისწიერი ქალები ულაგებენ, საყიდლებზეც ეგზავნებიან, და ასე, როგორც შეუძლიათ, ცხოვრებას უმსუბუქებენ. ყოველ ჯერზე, კარს რომ გაიხურავენ, მოხუცმა ქალმა იცის, რომ მისივე დაუდევრობით კიდევ ერთი სამკაული გაქრება.

საკმეველის სუნი ეცა. ეკლესიის კარი ღია უნდა იყოს. ძალიანაც სურს, შევიდეს, სანთელი დაანთოს „საკრე კერის“ ქანდაკებასთან და სურვილი ჩაუთქვას, მუდამ ერთი და იგივე, მაგრამ ძალს გარეთ ვერ დატოვებს; შეიძლება მოიპარონ. გულდანყვეტილი გამოარდა ეკლესიას, რომელშიც უკვე რამდენიმე წელია, ფეხი არ შეუდგამს სწორედ მისი პატარა მეგობრის გამო. უიმისოდ შინიდან გამოსვლას ვეღარ ბედავს. ამიტომ საკვირაო მესას რადიოთი ისმენს. ამ დროს ფინია მის ფეხებთანაა მოკალათებული.

სევდამ რომ არ დაახრჩოს, მზადაა კონსიერჟსაც კი გამოელაპარაკოს, რომელსაც, სხვათა შორის, არც კი მიუსამძიმრებია მისთვის, ისე როგორც არავის მთელ სახლში, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. ჩვეული მოძრაობით გადაატრიალა გასაღები. ირგვლივ სიჩუმეა. ამ დროს შინ არავინაა: ზოგი სამსახურშია, ზოგი საყიდლებზე, ბავშვები — სკოლაში.

ცხოვრება გაუსაძლისი გაუხდა. რისთვის უნდა იცოცხლოს? სრულიად მექანიკური მოძრაობებით გაუსუფთავა ფინიას თათები, საბელი შეხსნა. ისიც ცქციტად გაცუნტულა და თავისი კალათისკენ.

ტელეფონის ზარია. მისი დისწული შარლი ყოველ ორშაბათს მოიკითხავს ხოლმე. „გმადლობ, ნურაფერზე შეწუხებები, ყველაფერი რიგზეა“, პასუხობს ქალი. აბა მეტი რა უთხრას? დაკრძალვის შემდეგ მანქანით წამოიყვანა შინ. გზაში საჭიროდ მიიჩნია, კიდევ ერთხელ ემართლებინა თავი დედის წინაშე;

— მამა რომ გარდაიცვალა, კარგად იცი, არც მე შე-
მძლო წამყვანა დედა ჩემთან და არც ჩემს ძმას. რაც
ცოლს გაეყარა, მარტო ცხოვრობს. ჩემს ცოლს კი ამის გა-
გონებაც არა სურდა; ხომ იცი, როგორია?! რთული ვითა-
რება შეიქნა... თუმცა დედამ გაგვიგო. თვითონაც იცი,
მოხუცებულთა სახლში კარგად უვლიდნენ. ეს კანტონში
საუკეთესო სანატორიუმია. თვეში 6000 ფრანკს დაუნა-
ნებლად ვიხდიდით. კიდევ გაგვიმართლა, რომ თავისუ-
ფალი ადგილი გამოჩნდა. ძალიან უწყობდნენ ხელს და
თავს ცუდად არ გრძნობდა, არაფერი აკლდა. შენთვის
როდისმე რამე ხომ არ უთქვამს?

— არა, ჩემო კარგო, არაფერი, — აკანკალებული, სევ-
დიანი ხმით მიუგო მოხუცმა. მან ხომ კარგად იცოდა, რომ
ქმრის გარდაცვალების შემდეგ მის დას მხოლოდ შვილე-
ბის გულის სითბო აკლდა. თუმცა რა საჭიროა ამის თქმა?
უკვე გვიანია და თანაც ამაო. გაბზარულ გულს საყვედუ-
რებით ვერ გაამთვლებ.

კომოდზე ხელები მოაფათურა, ქმრის ფოტოს შეეხო.
ოცდაორი წელია, რაც გარდაიცვალა. ორივე ძალიან გა-
ნიცდიდა, შვილი რომ არ მიეცათ. ქალი არაერთხელ აღშ-
ფოთებულა აბორტის ლიბერალიზაციის გამო. დამნაშა-
ვედ მიიჩნევდა ქალებს, რომლებიც განგებობით ნაბოძებ სი-
ცოცხლეს სპობდნენ. ახლა აღარც აგონდება უშვილობით
გამონეული გულისტკივილი და სირცხვილშეფარვით
ფიქრობს კიდევ, იქნებ ასე უკეთესიც კი იყოსო; ჩვენს
დროში სიმარტოვე უფრო მიძიმა, როცა შვილები გყავს.
განა შესაძლოა, მოხუცებულთა სახლებმა ოჯახური კე-
რის სითბო შეცვალონ?

თითებით მოსინჯავ უსინათლოთათვის სპეციალური
მაჯის საათი, ყურადღებიანმა დისწულმა შარლმა რომ
აჩუქა, და უფალს შეევედრა, დრო გაეჩერებინა მისთვის.

ფრანგულიდან თარგმანა
ლია რუსაქაძე

ლიტერატურული ცხოვრება

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნივნობართა ასო-
ციაციაში გაიმართა ლიტერატურული ჟურნალის „ხელეური“ ახა-
ლი ნომრის წარდგინება. („ხელეური“ ძველი ქართული სიტყვაა და
ნამგლით მომკილ პურს ნიშნავს, რომელიც ერთ ხელში თავსდება).
ჟურნალი 2009 წელს დაარსდა პოეტისა და ჟურნალისტის თამარ
შაიშველაშვილის დიდი მონდომებით. მიზანი იყო ლიტერატურულ
პროცესებში მონაწილეობა და საკუთარი სიტყვის თქმა. ჟურნალს
არ გადაუხვევია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის გზის-
თვის. ახლაც აგრძელებს ამ გზას, ოღონდ ახალი ხედვითა და ახლე-
ბური სათქმელით. სამწუხაროა, რომ ამ დროის განმავლობაში
უსახსრობის გამო ჟურნალის მხოლოდ ცხრა ნომერი გამოვიდა.

სალამო გახსნა მთავარმა რედაქტორმა **თამარ შაიშველაშ-
ვილიმა**. მან აღნიშნა, რომ ეს ნომერი განსაკუთრებულია, რადგან
მასში გამოქვეყნებულია რევაზ ინანიშვილის პრემიის ლაურეატ-
თა მოთხრობები, ასევე აღნიშნა, რომ გაზრდილია ჟურნალის მო-
ცულობა. 2011 წელს „ხელეურმა“ მეორედ გამოაცხადა კონკურ-
სი ამ პრემიის მოსაპოვებლად. ლაურეატები გახდნენ: **ირმა გოდ-
დერძიშვილი** (I ადგილი), **ნინო ბაქანიძე** (II ადგილი), **ციალა არ-
დაშელია** და **ნოდარ მამაცაშვილი** (III ადგილი).

პირველად სიტყვა **ირმა გოდერძიშვილს** გადაეცა. იგი სა-
განგებოდ ჩამოვიდა ბრიტანეთიდან და საღამოს ოჯახთან ერ-
თად დაესწრო. მისმა მოთხრობამ „ორგზის ემიგრანტი“, რომე-
ლიც ქართველ ემიგრანტ დედაზე მოგვითხრობს, ჟიური და
მკითხველი მოხიბლა.

შემდეგ სიტყვით **ჯანსუღ ჩარკვიანი** გამოვიდა. მან აღნიშ-
ნა, რომ ასეთი სერიოზული ჟურნალი იშვიათა და იგი ღირსია,
რომ ყოველთვიური იყოს.

ლილა ქიტოშვილი მიმოიხილა ჟურნალის ნომრები და ავ-
ტორთა შემოქმედება, ხოლო მწერალმა და ლიტერატორმა **თე-
მურ შავლაძემ** ლაურეატთა მოთხრობებზე გაამახვილა ყუ-
რადღება. განსაკუთრებით გამოყო ირმა გოდერძიშვილის „ორგ-
ზის ემიგრანტი“, რომელიც ემოციითა და სადღეისო სათქმელით
დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

სიტყვით გამოვიდნენ: **ინგა მილორავა**, **ლინა ბარათაშვილი**,
თემურ ჩალაბაშვილი, **ნოდარ მამაცაშვილი**, **ივანე ჯაფარიძე**, **გი-
ორგი ზურებიანი** და **სხვები**. ქეთევან შენგელიამ, ქეთევან დოლი-
ძემ, თამარ ფარჩუკიძემ, მაია მეგუთინიშვილმა, მარინე თექეთუმა-
ნიძემ, შორენა თამაზაშვილმა, ზაზა სუყაშვილმა საკუთარი ლექ-
სები წაიკითხეს. **ლინა ბარათაშვილმა** აღნიშნა, რომ ჟურნალი თა-
მარ შაიშველაშვილივით პოეტური, მასავით სპეტაკი და მართალია.



რევაზ ინანიშვილის სახელობის პირველი პრემიის ლაურეატი
ირმა გოდერძიშვილი, თამარ შაიშველაშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი

სამადლობელი სიტყვა გაისმა მხატვარ **ნუგზარ მგალობ-
ლიშვილისადმი**, რომლის ნახატიც ჟურნალის გარეკანს ამშვე-
ნებს. ასევე რამდენჯერმე ითქვა მადლობა **გიორგი ზურებიანის**
მიმართ, ვისი ქველმოქმედების წყალობითაც ჟურნალის ახალი
ნომერი გამოიცა.

სალამოზე იმყოფებოდა რევაზ ინანიშვილის მეუღლე, ქალბა-
ტონი **როზა ინანიშვილიც**. მან მადლობა გადაუხადა კონკურსის
ორგანიზატორებს და მომავალშიც თანადგომას დაჰპირდა.

თამარ შაიშველაშვილმა მადლიერებით მოიხსენია ყველა ის
ადაშიანი, ვინც სამი წლის განმავლობაში გვერდით ედგა ჟურნა-
ლის გამოცემის საქმეში, განსაკუთრებით ცნობილი პოეტი **მანანა
ჩიტვილი**, ლიტერატორი და თეატრმცოდნე **ნინო ჩხიკვიშვი-
ლი**. აგრეთვე ხაზი გაუსვა მნივნობართა ასოციაციის თავმჯდო-
მარის **ლია ნადარეიშვილის** თანადგომას. იქვე დასძინა, რომ
ჟურნალი შემოწირულობით არსებობს და დამფინანსებელს ელის.

მთავარი რედაქტორის თქმით, „ხელეური“ მომავალშიც ეცდება
ახალგაზრდა ავტორების აღმოჩენას და განგებ დაკარგულ შემოქ-
მედთა წარმოჩენას. ქართული კულტურისა და სულიერი სამშობ-
ლოს გადარჩენისთვის იღვანებს და ილიას გზას არ გადაუხვევს.

მარინა ოლქიშვილი
სალომე თურაქაძე

ჯულიან ბარნსის „ფლობერის თუთიყუში“ არამარტო ინგლისური, არამედ თანამედროვე დასავლური ლიტერატურის თვალსაჩინო ქმნილებად, ბიოგრაფიული რომანის ჩინებულ ნიმუშადაა აღიარებული, დიდებული ფრანგი მწერლის მიუკერძოებელ, რელიეფურ და შთამბეჭდავ პორტრეტად, მიუხედავად აპოლოგეტურობისა არც იუმორი რომ არ აკლია და არც ირონიული გაელვებანი. თარგმანში აუცილებელია ამ იუმორისტული ფონის შენარჩუნებაც, თორემ მარტოდენ რეალისტური თხრობის გადმოტანა მხოლოდ მკრთალ წარმოდგენას შეგვიქმნის ჯულიან ბარნსის მწერლურ ხელოვნებაზეც და ამ ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ თავისებურებაზეც. ვეღარც გარკვეულ ორიენტირად დავსახავთ ამა თუ იმ მწერლის ცხოვრების გააზრებისას, მათაც თხრობის ასეთივე მანერა რომ შეეფერებათ.

სტილურად ასერიგად რთული, ნიუანსობრივობით სავსე რომანის ამეტყველებას ქართულად ისეთი რანგის მთარგმნელი სჭირდება, როგორც ასე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ნინო ქაჯანიანი, რომელიც ყოველთვის ახერხებს სხვადასხვა სტილურ პლანთა შენარჩუნებასაც და მათი მონაცვლეობის გადმოტანასაც ფილიგრანული სიზუსტით. და ჩვენი ლიტერატურის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს უთუოდ გაახარებდათ „ფლობერის თუთიყუშის“ პირველი თავის (რომანის სათაურივე რომ ჰქვია) ნინო ქაჯანიანის ქართული ვერსიის ხილვა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე (2012, 16 მარტი). ამჯერად კი მეორე თავის „ქრონოლოგია“ ნაკითხვის სიამოვნება ელით, ბიოგრაფიის თითქოსდა სქემატურ მონახაზთა მიღმა ღრმა ტრაგიზმი რომ ჩაბუდებულია — ოფიციალურ და არაოფიციალურ ანკეტურ მონაცემთა გადაკვეთაზე. და თავისთავადი მხატვრულ-დოკუმენტური ღირებულების გარდა თხრობის ამ ორიგინალურმა მანერამ შესაძლოა ჩვენც მოგვანდომოს ჩვენს მწერალთა ოფიციალურ და არაოფიციალურ ბიოგრაფიათა შედარება-შეპირისპირება, სულ სხვაგვარად რომ განათდება ეს ყოველივე ლაკონური და ზუსტად მოძებნილი კომენტარების წყალობით. გამომცემლობა „ლიტერატურა“ განზრახული აქვს ჯულიან ბარნსის ამ რომანის ცალკე წიგნად გამოცემა და, ვიმედოვნებთ, არც მთარგმნელი და არც გამომცემელი დიდხანს არ გვალოდინებენ.

ჯულიან ბარნსი

ქრონოლოგია

I

1821 — რუანში დაიბადა გუსტავ ფლობერი — Hôtel-Dieu-ს მთავარი ქირურგის, აქილე-კლეობას ფლობერისა და ანა-ჟიუსტინ-კაროლინ ფლობერის (ქალწულობაში ფლერიოს) მეორე ვაჟი. ოჯახი განეკუთვნება წარმატებულ პროფესიონალთა საშუალო ფენას, და ფლობს უძრავ ქონებას რუანის რეგიონში. სტაბილური, განათლებული, საიმედო და ზომიერად პატივმოყვარე გარემო.

1825 — ფლობერის ოჯახში აიყვანეს ბავშვის ძიძა, ჟიული, რომელიც მასთან რჩება ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, გუსტავის სიკვდილამდე. მსახურები ფლობერს არ ანუხებდნენ და ცხოვრებას არ ურთულებდნენ.

1830 — ხვდება ერნესტ შვეალიეს, თავის პირველ გულითად მეგობარს. ფლობერს მთელი სიცოცხლე მიჰყვებოდა და აძლებინებდა მგზნებარე, ერთგული და მრავლისმომცემი ურთიერთობანი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მეგობრობა ალფრედ დე პუატენთან, მაქსიმ დიუ კამპთან, ლუი ბუიესა და ჟორჟ სანდთან. გუსტავი იოლად უმეგობრდება ადამიანებს და ხუმრობანარევი ალერსით განამტკიცებს მათთან ურთიერთობას.

1831-2 — შედის რუანის კოლეჯში და თავს გამოიჩენს, როგორც წარმატებული, ისტორიასა და ლიტერატურაში გამორჩეული სტუდენტი. შემორჩენილია მისი ყველაზე ადრეული ნაწერი — ესეი კორნელზე, თარიღდება 1831 წლით. სიყმაწვილეში ხშირად თხზავს დრამას, პროზას.

1836 — ტრუვილში ხვდება ელზა შლეზინგერს, გერმანელი მუსიკალური გამომცემლის ცოლს და „უზარმაზარი“ ვნება ატყვევებს. ეს ვნება ასხივოსნებს მის სიყმაწვილეს. ქალი დიდი სიკეთითა და გულითადობით ეპყრობა; ერთმანეთი მომდევნო ორმოცი წელიც არ დაუკარგავთ. უკან მოხედვისას ფლობერი შვებით აღნიშნავს, ქალი ჩემს ვნებას არ მასუსობდა. „ბედნიერება სიფლისისა ჰგავს. უცებ აიკიდებ და ორგანიზმს გინადგურებს.“

1836 — გუსტავი სექსუალურ გამოცდილებას იძენს დედის ერთ-ერთ მოახლესთან. ესაა დასაწყისი აქტიური და ფერადოვანი ეროტიკული ცხოვრებისა, ბორდელიდან სალონისკენ, ქაიროს აბანოს ბიჭიდან პარიზელი პოეტი ქალისკენ. სიჭაბუკეში გამორჩეულად მიმზიდველია ქალებისთვის და მისი თქმით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს უმრეტი სექსუალური ენერჯის წყალობით; მაგრამ არც ხანდაზმულობაში აკლდა ყურადღება გალანტური მანერების, გონიერებისა და პოპულარობის გამო.

1837 — პირველი პუბლიკაცია რუანის ჟურნალში e Colibri.

1840 — აბარებს baccalauréa-ს. მიემგზავრება პირენეებში ოჯახის მეგობართან, ექიმ ჟიულ კლოკესთან. მართალია, ფლობერზე ხშირად ამბობდნენ, განდეგილიაო, მაგრამ ფაქტობრივად ბევრს მოგზაურობს: იტალიასა და შვეიცარიაში (1845), ბრეტანში (1847), ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, თურქეთში, საბერძნეთსა და იტალიაში (1849-51), ინგლისში (1851, 1865, 1866, 1871), ალჟირსა და ტუნისში (1858), გერმანიაში (1865), ბელგიაში (1871), შვეიცარიაში (1874). შეადარეთ ეს ამბავი მის alter ego-ს, ლუის ბუიეს, რომელსაც ინგლისიც არ ენახა და ჩინეთზე ოცნებობდა.

1843 — პარიზში, იურისპრუდენციის სწავლისას, ვიქტორ ჰიუგოს ხვდება.

1844 — პირველი ეპილეფსიური შეტევა გუსტავს აიძულებს, ხელი აიღოს იურისპრუდენციის სწავლაზე და კრუასეში გამომამწყდევს, თავისი ოჯახის ახალ სახლში. თუმცა იურისპრუდენციის მიტოვება დიდად არ ანაღვლებს; რაკი მის ტუსაღობას თან ახლავს წერისთვის აუცილებელი მარტოობა და სტაბილურობა, ეს შეტევა სასიკეთო გამოდგება შორეული მიზნის მისაღწევად.



1846 — ხედება ლუიზ კოლეს — „მუზას“ და იწყებს ყველაზე ღირსშესანიშნავ, გაჭიანურებულ, წინააღმდეგობრივ, ორნაწილიან სასიყვარულო ურთიერთობას (1846-8, 1851-4). მართალია, გუსტავი და ლუიზა ტემპერამენტიოც შეუთავსებლები გამოდგნენ და ესეთიკურადაც შეუფერებლები, მაგრამ მაინც გაცილებით მეტხანს გასძლეს ერთად, ვიდრე სავარაუდო იყო. ვითომ გულდასაწყვეტია მათი ურთიერთობის დასასრული? მხოლოდ იმის გამო, რომ ეს არის დასასრული გუსტავის ბრწყინვალე წერილებისა ამ ქალისადმი.

1851-7 — Madame Bovary-ს წერა, გამოცემა, სასამართლო და ზარზეიმით გამართლება. ეს succès de scandale¹

მოიწონეს ისეთმა განსხვავებულმა მწერლებმა, როგორებიც არიან ლამარტინი, სენტ-ბევი და ბოდლერი. 1846 წელს, როცა ეჭვობდა, ისეთს ვერაფერს დაეწერა, დაბეჭდვად ღირდესო, გუსტავმა განაცხადა: „თუ კიდევ სადმე გამოეჩნდი, თავით ფეხებამდე აბჯარში ვიქნები ჩამჯდარი“. ახლა ბექთარი უელავს, მის დაშნას ვერავინ ემალება. მეზობელი სოფლის, კანტელის curé უკრძალავს თავის მრევლს რომანის წაკითხვას. 1857 წლის შემდეგ ლიტერატურულ წარმატებას, ცხადია, სოციალური წარმატება მოსდევს: ფლობერი მეტწილად პარიზშია. ხდება გონკურებს, რენანს, გოტიეს, ბოდლერსა და სენტ-ბევს. 1862 წელს იწყება ლიტერატურული სადილები მანიესთან: ფლობერი დეკემბრიდან რეგულარულად ესწრება ამ თავყრილობებს.

1862 — Salammbô-ს პუბლიკაცია. Succès fou.²

სენტ-ბევი წერს მათიუ არნოლდს: „Salammbô ჩვენი დიდი მოვლენაა!“ რომანის თემაზე პარიზში რამდენიმე მასკარადი იმართება. იგი ახალი გალეტის, petit four³-ის სახელსაც კი აძლევს დასაბამს.

1863 — ფლობერი ხშირი სტუმარი ხდება ნაპოლეონ I-ის ძმისშვილის, პრინცესა მატილდას სალონისა. კრუასეს დათვი მაღალი საზოგადოების ლომის ტყავში ეხვევა. თვითონაც იღებს სტუმრებს კვირაობით, ნაშუადღევს. ეს წელიწადი აღსანიშნავია კიდევ იმით, რომ იწყებს მიმონერას ჟორჟ სანდთან და ხდება ტურგენეცს. რუს რომანისტთან დამეგობრების შემდეგ ფლობერის სახელი უფრო ფართოდ ხდება ცნობილი ევროპაში.

1864 — იმპერატორი ნაპოლეონ III-ის წარდგინება კომპინში. გუსტავის საზოგადოებრივი წარმატების მწვერვალი. იმპერატორიცას კამელიებს უგზავნის.

1866 — გახდა chevalier de la Légion d'honneur.⁴

1869 — გამოქვეყნდა L'Education sentimentale.⁵ ფლობერი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არის un chef-d'ou-

vre⁶. მიუხედავად თავისივე გამოგონილი ლეგენდისა გმირულ ბრძოლაზე, წერა ფლობერს იოლად გამოსდის. ბევრს წუნუნებს, მაგრამ წერილებში წუნუნიც კი გასაოცრად, წყალოვით იკითხება. საუკუნის მეოთხედში ქმნის ერთ დიდ, ვრცელ წიგნს, რომელიც ყოველ ხუთ-შივდ წელიწადში გულმოდგინე კვლევას საჭიროებს. ალბათ წვალობს სიტყვაზე, ფრაზაზე, ჟღერადობაზე, მაგრამ ჩიხში არასოდეს ყოფილა.

1874 — ქვეყნდება La Tentation de saint Antoine.⁷ უცნაურობის მიუხედავად, საამურო კომერციული წარმატება.

1877 — ქვეყნდება Trois Contes.⁸ წარმატება კრიტიკოსთა წრესა და საზოგადოებაში. ავტორზე იბეჭდება კეთილგანწყობილი რეცენზია Le Figaro-ში; სამ წელიწადში წიგნი ხუთჯერ გამოიცემა. ფლობერი იწყებს მუშაობას Bouvard et Pécuchet-ზე. ამ ბოლო წლების განმავლობაში მისი უპირატესობა ფრანგ რომანისტთა შორის მომდევნო თაობამ აღიარა. პატივს მიაგებენ და ეკრძალებიან. მისი „ნაშუადღევები“ კვირაობით სახელოვანი მოვლენა გახდა ლიტერატურულ საზოგადოებაში; ოსტატს ჰენრი ჯეიმზი ეწვევა. 1879 წელს გუსტავის მეგობრებმა დააფუძნეს ყოველწლიური სადილები მის საპატივცემულოდ „სენ-პოლიკარპე“-ში. 1880 წელს Les Soirees de Medan⁹-ის ხუთი თანაავტორი, მათ შორის ზოლა და მოპასანი, ავტოგრაფებიან წიგნს მიართმევენ ფლობერს: ეს საჩუქარი შეიძლება მივიჩნიოთ სიმბოლოდ: სალამი რეალიზმს ნატურალიზმისგან.

1880 — გუსტავ ფლობერი — პატივდებული, საყოველთაოდ საყვარელი და ენერგიულად მომუშავე, — კრუასეში გარდაიცვლება.

II

1817 — გარდაიცვალა კაროლინ ფლობერი (ოცი თვისა), აქილე-კლეოპას ფლობერისა და ანა-ჟიუსტინ-კაროლინ ფლობერის მეორე შვილი.

1819 — გარდაიცვალა ემილ-კლეოპას ფლობერი (რვა თვისა), მესამე შვილი.

1821 — დაიბადა გუსტავ ფლობერი, მეხუთე შვილი.

1822 — გარდაიცვალა ჟიულ ალფრედ ფლობერი (სამი წლისა და ხუთი თვისა), მეოთხე შვილი. მისი entre deux marts,¹⁰ დაბადებული ძმა, გუსტავი, ფაქიზი აგებულებისა და არ ელიან, რომ დღეგრძელი იქნება. ექიმი ფლობერი ყიდულობს საოჯახო ნაკვეთს Cimetière Monumental¹¹-ზე, ამოთხრილი და გამ-



მხატვარი თამარ მინაშვილი

ზადებული აქვს პატარა საფლავი გუსტავისთვის. ყველას გასაკვირად, ბიჭი გადარჩა. ზანტი ბავშვი გამოდგა, კმაყოფილი ზის საათობით, პირში თითით, „თითქმის ბრიყვული“ გამომეტყველებით. სარტრისთვის ის „ოჯახის იდიოტია“.

1836 — დასაწყისი უიმედო, აკვიატებული ვნებისა ელიზა შლეზინგერისადმი, რაც გულს უნამლავს და ართმევს უნარს, ოდესმე ჭეშმარიტად უყვარდეს სხვა ქალი. უკან მოხედვისას წერს: „თითოეულ ჩვენგანს გულში პატარა ნალკოტი აქვს ჩამალული. მე ჩემი აგურებით ამოვგმანე“.

1839 — გამოაძევეს Collège de Rouen-იდან ხულიგნობისა და დაუშორჩილებლობისთვის.

1843 — პარიზში იურიდიული ფაკულტეტი აცხადებს პირველი გამოცდების შედეგებს. გამომცდელები საკუთარ თვალსაზრისს წითელი ან შავი ბურთულებით ადასტურებენ. გუსტავი ორ წითელს და ორ შავს იღებს, ასე რომ, იჭრება.

1844 — ეპილეფსიის პირველი, გამანადგურებელი შეტევა; მერე კიდევ და კიდევ... „ყოველი შეტევა, — წერს მოგვიანებით გუსტავი, — ნერვიული სისტემის სისხლჩაქცევას ჰგავდა... თითქოს სულს წამებით გგლეჯდნენ სხეულიდან.“ სისხლს უშვებდნენ და უსხამდნენ, აბებს ასმევდნენ, სპეციალურ დიეტას უნიშნავდნენ, უკრძალავდნენ ალკოჰოლსა და თამბაქოს; მკაცრი შეზღუდვების რეჟიმი აუცილებელია, თუ არ უნდა, რომ სასაფლაოზე დაიდოს ბინა. გუსტავი სტოვებს მალალ საზოგადოებას — შეუსვლელად. „მამ ქალიშვილივით გყარაულობენ?“ — მწარედ კბენს მოგვიანებით ლუიზ კოლე. სიცოცხლის ბოლო რვა წელიწადს თუ არ ჩავთვლით, გუსტავს სულს უხუთავს მადამ ფლობერი — დედა გამუდმებით თვალყურს ადევნებს ვაჟის კეთილდღეობას და აკონტროლებს მისი მოგზაურობის გეგმებს. თანდათანობით, ათწლეულების მერე, ისე დაუძღვრდება, რომ ამ მხრივ შვილს გაასწრებს: იმ დროისთვის, როცა ფლობერი აღარც იყო დედის სადარდებელი, როლები შეიცვალა და ქალი თვითონ ექცა ტვირთად.

1846 — გუსტავის მამის სიკვდილი მალევე მოჰყვა მისი საყვარელი დის, კაროლინას გარდაცვალებას (ოცდაერთი წლისა). გუსტავს დისწულის მეურვეობა დაეკისრა. მთელი ცხოვრება გამუდმებით გულს უკლავს ახლობლების გარდაცვალებას. თუმცა მეგობრები სხვანაირადაც კვებიან: ივნისში ალფრედ ლე პუატენის ცოლს ირთავს. გუსტავს ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ეს მისი მესამე მიძიმე დანაკარგი იყოს იმ წელიწადს: „რაღაც არანორმალურს სჩადინა,“ — საყვედურობს ის. ცოტა ხნის შემდეგ მაქსიმ დიუკამპს სწერს: „გულისთვის ცრემლი იგივეა, რაც წყალი თევზისთვის.“ ვითომ რა ნუგეშია იმავე წელს ლუიზ კოლესთან შეხვედრა? პედანტობა და დაუშორჩილებლობა ვერ ეგუება თავშეუკავებლობას და მესაკუთრეობას. მას შემდეგ, რაც ქალი მისი საყვარელი გახდა, სულ ექვსი დღე გავიდა და ურთიერთობის ფორმა უკვე გარკვეულია: „თავი შეიკავე და ნუ ყვრი, — საყვედურობს გუსტავი, — ამის ატანა ჩემთვის სატანჯველია. რა გინდა, რომ გავაკეთო? ყველაფერი მივატოვო და პარიზში ვიცხოვრო? შეუძლებელია.“ ეს შეუძლებელი ურთიერთობანი მაინც რვა წელიწადს გაინელა; ლუიზა დაბნეულია, ვერაფრით ვერ იგებს, რომ გუსტავს შეუძლია ისე უყვარდეს, რომ საერთოდ არ უნდოდეს მისი ნახვა. „ქალი რომ ვყოფილიყავი, — წერს კაცი ექვსი წლის შემდეგ, — ჩემი თავი საყვარლად არ მენდომებოდა. ერთი ღამით, კი ბატონო; მაგრამ ინტიმური ურთიერთობები — არა.“

1848 — ალფრედ ლე პუატენის სიკვდილი, ოცდათორმეტი წლის ასაკში. „თურმე იმასავით არავინ არასდროს მყვარებია — არც კაცი, არც ქალი.“ ოცდახუთი წლის შემდეგ: „დღე არ გავა, რომ მასზე არ ვიფიქრო.“

1849 — გუსტავი ორ უახლოეს მეგობარს, ბუიესა და დიუკამპს უკითხავს თავის პირველ მოზრდილ მონიფულ ნამუშევარს, *a Tentation de saint Antoine*. კითხვას ოთხ დღეს ანდომებენ, ყოველდღე რვა საათს. თათბირის შემდეგ დარცხვნილმა მსმენელებმა უთხრეს, გირჩევნია ცეცხლში ჩაუძახო.

1850 — ეგვიპტეში გუსტავს სიფილისი შეეყრება. თმა ძალიან უთხელდება; სუქდება. მომდევნო წელს, რომში შეხვედრისას, მადამ ფლობერი ძლივძლივობით ცნობს ვაჟიშვილს, და მიიჩნევს, რომ ის ძალიან არის გაუხეშებული. ხანდაზმულობა აქ იწყება. „გაფუჭება ლამის დაბადებიდან იწყება.“ თანდათანობით კბილები სცივია — ყველა ერთის გარდა; ნერწყვი გამუდმებით გაშავებული აქვს ვერცხლისწყლით მკურნალობით.

1851-7 — *Madame Bovary*. მუშაობა უძიმოს — „ამ ნიგნის წერისას იმ კაცს ვგავარ, ვისაც პიანინოზე დაკვრისას ტყვიის ბურთულები ჰკიდია სახსრებზე.“ მერე სასამართლოს შიში. წლების მერე ფლობერს ალიზიანებს თავისი შედეგის უცვლელი დიდება — ადამიანებისთვის იგი ერთი ნიგნის ავტორად იქცა. დიუკამპს ეუბნება, საფონდო ბირჟაზე ბედმა რომ გამიღიმოს, „ნებისმიერ ფასად“ ვიყიდი *Madame Bovary*-ს ყველა ეგზემპლარსო. „ცეცხლში გადავუძახებდი და მის სახელსაც აღარასოდეს გავიგონებდი.“

1862 — ელიზა შლეზინგერი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, დიაგნოზით „მწვავე მელანქოლია“. *Salammbô*-ს პუბლიკაციის შემდეგ ფლობერმა მდიდარი მეგობრები გაიჩინა. მაგრამ ფინანსურ საკითხებში ისევე ბავშვითაა: დედა იძულებულია, უძრავი ქონება გაჰყიდოს ვალების გასასტუმრებლად. 1857 წელს თავისი ფინანსურ საქმეების მართვას საიდუმლოდ გადააბარებს დისწულის მეუღლეს, ერნესტ კომანვილს. მომდევნო ცამეტ წელიწადში, მფლანგველობის, არაკომპეტენტური მმართველობისა და უიღბლობის გამო ფლობერმა თავისი ფული მთლიანად დაკარგა.

1869 — გარდაიცვალა ლუი ბუიე, რომელზეც ერთხელ თქვა: „ჩემთვის მინერალური წყალია, მაგან მომანელებინა ცხოვრება. ჩემი ბუიეს დაკარგვით ძიხა დავკარგე — კაცი, რომელიც ჩემზე უფრო ღრმად იხედებოდა ჩემსავე ფიქრებში.“ სენტ-ბევიც გარდაიცვალა. „კიდევ ერთი წავიდა! პატარა ჯგუფი ქრება! ვინლა დამრჩა ლიტერატურაზე სალაპარაკოდ?“ *ducation sentimentale*-ის პუბლიკაცია; მარცხი — კრიტიკოსთა შორის და კომერციულად. ასორმოცდაათი ეგზემპლარი დაეგზავნა მეგობრებსა და ნაცნობებს, მათგან ოცდაათიოდე თუ შეროვდა, ვინც მადლობა გადაუხადა.

1870 — ჟიულ დე გონკურის სიკვდილი: ახლა სამილა დარჩა იმ შვიდი მეგობრიდან, ვინც 1863 წელს მაინეს სადილები წამოიწყო. ფრანკო-პრუსიული ომისას მტერი კრუსეს იკავებს. ფლობერს რცხვინია, რომ ფრანგია, *Légion d'honneur*-ს იხსნის და გადაწყვეტს, ტურგენევს ჰკითხო, რა უნდა იღონოს რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად.

1872 — მადამ ბოვარის სიკვდილი: „ბოლო ორ კვირაში მივხვდი, რომ ჩემი სანყალი, ძვირფასი დედა იყო ის ადამიანი, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა. თითქოს გულის ნაწილი ამომგლიჯეს.“ გარდაიცვალა გოტიეც. „წავიდა ჩემი უკანასკნელი უახლოესი მეგობარი. სია დაიხურა.“

1874 — ფლობერი წარმოადგენს თავის თეატრალურ დებიუტს *Le Candidat*-ით. სრული მარცხი; მსახიობები თვალცრემლიანები გადიან სცენიდან. პიესა ოთხი წარმოდგენის შემდეგ მოიხსნა. *La Tentation de saint Antoine*-ის პუბლიკაცია. „ნაკუნ-ნაკუნ დამგლიჯეს, — აღნიშნავს ფლობერი, — ყველამ, *Figaro*-თი დანყებულნი და *Revue des deux mondes*-ით დამთავრებული... გასაკვირია ამ კრიტიკული წერილებით ხაზგასმული სიძულვილი — სიძულვილი ჩემს მიმართ, ჩემი პიროვნების მიმართ — გამიზნული ცილისნამება... ნიაღვარივით წამოსული შეურაცხყოფა მთრგუნავს.“

1875 — ჟენესტ კომანვილის ფინანსური განადგურება ფლობერსაც ჩაითრევს. ჰყიდის თავის ფერმას დოვილში; იძულებულია, დისშვილს ეხვეწოს, კრუასედან არ გამაგდო. ცოლ-ქმარი ფლობერს მეტსახელად „მომხმარებელს“ არქმევს. 1879 წელს ისე ეცემა, რომ მეგობრების მიერ გახერხებულ პენსიას იღებს.

1876 — ლუიზ კოლეს სიკვდილი. ჟორჟ სანდის სიკვდილი. „ჩემი გული სასაფლაოდ იქცა.“ გუსტავის ბოლო წლები უფერულია და მარტობით სავსე. თავის დისშვილს ეუბნება, ვნანობ, რომ ცოლი არ შევირთეთ.

1880 — გალატაკებული, მარტოდმარტო დარჩენილი, ღონემიხდილი გუსტავ ფლობერი კვდება. ზოლა ნეკროლოგში შენიშნავს, რომ იგი უცნობი იყო რუანის ოთხი მეხუთედისთვის, და საძულველი დანარჩენი მეხუთედისთვის. დაუსრულებელს ტოვებს *Bouvard et Pecucher*-ს. ამბობენ, რომ რომანზე შრომამ მოკლა; ვიდრე დაიწყებდა, ტურგენევი ურჩია, მოთხრობად უკეთესი გამოვიდოდაო. დაკრძალვის შემდეგ მელოვიარეთა ჯგუფი, პოეტი *Francois Coppée*-სა და *Théodore de Banville*-ის ჩათვლით, ვარდაცვლილი მწერლის პატივსაცემად სადილს მართავს რუანში. მაგიდას რომ მიუსხდებიან, აღმოაჩენენ, რომ ცამეტნი არიან. ცრუმორწმუნე ბანვილი დაიჟინებს, კიდევ ერთი სტუმარი უნდა ვიპოვოთო, და გოტიეს სიძეს *Emile Bergerat*-ს ქუჩაში გზავნიან ვინმეს შემოსაყვანად. რამდენიმე კაცი უარს ეტყვის, ბოლოს ბრუნდება და ერთ დათხოვნილ ჯარისკაცს მოიყვანს. ჯარისკაცს ფლობერის სახელი არც გაუგონია, მაგრამ მთელი გულით უნდა *Coppée*-ს ნახვა.

III

1842 — მე და ჩემი ნიგნები ერთ ბინაში: კიტრის წნილივით ჩაჭყყილები.

1846 — ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ჩემი ცხოვრების სრულყოფილი წინათგრძნობა მქონდა. თითქოს საჰაერო მილიდან გამოსული კერძების სურნელს ვიყნოსავდი: უჭმელადაც იცი, რომ გულს ავირევს.

1846 — ის გიყავი, რასაც მანამდე ვუშვებოდი ყველაზე საყვარელ ადამიანებს: ჩემს გულში ფსკერამდე ვახედებდი, და იქიდან ამოსული მძაფრი სუნი ახრჩობდათ.

1846 — ჩემი ცხოვრება სხვა (მადამ ფლობერის) ცხოვრებაზეა მიბმული და მანამდე გასტანს, სანამ ის მეორე ცხოვრება გაძლებს. ქარში აფრიალებული წყალმცენარის ნაგლეჯივით, კლდეზე ერთადერთი გამძლე ძაფით ვარ მიმაგრებული. თუ განყდა, საით გაფრინდება ეს სანყალი, უსარგებლო მცენარე?

1846 — ხის გასხვლა გინდა. ურჩი, გაფოთილი ტოტები ყველა მიმართულებით მიიწევენ, რომ ჰაერი ჩაისუნთქოს, მზეს მიეგებოს. მაგრამ შენ გინდა, მომხიბვლელ შპალერად გადამაკეთო, კედელზე რომ აწებებულა და მშვენიერ ხილს ისხამს, რომელსაც ბავშვიც კი მისწვდება კიბის გარეშე.

1846 — არ იფიქრო, რომ კაცების იმ უხამს მოდგმას ვეკუთვნი, ვინც ზიზღსა გრძნობს სიამოვნების შემდეგ და ვისთვისაც სიყვარული მხოლოდ ვნებაა. არა: ჩემში რაც იღვიძებს, ასე სწრაფად არ ნავლდება. ჩემი გულის ციხე-კოშკებს აგებისთანავე ხავსი ედება; მაგრამ გარკვეული დრო უნდა გავიდეს, ვიდრე ნანგრევებად იქცევა, თუკი საბოლოოდ ასე მოხდა.

1846 — სიგარას ვგავარ: ბოლოში უნდა მომქაჩო, რომ ამამოდრავო.

1846 — ზღვაში გასულელებს შორის არიან შტურმანები, ვინც აღმოაჩენენ ახალ სამყაროებს, დედამიწას ამდიდრებენ კონტინენტებით და ზეცას — ვარსკვლავებით: ოსტატები, მძლავრები, მარად მოკაშკაშები. არიან ისეთებიც, ვინც შიშის ზარს სცემს იარაღით, ვინც ძარცვავს, ვინც მდიდრდება და სუქდება. სხვები ოქროსა და აბრეშუმს ეძებენ უცხო ცის ქვეშ. ისეთებიც არიან, ორაგულს რომ იჭერენ გურმანებისთვის, ან ვირთევზას ღარიბებისთვის. მე ერთი უსახური მარგალიტის მაძიებელი ვარ, რომელიც ზღვის ფსკერზე ყვინთავს და ხელცარიელი, სახეგალურჯებული ამოდის ნაპირზე. რალაც საბედისწერო მიზიდულობა მექაჩება ქვემოთ, ფიქრის უფსკრულში, ყველაზე სასწრაფო, იდუმალ თავშესაფარში, რომელიც მუდამ ხიბლავს ძლიერ ადამიანებს. სხვები მოგზაურობენ ან იბრძვიან, მე კი მთელ სიცოცხლეს ხელოვნების ოკეანის ცქერაში გავატარებ; დროდადრო თავს შევიქცევ ყვინთვით და მწვანე და ყვითელი ნიჟარებს ამოვიტან, რომლებსაც არავინ მოინდომებს. ასე რომ, დავიტოვებ და ჩემი ქოხის კედლებს ამ ნიჟარებით მოვრთავ.

1846 — მე მხოლოდ ლიტერატურული ხვლიკი ვარ, რომელიც მთელი დღე მშვენიერების დიად მზესაა მიფიცებული. სულ ეს არის.

1846 — ჩემში ღრმად არის გამჯდარი უსაზღვრო, შინაგანი, მტანჯველი და გაუნღებელი მოწყენილობა, რომელიც სულს მიხუთავს და არ მინებებს, შევირგო რამე. ისევ და ისევ ჩნდება ნებისმიერი საბაბით, დამხრჩვალნი ძაღლის შემუშებული ლემივით, წყლის ზედაპირზე რომ ამოხტება ხოლმე, კისერზე შებმული ქვების მიუხედავად.

1847 — ადამიანები საქმელებივით არიან. ბევრ მოქალაქეს მოხარულ ხორცს ვამსგავსებ: ორთქლითაა გაფლენილი, არც წვენი აქვს, არც გემო (უცებ დაგანაყრებს და უმეტესად ტეტიები ჭამენ). სხვები ჰგვანან თეთრ ხორცს, ახალ თევზს, ნაგრძელებულ ვირთევზას მდინარის შლამიანი კალაპოტიდან (ან ნაირ-ნაირ მლაშეებს), ხბოს თავს და დატკბილულ ფაფას. მე? მე მაკარონის დარბილებულ, აქოთებულ ყველს ვგავარ, რომელიც ხშირად უნდა ჭამო, ვიდრე გემოს გაუგებ. ბოლოს მოგეწონება კიდევ, ოღონდ მანამდე ბევრჯერ ავირევს გულს.

1847 — ზოგიერთს აქვს ნაზი გული და უხეში გონება. მე პირიქითა ვარ: ნაზი გონება მაქვს, მაგრამ უხეში გული. ქოქოსს ვგავარ, რომელსაც რძე ნაჭუჭის რამდენიმე ფენის ქვეშ ჩაუკეტავს. მის გასახსნელად ცული გჭირდება, და მერე რას პოულობ? რალაც არაფრისმაგვარს.

1847 — იმედი გქონდა, ჩემში ჰპოვებდი ცეცხლს, რომელიც ყველაფერს გადაწვავდა, ააგიზგიზებდა და ააელვარებდა; რომელიც მხიარულ შუქს მოჰფენდა და გააშრობდა ჩვენს ხით მოპირკეთებულ ნესტიან კედლებს, ჰაერს გააჯანსაღებდა და ცხოვრებას გზნებით აავსებდა. ვაი, რომ მე მხოლოდ ერთი საწყალი ღამის ნათურა ვარ, და წითელ, სუსტ ნაპერწკლებს ვფანტავ უვარგისი ზეთის ტბაში, რომელიც სავსეა წყლითა და მტვრის ნაწილაკებით.

1851 — ჩემთვის მეგობრობა აქლემივითაა: ერთი თუ დაიძრა, ვეღარ გააჩერებ.

1852 — როცა ბერდები, გულს ხესავით სცვივა ფოთლები. ყველანაირ ქარს ვერ გაუძლებ. ყოველი დღე კიდევ რამდენიმე ფოთოლს გგლეჯს; ხან კი ისეთი ქარიშხალი დაგატყდება, რომ ერთ ჯერზე რამდენიმე ტოტს მოგტეხავს. გაზაფხულზე ბუნება ისევ მწვანით იმოსება, გული კი ვეღარასოდეს გაიფოთლება.

1852 — რა საშინელი რამაა ცხოვრება, არა? სუპსა ჰგავს. ზედაპირზე უამრავი ბენვი დაცურავს და მაინც უნდა შეჭამო.

1852 — ყველაფერს დავცინი, იმასაც კი, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. არ არსებობს ფაქტი, საგანი, გრძობა ან პიროვნება, რომელზეც არხეინად არ გადამეველოს მასხარაობით, უთოს გორგალივით, ტანსაცმელს რომ აპრიალავს.

1852 — მიყვარს ჩემი სამუშაო — შმაგი და უკუღმართი სიყვარულით, როგორც ასკეტს უყვარს თავისი ჯვალა, სხეულს რომ უფხაჭნის.

1852 — ჩვენ, ნორმანდიელებს, ყველას სიდრი გვიდგას ძარღვებში. მწარე, მაჭარივით სასმელია და ხანდახან საცობებს აფეთქებს.

1853 — რაც შეეხება პარიზში ჩემს დაუყოვნებლივ გადასვლას — ან უნდა გადავდოთ, ან აჯობებს, აქვე და ახლავე გადავწყვიტოთ. თუმცა ახლა ვერაფრით ვერ შევძლებ... საკუთარ თავს საკმაოდ კარგად ვიცნობ, გადასვლა თუ მოვიწოდებ, მთელ ზამთარს დავკარგავ, და შეიძლება წიგნიც ხელიდან წამივიდეს. ბუიეს რა ენაღვლება: მაგას ყველგან უხარია წერა; აგერ უკვე თორმეტი წელია, გამუდმებით ფორიაქშია, და მაინც მუშაობს... მე კი ჩამწკრივებულ რძის ბიდონებს ვგავარ: თუ გინდა, რომ ნაღები დაიყენონ, ადგილიდან არ უნდა დაძრა.

1953 — თვალი მომჭრა თქვენმა შესაძლებლობებმა. ათ დღეში ექვსი მოთხრობა გაქვთ დანერვილი! არ მესმის... მე ძველ აკვედუკებს ვგავარ: იმდენი ნაგავი მოგროვილა ჩემი ფიქრის ნაპირებზე, რომ აზრები ზოზინით მიედინება, და წვეთ-წვეთად იღვრება კალმის წვერიდან.

1854 — ჩემი ცხოვრება კარადაში მოვათავსე და ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინე; სავსე ვარ უჯრებით და განყოფილებებით, როგორც ძველი სამგზავრო ჩემოდანი, მთლიანად გაბანარული და შეკრული სამი დიდი, ტყავის ღვედით.

1854 — სიყვარულსა მთხვოვ, ჩივი, რომ ყვავილებს არ გიგზავნი? ჰო, აბა, ყვავილები! ეგ თუ გინდა, იხოვნე ვინმე ცხვირმოუხოცავი ბიჭი, კარგი მანერებითა და სწორი აზრებით გამოტენილი თავით. მე კი იმ ვეფხვს ვგავარ, ასოზე ამოსული ჯაგრით მდებდრს რომ ფლითავს.

1857 — წიგნები ბავშვებით როდი იქმნება: მათ პირამიდებით აგებენ. დიდხანს ნაფიქრი გეგმები და უზარმაზარი ქვის ბლოკები ერთიმეორეზე ლაგდება; წელმოსაწყვეტი, ოფლისსალერელი, ხანგრძლივი სამუშაო. და ყველა-

ფერი სულ ტყუილად! უბრალოდ უდაბნოში დგას! საოცარია, კომპივით აღმართულა და ზემოდან გადმოჰყურებს. ძირში ტურები აფსამენ, წვერისკენ ბურჟუები მიფოფხავენ და ა.შ. განაგრძეთ ეს შედარება.

1857 — არის ერთი ლათინური ფრაზა, რომელიც უხეშად ნიშნავს „განავლიდან გროშის კბილით ამოღებას.“ ეს იყო ძუნწის რიტორიკული სახე. მეც ეგრე ვარ: არაფერს დავერიდები ოქროს საპოვნელად.

1867 — მართალია — ბევრი რამე მაცოფებს. იმ დღეს, როცა აღშფოთებაზე ხელს ავიღებ, სახით დავენარცხები, საყრდენგამოცლილი თოჯინასავით.

1872 — ჩემი გული უძრავი რჩება, მაგრამ გრძობები გამახვილებულია ერთი მხრივ და დაბლაგვებული მეორე მხრივ — ძველი დანასავით, რომელსაც მეტისმეტად ხშირად ლესავდნენ, ახლა კი ჭდეები აქვს და ადვილად ტყდება.

1872 — არასოდეს ყოფილა სულიერება ასე გაუფასურებული. არასოდეს გაცხადებულა ასე აშკარად დიდებული სიძულვილი — სილამაზეს ცხვირს უბზუებენ, ლიტერატურა ეზიზღებათ. მუდამ ვცდილობდი, სპილოს ძვლის კომპი მიეცხოვრა, მაგრამ უწმინდურობის ტალღა ენეთქება მის კედლებს, და ძირის გამოთხრით ემუქრება.

1873 — ისევ და ისევ ვამუშავებ წინადადებებს, როგორც სხვენში, დაზგაზე დახრილი ბურჟუა ამუშავებს ხელსახოცის რგოლებს. ეს საქმესაც მიჩენს, და გარკვეულ სიამოვნებასაც მანიჭებს.

1875 — შენი რჩევის მიუხედავად, ვერ ვახერხებ „გამაგრებას“... მგრძობელობა უკიდურესად გამომძაფრდა, შიგნით ყველაფერი მიცახცახებს — ნერვები და ტვინი დაავადებული მაქვს, მძიმედ დაავადებული; ვგრძნობ, რომ ასეა. აი, ისევ ვწუნუნებ, თან არ მინდა, რომ გული დაგიმძიმო. ვეცდები, შენს ნათქვამზე გავმეტყადინდე, „ლოდი“ რომ ახსენე. ოღონდ იცოდე, ძველისძველი გრანიტი ხანდახან თიხად იქცევა ხოლმე.

1875 — თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ფესვებიანად ამომგლიჯეს, მკვდარი წყალმცენარის ბლუჯასავით, ტალღები აქეთ-იქით რომ აბურთავებს.

1880 — როდის დამთავრდება წიგნი? საკითხავი აი, ეს არის. თუკი გაის ზამთარს უნდა გამოვიდეს, დღეიდან მოყოლებული ერთი წუთიც არა მაქვს დასაკარგი. მაგრამ არის მომენტები, როცა ისეთი დაღლილი ვარ, რომ მგონია, ვდნები — ძველი კამემბერივით.

**ინგლისურიდან თარგმნა
ნიკო ქაჯანია**

შენიშვნები:

1. სკანდალის წარმატება (ფრანგ.).
2. გიჟური წარმატება (ფრანგ.).
3. პატარა ლუმელი (ფრანგ.).
4. საპატიო ლეგიონის კავალერი (ფრანგ.).
5. „გრძობათა აღზრდა“ (ფრანგ.).
6. მთავარი ნამუშევარი (ფრანგ.).
7. „წმინდა ანტონიოს ცდუნება“ (ფრანგ.).
8. „სამი გრაფი“ (ფრანგ.).
9. „მედანის საღამოები“ (ფრანგ.).
10. ორ სიკვდილს შორის (ფრანგ.).
11. მონუმენტური სასაფლაო (ფრანგ.).

ლოზიკა — უპირველეს ყოვლისა

უყვარს, გაგიჟებთ უყვარს ისტორი-
ას პარადოქსები და გრიმასები...

1938 წლის გაზაფხულზე მთელი ევ-
როპული პრესა მოიარა ფოტოსურათმა:
ესპანეთის მომავალი დიქტატორი ხელს მაგრად ართმევს და ორ-
დენს ჰკიდებს მკერდზე იმ კაცს, ვისაც ერთი წლის წინათ მისი
მკვლელობა ჰქონდა დავალებული.

...1937 წლის 31 დეკემბერს ბრიტანული გაზეთ „ტაიმის“ კორეს-
პონდენტი კიმ ფილბი ქალაქ სარაგოსიდან გაემგზავრა სასტიკი
ბრძოლების რაიონში, ტერუელთან. უკვე წელიწადზე მეტი იყო გასუ-
ლი, რაც ესპანეთში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი მძვინვარებ-
და. ფილბი ყოველთვის იქ აღმოჩნდებოდა ხოლმე, სადაც ყველაზე
მაგრად ცხელოდა. ამას კარნახობდა დაუნერელი კოდექსი რეპორტი-
ორისა და პირადი ღირსების გრძნობა. ამჯერად მასთან ერთად იმყო-
ფებოდნენ ერთი ამერიკელი კოლეგა და ორიც — ინგლისელი, როიტერ-
ის სააგენტოდან. გზაში შესასვენებლად შეჩერდნენ ფრონტის მორი-
ახლოს მდებარე ერთ პატარა სოფელთან. საჭესთან მჯდომი ესპანე-
ლი ოფიცერი თამბაქოს მოსაწევად ავტომანქანიდან გადავიდა. საკმა-
ოდ ციოდა და კორესპონდენტები მანქანაში დარჩნენ. უეცრად, რამ-
დენიმე ასეული მეტრის მანძილზე, აფეთქების ხმა გაიშა. ყურადღე-
ბა არ მიუქცევიათ, რადგანაც ქვეშეხთა გრუხუნი და აფეთქებანი ჩვე-
ულებრივი რამ იყო ფრონტის ხაზზე. მეორე ჭურვი აფეთქდა მანქანის
გვერდით. ფილბის ერთი თანამგზავრი ადგილზევე დაიღუპა, ორნი
მძიმედ დაიჭრნენ და, მიუხედავად ექიმთა გარჯისა, რამდენიმე საათ-
ში მათაც განუტევეს სული. ფილბი რაღაც სასწაულით ცოცხალი
დარჩა. ორიოდ ნაკანრი მუხლსა და მაჯაზე — ეს იყო და ეს. იმავე სა-
ღამოს დაბრუნდა სარაგოსაში, სადაც შეეგებნენ როგორც გმირს.

უცხოელ ჟურნალისტთა ესპანეთში დაღუპვის ამბავი მთელმა
ევროპამ შეიტყო. პრესაში ხაზს უსვამდნენ ფილბის გასაოცარ
თავდაჭერასა და აუღელვებლობას (უფრო მეტიც — ფლემანტურ-
რობას!) ამ ტრაგიკულ ეპიზოდში.

მეამბოხეთა ბელადმა გენერალმა ფრანკომ დააჯილდოვა კიმ
ფილბი და სამივე დაღუპულიც ესპანური ორდენით, რომელსაც
ერქვა „წითელი ჯვარი მხედრული მამაცობისათვის“. 1938 წლის 2
მარტს ფილბი მიიწვიეს მომავალ გენერალისიმუსთან და მან საკუ-
თარი ხელით ჩამოჰკიდა ორდენი მკერდზე.

თავის შემუარებში („ჩემი იღუმალი ომი“) ფილბი წერს: „ესპა-
ნეთში რომ დამჭრეს, ეს უსაზღვროდ შემენია როგორც ჟურნა-
ლისტს და ასევე, როგორც მხევრავს. მანამდე ბრიტანულ ჟურნა-
ლისტებს მკაცრად აკრიტიკებდნენ ფრანკოს ოფიცრები, რომელ-
თაც ეჩვენებოდათ, რომ ბრიტანელები სულ ერთიანად კომუნისტე-
ბი იყვნენ, ვინაიდან ბევრი მათგანი მოხალისეთა ინტერბრიგადების
შემადგენლობაში იმყოფებოდა და იბრძოდა ფრანკოს წინააღმდეგ.
ჩემი დაჭრისა და ფრანკოს მიერ საკუთარი ხელით ჩემი დაჯილდო-
ების შემდეგ მე გავხსენებ ცნობილი, როგორც „ინგლისელი, რომელიც
დააჯილდოვა ფრანკომ“. ჩემს წინ ყველა კარი იღებოდა“.

ფრანკოს ორდენი პირველი იყო ფილბის არცთუ მდიდარ, მაგ-
რამ ერთობ ორიგინალურ კოლექციას; აი, შემდგომი ჯილდოები:
ბრიტანეთის იმპერიის ორდენი (1946 წ.), ლენინის ორდენი (1966 წ.)
— როგორ მოგონთ ორი ბატონის მსახური?

გამოხდა ხანი.

1951 წლის მაისში ბრიტანელმა დიპლომატებმა (შეთავსებით
— საბჭოთა დაზვერვის საიდუმლო აგენტებმა) დონალდ მაკლინმა
და ვან ბიორჯესმა სწორედ კიმ ფილბისგან შეიტყვეს, რომ უახლო-
ეს ხანი „ჩაჯვრდნა“ ემუქრებოდათ და დროზე უშველეს თავს ანუ
საბჭოთა კავშირში გადაიხვეწნენ.

გასაკვირი არ არის, რომ ამერიკაშიც და ინგლისშიც ეჭვი აღძრათ
ფილბის მისამართით, რომელიც „ინტელიჯენს სერვისის“ მეკავშირედ
მსახურობდა შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამ-
მართევლოში („ცერულ“), ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ საიდუმლო
ინფორმაციაზე და, ამასთან ერთად, ბიორჯესის ახლო მეგობარი იყო.

ფილბი სამსახურიდან დაითხოვეს (ორმოცი წლისა პენსიაზე
გაუშვეს). არადა, როგორც მოთქმა-მოთქმა უზნობდა, მაკლინ-ბი-
ორჯესის ინციდენტის რომ არ მომხდარიყო, კიმ ფილბის სულ მალე
„ინტელიჯენს სერვისის“ შეფის სავარძელი უღიმოდა. სულ ახლოს

იყო დაუჯერებელი, ლამის ფანტასტიკუ-
რი სცენარი: ბრიტანეთის იმპერიის სა-
დაზვერვო სამსახურს სათავეში ჩაუდგე-
ბოდა საბჭოთა იმპერიის სადაზვერვო
სამსახურის საიდუმლო აგენტი თითქმის ოცწლიანი სტაჟით.

მაგრამ ფილბიმ თავისი მართლაც თავბრუდამხვევი კარიერა
განწირა ძმადნაფიცთა გადასარჩენად! თავად კი ბრიტანელი ლო-
მის ხახაში მოექცა.

ექვმიტანილი ფილბი იმავე წლის დეკემბერში დაიბარეს „ინ-
ტელიჯენს სერვისის“ სამსჯავროზე (ჩვენში „ამხანაგურ სასამარ-
თლოს“ რომ ეძახდნენ). ინყებოდა მაკლინ-ბიორჯესის საქმის ოფი-
ციალური გამოძიება, რომელსაც წარმართავდა მეფის მრჩეველი
მილმო, მეორე მსოფლიო ომის წლებში კონტრდაზვერვაში რომ
მოღვაწეობდა და გამოცდილ გამოძიებლად ითვლებოდა.

ფილბი წარდგა დაკითხვავზე.
მილმო ტყვიამფრქვევით აყრიდა შეკითხვებს. ფილბი რომ
აპყლოდა ტემპში, უსათუოდ წააგებდა — დრო აღარ ექნებოდა
ფიქრისათვის. არადა, საფიქრალი უზვად ჰქონდა. ამიტომაც იყო,
რომ ფილბი წელავდა დროს. თავისი ენაბრვენილობა, ამ შემთხვე-
ვაში, კარგ სამსახურს უწევდა. ყველა მშვენივრად მოესხებოდა
მისი მეტყველების დეფექტი და არაეინ ანონ-დანონიდან იმას, რომ
ფილბის ამჯერად ჩვეულებრივზე მეტად ებზობდა ენა, თავისდა სა-
სარგებლოდ არღვევდა დაკითხვის რიტმს.

მილმო გულმოდგინედ იქექებოდა ფილბის დოსიეში და ლუპით
აკვირდებოდა საჩოთირო დეტალებს. და აი, გადამწყვეტი დარტყმაც:
მილმომ შეახსენა ფილბის მეორე მსოფლიო ომის წინარე ხანებ-
ში დასაველეთს გადახვენილი საბჭოთა მხვერავის ვალტერ კრივიც-
კის ჩვენება იმის თაობაზე, რომ მოსკოვმა ესპანეთში, სამოქალაქო
ომის დროს, გარკვეული დავალებით წარგზავნა ახალგაზრდა ინგ-
ლისელი ჟურნალისტი. და მილმო ჯიქურ მიმართავს „ტაიმისს“ ყო-
ფილ კორესპონდენტს: „თქვენ წარგზავნილი იყავით იმისათვის,
რომ მოგეკლათ გენერალი ფრანკო. მიპასუხეთ, განა ასე არ არის?“

კიმ ფილბი, რკინის ნერვების პატრონი ფილბი, მშვიდად უძღლებს
გამომძიებლის დაჟინებულ მზერას და ენის ბორძიკით პასუხობს: „წუ-
თუ თუ თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ რუსები ფრანკოს მოსაკლავად
მე ამომირჩევდნენ, მაშინ როდესაც უსაზღვრო არჩევანი ჰქონდათ?“

როგორც აღნიშნავენ, რუსებს ესპანეთში თავის განკარგულე-
ბაში მართლაც ჰყავდათ ათობით გამოწვრთნილი და გამოცდილი
ბოევიკი, რომლებიც გაცილებით მარჯვედ განახორციელებდნენ
ტერაქტს, ვიდრე კემბრიჯის კურსდამთავრებული ჟურნალისტი.

ფილბის ლოგიკამ გააქარწყლა მილმოს შეკითხვის წონა და ფა-
სი. ერთი თვითმზილველის სიტყვით, დამსწრეთ ისეთი შთაბეჭდი-
ლება შეექმნათ, თითქოსდა მსოფლიოში ყველაზე სულელი გამომ-
ძიებელი დაპკითხავდა ყველაზე ჭკვიან ბრალდებულს.

არადა, არ ახლოს იყო სიმართლესთან ეს პატიოსანი კაცი, გვა-
რად მილმო.

ცხონებული „პერესტროიკის“ ჟამს გახსნილი კავებეს არქივე-
ბიდან ცნობილი გახდა, რომ 1937 წლის გაზაფხულზე ესპანეთში
გამწესებულ ფილბის მართლაც დაევალა ფრანკოს მკვლელობა
(მოსკოვში არ გაითვალისწინეს, რომ ახალგაზრდა ინგლისელი
ჟურნალისტი, მიუხედავად თავისი ერთგულებისა და პროფესიო-
ნალური სიმტკიცისა, არც ფსიქოლოგიურად და არც ფიზიკურად
არ გამოდგებოდა მისთვის შეწერილი ახალი როლის შესრულები-
სათვის. როგორც იტყვიან, ზოგჯერ ბრძენიც შეცდებამ).

კიმ ფილბი კილერად არ იყო დაბადებული, ჯეიმზ ბონად ვერ
გადაიქცეოდა! მისი საბრძოლო იარაღი დამბაზა კი არ იყო, არამედ
ინტელექტი.

საბჭოთა დაზვერვის მთავარმა რეზიდენტმა ესპანეთში, „სტა-
ლინის სუპერმსტოვრად“ ნოდებულმა ალექსანდრ ორლოვმა, და-
არწმუნა მოსკოვი, რომ ფილბის გაცილებით დიდი პოტენციური
ღირებულება ექნებოდა, როგორც ბრიტანეთის დაზვერვაში ჩა-
ნერგილ აგენტს (ამას უსახავდნენ პერსპექტივაში), ვიდრე ფრან-
კოზე თავდასხმისას დასაღუპად განწირულ გმირს.

მომავალში კიმ ფილბიმ პირნათლად გაამართლა ორლოვის მი-
ერ გაცემული ავანსები.

დროების ქერქი

ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მართო ჩინებულ კაცებისა, — ნერდა ილია ჭავჭავაძე, — და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილიცა“.

აუცილებელი არაა, რომ ილიასეული „გამკითხველი“ მაინც-დამაინც მსაჯულად წავიკითხოთ, რადგანაც ქართულ წერილობით ძეგლებში „განკითხვა“ ნიშნავს აგრეთვე განსჯას, გარჩევას, კითხვა-გამოძიებას. მაგრამ მთავარი აქ „გამკითხველის“ სემანტიკა და ფუნქცია როდესაც გახლავთ, არამედ — „ჭეშმარიტი მეისტორიის“ წინაშე წამოყენებული კატეგორიული მოთხოვნა „დროების ქერქში“ ჩაჯდომის თაობაზე. ეს გამოთქმა, ცხადია, გულისხმობს საფუძვლიან ჩასახლებას წარსულში, თავისებურ გარდასახვას, როდესაც იმდროინდელი ადამიანის თვალთ უნდა შეხედო სამყაროს, იმდროინდელი ზნე-ჩვეულებანი შეითვისო, იმდროინდელი ქუდი დაიხურო და იმდროინდელი ჰაერით ისუნთყო.

ამ საკითხის ირგვლივ ბევრი დანერვილა და მათი განხილვა ძალზე შორს წავიყვანდა. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: იდეალურ ვარიანტად არ მიიჩნევენ იმ შემთხვევას, როდესაც წარსულზე მსჯელობისას ბრალმდებელი თუ დამცველის მანტიას წამოვიხამთ და შევეცდებით, თავგამოდებით ვამტკიცოთ ჩვენი თვალსაზრისი, რომლის მიზანი, თუნდაც ობიექტური სინამდვილის მიფუჩჩების ხარჯზე, ბრალდებულის ან სრული დადანაშაულება ან სრული გამართლება, თითქოსდა სასამართლო პროცესი მიმდინარეობდეს. თუკი მაინცდამაინც ანალოგიებს გამოვდევნებით, ისტორიკოსს უფრო გამომძიებელი გამოადგებოდა თავისი საქმიანობის ანალოგიად. და განა მართლაც გამოძიებას არ წააგავს წარსულის კვლევა, სამუდამოდ გამქრალ ადამიანთა აღდგომა მკვდრეთით და მათი ცხოვრების წესის ამეტყველება?

გასული საუკუნის ფრანგი მკვლევარი მარკ ბლოკი თავის წიგნში „აპოლოგია ისტორიისა ანუ ისტორიკოსის ხელობა“ ირონიულად მოიხსენიებს იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ცდილობენ მოგვევლინონ „მინისქვეშა სამეფოს“ მსაჯულებად და თავის უპირველეს ვალდებულებად მიაჩნიათ, შეაქონ ანდა შერისხონ გარდასულ ჟამთა გმირები. ფრანგი მკვლევარი იმონშებს ბლეზ პასკალის სიტყვებს: „ყველანი თამაშობენ ღმერთებს და გამოაქვთ მსჯავრი: ეს კარგია, ეს კი ცუდია“.

მ. ბლოკის აზრით, როდესაც წარსულის ვნებათა ანარეკლი შეეზავება ანმყოფელ მიკერძობებს, ადამიანთა რეალური ცხოვრება გადაიქცევა შავ-თეთრ სურათად. „საკმარისად კი ვართ დარწმუნებულინი საკუთარ თავსა და საკუთარ დროში, რათა წარსულში უბინონი გამოვყოთ ბინიერთაგან?“ — ასეთ მკაცრ კითხვას სვამს ფრანგი მკვლევარი და განაგრძობს: თუკი გასურს ჩასწვდეს სხვის ცნობიერებას, რომელიც ჩვენგან დამორებულია საუკუნეებით, საჭიროა თითქმის მთლიანად უკუავადიო საკუთარი „ემ“, მაგრამ ამ ცნობიერებას თუკი შენსავე ნიშნებს მიანერ, სავსებით შესაძლებელია, რომ საკუთარ თავს არ გასცდეს, რაც გაცილებით ნაკლებ

ძალისხმევას მოითხოვს და რაოდენ იოლია, რომ დღეს ლუთერს მხარი დაუჭირო ანდა შეებრძოლო, ვიდრე მისი სული შეიცნო.

აეისა და კარგის, სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და სიცრუის ერთიმეორისგან გარჩევისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ბრძნული შეგონება იმის თაობაზე, რომ „შეკრებასა ღვარძლისასა“ დაუშვებელია „აღმოფხვრათ იფქლიცა“.

წარსულის მოღვაწენი ბევრს არ მოგვთხოვენ, რომ შექედოთ თხოვნა. მოგვთხოვენ მხოლოდ პირუთენელ განსჯას და მათი ღვაწლის სამართლიან შეფასებას. სახელს ნუ დაგვიკარგავთ, თითქოს ჩურჩულებენ იმ ნივინთა ფურცლებიდან, სადაც თავიანთი უკანასკნელი თავშესაფარი ჰპოვეს, სადაც ისევ განაგრძობენ ბრძოლას, ხან იმარჯვებენ, ხანაც მარცხდებიან და, როგორც წესი, მშობელი ხალხის საქებარი თუ საძრახისი თვისებები მოსდგამთ. ძალზე მცირე ფანტაზიაა საჭირო იმისათვის, რომ წარმოიდგინო, რაოდენ არის დავალებული შენი არსებობა საუკუნეთა სიღრმეში ჩამარხული მოვლენებისა და მათ შემოქმედთა სულისკვეთებისგან.

„დროების ქერქში ჩაჯდომა“ მოითხოვს ყველა თანამდევ გარემოებათა გათვალისწინებას. მთელი დროების კონტექსტიდან გულგრილად ამოგლეჯილი ერთი ცალკეული მოვლენის განხილვა ანდა გამაღივებელი შუშით დანახობა საუკუნეთა სიღრმეში რაცხი ფაქტის გამო მავანი პიროვნების მთელი ბიოგრაფიის გაყალბება — საქმისადმი არასერიოზულ მიდგომად გამოიყურება.

ჩვენი წარსულის შესწავლისას თუკი „დროების ქერქში“ არ ჩავჯდებით, ზოგი რამ აუხსნელი და გაუგებარი მოგვეჩვენება, ზოგიც — დასაგმობი. სახელდახელოდ გავიხსენოთ XIX საუკუნის ქართველი ჟამთააღმწერლის თხზულებაში გადმოცემული ის ეპიზოდი, როდესაც მონღოლთა შინაომებში ჩათრეული ქართული მხედრობის სათავეში მყოფი ქართველი მეფე დავით ლაშას ძე (ულუ-დავითი) წარმოთქვამს თავად მონღოლთა სამხედრო ხელისუფლების თვალსაზრისით შეუწყნარებელ ფრანზას: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დალათუ იყოს სიკვდილი“.

თუკი მხედველობაში არ მივიღებთ არც იმდროინდელი საქართველოს ვითარებას, არც ულუ-დავითის საკმაოდ უიღბლო და ფათერაკიან თავდასასვალს, არც ეროვნული ბუნების ზოგიერთ გამოსარჩევ ნიშანს, მაშინ ქართველი მეფის თავდაუზოგავი ბრძოლა მისივე ქვეყნის დამპყრობელთა ჯარში მხოლოდ უგუნურებისა და თავქარიანობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ დაუშვებელია ამგვარი თუ სხვაგვარი ეპიზოდის განყენებულად განხილვა, დაიწყება „დროების ქერქისა“. ამიტომაც გარემოსა და გარემოებათა გათვალისწინებად გამოტანილი უაპულაციო განაჩენი ეჭვს იწვევს და თავის სიმართლეში ვერ გვარწმუნებს.

„ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილიცა“ — ილიასეული დევიზება ისტორიკოსის პრინციპის ხატოვანი ფორმალაა, რომელიც შეიცავს მეცნიერულ სიზუსტეს, მისწრაფებას ობიექტურობისადმი და ჰუმანისტურ პოზიციას.

1 ივნისი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლამ წარმოადგინა სამეცნიერო კრებული, რომელიც ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნურ-კორესპონდენტის, პროფესორ რევაზ სირაძის 75 წლის იუბილეს. სხდომა გაიმართა უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში. სამეცნიერო კრებული მიმოიხილეს და რევაზ სირაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, აკადემიკოსებმა როინ მეტრეველმა და ელიზბარ ჯაველიძემ, პროფესორებმა ლაურა გრიგოლაშვილმა, გრიგერ ფარულავამ, გიორგი ალიბეგაშვილმა, ჟურნალისტმა თამაზ ტყემალაძემ, პროტორესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.

აღინიშნა, რომ სამეცნიერო კრებული სრულად ასახავს იმ ღირსეულ გზას, რომელიც რევაზ სირაძემ განვლო სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე. როგორც ერთ-ერთმა გამომსვლელობა ბრძანა, რევაზ სირაძის მეცნიერულ-შემოქმედებითი

წარმატებები მისმა ფართო ხედვამ და სწორმა ორიენტირებმა განაპირობა. მან თავიდანვე განსაზღვრა მეცნიერულ-კულტურული წარსულისადმი თავისი დამოკიდებულება: მისი საფუძვლიანი შესწავლა, ღრმა გააზრება, სიძველისადმი პატივი, კრძალვა და სიახლის, უცნობის, დაფარულის ძიება.

კრებულში, რომელიც გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა, შედის ლიტერატურულ-ესთეტიკური, საისტორიო, ლინგვისტური, ესეისტური და კრიტიკული წერილები, რომელთა ავტორები არიან: როინ მეტრეველი, გიორგი ალიბეგაშვილი, ნინო ჯაველიძე, გვანცა ბურდული, ევა დულაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, ლალო მინაშვილი, იუზა ევგენიძე, ვახტანგ გურული, ქეთევან შენგელია, ალექსი ჭინჭარაძე, ავთანდილ არაბული, ლია კარიჭაშვილი, უჩა შერაზადიშვილი, ვასილ გროსმანი (თარგმნა ოლეგ გოლიაძემ), ლაურა გრიგოლაშვილი, გრიგერ ფარულავა, ელიზბარ ჯაველიძე, ანდრო ბედუაძე, ირაკლი ვაშაყმაძე, ივანე ამირხანაშვილი. წიგნს ერთვს რევაზ სირაძის შრომათა ბიბლიოგრაფია (შეადგინა ქეთევან სირაძემ).